რევაზ გიორგობიანი

ქართული ენა ლიტერატურული სკოლებში

შემდგენელი მაია გაჩეჩილაძე

გამომცემლობა
„საქართველოს მაცნე“
2005

„ბაეშვობაში მინდოდა ავტოპორტრეტი დამეხატა... ერთ დიდ ტილოზე ხემი რამდენიმე ფიგურა სხვადასხვა იერით, პოზით... ყოველი მათგანი ხემი ხასიათის ნაირსახეობა იქნებოდა... მოკლედ, მარტივად რომ ვიქვათ, ერთი რომანტიკოსი, ერთი რეალისტი, ერთი ხულიგანი, ერთი დონ-ჟუანი, ერთი ბედნიერი, ერთი უბედური და ა.შ.

რამაზ გიორგობიანის, ყველასათვის საყვარელი მსახიობისა და რეჟისორის, სამწერლო შემოქმედება ფართო საზოგადოებისთვის უცნობია.

„ - ერთმა რომ ახსნას, რა მოხდა. ყველაფერი ნათელი გახდება, მაგრამ მეორე არ უსმენს და გაუგებრობის გამო უნდა ინერვიულო...“ ეს სიტყვები ლაიტმოტივად გასდევს კეთილი იუმორით,ადამიანური სითბოთი და სიყვარულით აღსავსე მის შესანიშნავ მოთხრობებს, პიესასა და ლიტერატურულ სცენარებს.

იმედია, კრებული უფრო სრულ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს რამაზ გიორგობიანის პიროვნებასა და შემოქმედებაზე. და კიდევ... ‘იცი, რატომ არ დაეფრინავთ? იმიტომ, რომ ღედამიწა გვიზიდავს და “შენი თქმის არ იყოს, ფრთები არა გვაქვს...“

მხატვარი გია ცხადაია
რედაქტორი ნათელა თუხარელი

© მაია განეშილაძე. 2005

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 99940-26-77-1

ბელურა

ძნელია ტკბილ ძილს თავი დააღწიო, როცა სიზმარი ცსადს გირჩევნია.

– ბელურა, სკოლაში გაგვიანდება.

– უჰუ, – თვალს ვერ ასელს ბელურა.

– გესმის?

– უჰუ.

– ადექი, შენი ჭირიმე.

დედამ თავი დაანება. ბელურამ ცოტაც წაინებივრა, მერე სუნეშით გადმოყარა გამსდარი ფესები ლოგინიდან, კეფაზე თმა აიწეწა, თვალები დაისრისა და სარკეში თავის ორეულს შესედა. მართალია, ნამძინარევი თვალებით ფოკუსი ვერ გაასწორა, მაგრამ საერთო შთაბეჭდილება, როგორც ყოველთვის, ერთი იყო, – თქვა მან. ასე შეარქვეს სკოლაში, შემდეგ ასლობლებსაც დაავიწყდათ ნამდვილი სასელი, ნელ-ნელა თვითონაც შეეჩვია, მაგრამ წყენა მაინც დარჩა მის პატარა, ბოღმით გასივებულ გულში.

ადგა, პირი დაიბანა, ჩაიცვა, დიდსანს იჩეჩაედა თმას დაბრტყელებულ კეფაზე. ესლა მამის ოთახიდან თავისი ყელსასვეეი ისე უნდა გამოეტანა, რომ იატაკს არ გაეჭრიალებინა. თითის წვერებზე შეევიდა დარაბებდასურულ ოთასში. მამამ თვალები გააახილა და უსიამოვნოდ შეხედა ოჩოფესებზე შემდგარ პატარა, მრგვალ სხეულს.

– რას ჭრაჭუნებ, ხომ სედავ, მძინავს!

– ყელსასვეეი მინდოდა.

– რა უნდა ჩემთან შენს ყელსახვევს? – უყვირა მამამ.

მამამ უეცრად იცოდა გარტყმა – ბელურა ვერასოდეს ვერ ასწრებდა მოგერიებას. ამჯერად მსოლოდ თვალები დაუბრიალეს.

– რა გაქვთ დღეს?

– ბოოლოგია.

– ბელურამ ის საგანი დაუსასელა, რომელიც ნასწავლი ჰქონდა.

მამა ყოველთვის ერთით კმაყოფილდებოდა.

– ისწავლე?

– ვისწავლე.

– შენი ტყუილებით აქამდე ვარ, ა! – მამამ აჩვენა სადამდე იყო, – ორიანი არ მომიტანო, თორემ კოლონიაში გაგგზავნი, სომ იცი. ტყუილად არაფერს გპირდები!

„მშობელია, რა ქნას!" გაიფიქრა ბელურამ. სწრაფად ისაუბმა, კომბოსტოს ერთი თავი დაიიღლიავა, ჩანთას სელი დააელო, წავედიო, დედას გასძახა სამზარეულოში და ქუჩაში გავარდა. გაკვეთილზე რომც დააგვიანდეს, მასწავლებელს ეტყვის, კურდღლებს კომბოსტო მივუტანე და შევყოვნდიო.

ბელურამ ვერ შეამჩნია, როგორ მიეპარა სასეზე გაზეთაფარებული წითური მამაკაცი. კაცმა გაზეთი მოისროლა და ყურში სტაცა სელი.

– ჰაიტ, შე მამაძაღლო, დაგიჭირე თუ არა?!

წითურმა შუბლიდან ცსვირსასოცით ოფლი მოიწმინდა.

– რა მარბენინა ამ ვირიშვილმა!

– რა იყო, ბიძია, რა? – იყვირა ტკივილისაგან გამწარებულმა ბელურამ.

– კარგია სხვისი მოტოროლერის წვალება, არა?

– რა მოტოროლერის, ბიძია?!

– ბიჭო, რომ გადასტები ღობეზე და იქიდან მაგინებ...

– როგორ გაგინებთ, როცა არც გიცნობთ...

– არ გიცნობო, ბიჭო, რა აფერისტია! წამოეთრიე, შე ნაბიჭვარო!

– სად წამოვიდე, ბიძია, გამიშვით, სკოლაში მაგვიანდება.

– არ იცი, არა?! ღობეზე რომ გადასტები და... – კვლავ აღშფოთდა მამაკაცი და ბელურას თავში წამოარტყა, – რომ მაგინებ, შე მაიმუნო!... ეგ კომბოსტო სად მოიპარე?

– სასლში ავიღე, არ მომიპარავს.

– სად მოიპარე-მეთქი, შე ქურდო! – უყვირა წითურმა.

ბელურამ ფესები გააჩიკინა და მუდარით დაუწყო ლაპარაკი:

– ბიძია, დედას გეფიცებით, არაფერი ვიცი, ამისსენით, რა ვქენი, გეხვეწებით, მითსარით, მე თვითონ წამოვალ, არსად გავიქცევი!

– სად გაიქცევი, ბიჭო, სად?!

– ბიძია, შენი ჭირიმე!

წითური ამ სვეწნამ ცოტა მოალბო.

– ბიჭო, ყოველდღე რომ ძვრები საბავშვო ბაღში და სასელმწიფო მოტოროლერს დააქროლებ... კაი, ეგ არაფერი, ღობის იქიდან რაღას მაგინებ?

– გეფიცებით, ბიძია, არც საბავშვო ბაღი ვიცი... მოტოროლერის ტარება, საერთოდ, არ ვიცი.

– მაშ, მე ბრუციანი ვარ?!

– გამიშვი, ბიძია! დედას გეფიცები, მე თვითონ წამოვალ, მე თვითონ მაინტერესებს, ყველას გეფიცებით, არ გავიქცევი, დედას გეფიცებით, დედას ტყუილად არ დავიფიცებ, აი, რა დაგიფიცოთ?

– ბელურას სიტყვებში იმდენი სიმართლე გამოსჭვიოდა, რომ წითურმა ცოტა ჭოჭმანის შემდეგ, ხელი შეუშვა.

– საით წავიდე?

– პირდაპირ.

ბელურა წინ წავიდა, – კაცი უკან მიჰყვა.

„რა უბედურებაა!" ფიქრობდა ბელურა, ეს რა იდიოტური სახე მაქვს. ყველა დამნაშავეს მე როგორ ვგავარ. სკოლაშიც ასე არ არის? ბუსტად იმ გაცვეთილზე მიძახებენ, რომელიც არ მისწავლია". მან კაცს მოსედა. გაქცევა ადვილი იყო, მარტივი ფინტებით დაუძვრებოდა სელიდან და მერე ეძებნა, სადაც მოუნდებოდა. „უროსია, უხერხულია, ისედაც ბევრი ურბენია. მივალთ ადგილზე და ყველაფერი გაირკვევა".

ბელურა გზაჯვარედინზე შეჩერდა.

– საით წავიდე?

წითურს სახე შეცვლოდა, ბოროტად იყურებოდა, თითქოს სვდებოდა რომ ბელურა გაქცევაზე ფიქრობდა.

– ვითომ არ იცი, მანდ არ დაძვრებოდი?! – კბილებში გამოსცრა მან.

ცოტა სანში საბავშვო ბაღის ჭიშკარს მიადგნენ. ბელურამ მამაკაცს კითხვით მოსედა და ეზოში შევიდა. ბაღის ეზოში შესვლისთანავე

წითური ბელურას ყვირილით ჩააფრინდა.

— დავიჭირე, დავიჭირე ეს მამაძაღლი! ქალბატონო ნათელა, ქალბატონო ნა-თე-ლაა!

ეზოში თეთრსალათიანი ქალები გამოცვივდნენ.

— ვინ არის, კოლია, ეს?

— მოტოროლერი ვინც დაგვიმტვრია.

— არა, კაცო, ის უფრო პატარა იყო.

— მასწავლეთ ასლა თქვენ! სად არის ნათელა?

— კაბინეტშია.

კაბინეტში მაგიდასთან ლამაზი ქალი იჯდა და რაღაცას წერდა.

— რა მოსდა? — თავაუღებლად იკითხა.

— დავიჭირე ეს საძაგელი ქალბატონო ნათელა. კიდევ კარგი, მოვიფიქრე და სასეზე გაგეთი ავიფარე, თორემ ისევ გამიშპებოდა. ეხლა ამას ვაჩვენებ სეირს! სასლშიც ასე იგინები, ბიჭო? — უთხრა მან ბელურას.

— მოიცა! — შეაწყვეტინა ნათელამ. — დადევი ეგ კომბოსტო, ბიჭიკო, და მოდი აქ!

— ეგ კომბოსტოც მოპარული აქვს — გააგრძელა კოლიამ.

— მე ქურდი არა ვარ!

— სულიგანი ხომ სარ!

— მოიცადე, ნიკოლოზ! — ნათელამ ბელურას სელი მოჭიდა, თავით ფესამდე შეათვალიერა და გაეღიმა, — ნიკოლოზ, სხვა დაგიჭერია, ის უფრო პატარა და მსუქანი იყო. რა გქვია, ბიჭიკო, შენ? — დაუყვავა ბელურას.

ბელურამ არ იცოდა ნამდვილი თუ ზედმეტი სასელი ეთქვა, ერთი კვნესით ამოისუნთქა, ყბა აუკანკალდა, თვალებიდან ცრემლი წასდა და ხმამაღლა ატირდა. „რას შერები, უკვე დიდი სარ, ვაკკაცი არა სარ? გამაგრდი!“ ეუბნებოდა თავს, მაგრამ ვერაფერმა უშველა. სასე მთლად დაუსველდა, ცსვირი გაუწითლდა და მუსლებამდე ჩამოუგრძელდა, თვალები ბეპემოთიკით დაუსივდა. ალბათ საშინელი შესახედავი ვარო, ფიქრობდა.

იგი ნელა მიდიოდა სკოლისკენ. არ უნდოდა ნამტირალევი შეემ-

ჩნიათ. „არ იყო ცუდი კაცი ის კოლია, უბრალოდ, შეეშალა, მერე შერცხვა კიდეც...თუ მოტოროლერი დაუმტვრიეს და თან აგინებ-დნენ... ყველა ასე მოიქცეოდა მის ადგილას“.

ბოოლოგიის გაკვეთილი ჯერ არ დამთავრებულიყო, ბელურამ მორიდებით შეაღო საკლასო ოთახის კარი:

– შეიძლება მასწ?!

მასწავლებელმა გაკვირვებით შესედა.

– სად სარ, ბელურა, ამდენ ხანს?

– კომბოსტოს მოსატანად წავედი.

– მერე, რა უყავი კომბოსტო?

ბელურამ სელებზე დაისედა და ესლა შეამჩნია, რომ კომბოსტო არ ჰქონდა.

– სასლში დამრჩა.

კომბოსტოსთვის წასვედი და შინ დატოვე?!

ბავშვებმა გულიანად გაიცინეს.

– არა, იცით რა, მასწ...

– არაფერი არ ვიცი.

– საბავშვო ბაღში დამრჩა.

ბავშვები უფრო გამხიარულდნენ.

– ბელურა! – მასწავლებელმა წყრომით შესედა.

– დედას გეფიცებით! მოტოროლერი მოიპარეო, დამიჭირეს და იქ დამრჩა.

– რაებს იტყუები, ბიჭო?! – გაბრაზდა მასწავლებელი.

– მე არ მომიპარავს, მასწ!

– ბევრს ნუ ლაპარაკობ, მოიტანე აქ დღიური, ვიცი, მე შენი კომბოსტოები!

„კინოშიც სწორედ ასეა – გაიფიქრა ბელურამ, – ერთმა რომ ახსნას, რა მოსდა, ყველაფერი ნათელი გასდება, მაგრამ მეორე არ უსმენს და გაუგებრობის გამო უნდა ინერვიულო“.

– ნასწავლი მაქვს, მასწ!

– მოიტანე დღიური, რომ გელაპარაკები! – მასწავლებელმა მაგიდას დაარტყა ხელი.

„ბევრი უნდა მოვყვე, რომ რამე გაიგოს.“ ბელურამ მლაშვნით ამოიღო ჩანთიდან დღიური.

საღამოს, მამა რომ სამსახურიდან დაბრუნდა, ჯერ კარგად დანაყრდა, მერე გაზეთს გადააელო თვალი და ბოლოს შვილს შეეკითხა.

– ზოოლოგიაში რა მიიღე?

– ორიანი.

ბელურამ თავის გაწევა ვერ მოასწრო, მამის კოერიანი სელი მწარედ მოხვდა კინკრიხოში.

– ისედაც დაბრტყელებული მაქვს! – ჩაიბურტყუნა ბელურამ.

„რეაქცია არ მივარგა, უნდა ვივარჯიშო“, გაიფიქრა მერე.

– ბიჭო! – უნდა ისწაელო, ტვინი გაგემრდება და თავიც დაგიმრგვალდება.

სამმარეულოდან დედამ გამოისედა.

– დღეს ჩვენი მეზობელი რომ არის, კატუშა, ის შემსვდა – ასე მითხრა, რა საოდავია თქვენი შვილი, რომ ვსედავ, სულ გული მეკუმშებაო. ისე საწყლად დასრის თავს და სალამს მეტყვისო, – მამა ვითომ გაბრაზდა,

– მართალია, ბიჭო, რასაც დედაშენი ამბობს?

ბელურას გაეცინა.

– არა, ძმაო, ნამდვილად კოლონიაში უნდა გაგგზავნო, ეგების ცოტათი ჯიბგირს დაემსგავსო! – თქვა მამამ.

გურამმა ფრთხილად გამოიხურა ბინის კარი და კიბეზე სწრაფად დაეშვა. ეშინოდა, ცოლი არ გამოჭიდებოდა და არ ეკითხა, სად მიდიხარო. პირველ სართულზე გული უკვე ამომჯდარი ჰქონდა. ესლა რომ დამიძახოს, არ ვუპასუხებ, ვითომ სადარბაზოდან გავედიო, გაიფიქრა, მაგრამ თავისუფლად მხოლოდ ქუჩაში ამოისუნთქა. ასიოდე მეტრი მთვარეულივით გაიარა. მერე შენობებს შორის შემოჭრილ გაბაფხულის მზეს ბურგი შეუშვირა. კარგა ხანს იდგა ასე. ნელ-ნელა გათბა და ნაბახუსევს მოეჩვენა, რომ თავის ტკივილმა ცოტა უკლო. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ოპერის ბაღში ნაცნობები გაარჩია – ხელის აწევით მიესალმა. განტად და უაზროდ დაუწყო სალსს თვალიერება.

გურამის წინ ერთი უცნაური არსება იდგა და უტიფრად თვალებში მისჩერებოდა. ეს ქალიშვილი ზომაზე მეტად მოცლე და მცერდზე ღრმად ამოჭრილ მწვანე კაბას (თითქოს ეშინოდა, ნაჭრის ეს პატარა ნაგლეჯიც არ დამეკარგოსო) სხეულის გასწვრივ გვერდებზე მჭიდროდ მიკრული ხელებით იმაგრებდა. მოცლედ შეჭრილი, ყალყზე დამდგარი და ერთმანეთში გადახლართული იასამნისფერი, საფეთქლებთან გაწითლებული თმა, ყურებამდე გასხეული ტუჩები და ზევით აპრესილი, ბრტყელი ცხვირი ჰქონდა და გურამმა იგი რატომღაც დაუბანელ ბატის ჭუკს მიამსგავსა. ქალიშვილს ლოყებზე ბარაქიანად დაედო ვარდისფერი ტონი და ლურჯად შეღებილი დიდი, წყლიანი თვალებით, გურამს აღტაცებით შესცქეროდა. ფეხებზე შავი აჟურული ბადე-წინდები და წითელი, ნეკა თითებთან მრგვალად ამოჭრილი ნაჭრის ფეხსაცმელები ეცვა. გიჟები მაკლია მეო, ბურგი შეაქცია გურამმა, მაგრამ ქალიშვილმა ირგვლივ შემოუარა, კვლავ წინ დაუდგა და სახეში შესცინა.

– რა გნებავთ? – უხეშად ჰკითხა გურამმა.

– მე თქვენ გიცნობთ! – ტუჩების კანკალით უთხრა ქალიშვილმა.

„რაიონიდან არის ჩამოსული“, დაასკვნა გურამმა.

– თქვენ პოეტი არა ხართ?

გურამს თავი კვლავ ასტკივდა.

– პოეზიის საღამოზე გნახეთ უნივერსიტეტში!

– ესლა ქუჩაშიც მნახე, კარგია?!

– ძალიან. – გულწრფელად უთხრა ქალიშვილმა, – ეფიქრობდი, ქუჩაში რომ შემხვდეს, რაღაც მომივა-მეთქი და... არაფერიც არ მომსვლია.

გურამმა ამაზე ვეღარაფერი უპასუხა. ქალიშვილმა ყურებამდე გაიღიმა.

– შენც პოეტი ხომ არა ხარ? – ბოლოს შეეკითხა გურამი.

– არა, ლექსები არ მიყვარს! – დამანჭა ტუჩები ქალიშვილმა.

გურამს გაეცინა.

– ხელებზე რა მოგივიდა?

ქალიშვილმა ხელები გვერდებზე უფრო მჭიდროდ მიიკრა, დასერიოზულდა, მაგრამ იმწამსვე სახე კვლავ გაუნათდა და სიცილით თქვა:

– დღეს პაემანზე მივდივარ და თმა მელნით დავიბანე...

– მერე?

– რა მერე? მერე მელანი ხელის გულებიდან ვეღარ მოვიშორე.

– შეყვარებული ხარ? – გაიცინა გურამმა.

– დიახ! – ურცხვად უპასუხა ქალიშვილმა.

„ეს, რა თქმა უნდა, უნიკალური შემთხვევაა, მაგრამ უკვე საკმარისია", გაიფიქრა გურამმა.

– აბა, კარგად იყავი!

გურამი ქუჩას გაუყვა. ქალიშვილი გამოეკიდა. „არა, ნამდვილად გიჟია!" გურამი შეჩერდა.

– წავიდეთ სადმე? – შესცინა ქალიშვილმა.

გურამს თავშეუკავებელი სიცილი აუტყდა.

– მერე, შენი პაემანი?

– ჯერ აღრეა!

– წამოდი! – ნამთვრალევზე იოლად გადაწყვიტა გურამმა.

გურამი წინ წავიდა. სახეგაბადრული ქალიშვილი უკან მიჰყვა.

რესტორანში გურამმა ნაცნობ ოფიციანტს ხელით ანიშნა, რომელ კუპეში დასხდებოდნენ.

კუპეში ქალიშვილს ყამი გამოუწია.

– გმადლობთ!

ქალიშვილი ყამსა და მაგიდას შორის გაძვრა და მეორეზე მოკალათდა. გურამი თავის გამოწეულ ყამზე დაჯდა.

თავზე ოფიციანტი დაადგა. გურამმა ქალიშვილს გადასედა.

– უთხარი, რაც გინდა!

– პივა.

გურამმა ოფიციანტს ღიმილით შეხედა. ოფიციანტმაც გაუღიმა.

– შამპანური მოგვიტანე და რამე საუზმე!

– კი, ბატონო.

– ხიზილალაც!

– ახლავე, ბატონო.

ოფიციანტი გავიდა.

– მე გურამი ვარ! – გაეცნო გურამი და სმაში დაცინვა გაურია.

– ვიცი! – გულღიად გაიცინა ქალიშვილმა.

– კი, იცი, მაგრამ შენ რა გქვია?

– მარინე!

ქალიშვილი ფეხზე წამოდგა და ხელი ჩამოართვა. „მაგარი ტიპია", გაიფიქრა გურამმა.

– დაჯექი!

მარინემ კაბა დაქაჩა და დაჯდა. ოფიციანტმა საუზმე მოიტანა.

– მე რესტორანში პირველად კი არ ვარ! – თქვა მარინემ.

„კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა იყოს პირველად?!"

– მართლა?! – გაკვირვებით ჰკითხა.

– პირველად ერთმა კაცმა მომიყვანა.

– მერე?

ოფიციანტმა შამპანური გახსნა და ჭიქებში ჩამოასხა.

– ბავშვობაში მიყვარდა ის კაცი! – ტუჩების კანკალით გაიღიმა მარინემ.

გურამმა პირთან მიტანილი შამპანურით სავსე ჭიქა შეაჩერა.

— აჰა! — თქვა.

— მე, საერთოდ, ბავშვობიდან ძალიან ლამაზი ვიყავი. ეხლაც ბევრი დამდევს, მაგრამ სრულებით არ მინდა, ვინმეს სილამაზისთვის ვუყვარდე, თოჯინა ხომ არა ვარ, არა?!

— რასაკვირველია! — სერიოზულად დაეთანხმა გურამი.

— ამიტომ ყოველთვის თავს ვისოტრავ სოლმე... ნოლგე! — დაამატა მარინემ.

„კარგად რომ დაკვირდე, რაღაც სექსუალური არის ამ გოგოში, თორემ რესტორანში რატომ წამოვიყვანდი?!“ გააანალიზა გურამმა.

— სულ ჩემი სახლის წინ ვიჯექი სის სკამზე და ველოდებოდი, სამსახურიდან როდის დაბრუნდებოდა.

— ვინ დაბრუნდებოდა? — დაიბნა გურამი.

— ის კაცი, ბავშვობაში რომ მიყვარდა.

— აჰა, პო!

მარინემ შამპანური მოსვა.

— ფუჰ, ეუჰ! არ მიყვარს შამპანური... ჰოდა, ველოდებოდიიი. მოვიდოდა, თავში წამომარტყამდა, კიდევ აქ ბისარ, კრეტინოო? მეტყოდა და წავიდოდა! — მარინემ გადაისარსარა, — მაშინ ბავშვი ვიყავი, თორემ მერე თვითონაც შევუყვარდი. ეტყობა, სადმე თმამოშვებული მნახა... ძალიან ლამაზი ფერის თმა მაქვს — ცეცხლისფერი!

გურამმა მარინეს ბუსუსები ეჭვით შეათვალიერა.

— რესტორანშიც მპატიჟებდა, მაგრამ მე აღარ მიყვარდა.

ოფიციანტი პირდაღებული უსმენდა. გურამმა გამშრალი ყელი ერთი ყლუპი შამპანურით ჩაისველა, მერე გაოგნებული ოფიციანტი შეამჩნია და კითხვით ასედა. ოფიციანტი დაიბნა, კარისკენ შებრუნდა, კვლავ მოტრიალდა და იკითხა.

— კიდევ რამეს ხომ არ ინებებთ?

— პივა მინდა მე! — თქვა მარინემ.

— ერთი ლუდი მოიტანე.

— ჰო, ლუდი, პივა რა, — შეასწორა თავისი სიტყვები მარინემ. ოფიციანტი გავიდა.

– ალბათ ფიქრობთ, ვინ არის ეს სულელი, რას გადამეკიდაო?!

– არა, რატომ?!

– იფიქრეთ, ნუ გეშინიათ. ჩემზე ყველა ასე ფიქრობს. – გაიცინა მარინემ.

ოფიციანტმა ლუდი შემოიტანა და მარინეს დაუსხა. მარინემ ჭიქა სულმოუთქმელად დაცალა.

– იფ, კარგია!

მერე ბოთლის ეტიკეტს დაუწყო თვალიერება.

– როდინდელი ჩამოსხმაა? – საქმიანად იკითხა.

– გუშინდელი, ბატონო! – უპასუხა ოფიციანტმა.

– არა უშავს! – თქვა მარინემ.

გურამს „დეგუსტატორის" სერიოზულ მოქმედებაზე გაეცინა. „არა, ნამდვილად რაღაც მიმზიდველი, გულუბრყვილო და ბავშვური აქვს ამ გოგოს".

– ჰოდა, რას ვამბობდი? – ტუჩები მოილოკა მარინემ.

გურამმა თვალები ჭერს მიაპყრო. ოფიციანტი მარინეს პირში მისჩერებოდა. მარინემაც, გურამის მსგავსად, ოფიციანტს მრავალმნიშვნელოვნად, კითხვით შესედა. ოფიციანტი კვლავ დაიბნა.

– ლუდი კიდევ მოვიტანო? – იკითხა.

– ლოთი კი არა ვარ! – მწყრალად მოუჭრა მარინემ. – წაბრძანდით და, როცა საჭირო იქნება, დაგიძახებთ!

ოფიციანტი კუპედან გავიდა.

– ვინ არის ეს სულელი?! – თვალი გააყოლა მარინემ.

გურამმა გადაიხარხარა.

– არა, რატომ? ძალიან სასიამოვნო კაცია. ყოველთვის კარგად მემსახურება.

– ბავშვობაშიც წერდით ალბათ ლექსებს? – ყური არ დაუგდო მარინემ.

– ბავშვობაში...

– თუმცა ბავშვობაში ლექსებს ყველა წერს, მაგრამ ყველა პოეტი ხომ არ გამოდის?!

– რა თქმა უნდა, ყველას არა აქვს ამის ნიჭი!

– თქვენ ნიჭიერი ხართ?

– შენ როგორ ფიქრობ? – გაეცინა გურამს.

– მე ვფიქრობ რომ, არა!

– აჰა! – სასტად დარჩა გურამი, – ესე იგი ჩემი ლექსები არ მოგეწონა?!

– არა, აი, მეც უნიჭო ვარ, მაგრამ ლექსებს კი არ ვწერ! რომელი საათია?

– რა არის? – ვერ გაიგო გაოცებულმა გურამმა.

– რომელი საათია-მეთქი! დაყრუვდით?!

გურამმა საათზე მექანიკურად დაისედა.

– თორმეტის ნახევარია.

– მე წავედი. ნახვამდის, გმადლობთ.

მარინე ფეხზე წამოდგა. გურამიც უნებურად ადგა. მარინე გურამსა და მაგიდას შორის სსარტად გაძვრა და ოთახიდან გავიდა. გაოგნებული გურამი სკამზე ნელა დაეშვა. „გიჟია, ნამდვილად გიჟია!" მეორე წამს უკვე ქუჩაში იყო და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. სასტუმროს კუთხემდეც მიირბინა, მერე ქვის სკამზე შედგა, მაგრამ მარინე ვერსად დალანდა.

მარინე კი, ამ დროს ზემელზე, საათთან, ვანოს ელოდებოდა. აი, ვანოც გამოჩნდა. იგი გამვლელებზე თითქმის ორი თავით მაღალი იყო. სპეტანსაცმელი მთლიანად (განსაკუთრებით მუსლებზე) ტალახში ჰქონდა ამოსვრილი. ვეება სსეულთან შედარებით საოცრად პატარა, ქოჩრიანი თავი გრძელ, გედივით გაღუნულ კისერზე უცნაურად უყანყალებდა.

ვანომ მარინე დაინახა. გასარებულმა გაიცრიჭა და მეჩსერ კბილებში ბუშტუკები გამოუშვა.

– სად ხარ, ბიჭო, აქამდე? – წყენით შეეკითხა მარინე.

ვანომ მორცსვად გაიღიმა

– საქმე იყო... რევაზ ივანიჩმა უნივერსიტეტთან ასალი გაზონი გაგვაკეთებინა.

– შენ თუ საქმე გაქვს, მე რა, უსაქმური ვარ?

მარინე მიტრიალდა და წავიდა.

– მარინე! – გამოეკიდა ვანო.

– თავი დამანებე, თუ კაცი სარ, პიევას რომ სვამ, იმის ბრალია ყველაფერი!

– ლიმონათს დაელევ, – ჩუმად თქვა ვანომ და თავი დახარა.

– კიდევ დაისარე! ამსიგრძე კაცი სარ და დორბლი ვერ მოგიწმენდია!

მარინემ საკუთარი ცსვირსახოცით მორჩილად წელში მოხრილ ვანოს პირი მოწმინდა, მერე ცოტა გვერდზე გადგა და თავითფესამდე აათვალ-ჩაათვალიერა.

– რა არის, ბიჭო, რა?! რა გაგინტლული დადიხარ? თმას ვერ დაივარცსნი? წესიერი ქალი ოჯახშიც ვერ მიგიყვანს. ფუჰ!!!

მარინემ უკმაყოფილოდ მიიხედ-მოიხედა. მერე ვანოს მკლავი გამოსდო და უთხრა:

– კარგი, წამოდი, ენახოთ ის შენი გამონი!

მეორე დღეს გურამი თავის კაბინეტში მაგიდასთან ჩაფიქრებული იჯდა. მისდა სამარცსვინოდ, გუშინ უგონოდ დათვრა. რუსთაველზე სსვადასსვა ემოებში იბოდიალა და მარინეს ეძახდა; მარჯენა ფესის ფესსაცმელი დაკარგა, რატომღაც ოპერის ბაღში ეძება დიდხანს, მაგრამ ვერ იპოვა. ახლა ყველაფერ ამის გასსენებაზე, გურამი წითლდებოდა და ტუჩებს ფვნეტდა – ეს რა დამემართა, რა პატარა ბიჭივით ვიქცეოდი, ვინმე ნაცნობს რომ დავენახე, ვაი სირცხვილო, რას იტყოდა ჩემზეო.

ოთახში ცოლმა შემოისედა.

– ტელეფონთან გეძახიან. სახლში ხარ?!

– არა!

გურამმა ისეთი გაღიზიანებით უპასუხა, რომ შეშინებულმა მეუღლემ საღამომდე საჭმელიც ვერ შესთავაზა, ალბათ ახალ რამეს წერსო.

„ამ შაბათს „სპორტლოტოში“ თუ მოვიგე, ყოველ ახალ ლექსზე დიდხანს ვიმუშავებ, ბარათაშვილივით ცოტას დავწერ, მაგრამ ყველაფერს გენიალურს“, ფიქრობდა გურამი.

ოჯახური იდილია

დილით ლამარამ ქმარ-შვილი სახლიდან გააცილა და ოთახის დალაგებას შეუდგა. სანდროს საწოლისთვის, რომლის ყოველ-დღიური ფეცვა საშინლად აღიზიანებდა, დღეს ყურადღება არ მიუქცევია. უპირველესად მისი ფიქრი სადილის მომზადებისკენ იყო მიმართული, – რა უნდა გაეკეთებინა, როცა სახლში არაფერი ჰქონდა, ქმრის სელფასამდე კი მსოლოდ მანეთიღა დარჩენოდა. მურთაზის საუზმეს და ვასშამს იოლად აუდიოდა – კარაქიანი პური და ჩაი. ან, თუ იქნებოდა, ყველის პატარა ნაჭერი. ლამარა ამ ტრაპეზს ქმარს და შვილს თავისი სელით დამზადებული მურაბებით ულამაზებდა, მაგრამ სადილად საჭირო იყო უსვი და ნოყიერი საუმელი. მურთაზი ძლიერ მოშიებული ბრუნდებოდა სამსახურიდან. ლამარასთვის ბევრჯერ უთქვამს, შენგან არაფერი მინდა, მსოლოდ დღეში ერთსელ მაინც გემრიელად მაჭამეო და რამდენჯერმე, მშიერი რომ დარჩა, ცოლს მაგრად ეჩსუბა. ლამარას კი ქმრის სასიათის შეცელა ყოველთვის საშინლად აშინებდა. ეჩვენებოდა, რადგან ამ დათვივით ძლიერ და კეთილ ადამიანსაც კი სახე ეღუშება და გუნება უფუჭდება, მაშასადამე, არაფერი მდგრადი და უკვდავი არ არის ამ ქვეყანაზე და მთელი სამყარო ინგრევაო.

ლამარამ საბნები გაანიავა. ზეწრები გადაფერთსა, ავეჯზე მტვერი გადაწმინდა, აბაზანაში ჩაყრილ სარეცხს დასედა და, როგორც ყოველთვის, ვერ გადაწყვიტა, ჭუჭყიანი საცვლები ასლა გაერეცსა, თუ შაბათამდე დაეგროვებინა. მერე სანდროს ძველი თეთრი პერანგის გადაკეთებას შეუდგა. ლამარას გაასსენდა, რომ შვილს თეატრის აბონემენტისთვის სამი მანეთი და სამოცი კაპიკი არ მისცა და სელსაქმე გვერდზე გადადო – სადილზე ფიქრმა კვლავ შეაწუსა.

სამზარეულოში ყველა სათავსო დაათვალიერა. ერთი ყუთი ვერმიშელი და ერთი ყუთი მაკარონი მაგიდაზე დადგა, მაცივარი გამოაღო, მაგრამ შიგ მსოლოდ ტყემლის და ტომატის ცხარე

საწებლით სავსე ბოთლები იდგა. საქმეს სასვიც ვერ შველოდა. კვერცსი მაინც ყოფილიყო... მეგობლებზე ვეღარც კი იფიქრებდა, ყველასი რაღაც ემართა.

ლამარა ცკამზე ჩამოჯდა და სელები მუსლებზე დაიწყო. თვალები ერთ წერტილზე გაუშტერდა. ამ მდგომარეობიდან ტელეფონის ზარმა გამოარკვია. მისი ბავშვობის მეგობარი ლალი ურეკავდა. ლამარას გაესარდა, ცოტა გულს გადავაყოლებო.

– ამდენი ხანია გათსოვილი ვარ და ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე, – შესჩიელა მეგობარს, როგორ შეიძლება ასე, მურთაზის ხელ-ფასამდე მანეთიღა დამრჩა.

– ეჰ, რას იზამ, ღარიბები ვართ, ჩემო ლამარა.

– არა, მე ის მიკვირს, რომ ვერაფრით ვერ გამოვიზოგე. ყოველ-თვის ასე მემართება...

– გუშინ ვაკეში ვიყავი, – გააწყვეტინა ლალიმ, – როგორ ცხოვრობს ხალხი! მანქანები, მანქანები, მანქანები... ყველას იმპორ-ტული ტანსაცმელი აცვია, ფანჯრებიდან მუსიკა ისმის. ყველგან მღერიან, ცეკვავენ, ყველგან ქეიფია...

ქალები ნაღვლიანად ჩაფიქრდნენ. ლამარას რაღაც შსუილი შემოესმა. წამოსტა, აბაზანაში ონკანი ღია სომ არ დამრჩაო.

– ერთი წუთით, ლალი, ახლავე...

სამზარეულო და აბაზანა მთლიანად წყლით იყო დატბორილი. ლამარამ, აუჰო, და საპირფარეშოს კარს ეძგერა. იმავე წამს წყლის ძლიერ ჭავლში თავით-ფეხამდე დასველდა. ლამარა სადარბაზოში გავარდა. „პირველ სართულზე ჭერი ალბათ მთლიანად ჩაინგრა“. ქალბატონი ქეთო სასლში არ აღმოჩნდა. ლამარამ საშველად სხვა მეგობლებს მიაშურა. კაციშვილი შინ არ დაუსედა. ისევ თავის სართულზე აირბინა. წყალმა უკვე ოთასში გამოეონა. ლამარამ რაც კი ჭინჭები ჰქონდა, იატაკზე დაყარა და აკანკალებული ხელებით ტელეფონის წიგნი გადაფურცლა. მღელვარებისაგან საავარიოს ნომერი ვერაფრით ვერ იპოვნა, წიგნი მოისროლა, ყურმილი დაკიდა და გაახსენდა, რომ ტელეფონთან ლალი ელოდა, მაგრამ დრო არ ითმენდა. ლამარამ სველ ტანზე სასწრაფოდ კაბა გადაიცვა

და სასლმმართველობაში გაიქცა.

კანტორაში მარტო ერთი ჩასუქებული ქალი დაუსვდა.

– რა მოსდა, ლამარა, გენაცვალე?

„საიდან იცის ჩემი სასელი?“ ლამარა მოცლედ მოუყვა თავის გასაჭირს.

– აგერ, ამ ნომერზე დარეკე. ჩვენი სელოსნები უბანში არიან გასულნი.

ლამარამ ნომერი აკრიბა, მაგრამ ზუმერი არ გავიდა. – უფრო მეტად ანერვიულდა. გადაწყვიტა, ტელეფონს არ მოშვებოდა.

– მურთაზი შენი ქმარია, არა?

– დიახ! – უპასუხა „შენობით“ გაკვირვებულმა ლამარამ.

– თქვენ მეორე სართულზე არ ცხოვრობთ?

– დიახ!

– თვრამეტი კვადრატული მეტრი?

– დიახ!

– მურთაზს რამდენი აქვს სელუასი?

– ასი მანეთი, – ლამარა სულ მეტად და მეტად ღიზიანდებოდა.

– მეორე ბავშვს ხომ არ აპირებ?

– არა!

– მამაშენი პერსონალურ პენსიას რომ ითხოვდა, დაუმტკიცა სასამართლომ?

ლამარამ ყურმილი დაასეთქა, მაგრამ ბოლო წამს თავი შეიკავა.

– თუ შეიძლება, ხელოსანი გამომიძახეთ. მე გავიქეცი, თორემ პირველ სართულზე ჭერი ჩაინგრევა, მუდარით მიმართა ქალს.

– კი, გენაცვალე. დაგეხმარები...

ლამარა ქუჩაში გავარდა. საკანალიზაციო მილის ჭაში, რომელსაც ხუფი ასდილი ჰქონდა, ვიღაც კაცი დაინახა. ლამარამ კაცთან მიირბინა და მხარზე მოქაჩა.

– მაპატიეთ, ერთი წუთით...

სპეცტანსაცმლიანმა, სილურჯემდე გაპარსულმა კაცმა კითხვით ამოხედა.

– თქვენ ისა სართ?.. რა ჰქვია?.. წყლის მილი გამისკდა.

– სად?

– ტუალეტში.

– კაცი არ განძრეულა.

– აგერ ვცხოვრობ, ამ სასლში, – თითი გაიშვირა ლამარამ.

კაცმა პატარა ჩემოდანში სელსაწყოების ჩალაგება დაიწყო.

– ალბათ, მეზობლებს ჩაუვიდოდათ... სულ ჩაინგრეოდა ყველაფერი...

შინ არ არიან... მთელი ავეჯი დაეღუპებათ...

კაცი უსმოდ გაპყვა.

საპირფარეშომდე წყალში ჭყაპა-ჭყუპით მიაღწიეს. ლამარას ქალბატონ ქეთოს გასსენებაზე გული კუჭში ჩაუვარდა.

– აქა? – იკითსა სელოსანმა და კარი გამოაღო.

ორივე უმალ გაიწუწა. წყლის ციემა ჭავლმა სელოსანს სული შეუგუბა.

– ეს არაფერია, „შარავი“ უნდა, – ძლივს თქვა მან.

– თუ უნდა, მოიტანე მერე! – იყვირა ლამარამ.

სელოსანმა სამგარეულო მოათვალიერა. ჭურჭლის ტილო აიღო. გამსკდარ მილს დაასვია და მისი ბოლო უნიტაზში ჩაუშვა.

„ღმერთო ჩემო, როგორ ვერ მოვიფიქრე, სომ შეიძლებოდა. ეს წყალდიდობა თავიდან ამეშორებინა. ქეთოს რა გადაურჩება?!“ გაიფიქრა ძალაგამოცლილმა ლამარამ.

– „შარავი“ არ იშოვნება, – თქვა სელოსანმა.

„დავიღუპე!“ – ლამარამ სვეწნა დაუწყო:

– მიშველე, შენი ჭირიმე, ფულს რამდენსაც მეტყვი, იმდენს მოგცემ, ოღონდ ღღეს გადამარჩინე. სომ სედავ, რა ღღეში ვარ?!

– ერთ ჩემს ნაცნობს უნდა ჰქონდეს, მაგრამ თუმნად ყიდის.

– მოიტანე, შენი ჭირიმე! – შეევედრა ლამარა.

– ჩემი შრომაც ხუთი მანეთი...

– კი, კი, – სასწრაფოდ თავი დაუქნია ლამარამ.

ხელოსანი წავიდა. ლამარამ კაბის კალთები აიკეცა. სველი ჭინჭები აბაზანაში ჩაწურა და იატაკის გამშრალებას შეუდგა. სადარბაზოს კიბეზე ვიღაც ამოდიოდა. ლამარამ გასედა და მოსუ-

ცებულ ქალს, რომელიც რამდენიმე სტაფილოიან ბადეს ძლიეს მოათრევდა, ხელი შეაშველა.

– შენ გაისარე, შვილო!

– დეიდა ლუბა, დამეხმარეთ, თუ შეგიძლიათ, ხელფასამდე ოცი მანეთი კიდევ მასესხეთ და ყველას ერთად დაგიბრუნებთ.

ქალმა ლამარა დაკვირვებით შეათვალიერა.

– სუთ დღეში, – ლამარა უხერხულობისაგან გაწითლდა.

– კი, შვილო, შენ როგორ დაგიკავებ, ოცი მანეთი უნდა მქონდეს.

ლამარა ბინაში შეპყვა, ფული გამოართვა, კიბეზე სტუნვა-სტუნვით დაეშვა და ქალბატონ ქეთოს კარზე ზარი დარეკა. „ღმერთო, შენ გადამარჩინე, ქეთოს ჭერი არ იყოს დასველებული და, სვალვე სანთელს დავანთებ“. ქეთო შინ არ იყო.

ლამარამ გასტრონომში გადაირბინა. მისდა სასიხარულოდ, სოსისი შემოეტანათ. ნასევარი კილო სოსისი და ათი კვერცხი იყიდა და თითქმის ბედნიერად იგრძნო თავი.

სახლში კვლავ იატაკის წმენდა განაგრძო. მალე ყველაფერი მოაკრიალა. ამ დროს ხელოსანიც მოვიდა. უნიტაზის გამცდარი მილი თვალის დასამსამებაში შეცვალა. ლამარამ მეორე, დაჟანგულ და აქერცლილ მილზე მიუთითა.

– ალბათ ესეც მალე გაკცდება?

– არა, ასეთი მილები წლობით მიწაში გვიყრია, ნუ გეშინია.

ხელოსანმა ფული აიღო და ღიღინით კარი გაიკეტა. ლამარამ შვებით ამოისუნთქა. უკვე ტახტზე მისვენებას აპირებდა, რომ გაბმულმა ზარმა შეაკრთო. „ქეთო!“ გულამომჯდარმა სასე მოისაწყლა და კარი ფრთხილად გააღო. სადარბაზოში მომღიმარი სანდრო იდგა. მან ხელი გაშალა და სახლში სიმღერით შევიდა.

– გამოდი ბალკონშიიი,

ნუ მაგდებ დილისორშიიი,

ო, მინადორაა!

– უიმე, დედა, დილისორშიო!

იმავე წამს დედის მწარე ხელი სანდროს თავში მოსვდა და ფორმის ქუდი კეფაზე წამოუსკუპა.



– რა სიტყვებს იძახი, შე ხულიგანო, შენა?! უყვირა ლამარამ.

ასეთი მოულოდნელი შესვედრისაგან სანდრო ჯერ შეცბა და მერე მთელი ხმით აღრიალდა.

– რა იყო, რაა?

– სულ გაველურდი, სულ ქუჩის ბიჭი გახდი, არა!?

– „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, შვილი თუ გამისულიგნდა, რა მეშველება?!“ ლამარას მუსლები მოეკვეთა. ყამი მიიჩოჩა და ზედ დაენარცხა.

– გაიმეორე, ერთი, რა თქვი, გაიმეორე, შე საძაგელო!

– არაა, – გააგრძელა სანდრომ.

– იმღერე, გეუბნები, იმღერე, თორემ ჩემივე ხელებით მიგასრ-ჩობ! – საშინლად გაკაპასდა ლამარა.

სანდროს სლოკინი აუტყდა.

– თავიდან! – უყვირა ლამარამ.

სანდრომ ტირილით თავიდან დაიწყო სიმღერა:

– გაამოდი ბაალკონშიი,

ნუ მააგდებ... იმაში, წეღან როომ გიითსარიი,

ოო, მინადოორაა!

ლამარა შეეცადა სანდროსთვის ყურში ხელი წაევლო, მაგრამ შვილმა უკან დაისია, ლამარას კი ადგომა აღარ შეეძლო.

– ვინ გასწავლა ეს სიტყვები?

– სკოლაში მასწავლეეს, – უფრო მეტად აღრიალდა სანდრო.

– რა მეშველება, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე? – თვალები აუცრემლდა ლამარას, – წადი, ერბო-კვერცსი შეიწვი და ხეთქე. დღეს სახლიდან გასული არ გნახო, თორემ სულ ძმარს გადენ მაგ დაწითლებული ცხვირიდან.

... ლამარა ზარმა გამოაფხიზლა. იგი ტახტზე იწვა. სანდრომ, რომელიც მაგიდასთან იჯდა და გაკვეთილებს ამზადებდა, წამოდგომა დააპირა, ლამარამ შეუყვირა.

– თავი არ ვნახო აწეული!

ქმრისთვის სოსისი და მაკარონი მზად იყო. მსოლოდ გაცხელება დასჭირდებოდა.

ლამარამ კარი გააღო. სადარბაზოდან ქალბატონმა ქეთომ გაუღიმა.

– წამოდი, ლამარა, გენაცვალე, ერთი წუთით ჩემთან ჩავიდეთ.

ლამარას გულმა ფართხალი დაიწყო.

ქეთოს ერთადერთი ოთახი მდიდრული ავეჯით ჰქონდა გაწყობილი. ჭერი – ოქროთი მოხატული. ჭერის ოთხივე კუთხეში ფრთაგაშლილი ანგელოზები მიფრინავდნენ, ბროლის ჭაღი ღრუბელზე იყო ჩამოკიდებული, საიდანაც ღმერთი იცქირებოდა და საჩვენებელი თითი პირდაპირ ლამარასკენ ჰქონდა გამოშვერილი. ლამარამ რამდენჯერმე შესედა, მართლა ჩემკენ იშვერს თითს, თუ არაო. ერთ-ერთი ანგელოზი მთლიანად გაყვითლებულიყო. მისგან ჭერზე ყვითელი ბოლი ღმერთამდე აღწევდა. ღმერთს თვალები ამღვრეოდა და საჩვენებელი თითი ჩამუქებოდა.

– პირველი შემთხვევა რომ იყოს, ლამარა, ჩემო კარგო, არაფერს გეტყოდი, მაგრამ ამდენის ატანა უკვე შეუძლებელია. აღრე რემონტი არ მქონდა გაკეთებული და სმას არ ვიღებდი. ახლაც, აბაგანაში რომ შეიხედო, გული შეეიწუხდება, მაგრამ აბაგანაზე არაფერს ვამბობ, იქ ჯერ შეკეთება არ დაგვიწყია. ახლა მითხარი, ალეკოს ამაზე რა პასუხი გავცე? – ქეთომ სელი ჭერისკენ აიშვირა. – ჩემს ქმარს გული სუსტი აქვს, სომ შეიძლება ინფარქტი დაემართოს. ეს, გენაცვალე, უბრალო ჭერი კი არ არის, მსატვრობაა, ხელოვნებაა! გაყვითლებული ანგელოზები გინახავს სადმე? ბოტკინი სომ არ ჭირთ?

დანაღვლიანებულ ლამარას უნდოდა ეთქვა, ანგელოზები საერთოდ არ მინახავსო, მაგრამ ამის მაგიერ, ყველაფერს გადაგისდითო, ძლივს წაილულლუღა.

– მაგაში სომ არ არის საქმე, ლამარას შემოეევლოს ქეთო, როდემდის გაგრძელდება ეს უმსგავსობა. შენ რა უნდა გადაგახდევინო? მე ოთხასი მანეთი დამიჯდა. შენ, ჰა, დიდი-დიდი ორასი მანეთი გამოგართვა. ყველაფერს კეთილი მეზობლობის შენარჩუნება მირჩევნია.

ორასი მანეთის გაგონებაზე ლამარას კინაღამ ტვინში სისხლი

ჩაექცა.

— გადაგისდით, აუცილებლად... — მას ერჩია იქვე მიწა გასცდომოდა.

ქეთომ ბევრი ილაპარაკა თავის კეთილშობილებაზე, მეგობლებისადმი დამოკიდებულებაზე, ქმრის ავადმყოფობაზე და იმ პატივისცემაზე, რომელიც ზევითა მობინადრეებს მისდამი უნდა ჰქონოდათ. ლამარამ ამ წამებისგან კინაღამ იკივლა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოუშვეს. მან სადარბაზოს ციკ, ნოტიო კედელს გასურებული შუბლი მიადო და შვებით ამოისუნთქა. ას სამოცი მანეთის ობლიგაციები მამასთან აქვს. დანარჩენი ფულის შესაგროვებლად სასლში სამუშაოს აიღებს და, სსვა დიასასლისებივით, ცელოფანის პარკებს დააწებებს...

მურთაზი სასლში დაუსვდა, ლამარა დაფაცურდა, სადილი გააცხელა, ერბო-კვერცხი შეწვა, მაგიდაზე საწებელი და მდოგვი დადგა. მერე ქმარს სასის პირსასოცი გამოურბენინა. მურთაზი ყოველთვის ორ პირსასოცს ხმარობდა, ერთი — სასისთვის ჰქონდა, მეორე — ხელებისთვის. სელებს დიდხანს, გულმოდგინედ იბანდა, მაგრამ წლობით ჩაჟანგული ზეთის მუქ ლაქებს ვერაფერს შველოდა.

მურთაზს სადილი ეგემრიელა. მადიანად ილუკმებოდა. ლამარა უკან ედგა. სანდახან გადაისრებოდა, ან საპურეს გაასწორებდა, ან მაგიდიდან რაღაც მოჩვენებით მტვერს წმენდდა. ქმრის მადა და სიმშვიდე უსაროდა. უნდოდა ეკითხა, ხომ გემრიელიაო, მაგრამ მურთაზს ასეთი შეკითხვები არ უყვარდა... თუ გემრიელია, მე თვითონ გეტყვი, შენი შეხსენება რად მინდაო, ამბობდა.

უეცრად მაცივრის ქვეშიდან სოჭო გამოძვრა და პირდაპირ ლამარასკენ გამოიქცა. ლამარამ დაუცადა, უნდოდა შეუმჩნევლად მოეკლა, — ქოშმა მაინც გაიტკაცუნა.

— რა იყო?

— არაფერი, ფესი გამიცურდა.

— ხომ გითხარი, მაგ ქოშებს ნუ იცვამ-მეთქი, ერთსელაც იქნება, ცხვირ-პირს დაიმტვრევ... თან საშინლად ჯაჯუნებ.

— ახლავე გამოვიცვლი...

მურთაზმა ჭამა მოათავა, ოთასში გავიდა, ტელევიზორი ჩართო და ზმორებით ტასტზე დაჯდა. ლამარა მის გვერდით მოკალათდა. რატომღაც ტირილი მოუნდა. დღევანდელმა დავიდარაბამ მოქანცა. თავისი თავი ეცოდებოდა. მურთაზის მოფერებას ნატრობდა. იგი გადაწვა, ქმარს მუსლებზე თავი დააადო და მუცელზე მიეკრა. მურთაზმა თმაზე ხელი გადაუსვა, ლამარა სიამოვნებისგან აკრუტუნდა.

სანდრო სკამზე შემობრუნებულიყო, მშობლებს უყურებდა და კალმისტარს დამორცხვებული ღეჭავდა. იგი წამოდგა, ტასტთან უხერხული შმუშენით მივიდა და მშობლებს შორის ჩაიკუჭა. მურთაზს გულიანად გაეცინა. ცოლ-შვილს ხელები მოსვია და მკერდზე მაგრად მიიხუტა.

წყნეთი

აღრე დილით ეზოები უამრავი ფრინველით არის სავსე. აქ მათ არავინ ერჩის, შეუფერხებლად მრავლდებიან, ყივყივებენ, ჭიკჭიკებენ, ჭასჭასებენ. სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა სიდიდისანი არიან, ადამიანს არ უშინდებიან,

ვინმე ოჯახის მამა, რომელსაც სამუშაო ქალაქიდან აგარაკზე ამოუტანია, და რომელსაც ნესტისა და სიცივისგან ნაადრევად გაღვიძებია, ტრუსის ამარა, ძველ ქუსლჩაჭყლეტილ, ტალახიან ფეხსაცმელებში, სველ ბალასზე გაშტერებული დგას და სუნთქვაშეკრული ტკბება ამ სილამაზით. თან უკვირს, რომ ამ პაწაწკინტელა ადგილზე თავი მოუყრია ურიცხვი რაოდენობის სხვადასხვა ჯიშის და ულამაზესი ნაირსახეობის ფრინველს.

ქალები და ბავშვები გამთენიიდან, კორომად წოდებულ დაბალ ნაძენარში გასულან. აქ მთელი დღე შეიძლება ყოფნა. შუადღის სიცხე სშირ წიწვებში ვერ ატანს. კალათებში ჩაწყობილი სანოვაგე, საღილის დროს, პირდაპირ გრილ მიწაზე დაფენილ გადასაფარებელზე ლაგდება. მადიანად ილუკმებიან, აქეთ-იქით სხვა ოჯახებს ინტერესით უცქერენ, უმიზეზოდ იღიმებიან და თავებს აკანტურებენ. მერე დედები იმავე გადასაფარებელზე ნებივრად წვანან, მზის ლაქები სახეზე ეთბილებათ და სძინავთ ფილტვების ჯანმრთელი ქშუილით და ამობურცული მკერდის ვნებიანი რხევით... ღმერთმა უწყის, რა ესიზმრებათ... ბავშვები კი, წვრილ კისერზე უკან გადაგდებული თავებით, პირდაღებულნი გაფაციცებით უთვალთვალებენ ნაძვებზე მოსტუნავე ციყვებს. ზოგი ამ ცხოველს პირველად სედავს და გულნატკენი ფიქრობს, რომ წიგნებში მათ უფრო დიდი, ფაფუკი და მიმზიდველი კუდები აბიათ. პატარა ბიჭი, რომელსაც მოკლე შარვალი ჩაუსდია და ნაძვთან ჩაცუცქულა, გაფართოებული თვალებით უყურებს ყავისფერ, ზარმაცად მცოსნავ ძროხას და ვერ განძრეულა. ძროხა ბუზებს კუდით ზანტად იგერიებს და დიდ,

წყლიან, მიბნედილ თვალებს ბიჭს გულგრილად უნაბავს. სანდასან, კუდთან ერთად, თავსაც ზურგისკენ იქნევს და კელავ ბალახისკენ ისრება. მისი რქები სასჯლებივით ბასრია, მაგრამ ბიჭმა სოსვით უკვე უვნებელ თავშესაფარს მიაღწია და თავის გარშემო „ტანსაწინააღმდეგო" გირჩები მოიმარაგა.

ტყეში, გრძლად გაჭრილ მდელოზე, ბიჭები ფესბურთს თამაშობენ. დაბერილი ბურთი დოლივით ყრუ სმას გამოსცემს. ბიჭების ყიჟინს პიონერთა ბანაკიდან გამოვარდნილი საყვირის სმა ერევა. ჩუმად ღუღუნებს მაღალი ძაბვის რკინა-ბეტონის ბოძი.

წყნარი, გრილი საღამოა. შეწყდა ნაძვნარში ბავშვების ჟრიამული და ასლა განათებული აგარაკების ეზოებიდან ისმის მათი მსიარული ხმები.

ვიღაც, სასეგე აჭარსლებულ, ოფლში გასვითქულ, თმააბურძგნული ბიჭისთვის დედას პერანგის საყელოში სელი ჩაუყლია და შინისკენ მიათრევს.

– მომკლა ამ მტარვალმა, სისსლი გამიშრო, სასლი აღარ უნდა იცოდე, ბიჭო, შენ?!

შაბათია. ჩასუთული თბილისიდან ქმრები ამოვიდნენ. ამოიტანეს საგამთროები, ნესვები, ასალი თსილი, კიტრი და პომიდორი. მოდიან სასმელით დატვირთული ძმაკაცები, ჭორებით გაბერილი დაქალები. იშლება სუფრები, ნიძლავზე თამაშობენ ნარდს, კარტს, დომინოს, პინგ-პონგს – სვალინდელ საშზე, დღევანდელ შამპანურზე.

ასალგაზრდობა კინოსკენ მიემართება. ყიდულობენ დიდი რაოდენობით მზესუმზირას და საზაფხულო კინოდარბაზის მიწის იატაკს ჩენჩოთი შავად მოფენენ. ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ოდრი პეპბერნის და გრეგორი პეკის სიყვარული განსაკუთრებულ ნაღელიან ელფერს იძენს. ასლომდებარე სასლების აივნებიდან შეგლონგში გართსმული ღიპიანი მშობლებიც სედავენ კინოს. მართალია, ღობე ეკრანს ქვედა ნაწილს აჭრის, მაგრამ კოცნა და სსვა მნიშვნელოვანი მომენტები კარგად მოჩანს. დინამიკებიდან გამოსული სმა ამ არემარეში მშვენიერად ისმის.

სულ პატარებისთვის კი ძილის დრო მოსულა. მიშიკოს ბაღში

მსოლოდ უფროსები ირევიან – ბავშვები მეორე სართულზე დააწ-ვინეს, ფესების ბრაგაბრუგი და განწირული ყვირილი ბალიშებით ჩსუბზე მეტყველებს.

– დათო, ნინო, გია, დაიძინეთ ასლავე, თორემ ამოვალ და ყურებს დაგაჭრით, თქვე მაიმუნებო, – ბრაზობს დაბლიდან მიშიკო და დომინოს ქვას მაგიდაზე გააფთრებით ახეთქებს.

ბავშვები არ ცსრებიან. თამრიკო ქალებთან საინტერესო საუბარს წყვეტს და გაწიწმატებული კიბეზე არბის.

– მაგათ ვაჩვენებ სეირს!

ცოტა სანში მისი კივილით (ეტყობა ბალიშები თამრიკოსაც უთავაზეს) დამფრთხალი მიშიკო დომინოს ქვებს აქეთ-იქით ისვრის.

– რა არის, კაცო, დღე და ღამე ასეთი ღრიანცელი გაგიგია?!

– ბიჭო, ყოველ წაგებაზე თუ ქვები აყარე... – ეუბნება თედო.

– რა წაგება? ეს სელი ჩემი მოგებული იყო.

– მამა გიცსონდა!...

ბაღში შეგლონგები და დასაკეცი ცამებია გაშლილი. ზოგიერთი ჰამაკში ქანაობს. სიგარეტს ეწევიან და ლაპარაკობენ. ლაპარაკობენ აგარაკების დამპალ საძირკვლებზე, რომ დრენაკი არც ერთს არა აქვს გაკეთებული და სასლები სასწრაფოდ გასარემონტებელია, თორემ ეს აუტანელი ნესტი ყველას რევმატიზმით დააავადებს.

– გუშინ ჰაერის გადასახადი მომიტანეს, თქვენთან სშირად სტუმრები მოდიან და აგარაკის ჰაერით სარგებლობენო. სუნთქვაშიც ფული ვისადო კაცო?!

– ჰო, ვიცი ეგ ქვითარი, რაღაც, არასაგადასახადო გადასასადი აწერია. წელიწადში სამი მანეთია.

– არასაგადასახადო გადასასადი რაღა უბედურებაა?

– ყოველ ზაფსულს ახალი უნიტაზის ყიდვა მიხდება, – ამბობს ერთ-ერთი აგარაკის მფლობელი, – ჩემი აფერისტი დარაჯი მეუბ-ნება, ზამთარში შიგ წყალი იყინება და ხეთქავსო, თან ახალი უნიტაზი თვითონ მოაქვს და ზედმეტ ფასად მაძლევს. კარგი, ბატონო, უნიტაზი ჯანდაბას, ზამთარს დავაბრალოთ, მაგრამ ბაღი? აგერ, მიშიკოს ეზოს შესედეთ, ჩემი უარეს დღეშია. ამის მოვლის

მეტი რა აბარია იმ უპატრონოს? ქურდს მაგი არ გამოეკიდება და იმას...

– ქართველი გლესი ყოველთვის ზარმაცი იყო, გენაცვალე, – ელისომ გრძელმუნდშტუკიანი სიგარეტი ელეგანტურად გააბოლა და ვაშლის ხეს მიეყუდა.

პირველ რიგში ყველამ მის ბარძაყამდე გაშიშვლებულ ფეხს შეხედა კაბის გრძელ ჭრილში.

– რას ლაპარაკობ, ქალო, რას? – საოცარი გაღიზიანებით, უსეშად შეუბღვირა ნოდარმა. – ქართველი გლესი რომ არა, იმდენ შემოსევებს ვინ გაუძლებდა? გლესს რომ არ აღედგინა ყველაფერი გაოხრებული და დანგრეული, სადღა დარჩებოდა საქართველო?!

– წინათ, არ ვიცი, მაგრამ ასლა გლესები ძალიან გაზარმაცებული არიან, – დაბეჯითებით თქვა ელისომ.

– შენ თვითონ სარ გლესი და ზარმაცი და იმიტომ ლაპარაკობ ასე.

– ვერ მოგართვეს გე-ნაც-ვა-ლე, – დაუმარცვლა ელისომ. წმინდა წყლის თავადები ვართ.

ნოდარმა ნაძალადევად გადაისარსარა.

– გოგო, რაჭაში შენი გვარის თავადი ვის გაუგია.

– ბაბუაჩემი გლესებმა ჩაქოლეს, იცი შენ, თუ არა?!

– კულაკი იყო ბაბუაშენი, კუ-ლა-კი!

– კულაკი შენ ხარ. ვინც ჩაქოლა იმის შვილიშვილი ჩემი სახლის წინ, მაღაზიაში, გამყიდველად მუშაობს. ჰო, მიყურე, მიყურე, ვერ მიცანი? წავიდეთ და ვკითხოთ იმას.

– გოგო, შენ და თავადიშვილობა ისევე შორს ხართ ერთმანეთისგან, როგორც შენ და ჭკუა!

მეორე სართულის კიბეზე გაჩეჩილი და ნაჭიდავები თამრიკო გამოჩნდა.

– რიმასნაირი ცოლი ეძებოს ასლა, – გადმოსძახა მან ეზოში მეგობრებს, – რიმა არ გაეყრებოდა თუ რა? რომ გარბიხარ ვიღაც ოხერთან ერთად, სად გარბიხარ? ოჯახს ტოვებ... თან ასეთი სკანდალი.

ქალებმა ადრე წამოწყებული საუბარი იოლად განაახლეს. კაცებს თბილისის „დინამო“ გაახსენდათ.

ბაღის ბნელ კუთხეში, დასაკეც სკამზე, მანანა ჩუმად მოკუნტულა და სიგარეტს სიგარეტზე აბოლებს. ადრე ეგონა, თამბაქო სიმსუქნეს გადამარჩენსო, ახლა მისთვის ყველაფერი სულ ერთია – თუ სადმე დაპატიჟეს, წავა, არა და – სახლში დარჩება, მხოლოდ ერთი მყუდრო ადგილია საჭირო, რომ თავისთვის ჩუმად იჯდეს და სიგარეტი მოსწიოს. ეს მისი ოცდამეათე ზაფხულია. ამ კომპანიაში იგი ერთადერთი შინაბერაა. ყველა უყვარს და ყველას უყვარს. ბოლო დროს ღვინოს მიეძალა, მალე თვრება და ტირილს იწყებს. ეფერებიან, ამშვიდებენ, მაგრამ მის გულის ტკივილს სერიოზულად არავინ იღებს. სანდასან ფიქრობს, იქნებ სულელი ვარ და ამ ცხოვრების არაფერი მესმისო. უეცრად გამხიარულდება ხოლმე და ასევე უცებ ნაღელიან სიმარტოვეს ეძებს.

– ყველგან ბოლი გამდის, – მიამიტი სახით გამოაცხადა მან.

– გაიცეთე რეზერვუარი და კოსმოსში გაფრინდები, – ურჩია ნოდარმა.

ამ დროს დომინოში წაგებული თედო პინგ-პონგის მაგიდაზე შესტა და მთელ წყნეთზე დაიძახა:

– ვირი ვარ და ვყვირივარ, ვირი ვარ და ვყვირივარ.

დეიდა მარო და ოთარ ბიძია სამგარეულოში ფუსფუსებენ. იწვება კარტოფილი, სასვში ხორცი ისრაკება. სალათისთვის კიტრი და პომიდორი იჭრება, მაცივარში ნესვი და საგამთრი ცივდება. მერე სუფრას შემოუსხდებიან და ნაძლევში მოგებულ ერთ ყუთ შამპანურს დალევენ. თერთმეტის ნასევარზე ტელევიზორში ესტრადაგზეა გადაცემა და, როგორც დანამდვილებით იციან (მათი მეგობარი ტელესტუდიაში რეჟისორად მუშაობს), ლაპარაკი „როკზე“ იქნება.

მოკლედ, ერთობიან, ისვენებენ და რაღაც უპირატესობას გრძნობენ იმ ხალხზე, ვინც ახლა თბილისში, აუტანელ სიცხეს რომ გაექცეს, ვენტილატორებს, კონდიციონერებს და ცივ აბაგანებს იშველიებს.

კინოსეანსი დიდი სანია დამთავრდა. ქუჩები დაცარიელდა. ისეთი

ღამეა, გეჩვენება, აქ. სადმე ასლოს, მღვა უნდა იყოსო. გარემო მისი სურნელებით არის გაჟღენთილი.

მეცხრეკლასელთა ერთი ჯგუფი მთავარ ქუჩას თავიდან ბოლომდე მესამედ ზომავს. ყველა მოუთმენლად ელის, რომ წინ მიმავალი წყვილი ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს სიყვარულში გამოუტყდება და ის ერთცვირიანი მაჭანკლობა, რომელიც სუმრობით წამოიწყეს, რაღაც გასართობ შედეგს გამოიღებს. მათ მეგობრობა უფრო მტკიცედ აკავშირებთ, ვიდრე დამოკიდებულება მშობლებთან, ნათესავებთან, ასლობლებთან. თვითონაც უკლებლივ ყველა შეყვარებულია. ყოველდღე იტანჯებიან. ფიქრობენ თვითმკვლელობაზე, ცხოვრების ამაოებაზე, წერენ ლექსებს, მთელი გულწრფელობით ტირიან და იცინიან. მერე, რა კარგია, როცა ასე წმინდად, ამაღლებულად გიყვარს და შენი სიყვარული უპასუხოა – საოცარი, გულის სპაზმებამდე სევდა და დარდის კაეშანი. მე მარტოსელა ვარ. არავის ესმის ჩემი. მე და ღამე – ეს ეგოიზმის სიტკბოება... ფოთლების და ბალასის იდუმალი ჩურჩული, ვარსკვლავებით დაწინწკლული შავი უსასრულობა და... ჭრიჭინა – ეს მდუმარების ნაღელიანი ექო.

ნატო და ზურიკო ხანდასან თავის მეგობრებს მოსდავენ და გმას კვლავ ჩუმად აგრძელებენ. სიჩუმე ორივესთვის უკვე აუტანელია: ნატოს მოლოდინისგან მთელი შიენეულობა უკანკალებს. ეს ლამაზი ბიჭი, რომელიც თავისი გარეგნობით, პლასტიკით, ცეკვით ყველას თვალებს უბნელებს, ასლა მისთვის სიყვარულის ასსნას აპირებს. ნატო ფრთხილად მიაბიჯებს მის გვერდით, გრძნობს, რომ ზურიკოს მსრებამდე ძლივს სწვდება და მთელი სსეულით ამ მხრების ქვეშ შეფარებას და ალერსს ითხოვს.

ზურიკო გაოგნებულია, ვიღაცის უადგილოდ წამოწყებულმა სუმრობამ სულელურ მდგომარეობაში ჩააყენა. სრულებით არ არის დარწმუნებული, რომ ეს შეუსედავი გოგო რამეთი აინტერესებს, მაგრამ რაღაც იდიოტურ ვალდებულებას გრძნობს... ბოლოს და ბოლოს ერთხელ ყოცებს, ცოლად ხომ არ მოიყვანს?.. მაგრამ როგორ ყოცოს? მეოცე საუკუნეში რაღა დროს „მე შენ მიყვარხარ" არის... ეტყვის, მომწონხარო, და... ყოცებს, ზურიკომ ნატოს

გადასედა და ხმა ვერ ამოიღო.

– პა, მორჩით, გეყოფათ, გვეძინება, კაცო, – გასძახეს მათ მეგობრებმა.

– პო, კარგი, მოიცათ, – ჩაიბურტყუნა ზურიკომ.

ნატო თავისი სასლის ჭიშკარში შევიდა და დაბალ ხის ღობეს მიეყრდნო. ზურიკო მიუახლოვდა.

– ნატო...

– რა?

ზურიკო ნატოს სელზე გაუბედავად მოეფერა, ჩაახველა.

– ნატო... პასუხს როდის მეტყვი?

სამარისებული სიჩუმე ჩამოწვა.

– სვალ! – უთხრა ნაზად ნატომ და ღობეს მთელი ტანით მიენდო.

ღობე გადაინგრა, ნატო მიწაზე გაგორდა, ფეხები უშნოდ აიშვირა და ქვედა საცვალი გამოუჩნდა. ამით მათ მომავალ ბედნიერებას წერტილი დაესვა.

ლიკა

– წაიკითხე თავიდან, – გაღიზიანებით უთხრა ბავშვს კოტემ.

– „კასრში ოთხი ლიტრი ზეთი ასხია, ერთი ლიტრი გადავაქციეთ. დასვით კითხვა. ამოხსენით ამოცანა“.

– მერე? – კოტემ ლიკას თვალებში შეხედა, – დასვი კითხვა.

ლიკამ ტუჩი მოიკვნიტა.

– შვილო, მომისმინე. ოთხი ლიტრი ასხია, ერთი გადავაქციეთ, რა უნდა ვიკითხოთ?

ლიკა დუმს.

– ამოცანა რომ ამოხსნა, რა კითხვა უნდა დასვა?

ლიკა დუმს.

– ვერ გაიგე, შვილო?

– ვერა, – წაიჩურჩულა ლიკამ.

– თავიდან წაიკითხე და დაუფიქრდი.

ლიკამ წაიკითხა.

– მერე? – შეეკითხა მამა.

– სამი.

– რა, სამი, ლიკა, გენაცვალე? კითხვა დასვითო, გესმის შენ, თუ არა? კითხვა, კითხვა, აი, აქ რა წერია?

– „დასვით კითხვა, ამოხსენით ამოცანა“, – ლიკა ცოტა ხნით გაჩუმდა და მერე მამას იმედით შეხედა, – სამი.

კოტე სავარძელზე სასოწარკვეთით გადაწვა.

– სამია, მართალი ხარ, კასრში სამი ლიტრი ზეთი დარჩა, მაგრამ აქ გეუბნებიან, კითხვა დასვითო, გაიგე?

– ჰო.

– აბა, როგორ იქნება?

– კასრში ოთხი ლიტრი ზეთი ასხია, ერთი გადავაქციეთ. დასვით კითხვა, ამოხსენით ამოცანა... სამი.

კოტე ფეხზე წამოიჭრა.

– კაცო, დასვით კითხვა, ამოხსენით ამოცანა, წასაკითხად კი

არ გაქვს. კითხვა დასვი, კითხვა, გესმის შენ, თუ არა? – უყვირა მან ბავშვს. აი, მკითხე მე რამე.

– რა გკითხო?

ლიკას შიშისგან თვალები დაუმრგვალდა.

„არა, ასე არ შეიძლება. ბავშვს არ უნდა დაუყვირო, თორემ სულ იბნევა. სიყვარულით, სიყვარულით". კოტემ ლიკას დასანახად გაიცინა.

– ლიკუნი, მოდი ჩემთან, – კოტემ ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა, – აბა შენ თუ მოიგონებ რამე ამოცანას და მე თუ გამოვიცნობ.

ლიკამ მამას გაუბედავად გაუღიმა და დაფიქრდა.

– აბა, აბა, – გაამხნევა კოტემ.

– ოთხი ისვი ბანაობს, ერთი გაფრინდა, რამდენი დარჩა? – თქვა ლიკამ.

– ჰო, ჰო, – გახალისდა კოტე, – აი, რამდენი დარჩა? აი, ეს არის კითხვა. სამი ისვი დარჩა, მაგრამ შეკითხვაა, რამდენი დარჩა? აი, ახლა, ოთხი ლიტრი ზეთიდან ერთი გადავაქციეთ, დასვი კითხვა, რამდენი დარჩა?

– სამი.

კოტეს სახე დაეყინა.

– არა, სამი კი დარჩა, მაგრამ კითხვა არ დაგისვამს, გაიგე?

– ვერა.

„ამ ბავშვს ნამდვილად ზეთი აბნევს. წყალზე უნდა გადავიყვანო". კოტემ ლიკას ხელი მოჭიდა.

– წამოდი, ერთი, ჩემთან.

სამზარეულოში გავიდნენ. კოტემ ქვაბში ოთხი ჭიქა წყალი ჩაასხა.

– ახლა ავიღოთ და ერთი ჭიქა გადავღვაროთ. რა უნდა შემეკითხო?

ლიკას სახეზე შიშნარევმა წუხილმა დაისადგურა.

– ჰო, აბა, – დაუყვავა მამამ, – აი, ამ ქვაბში ოთხი ჭიქა წყალი ესხა, ერთი ჭიქა გადავაქციეთ. მერე?

– სამი, – წაილუღლუღა ლიკამ.

კოტეს ელდა ეცა.

– რა, სამი, გოგო, რა უნდა თქვა?

– ზეთი, – სმა ჩაუწყდა ლიკას.

„ჩამი ხელით მოვკლავ ამ უტვინოს. ეს სულ დედამისის გენებია“.

კოტემ ბავშვი ხელში აიტაცა. ლიკა კისერზე თბილად შემოესვია და დამფრთხალი კურდღელივით მიეკრა. კოტეს გული აუჩქროლდა. შვილის რბილ თმაში სახე ჩარგო. „ამ წიწილას წყენინება როგორ შეიძლება, ვენაცვალე ამ პატარა ხელებს. ჩემი გემრიელი ლიკუნა, რად უნდა ამ ცუნცულას მათემატიკა, ბრდილობიანი, მშვენიერი, კარგი გოგო გაიზრდება. მშვიდად, წყნარად, ძალდატანება არ არის საჭირო. ისწავლის საჭმლის კეთებას, ნამცხვრების გამოცხობას. მერე გათხოვდება, შვილები... ჰო, აი, მაშინ კი პედაგოგიკა, აი, მაშინ კი, ნამდვილად, პედაგოგიკა იქნება საჭირო!“

ოჯახური პორტრეტი თეფშებით

ოჯახური პორტრეტი? კი ბატონო.

ოჯახის მამა, ბედმეტ სასელად კიბო, ორმოცი წლის გამსდარი, წითური მამაკაცი, ცოცსალი ჭროღა თვალებით და მნიშვნელოვანი ფორმის ამაყად წინ წამოწეული ყბით (თითქოს მთელი ჭკუა ყბაში წასვლიაო), რომელსაც საყრდენად მარტო ესპანელი დიდგვაროვანის მაღალი და განიერი ეაბო თუ მოუსდებოდა.

მისი ცოლი, ამალია, კიბოზე ცოტა უფროსი, კაპარჩხინა, ნერვიული, მოუსვენარი ქალი, გაწეწილი, გაგინტლული თმებით, წითელი პომადით მოთხუპნული წვრილი ტუჩებით, მუდამ გაკვირვებული თვალებით, მხოლოდ ტერუებთან ერთმანეთთან დაასლოებული ფესებით (სიარულის დროს მეტრონომივით აქეთ იქით ქანაობს) და მოკლე, წვრილი, წვეტიანი სელებით. იგი იშვიათად იცინის, მაგრამ თუ გაიცინა მთაწმინდიდან მტკვრის მიდამოებში ისმის მისი ჭასჭასი. მათი შვილი, თვალჩალურჯებული ცამეტი წლის ტარიელი, მამის ყბის მსგავსი, თურქული ფესკასავით გვერდზე მოქცეული თავით, რომელიც გამოსუნებული ბალას-ბულახით არის დაფარული. მოუხოცავი ცსვირით (ჰაერს გამუდმებით თხლიპინით ისრუტავს) და მსრებამდე თაბაშირში ჩასმული ორივე ხელით (ყოველთვის ცდილობს ეს მძიმე კიდურები რამეზე დააწყოს – ან მაგიდაზე, ან იატაკზე, ან დედის ზურგზე).

თეფშები? ასლავე.

ორსართულიანი ძველი სასლის ხის მოჩუქურთმებულ აივანზე კიბო ზურგჩანთაში სსვადასხვა ნივთებს აწყობს.

– მამა, წამიყვანე რა, – ესვეწება ტარიელი.

– ამალია, მომაშორე ეს ლაწირაკი.

ქალმა პატარა, გამხდარი მუშტი ტარიელს ზურგში ჩასცხო.

– რას მირტყამ, რას? – გაექაჩა ბიჭი.

– გაჩუმდი, – წაუსისინა დედამ და ქმარს მიუბრუნდა, – კიბო, მომისმინე, თუ კაცი სარ.

– თავი დამანებე.

კიბომ ძველ ლურბინდში ორივე მსრიდან გაისედა, დამჭირდება თუ არაო.

– რამე უბედურებას გადაეყრები ისევ.

– ჰეჰ, სანამდე მიდის ქალის სიშტერე.

კიბომ ზურგჩანთაში ალუმინის დაჭეჭყილი ქვაბი მოათავსა.

– ქვაბი რად გინდა, მთელი ღამით მიდიხარ? – შეიცსადა ამალიამ.

მოთმინებადაკარგული კიბო წელში გასწორდა.

– შე ქალო, ავალთ აგერ კუს ტბაზე, ვნასავთ იმ დასაწვავ თეფშებს და ასე, პირველ-ორ საათზე დავბრუნდებით შინ.

– მომისმინე, ადამიანი არ ხარ? ეინ სულელმა გითხრა, კუს ტბაზე თეფშები დაფრინავენო?

– მეც მითხრეს, მეც. დაბერა კისერზე ძარღვები ტარიელმა.

– უჰ, შენი...

ამალიამ მუშტი ბამეტებით მოუქნია. თავის დასაცავად აფარებულ თაბაშირს მწარედ დაარტყა და ტკივილისგან ხელის ქნევა და ბუქნაობა დაიწყო.

– ოჰო-ჰო-ჰო-ჰო-ჰო, ჯანდაბა შენ და ოსრობა.

ქუჩიდან მანქანის საყვირის ხმა მოისმა.

– ე, მოვიდა, – გაიბადრა კიბო.

ცოლი გვერდზე გასწია და აიენიდან გადაისედა.

– ვალიკო, მოვდივარ.

კიბომ კედლის კარადიდან თოფი გამოიღო.

– თოფი რაღად გინდა, კაცო!? – პირზე ხელი იტაცა ამალიამ.

– ხმა, თორემ გბეთქავ შუბლში და გაგაგორებ კოჭივით.

– უი, უი, შენს პატრონს, უბედურს.

კიბომ ზურგჩანთა მსარზე მოიგდო და აიენის კიბეზე ფეხი ჩადგა.

– მეც მოვდივარ, მეც, – გაგულისებით უყვირა ამალიამ.

– ცოლი „კუსნაში“ ვიცი მე, – თვალები დაუბრიალა კიბომ.

ამალია ადგილზეევე გაშრა.

– მამაა! – სასოწარკვეთით იღრიალა ტარიელმა და თაბაშირიანი

ხელები აივნიდან გადაყარა.

– არ გაგიშვებ.

ამალია კივილით ზურგიდან წელში შეუვარდა. ტარიელმა უკან წისლი გაუქნია. ამალიამ შვილის ფესი მუხლებით ჩაიჭირა და პოზიცია გაიმაგრა.

ვალიკომ ასალი თეთრი „ეიგულიდან" ჩაწითლებული, სავსე ლოყები გამოყო და ოქროს მოლაპლაპე სათვალე კიბოს დაუმიზნა. კიბო მანქანაში კმაყოფილი სასით ჩაჯდა.

– როგორ არის შენი თეთრა?

ვალიკო საჭეს სიყვარულით მოეფერა. მერე კიბოს თასმებზე მიუთითა.

– გაიცეთე.

– კარგი, ერთი, თუ ძმა სარ.

ვალიკომ ძრავა ჩართო. მანქანა წინ გადასტა.

– ეუპ, მიუშვი თორემ დაწყვიტა უზანგები.

როგორც იქნა მოზომილ ჩოქორთზე გადავიდნენ.

– აქედან საით მიდიხარ, ბიჭო? – გაიცვირეა კიბომ.

– შორი გზა შემოიარე, შინ მშვიდობით მიდიო!

– „შორი გზიდან სატრფოს ველი..." – წაიღიღინა კიბომ.

მშრალი ხიდის ქვეშ ვალიკომ თავი დაღუნა, არ მივარტყაო. მარჯვნიდან წითელმა „მოსკვიჩმა" ჩაუქროლა. აღშფოთებული კიბო წელამდე ფანჯარაში გაძერა.

– ეე, ვიროო... დაეწიე, ერთი, დაარტყი უკნიდან! – მიუბრუნდა იგი ვალიკოს.

ვალიკომ ტუჩები მოპრუწა და გაყუჩდა.

– თვიური უშველის ამას!?... მართლა, ოჯასი როგორ დაითანსმე? – გაასსენდა კიბოს.

– ცოლს რომ გაეგო, შენთან ერთად მოვდიოდი, ნამდვილად არ გამომიშვებდა. – გაუღიმა ვალიკომ.

– ჰმ, ცოლი! რად გინდა ასეთი ცოლი? ჩემოდანი გეყიდა არ გერჩივნა? – კიბომ მანქანას სელი მოუტყაპუნა, – აი, შენი ცოლი. მოაჯექი და აჭენავე როგორც გინდა.

მოულოდნელად კიბომ ვალიოს მაგოლზე ფესი დააჭირა და „ქიგული“ ძალით დაამუსრუჭებინა.

– რას შვები, კაცო? – თასმაგე გადაწვა ვალიო.

– ევროპაში ამისთანას ვერ ნასავ.

გადასასვლელზე საყიდლებით დამძიმებული შუასნის ქალი მანქანის ნაკადის შეწყვეტას ამაოდ ელოდა. კიბომ ხელით ანიშნა, გადაბრძანდითო. ქალმა გაუბედავი ნაბიჯი გადადგა, გაჩერდა და კიბოს შეშფოთებით დაკვირდა. უკანიდან საყვირების ჭყვიტინი ატეხეს. კიბო ქალის საშველად მტკიცე გადაწყვეტილებით გადავიდა მანქანიდან. შეშინებულმა ქალმა ქუჩა სირბილით გადაკვეთა.

– ეჰ, კულტურა, კულტურა, – სინანულით გააქნია თავი კიბომ.

ვარაგისსევში ვალიოს მანქანის დამუსრუჭება კიდევ ერთხელ მოუსდა. ვიღაც ჭაღარა კაცს „პობედა“ გგიდან გადაეყვანა და დაშვებულ საბურავს ათვალიერებდა.

– ა, პატიოსანი კაცი, – თქვა კიბომ, – კი არავინ მიეხმარება. ცოდო არ არის? გააჩერე ერთი წუთით.

– გამარჯობათ, მეგობარო, – მისვლისთანავე მიესალმა კიბო კაცს, – რაშია საქმე?

კაცმა სმა არ გასცა, ვალიო ხელით მოიშორა და საბარგულიდან დომკრატი და სათადარიგო ბორბალი გადმოიღო. კიბო შეეშველა, ბორბალი გამოართვა, ვერტიკალურად დააყენა და ზედ დაჯდა. კაცი დომკრატით მანქანის აწევას შეუდგა. კიბომ ვალიოს კეთილი ღიმილით გადასედა.

– სომ არ მოგესმაროთ?

– არ არის საჭირო, – ჩაიბურტყუნა უცნობმა.

– კაცი კაცს გაჭირვებაში უნდა დაეხმაროს, არა, ვალიო?

– მაშ, – ფესი მოინაცელა ვალიომ.

– მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდოა, – გააგრძელა კიბომ.

კაცმა ყურადღება არ მიაქცია.

– მეგობარო, – რისიანად მიმართა კიბომ, – იქნებ რამეში დაგვისმაროთ?

– კაცო, შენ საქმე არა გაქვს? – შეუბღვირა „პობედის“ პატ-

რონმა, – ხომ გითხარი, არ მჭირდებამეთქი.

კიბოს ღიმილი სახეზე შეაშრა. ვალიოს სირცხვილისაგან სათვალე გაუოფლიანდა.

– რა ვქნათ, ბატონო. ჩვენ ჩვენი ვალი მოვისადეთ და... ადამიანის ვალი... წავიდეთ ვალიო.

ბორბალი, რომელზეც კიბო იჯდა, სამივესთვის შეუმჩნეველად დაღმართზე დაგორდა.

კუს ტბამდე უსმოდ იმგზავრეს. გზაზე ნათურები არ ენთო. ვალიოს ბნელ აღმართში თავისი „თეთრას“ მართვა გაუჭირდა. სასიათზეც არ იყო მაინცდამაინც. მანქანის ფარებით განათებული ეს მიდამო კარგს არაფერს უქადდა. ჩაბნელებული ნაძვები და ფერდობები ავისმომასწავებლად ეჩვენებოდა.

ტბაც წყვდიადში აღმოჩნდა ჩაძირული. მარცხნივ მოუარეს. მანქანა შლამიან ნაპირზე რბილად შეგორდა. კიბომ კარი გააღო, ბმორებით წელში გაიმართა და სიამოვნებით ჩაისუნთქა.

– რა ჰაერია! ა, აქ უნდა იცხოვროს კაცმა.

ვალიო მანქანიდან არ გადავიდა. ღრუბლიანი მთვარის შუქზე წყალი ავად ელავდა. ამ ჩამუქებული მთებით შენორკალულ არემარეს გადმოკარკლული თვალებით აღიქვამდა. რაღაცამ გაიტკაცუნა. ვალიო შეკრთა.

– აქეთ მოანათე, – დაუყვირა კიბომ.

მას უკვე ბურგჩანთა გაეხსნა, ფიჩხი მოეგროვებინა. რკინის სამფესაზე ალუმინის ქვაბი შეედგა და ახლა კარტოფილის მოსასარშად ცეცხლს აჩაღებდა.

– ვალიო, მოდი აქ, არ მომეხმარები?

პატარა გადასაფარებელზე კიბომ არყით სავსე ბოთლი დადგა.

– არ გვაწყენს, – თვალი ჩაუკრა მოასლოვებულ ვალიოს.

– არა, მე არ დავლევ.

– რატომ?

– მანქანა?

– ერთი ჭიქა!

– არა, არა.

კიბომ ზურგჩანთიდან პური, მარილი და კარაქი ამოიღო. ეალიკომ ცეცხლთან ჩაიმუსლა.

– დილამდე ბევრი დროა, ბიჭო, – ფრთხილად შეაპარა მან, – ეგების ცოტა ადრე დავბრუნდეთ.

– იცი, რა გითხრა, ძმაო, – თვალები მოწკურა კიბომ, – მე აქ სასეირნოდ კი არ წამოვსულვარ... რა გიდეეს მაგ დაჭმუჭნულ გაზეთში?

ვალიკომ მაწვნიანი ქილა ამოიღო.

– გინდა?

– ვიტამინებს არ ვიღებ.

– მაწონია, კაცო.

კიბომ ხელები გაასავსავა. მთებში ყმუილი გაისმა.

– მგლებია! – თქვა კიბომ.

ვალიკომ შიშით მიმოისედა.

– კიბო, მართლა რომ მოფრინდნენ?

– მერე, ამისთვის არ მოვედით? ურთიერთობა უნდა დავამყაროთ იმ ხალხთან.

– ხალხია რო?

გეკადრება? ამას წინათ საბურთალოში იყვნენ.

– მერე?

– მერე, არაფერი, სახლის სახურავზე გაისეირნ-გამოისეირნეს და გაფრინდნენ. ერთი ღეთისნიერი არავინ გამოჩნდა, რომ მიეპატიჟა, მობრძანდით, ვილაპარაკოთ, თქვენ ვინ სართ და ჩვენ ვინ ვართო, რა გვინდა ერთმანეთისგანო.

ვალიკომ ცა დამფრთხალი თვალებით მიმოათვალიერა. კიბომაც აიხედა ზევით.

– სუფის თეფშივით არის, ოღონდ ვადმობრუნებულია და ანათებს.

ვალიკო შეწუხდა. უბის ჯიბიდან სუფრის კოვზი ამოიღო და მაწვნის ჭამას სწრაფად, მოუსვენრად შეუდგა. კვლავ ყმუილი გაისმა. ვალიკომ დააყურადა. კიბომ ძველი, ქანგიანი, წვრილი დანა გახსნა.

– ამ დანით კაცია მოკლული! – მრავალმნიშვნელოვნად თქვა მან.

ვალიომ დანა ორი თითით გამოართვა. გაფართოებული თვალებით დაათვალიერა და უკან დაუბრუნა. კიბომ დანა კარტოფილში ჩხუტა.

– მზად არის.

ერთი კარტოფილი ამოიღო, სელიდან ხელში გადააგდო და სული შეუბერა.

– ა, უყურე ასლა, ვალიო.

– ჰო?

– უყურე!

კიბომ კარტოფილი გაუფცქვნელად შუაზე გაჭრა.

– ასე, მუნდირშივე გავჭრით შუაზე...

ერთი ნასევარი აიღო და გადაჭრილი ადგილი დანით დაჩხვლიტა. – დავჩხვლეტთ დანით... ან ჩანგლით. მერე ავიღებთ კარაქს... წავუსვამთ... კარტოფილი სომ ცხელია?

– ჰო.

– კარაქი დად-ნე-ბაა, სედავ? დადნა და მთელი კარტოფილი კარაქით არის ასლა გაჟღენთილი... დავაყაროთ მარილი... მარილიც სომ დნება?... ასლა მიყურე.

პატარა ყანწში არაყი დაისხა.

– გაგიმარჯოს, კარგად იყავი, – სწრაფად წაილაპარაკა მან.

– გაგიმარჯოს კიბო.

კიბომ არაყი გადაჭრა, მთელი კარტოფილი ტყავიდან ამოებიჩა და სავსე პირით თქვა:

– ჰოპ-ლა!

– უყურე შენ, – გაუკვირდა ვალიოს.

– ძალიან გემრიელია, – ტუჩები მოილოკა კიბომ, – ასლა საშინელი ამბები მოვყეეთ. დაიწყე.

ვალიო ჩაფიქრდა.

– არა, ჯერ შენ დაიწყე.

– კარგი. აი, ამ მთის იქით ერთი სოფელია. ყვინჩა ჰქვია თუ კვინჩსა, აღარ მასსოვს. ჰოდა, ამ სოფელში ერთი დედაბერი ცხოვრობდა. დედაბერს მარცხენა ხელზე ყოველთვის ხელთათმანი

ეკეთა... გრძელი, იდაყვამდე, შავი ხელთათმანი. აქვე ცსოერობდა ერთი საწყალი, ღარიბი, პატიოსანი ახალგაზრდა კაცი... – კიბომ ვალიცოს ღიმილით თვალი მოუჭუტა, ვალიცომ გაუღიმა, – რომელიც ამ დედაბრის მდგმური იყო... ჰოო... ერთსელ ამ ბიჭმა კარის ჭუჭრუტანაში დაინასა, რომ დედაბერს ხელთათმანი გაეძრო და ცდილობდა ხელიდან უამრავი ბეჭდები და სამაჯურები მოეხსნა, მაგრამ ვერაფერი გააწყო და ხელთათმანი ისევ გაიცეთა. მოულედ, გაქურდვის ეშინოდა... ეს ბეჭდები კი სულ ბრილიანტისგან იყო გაკეთებული...

– სამაჯურები? – დაინტერესდა ვალიცო.

– სამაჯურები სულ ოქროსი... მოულედ, მილიონი ღირდა. ჰოდა, შენ სარ ჩემი ბატონი, ამ ასალგაზრდამ გადაწყვიტა დედაბერი მოეკლა, – კიბომ ქანგიანი დანა ხელში შეათამაშა, – არ მინდა ახლა ვთქვა, მაგრამ იცოდე, შეიძლება ეს საქმე ამ დანითაც იყოს ჩადენილი!

ვალიცომ კიბოს ეჭვნარევი მიშით შესედა. კიბომ წარბები აზიდა და თვალები გადმოკარკლა.

„მაშ" – თქვა მან და ჩურჩულზე გადავიდა, – ერთ ღრუბლიან ღამეს, როცა ძაღლები ყმუოდნენ, ქარი ქროდა და დარაბები კედლებს ეხეთქებოდა, ეს ბიჭი დედაბრის ოთასში შეიპარა და გულში დანის ერთი ძლიერი ჩარტყმით სიცოცხლეს გამოასალმა...

ვალიცო სმენად იყო ქცეული.

– მერე, ჩაათრია სარდაფში, გახადა ხელთათმანი და ბეჭდებს დაუწყო ჭიდაობა, მაგრამ აპრუწუწუნ ვალიცოს, ხელიდან ვერაფრით ვერ წააძრო. მაშინ იქვე სერსი იპოვა და აგერ აქ, იდაყვთან ხელი მოასერხა. ჩაიცრა ეს მილიონიანი ხელი გულში და წასვლა დააპირა თუ არა, დედაბერი ნელ-ნელა წა-მო-ჯდა...

კიბომ თვალები ამოატრიალა, კბილები საშინლად დაკრიჭა და იყვირა:

– მომეცი ჩემი ხელიო!

ვალიცოს შიშისგან ლოყები აუთამაშდა. ხელში შერჩენილ მაწვნის ცარიელ ქილაში კოვზმა ჟღარუნი ატეხა. კიბო სიცილისგან გადაფი-

ჩინდა.

– აპ, ხომ არ შეგეშინდა. ბიჭო?

ვალიკო სულს ვერ იბრუნებდა.

– უპ, ეს რა იყო, კაცო.

კიბომ არაყი გადაკრა და წამოდგა.

– ეტყობა, ფესებზე შემცივდა.

მან თოფს სელი დააელო.

– ისე, მეც კი შემეშინდა ცოტა, – გაუღიმა ვალიკოს.

კიბო მოშორებით ბუჩქებისკენ გაემართა. მარტოდ დარჩენილმა ვალიკომ საფრთხის მოლოდინში მიდამო დაათვალიერა. ფერდობზე ვიღაცის სილუეტი შენიშნა. ვალიკომ სათვალე გაისწორა.

– კიბო, სედავ? – გასძახა მან მეგობარს.

– კი, ეპე-პე-პე-პეიი, რომელი სარ?

სილუეტი შეჩერდა. ვალიკოს მოეჩვენა, რომ კაცმა მხრიდან რაღაც გადმოიღო. უეცრად თოფმა იგრიალა. კიბომ საგარლად დაიყვირა.

ვალიკო რამდენიმე ნასტომში ბეტონის მოაჯირთან აღმოჩნდა, ზედ გადაეელო და მიწაზე გაწვა. თოფმა სელმეორედ იქუსა.

– ვალიკო, მიშველე! – აღრიალდა კიბო.

ვალიკომ მოკურცხლა. დაღმართში, გზის ამოურჩეელად, თავქუდ-მოგლეჯილი გარბოდა. შამბნარს ლაწა-ლუწი გაუდიოდა. პირუტ-ყვული შიშით შეპყრობილი, ტანსაცმლის ფსრეწას ყურადღებას არ აქცევდა. მგლების და ძაღლების ყმუილი და ჭოტის კივილი ძალას უათეცებდა და ისიც მიფრინავდა, მიგორავდა, საჯდომზე ცურავდა. მასთან ერთად ქვებმაც დაიწყეს გორვა. ზოგი უსწრებდა, ზოგი ზურგში ხვდებოდა. უცებ ჰაერში აღმოჩნდა და რაღაც ნაგავში ჩავარდა.

– ღმერთო ჩემო!

კვლავ გაიქცა. ფესების ბაკუნის რიტმში თავისთვის იძახდა: „კიბო მოკლეს, მეც მომკლავენ, კიბო მოკლეს, მეც მომკლავენ?!"

გამსმარი, დაბალი ხეების ტოტები ხან პერანგში სწვდებოდა, ხან თვალებში ატაკებდნენ თავის წვრილ ფრჩხილებს. ერთმა

სათვალე მოსსნა და სიბნელეში მოისროლა; ვალიკო გაჰყვა, მაგრამ რაღაც ჩურჩული მოესმა.

— ა? — იკითხა მან და სხვა მსარეს გავარდა.

პატარა, შემჭიდროვებული ნაძვების რბილ ტოტებში, ჭაობში ჩავარდნილივით იძირებოდა, ფართხალებდა, მიცურავდა...

გონს რომ მოეგო, ქუჩის ნაპირას თხრილში იწვა. უკვე რიჟრაჟდებოდა. დაკაწრულ ლოყაზე ხელი მოისვა. გაუკვირდა, რა დრო გასულა, გასაპარსი ვარო.

გზის მეორე მსარეს, ღია ეზოში, ონკანთან, გრძელულვაშიანი აისორი იჯდა, ხელში კრიალოსანს ათამაშებდა და ვალიკოს გულგრილად შესცქეროდა. ვალიკომ რის ვაივაგლახით ქუჩა გადაკვეთა და ტოტებით დასერილი სახე წყალს შეუშვირა. მერე წელში თავგანწირვით გაიმართა და გზა კვნესით განაგრძო. მართალია, მუსლები ეკვეთებოდა და ფეხები ებლანდებოდა, მაგრამ რაღაცნაირად სპორტსმენადაც კი გრძნობდა თავს. კიბოს სასლამდე აუცილებლად უნდა მისულიყო; ამალიასთვის ყველაფერი უნდა ეცნობებინა, „ერთი, ორი", ცხვირით ისუნთქე, თორემ ელენთა გეტკინებაო, ეუბნებოდა თავის თავს.

დაჭრილმა, დასახიჩრებულმა და ტანსაცმელშემოფლეთილმა მიზანს უკვე დღისით მიაღწია.

კიბოს სასლის წინ ვიღაცის თეთრ „ჟიგულს" საკუთარივით, სიყვარულით მოეფერა. მანქანას დაღლილი მიეყრდნო. ამალიასთვის სათქმელს მოფიქრება დაუწყო.

— ვალიკო — დაუძახა ვიღაცამ.

აივანზე სამი თავი გაარჩია.

— მოგწონს შენი მანქანა? — შეეკითსა ამალია.

ვალიკო დაისარა და „ჟიგულის" ნომრებს ბრუციანი თვალები დაადო. აივანზე ახარხარდნენ.

— ამოდი, ამოდი, აქ არის! — დაიკივინა ტარიელმა.

გაკვირვებული ვალიკო კიბეზე ნელა ავიდა. ყურებამდე გაბადრული კიბო სავარძელში იჯდა. სკამზე გადებული ფეხსაცმელგახდილი მარჯვენა ფეხის ცერა თითი ბანდით ჰქონდა შეხვეული. იქვე,

მოაჯირზე თოფი მიეყუდებინა. ამალია დოინჯშემოყრილი იდგა. ტარიელი ჩაცუცქულიყო, თაბაშირიანი ხელები იატაკზე დაეწყო და ვალიკოს გაბრწყინებულ თვალებს არ აშორებდა.

კიბოს ჩუმი სიცილი აუტყდა.

– სად გარბოდი ბიჭო?

– მეე...

– კიბო მთელი ტანით აძიგძიგდა.

– ამას ეგონა, თეფშები მოფრინდნენ და კიბო მოკლესო.

– უუუ!... – აღტაცებისგან აყმუვლდა ტარიელი.

ამალია კედელს მიეხეთქა და ყბის ცანცარით აჭახჭასდა.

– ბიჭო... – ცრემლებად იქცა კიბო, – ბიჭო... მე თვითონ... მე... რაღაცას წამოვედე... უუიმე, დედაჩემო... გამივარდა და... ა...ა... თითი... უუი, დედიკო... გამფხაჭნა.

კიბოს სიცილისგან დორბლი იატაკამდე ჩამოუგრძელდა.

– მეორედ, რომ... – პირი დააღო ვალიკომ.

ამალიამ მუსლებზე ხელები დაირტყა და ასტუნაედა.

– მეორედაც მე ვისროლე... ფეხი მტკიოდა და ეე... გეძახდი. ხრიალებდა კიბო.

– თოფი გაუვარდა, გესმის შენ? თოფი, გაუ-ვარ-და! – ტარიელი თაბაშირიან ხელებს ვალიკოს ცხვირწინ უტრიალებდა.

– რატომ გაუვარდა, როგორ გაუვარდა? – იყვირა გაცოფებულმა ვალიკომ.

– აი, ასე.

კიბო თოფს კისკისით დასწვდა, ვალიკოს მტვრიან ფესსაცმელს ლულა მიაბჯინა და ჩასმახს თითი გამოაკრა.

თბილ ლოგინში

დამსასურებულმა ინჟინერმა, ამჟამად პერსონალურმა პენსიონერმა, პატივცემულმა ბენომ თავის მეუღლესთან ერთად გემრიელად ისაუზმა და კმაყოფილმა მაგიდაზე, როგორც დოლზე, სორუმი დაუკრა. მას, ცოლივით, ლოყებზე ჯანსაღი მოსუცებისთვის დამახასიათებელი ფერმკრთალი სიწითლე დაჭრავდა. დღეს განსაკუთრებით უსდებოდა ეს ფერადი ლაქები მის სუფთად გაპარსულ ქათქათა სახეს, რადგან, გარდა გარეგნული დაუჭკნობელობისა, იგი სულიერ სიმრთელეს და, ახალგაზრდობიდან სსოვნაში ჩარჩენილ, თავის უკვდავებაში მტკიცე რწმენას გრძნობდა. რასაკვირველია, ასეთ საგზიმო განწყობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ დღეს, ოთხ საათზე, რესტორანში, საბანკეტო დარბაზში უნივერსიტეტის მეგობრებს უნდა შეხვედროდა და უმაღლესის დამთავრების ორმოცი წელი აღენიშნა.

სოფიოს საუზმე ბენოსავით შეერგო და მაძღარი და ღაბაბდაბერილი, კულტურულად სლოკინს იკავებდა. „ასლაც ლამაზია ჩემი სოფიო", გაიფიქრა ბენომ. მართალია, სანდასან ეჭვი გაჭრავდა, ქალი სომ იცი, მაინც ქალიაო, მაგრამ ღირსეულ ცოლს ღირსეულ მეუღლეობას უწევდა და ასეთი მდაბიო ეჭვებით სოფიო არასოდეს შეურაცხყვია.

თერთმეტ საათზე ტელევიზორი ჩართეს და „ცხოველთა სამყაროში" ვეფხვის ნადირობას უყურეს. ვეფხვმა ირემი მოკლა.

— უი, უი, საცოდავი, — პირველ ხელი აიფარა სოფიომ.

ბენომ ქვედა ტუჩი გამობზიკა.

— მდა, — თქვა მან, — მოშიებია.

ფილმზე „რაც გინახავს ვეღარ ნასავ" ორივემ გულიანად იცინა. მერე სოფიო სამზარეულოში აღიღინდა კიდეც.

ბენომ ბინის გადასასადი ქვითრები ლამაზად, გულდასმით შეავსო, თავის ნახელავს სიყვარულით დახედა და აივანზე გავიდა.

ჰაერი, ნაწვიმარის შემდეგ, სუფთა იყო, ბენომ რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა. კარგად მოელილ ნაძვებიან ეზოში სკამებზე

მეზობლები ისხდნენ და ისვენებდნენ. ზოგი ბავშვს ასეირნებდა, დედაბრები ჭორაობდნენ, შავი მაღალი ბულდოგი მოიკაკვეს კიცინებიან ბოგონას დასდევდა, ვიღაც ბიჭი სასლის კედელს ფეხით ბურთს ურტყამდა.

– ყმაწვილო, ფანჯრები გნებავთ დაამსსვრიოთ?

მკაცრად მიმართა მეორე სართულიდან ბენომ.

– საბურთაოდ სპეციალური ადგილია გამოყოფილი.

ბიჭმა ბურთი იღლიაში ამოიჩარა და ბენოს გამომწვევად შესედა. ბენომ მწყრალად გააქნია თავი. რა კარგად უთსრა – ყმაწვილოო. ან თქვენობით რომ მიმართა, გნებავთ დაამსსვრიოთო! ზრდილობიანი ლაპარაკი ყველაზე მოქმედებს. ფეხბურთის სათამაშოდ კი არა, საბურთაოდო, რაღაცნაირი სიტყვაა ეს – „საბურთაოდ“... ამაღლებული, ღირსეული. ბენო ამაყი სახით შებრუნდა ოთახში. ბიჭმა ბურთის თამაში განაგრძო.

უკვე დრო იყო, ჩაცმა დაეწყო. ბენომ სარკეში ჩაისედა.

– ყმაწვილო, – ხმა დაიბოსა მან.

ყოველ თანაკურსელებს ასე ეტყვის.

– მეგობრებო, – ბენომ ხელი წინ გაიშვირა, – მოსარული ვარ თქვენი სილვით.

ან, მოსიბლული ვარ თქვენი ნასვით, და ყველა პირს დააღებს. ბენოს სისარულით გაეცინა.

სუფთა თეთრი ნიფსავი ბარძაყებზე თბილად შემოეტმასნა, თბილი წინდები თირკმელების სიჯანსაღის გარანტიას იძლეოდნენ. ყავისფერი მაღალყელიანი ფეხსაცმელები, ასალი, ფრანგული ნაჭრის შავი შარვალი და საკინძეშეკრული თეთრი კიტელი. ბენომ გაცილებით ასალგაზრდად იგრძნო თავი. გულის ერთ ჯიბეში კოსტად დაკეცილი ცსვირსახოცი ჩაიდო, მეორეში – ამ დღეს დასახარჯი სამმანეთიანი.

რესტორნამდე გადაწყვიტა ფეხით გაევლო. გრძელი მარშრუტი აირჩია, ქალაქის გარეუბნებით, ძველი სახლებით, მყუდრო, ვიწრო ქუჩებით. სიამოვნებდა უკან ხელებდაწყობილს და ამაყად თავაწეულს ესეირნა, დაჰკვირვებოდა ხის მოჩუქურთმებულ აივნებს, ეფიქრა

რაიმე მნიშვნელოვანზე. მაჟალითად, ერის კეთილდღეობაზე, ქალაქის მშენებლობაზე, გამწვანებაზე, თავი ხელმძღვანელ მუშაკად წარმოუდგებოდა სოლმე.

მსუბუქად მიაბიჯებდა და თავისთვის გაურკეეველ, მაგრამ სიმღერასავით სიტყვებს იძახდა: „რა მშვენიერია, რა დიადია, საოცარია, პირდაპირ საოცარია". მისი მკერდი მტრედივით ღუღუნებდა. სშირად უნასავს სახელოვანი პოეტები ინფარქტის შემდეგ ასეთ მოციონს ასევე მრავალმნიშვნელოვანი სასით რომ აკეთებდნენ.

თავმოყვარეობა ყოფილ თანაკურსელებთანაც არ უნდა დაკარგოს. სასიამოვნო ღიმილი, გალანტური მოძრაობა, მაგრამ ეს ყველაფერი ზემოდან – უპირატესობის გრძნობით, რომ მერე, მისი წასვლის შემდეგ, ყველამ თქვას, რა ღირსეული პიროვნებაა, ნამდვილად დიდი ქართველიაო. ცოტას ილაპარაკებს, ჭკვიანურად, დინჯად... შეეცდება ბანკეტისთვის დადებული ოცი მანეთი შეჭამოს. სიზილალა, ზუთხი... წიწილას მთლიანად გადაიღებს. რასაც ვერ მოერევა, ნაწილებად დაგლეჯს, თორემ ოფიციანტები ისეთი ყურუმსაღები არიან – ფულისთვის ნარჩენებს სხვა კლიენტს წაუღებენ. მერე ერთ ბოთლ ლიმონათს დალევს და წასვლას დააპირებს, მაგრამ მეგობრები წამოიშლებიან, ასეთ დღეს მაინც დაგვიდე პატივიო, ძალით დასვამენ.

ცოტა სნის შემდეგ კვლავ წამოდგება და სვეწნა-მუდარის მიუხედავად სუფრას მიატოვებს... თანაკურსელებს კი გულში ნაღველი დარჩებათ! ეს აბრი ძალიან მოეწონა და ტვინში რამდენჯერმე დაატრიალა.

შემდეგ რუსთაველის პროსპექტზე გაისეირნებს და, ბოლოს, ქალიშვილთან ავა. ოთხი წლის ამირანი, ბაბუა რა მომიტანეო, ეტყვის („მართლა, კამფეტები უნდა ვიყიდო", გაახსენდა ბენოს). მგრუნველი ბაბუა შვილიშვილს მუხლებზე დაისვამს, კამფეტს გაუფცქვნის და ნაცარქექიაზე მღაპარს მოუყვება. მერე ქალიშვილს მკაცრად დაარიგებს: „ნინო, რამდენჯერ გითხარი, თითის წვერებზე დასტომა ასწავლე-მეთქი. ბავშვი ენერგიითაა სავსე. სომ ხედავ, ყველა სკამიდან ცდილობს გადმოხტომას. „აი, ასე, მიყურე", ბენო

თითის წვერებზე დადგება და რამდენჯერმე ჩაბუქნავს. „თორემ, შეიძლება ხერხემალი დაუზიანდეს“.

საღამოს, ცხელ აბაზანაში, სოფიო ზურგს დაუზელს. „რა არის, შე კაცო, მენასშირე სარ თუ ინჟინერი?!“ მოჩვენებით გაუწყრება იგი. ბენო, თუმცა იცის, რომ ცოლი ეხუმრება, სისარულს ვერ დაფარავს. პატარა ონავარი ბიჭივით მექცევაო. მერე სსარტად შეძვრება გრილ ლოგინში და, ყელში მობჯენილი ბედნიერი სისარულით, ფესებს ააფსაკუნებს, საბანში თუთუნივით გაესვევა და მალე გათბება.

რესტორანში სალსი ცოტა იყო. სასიამოვნოდ გრილოდა. ფანჯრებთან პალმები იდგა. ბენო მარჯვნივ, საბანკეტო დარბამისკენ წავიდა. დირექტორის კაბინეტთან ათიოდე კაცი შეჯგუფულიყო. ბენომ ერთ-ერთში თავისი ძველი მეგობარი შეიცნო და მასთან მივიდა.

– ბენო, გამარჯობა. – მიესალმა უნივერსიტეტის მეგობარი.

– რა იყო, რა მოხდა? – არ უპასუხა სალამზე ბენომ.

– ეჰ, ნუ იკითხავ, პირდაპირ ბედია, რა.

– რა არის, რა?

– ვასტანგი მოკვდა.

– ვასტანგი?!

– ჩვენი ვასტანგი.

ბენომ ვერ გაისსენა. მოსუცები შეშინებული, გაფართოებული თვალებით იყურებოდნენ კაბინეტის ღია კარში. გამსმარი კისრები ძლივს იკავებდნენ გაქუცულ, მოცახცასე თავებს. თითქოს სიცოცხლე ძლივს ბეუტავდა ამ ლანდებადქცეულ სსეულებში. „სულის ერთი შებერვა და ყველა დაისოცება,“ უნებურად გაიფიქრა ბენომ.

– დალია? – კვლავ მიუბრუნდა იგი მეგობარს.

– არა, კაცო, სუფრასთან არც მივსულვართ. იღელვა, საცოდავმა, ყველა ერთად რომ გვნახა, ინერვიულა. ცრემლებს ვერ იკავებდა...

– უჩებ, დაეჩა, ჩაერია უკბილო ბებერი.

– აბა, კაცო, არაფერი არ უთქვამს, უეცრად ჩაიცეცა.

– ვაიო, თქვა, – მობრუნდა მათკენ კიდევ ერთი უცნობი თანაკურ-

სელი.

– არა, ბიჭო, ვაიო, ნათელამ თქვა, – განმარტა ბენოს მეგობარმა.

– ოოჰ, დამიწყებს ასლა, – გაღიმიანდა უცნობ-ნაცნობი.

– იქ არ ვიდექი? ასე, გულზე დაიდო სელი და უკან გადავარდა.

– მეც იქ ვიდექი, ბატონო და სანამ გულზე სელი დაიდო, ვაიო, და მერე იტაცა გულზე სელი.

ბენომ თანაკურსელებში გზა გაიკელია და კაბინეტში შეისედა. ის, ვისაც ვასტანგს ეძასდნენ, სავარძელში ესვენა, ხალათის საკინძე გასსნილი ჰქონდა, ნებას მიცემული ჭაღარა თავი მიმჭკნარ მკერდზე ჩამოვარდნოდა, ფესები აქეთ-იქით მიეყარა, მარჯვენა სელი სავარძლის სასელურზე ცოცსალიკით დაედო. გეგონებოდათ, თითქოს მისი სულის დაჭერა (რომელიც ჯერ კიდევ აგერ, ა, თავზე დასტრიალებდა) და სსეულში უკან ჩაბრუნება იოლი საქმე იყო.

მაგიდასთან ექიმი დასკვნას წერდა, დირექტორი ნერვიულად დადიოდა ოთასში, ექთანი შუშის კარადაში კონიაკის ბოთლებს ათვალიერებდა. ბენომ თანაკურსელებს მოხედა. ყველა იმედით მას მიაჩერდა. „არაფერია, არა უშავს", გაიფიქრა, „ჩვეულებრივი ამბავია. ალბათ უმნიშვნელო პიროვნება იყო...ასე"! რესტორნის დარბაზში სალსი მშვიდად მიირთმევდა საჭმელ-სასმელს. ბენომ ღრმად ჩაისუნთქა – ორგანიზმში ყველაფერი რიგზე ჰქონდა. თავი შემოაბრუნა და საბანკეტო ღია კარში საგეიმოდ გაწყობილი სუფრა დაინახა.

„ბანკეტი!?" შეშფოთდა იკი.

ირანის ამბები

ზარის შემდეგ დიდი სანი გავიდა, სანამ ელექტრონული კარი ზმუილით გაიღებოდა. მესამე სართულზე ბინის შესასვლელი ღია დაუსვდა. ნაცნობი დერეფანი სიბნელეში იოლად გაიარა და სავარ-ძელში ჩასვენებულ ტრუსისამარა სოსოს თავზე დაადგა. მეგობარმა გასიებული ქუთუთოებიდან ზანტად ასედა, მისალმების ნიშნად, რაღაც ჩაიბურტყუნა და დუნდულების მსგავს ლოყებს შორის სიგარეტი გაირჭო.

– დაჯექი, – მოგვიანებით უთსრა ისე. თითქოს ერთი საათის წინ დაშორებულიყვნენ.

როგორც ყოველთვის ტელევიზორი პქონდა ჩართული. გელას გაეღიმა, – მის ბერბიჭა მეგობარს სასიათი არ შეცელოდა.

ვენტილატორი აგვისტოს სიცხეს ამაოდ ებრძოდა. მაგიდაზე შუაზე გაჭრილ საზამთროს ბუზები ესვია. ერთი წყლით სავსე გრაფინზე იყო მიჭყლეტილი. მტვრიან ავეჯს თითების ანაბეჭდები ეტყობოდა. იატაკზე სიგარეტის ნამწვავები ეყარა.

გელამ აბეზარ ბუზს ხელი აუქნია. სოსო მას ყურადღებას არ აქცევდა.

ტელევიზორში, საინფორმაციო გადაცემაში „დღეს მსოფლიოში", პოლიტიკურმა მიმომხილველმა დუნაევმა კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიკური დაქვეითება სარკასტული ღიმილით დაახასიათა და ერაყ-ირანის ომის ანალიზს შეუდგა.

სოსოს გაახსენდა, რომ გელა ირანიდან იყო ჩამოსული და ბრდილობისთვის ჰკითხა:

– როდის ჩამოსვედი?

– გუშინწინ.

– მომიყევი.

– რა მოგიყვე?

– კარაგად ცხოვრობდით?

– კი.

სოსო დაფიქრდა.

– როგორ სასლში ცსოვრობდით?

– ჩვეულებრივში. ორსართულიანი სასლები იყო. თითო ბინაში ექვს-ექვსი კაცი..... ორი და ერთადგილიანი ოთასებია. მე ერთიანში ვცსოვრობდი.... მაცივარი, კონდენციონერი.....

– ტელევიზორი?

– ტელევიზორები ჩვენ თვითონ ჩავიტანეთ.

– მერე?

– მერე, ერთი დიდი საერთო სასადილო ოთასი, ორი აბაზანა, ტუალეტი.... ტუალეტი და აბაზანა გაერთიანებულია...

სოსომ იატაკზე დააფერფლა.

– მერე?

– მერე, ვმუშაობდით ოთს ცელად. თბოსადგურამდე ავტობუსით მოვყავდით. იქიდანაც ავტობუსი... მაგრამ სიცსე აუტანელი. თბილისი სამოთხეა იმასთან შედარებით. ზისარ ავტობუსში გაშტრიკინებული. ვერაფერს ვერ ეყრდნობი. სკამის სასელურს სელს ვერ მოჭიდებ, ისეა გავარვარებული. ოფლში იწურები. ყველაფერი ტანზე გეწებება... ჩვენს სასლთან აუზი იყო...

– წყალს ათბობდნენ?

– რად უნდა, ბიჭო, გათბობა. იწვის ყველაფერი... თითქოს, რა გინდა ამაზე უკეთესი, ჩახტი გრილ წყალში, გაგიყდი! ის წყალიც მდუღარესავით იყო. ერთი სული გექონდა სანამ ოთასამდე მივაღწევდით. სასწრაფოდ კონდიციონერი... „კოკა-კოლა“ მაცივრიდან.

„ქალები“? – გაიფიქრა სოსომ.

– როგორ ერთობოდით, სვამდით?

– ვსვამდით კი არა, კინაღამ გავგიყდით. მშრალი კანონია. რომ მოცედ, ვერაფერს ვერ იშოვი. მიეცი მილიონი – არა აქვთ და მთელ ქვეყანაში გრამი არ მოიპოვება. ჩვენთან ერთად რამდენიმე ირანელი ბიჭი მუშაობდა. ერთმა თავისი დაბადების დღისთვის სასმელი ჩვენ გვთსოვა. ჩვენ უკვე ვიცოდით არყის გაკეთება.

– როგორ?

– შაქრის არაყს ვსდიდით, – გელას გაეცინა, – ქართველი კაცი სადმე დაიკარგება?! ოთსი კილოგრამი შაქარი, ოთსი კოვზი ამერიკული საფუარი და მისი ჯანი. ბოცები, კოლბები და მილები

სადგურში თავზე საყრელი გვქონდა, მაგრამ მაინც, სომ იცი, უსიამოვნებას ვერიდებოდით, აქედან ჩატანილი კონიაკის ბოთლები შევინახეთ და იმაში ვასსამდით. მართალია, ქართველებს არ გვამოწმებდნენ, განსაკუთრებით სპეციალისტებს...

– მიეცით იმ ირანელს არაყი?

– არა, ვინ იცის, ლაპარაკი რომ დაეწყო, გახმაურდებოდა ეს ამბავი. მოკლედ... დაბადების დღე ანაშას წევით გადაიხადა.

– ჰაჰ, რას მეუბნები, ეწევიან?

– დიდიან-პატარიანად. პირდაპირ ქუჩაში უკეთებენ ფილტრიან სიგარეტებში.

– ვა!

სოსომ შიშველი მუცელი მოიფსანა.

– თავისუფალ დროს ქალაქში მივდიოდით, კინო, ბაზარი. ჰალვას ქუჩაში აკეთებენ. იქვე თონიდან ლავაში. გაასვეე ცსელ ჰალვას, იფ, მაგარია. ძალიან გემრიელია.

– რა ფილმები ნახე?

– ძველი, ამერიკული, სისულელე, რაღაც „გლადიატორი" და მისთანები. ჩაპლინი უყვართ, ლოიდი, ბესტერ კიტონი. ტელევიზორით სულ ამას ატრიალებენ.

„ქალები"? – გაიფიქრა სოსომ.

– კარგი გადაცემები იყო?

– არა, კაცო. სულ მიტინგები, პლაკატები, ყვირილი, ჩხუბი, დავიდარაბა.

– რა ენაზე ელაპარაკებოდი?

– ინგლისურად. ჩვენთან ზოგიერთმა ფარსი ისწავლა. რომ უსმინო, გაიგებ რაღაც-რაღაცეებს. ირანულად შუშა – შუშაა, კლიტე – ქილიტე...

– მმ... შენ... ისა... ომი?

– ევაკუაცია ოთხ დღეში მოხდა. ჯერ თეირანში გაგვამგზავრეს. ერთი თვე ვიყავით. მერე კასპიის ზღვით...

– თეირანი კარგია?

– მაგარი რესტორნები...

– მერე, ბიჭო, რესტორნებშიც არ იყო დასალევი?

— ე, ელაპარაკე ახლა ამას. არაყი რომ დაგინახონ იქვე მიგასვრეტენ. სომ გეუბნები, ხალხი გიჟად არის. მიდიხარ, მაგალითად, მატარებლით, გაჩერდება სადღაც უდაბნოში, გაიხედავ ფანჯარაში, დაუფენიათ პატარა ნოსები და ლოცულობენ. გაათავებენ და წავა ისევ მატარებელი.

განრიგი არა აქვთო, გაიფიქრა გაკვირვებულმა სოსომ.

„კატასტროფა შეიძლება მოხდეს... თუმცა ისეთი არეულობაა იქ, რომ...“

— ყუმბარები სდებოდა?

— შემოფრინდებოდა ერაყიდან თვითმფრინავი, გადაგვიყლიდა თავზე და დასცხებდა აეროდრომს. გადაგვიფრენდა მეორე თვითმფრინავი, უშენდა ნავთობბაზას. ასე ვიყავით ოთხი დღე შუაში გამომწყვდეული. ფანჯრები პირველ აფეთქებაზევე ყველგან ჩაიმსხვრა.

— თეირანში კარგი დრო ატარე?

— ექვს საათზე სინათლეს თიშავდნენ. სანთელსაც ვერ ვანთებდით...

— ტელევიზორი?

— ე ბიჭო, არ გეყურება, სინათლეს თიშავდნენ მეთქი?!

— „ქალები“? — გაიფიქრა სოსომ.

— ქალები?

— ქალებიო?! — შეიცხადა გელამ, — რა ქალები? სასეახვეულები, ჩადრებში დადიან, თოფები უჭირავთ. მათი შიშით მთელი ქვეყანა თვითმომსახურებაზეა გადასული.

სოსოს ინტერესი დაეკარგა. კიდევ დიდსანს უყვებოდა გელა, მაგრამ აღარ უსმენდა.

გელა რომ წავიდა, საზამთროს ერთი ნაჭერი კურკებიანა დაახრამუნა, ხელები მუცელს ქვემოდან შეიწმინდა და ტელეფონს დასწვდა.

— ალო, — მოესმა ქალის ეღერადი ხმა.

— ფისო, მე ვარ.

— მოგენატრე, ჩემო მურა?

„ჩვენთან უკეთესია“, — გაიფიქრა სოსომ. დივანზე წამოგორდა და ვნებააშლილი საუბრისთვის განეწყო.

– სად მიდისარ?

ამ შეძახილმა ნიო ლიფტის კართან შეაჩერა.

დიდი და ნათელი ვესტიბიულის კედელთან, შემნახველი სალარო-სავით შემინული დაბალი ხის მოაჯირის მიღმა, ორი თეთრსა-ლათიანი ქალი იჯდა. ერთს პირი ისე ჰქონდა მოქცეული, თითქოს მზესუმზირის მარცვალს გაკენეტას უპირებსო. თავზე ყავისფერი, გრძელბეწვიანი, ყურებიანი ქუდი ესურა. მეორე – ზორბა მკერდის მრისსანე რსევით წამოდგა და ჭოტისმაგვარი მრგვალი, უძრავი თვალებით შუშის ზემოდან გადმოხედა.

– ისა... ვის უნდა მივმართო?

– საგზური მაჩვენე, – უბრძანა ქალმა, – თორემ გუშინ ფეხსაც-მლის ჯაგრისი მოიპარეს. ყველას აქ უნდა შემოძრომა. მე რა ვიცი, შენ ვინ სარ.

ნიომ ჩემოდანი ქვის იატაკზე მორჩილად დადგა და უბის ჯიბე მოიქექა.

ქალმა საგზურის შემოწმებას დიდი დრო მოანდომა.

– მესუთე სართულზე ადი, – დართო ბოლოს ნება.

ლიფტში ორი განცხადება იყო გაკრული.

– „დასასვენებელი სახლის კუთვნილი ნივთების გაფუჭებისა და დაკარგვისათვის დამსვენებელი კისრულობს მატერიალურ პასუხის-მგებლობას მიყენებული ზარალის სამმაგი ფასის ოდენობით. ხოლო წიგნებისათვის, აღგილობრივი ბიბლიოთეკიდან, ათმაგი ფასის ოდენობით“.

და მეორე.

„დირექტორი უფლებამოსილია გარიცხოს ყოველი დამსვენებელი დამსვენებელთა რიგებიდან, თუ იგი უხეშად ან სისტემატურად და წინასწარი განზრახვით დაუშვებს დასასვენებელი სახლის შინაგა-ნაწესის და განრიგის დარღვევას. სამუშაო ადგილზე შეტყობინებით“.

კარგა ხნის ტაატით მგზავრობის შემდეგ ნიო დაეჭვდა, მესუთე

სართულს ხომ არ ავცდიო. სართულების მაჩვენებელი ტაბლო არ მუშაობდა. მექანიზმის ტახა-ტუსის მისედვით, გუნებაში თელას შეუდგა. თსუთმეტამდე რომ დათვალა, გაასსენდა, დასასვენებელი სასლი ათ სართულზე მაღალი არ უნდა ყოფილიყო.

ლიფტი საგარელი ღრჭიალით გაჩერდა, კარი არ გაიღო. კაბინა ისე ძიგძიგებდა, თითქოს კიდევ უფრო მაღლა უნდოდა ასელა, მაგრამ რაღაც წინაღობა სელს უშლიდა.

ნიო მუსლებზე დაემხო, იატაკთან წვრილ ღრიჭოში გაიჭვრიტა – პატარა პოლს ზემოდან დასცქეროდა. პირდაპირ და დაბლა, ქალების და კაცების ტუალეტებს შორის, თეთრი საფურთსებელი იდგა. მარჯვნივ, მუსის მძიმე ყავისფერ კარზე, ლითონის მოოქროვილ აბრაზე „ბარი" ამოეჭედათ.

ლიფტის კაბინა უკანასკნელი, მეათე სართულის ჭერზე იყო ატული, მისი მატარებელი ბაგირი ბოლომდე დაჭიმულიყო და შემაშფოთებლად კვნესოდა და წრიპინებდა.

„ღმერთო, შენ მიშველე," ციემა ოფლმა დაასსა.

მექანიკურად პირჯვარი გადაიწერა, კანკალით, ფრთსილად წამოდგა, ღილაკებზე წარწერები გაფაციცებით წაიკითსა და „გამოძახებას" თითი დააჭირა.

„რომ არ მიპასუსონ"?

– გისმენ, – გაისმა მომცრო დინამიკაში ქალის ოდნავ დამახინჯებული, მაგრამ მაინც ნაცნობი და, ამჟამად ნიოსთვის, ყველაზე იმედისმომცემი და მშობლიური ხმა.

დიდი წვალებით და ენის ბორძიკით აუსსნა საქმის ვითარება.

– ხელი არაფერს ასლო.

ხელები ზურგსუკან დამალა. გულის ფანცქალით ელოდა განაჩენს. ჭერზე ლიფტის კაბინის ყოველ მისათქუნებაზე შიშისგან ნაწლავები ეკრუნჩსებოდა. მისი აზრით, ბაგირის გაწყვეტას არაფერი აკლდა.

ლიფტი ამოძრავდა. კაბინამ ნელ-ნელა დაბლა დაშვება იწყო. ლიფტს ვიღაც მართავდა – ცდილობდა კაბინის ძირი და სართულის იატაკი ერთმანეთისთვის გაეთანასწორებინა, მაგრამ, ნიოს გულის გასასეთქად, კარი არსად არ ისსნებოდა. უკვე რამდენჯერმე

გამოეთსოვა სიცოცხლეს, რომ, უეცრად, ტაბლოზე, მესამე ნომერი აინთო. იმედი მიეცა. თითის წვერებზე რამდენჯერმე ფრთხილად ჩაბუქნა, სტუნვის იმიტაცია გააკეთა – ვინიცობაა ბაგირი ასლა გაწყდეს, ჯერ კაბინა დაენარცხება დაბლა და მერე მე დავსტები პატარა სიმაღლიდან იატაკზეო.

ლიფტი გაჩერდა, კარი გაიღო და პირველი სართულის ვესტიბიულში მთვარეულივით გამოვიდა.

ორივე ქალი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა. ქუდიანს პირი კვლავ გვერდზე ჰქონდა მოქცეული. ასეთ მდგომარეობაში არ დავტოვე, სანამ ლიფტში ჩავჯდებოდიო, თავისდაუნებურად გაიფიქრა ნიკომ.

– თუ ლიფტით სარგებლობა არ შეგიძლია, ფესით უნდა იარო! – შეუყვირა ჭოტისთვალებამ.

– გმადლობთ, დიდი მადლობა, მაპატიეთ... – ნიკო თავისი განცდებით იყო შეპყრობილი.

ლიფტიდან ჩემოდანი გამოიტანა და კიბეს ნელა აუყვა. ცსვირწინ ლიფტის კაბინამ აუარა. სადღაც ასლოს, მის თავს მაღლა გაჩერდა. მესუთე სართულს ხვნეშით მიაღწია და კარებზე წარწერებს დაუწყო კითხვა: „ბიბლიოთეკა“, „ექიმი“, „იზოლატორი“, „ადმინისტრატორი“.

ეს უკანასკნელი მორიდებით შეაღო.

პატარა ოთახში, მაგიდასთან, მის გასაკვირად, ჭოტისთვალა დახვდა. „ალბათ ლიფტით ამომასწრო“.

– ამოაღწიე, ბოლოს და ბოლოს? საგზური და პასპორტი მომეცი. საბუთები გაუწოდა. ქალმა ჟურნალის შევსება დაიწყო.

– რატომ დააგვიანე?

– მატარებელი ასე ჩამოვიდა.

– მატარებელი სამი საათის წინ უნდა ჩამოსულიყო.

ნიკომ მხრები აიჩეჩა, რა ჩემი ბრალიაო.

ეზოდან პატარა ბავშვის ძახილი ისმოდა – დედას უსმობდა.

ქალმა საქმეს თავი მიანება, აივანზე გავიდა და გამაყრუებელი ხმით ბავშვს ზემოდან ჩასძახა:

– რა გაღრიალებს? აქ ხალხი ისვენებს! ჩამოვალ. მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა ღრიალი... ეს ბურჟუები, სულ თავზე დაგვასხდნენ, – გაბოროტებული დაუბრუნდა მაგიდას.

ნიკომ პირფერულად გაუცინა.

– პასპორტი აქ დარჩება. ეს შენი საკურორტო წიგნაკია. დაკარგავ და დასასვენებელ სახლსაც დაკარგავ. უამისოდ არსად არ შეგიშვებენ. ხუთასმესამე ოთახია შენი, ამავე სართულზე. ერთადგილიანია. ტელეევიზორი გაქვს. არაფერი ატრიალო, არ გააფუჭო; ხმას არ აუწიო, უბრალოდ ჩართავ და თერთმეტი საათისთვის გამორთავ. საღამოს, ცხრა საათის შემდეგ, ოთახში ქალების და სტუმრების მიყვანა აკრძალულია.

– რატომ? – გაუბედავად იკითხა ნიკომ.

– არ შეიძლება, მორჩა და გათავდა, – მკაცრად მოუჭრა ქალმა, – საერთოდ, წესრიგი დაიცავი ყველგან და ყველაფერში, თორემ წამში გავარდები აქედან. ახლა, შვიდ საათზე ვახშამია, არ დააგვიანო. მთავარ მმარეულთან მისვალ და ადგილს ის მიგიჩენს. გასაღები პირველ სართულზეა.

ნიკომ საკურორტო წიგნაკი გამოართვა და ჩემოდნისკენ დაიხარა.

– დაკარგული ნივთებისათვის თვითონ დამსვენებელი აგებს პასუხს, შეგიძლია, საკანში შეინახო.

კვლავ დაბლა უნდა ჩასულიყო. ყოყმანის შემდეგ ლიფტის გამოძახების ღილაკს თითი მიაჭირა.

კაბინაში ვიღაც სელუბდაძარღვული და ეჭვიანთვალებიანი. რეიტუზიანი მამაკაცი დასვდა.

– ჯერ მე ჩავალ ქვევით და მერე თქვენ ასვალთ ზევით, – ჯიქურ, უსეშად მიახალა კაცმა.

– მეც დაბლა ჩავდივარ, – წყნარად მიუგო ნიკომ.

რეიტუზიანმა ტუჩები მოკუმა და დემონსტრაციულად ჭერში აიხედა.

ქუდიანი მორიგე ქალის წინ, წელში მოხრილი, შუბლზე ჭაღარათმებმიწებებული, ოფლში გახვითქული მოხუცი კაცი იდგა და ხელში პინგ-პონგის რაკეტის ტრიალით რაღაცას ესვეწებოდა.

– სომ გითსრეს თქვენ, ბურთები ლიმიტირებულია, ორი უკვე გატესეთ, დღეისთვის საკმარისია.

მოსუცმა უძლურების ნიშნად სელები გაშალა.

– მაპატიეთ, სუთასმესამე ოთასის გასაღები, თუ შეიძლება.

– საკურორტო წიგნაკი.

ნიკომ წიგნაკი აჩვენა, გასაღები გამოართვა და კვლავ ლიფტს მიუბრუნდა. კარგე ფირნიში დაეკიდათ: „ლიფტი რემონტგეა".

„როდის მოასწრეს"?

ამჯერად ნაცნობი კიბე უფრო იოლად აათავა. მძიმე გასაღებით, რომელსაც საწონის მსგავსი, ნასევარკილოგრამიანი ტვირთი ეკიდა, სანგრძლივი სიმშვიდის და კომფორტის გარანტიას იძლეოდა.

ეს იყო ერთადგილიანი, საკმაოდ დიდი ოთახი, ტელევიზორით, ვანიერი საწოლით, კედლის კარადით, მრგვალი მაგიდით, ორი სავარძლით და სხვა, ასეთი ნომრებისთვის დამახასიათებელი, წვრილმანი ატრიბუტებით – გრაფინით და ორი ჭიქით (მეორე აბაგანაში აღმოჩნდა/.

ნიკო ყველაზე მეტად გაასარა აივანმა, რომელიც ბღვას გადაჰყურებდა. ბღვის სიდიადის აღქმას შეეცადა. რა საოცარია, ფიქრობდა იგი „ამდენი წყალი, ასეთი სივრცე და ასეთი სიმშვიდე, თავისუფლება!"

– ბღვა! – სმამაღლა თქვა მან, – ე-ჰე-ჰე, ბღვა!

„პირდაპირ, სიტყვებით აუწერელია... პო, ეს მერე". ოთახს დაუბრუნდა, ჩემოდანი გასსნა, საცვლები და ტანსაცმელი საწოლზე დაალაგა. იქვე კედელზე ჩარჩოში ჩასმულ ნაბეჭდ ქაღალდზე წაიკითხა:

„დასასვენებელ სასლში მყოფი უკლებლივ ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას შემდეგი დღის განრიგი:

ადგომა – 8 საათზე.

საუზმე – 9-დან 10 საათამდე.

სადილი – 14-დან 15 საათამდე.

მკვდარი საათი – 16-დან 18 საათამდე.

ვასშამი – 19-დან 20 საათამდე.

ძილი – 12 საათზე.

შენიშვნა: კვება იწარმოებს მხოლოდ დღის განრიგში მითითებული საათების დროს. დაგვიანება აკრძალულია".

ასეთივე ჩარჩოში ჩასმული ქაღალდი აბაგანის კარზეც ეკიდა.

„ეკონომიის მიზნით, ცხელი წყალი დამსვენებლებს მიეწოდებათ

დილით – 9-დან 10 საათამდე.

შუადღეს – 14-დან 15 საათამდე.

საღამოს – 19-დან 20 საათამდე".

„რომელი საათია?" ნიკო დაფაცურდა. ჯერ რადიო ჩართო, სოლო შემდეგ ტელევიზორი. ვერაფერი ვერ გაარკვია. მაშინ აბაგანაში ოსკანი მოუშვა, თუ შვიდი საათია ცხელი წყალი წამოვაო... წყალი ნელთბილი აღმოჩნდა. ოთახის კარი გამოაღო, მაგრამ დერეფანი ცარიელი დახვდა. გადაწყვიტა, ბედი არ გამოეცადა და სასადილოში დროზე ჩასულიყო.

ვესტიბიულში ხალხი ირეოდა. უმეტესობას დროს გაგება სურდა – ერთმანეთს საათს ეკითხებოდნენ.

უშველებელი ჰოლის სიღრმეში, კედელზე, კაცის სიმაღლეზე, ტელევიზორი იყო მიმაგრებული. მის წინ, ოც-ოცდასუთ რიგად, რბილი სავარძლები იდგა, სადაც ახლა ათიოდე დამსვენებელი მოკალათებულიყო, მაგრამ ტელევიზორს არცერთი არ უყურებდა – ვახშმის მოლოდინში ერთმანეთს ესაუბრებოდნენ.

– პირველ პროგრამაზე ფესბურთია, – თქვა ვიღაცამ.

ნიკოს გვერდით ლილიპუტის აღნაგობის ქოსა კაცი იდგა და ეშმაკურად უღიმოდა.

– დონეცკი და კიევის „დინამო" თამაშობს... მე დონეცკელი ვარ... ძალიან მაინტერესებს.

– მერე? გადართეთ პროგრამა, მაინც არავინ უყურებს.

– არა, მე ვერ ვწყდები, თქვენ მოასერსებთ. მადლიერი დაგრჩებით.

ლილიპუტს თვალებში უეცრად ისეთი რამ გაუკრთა, რომ ნიკოს ეშვი დაებადა, ხომ არ მამასსარაეებსო, მაგრამ კაცის სიმაღლე

ამის საბაბს არ აძლევდა. იგი ტელევიზორთან მივიდა და პროგრამის გადასართველად ხელი გაიწვდინა.

— დაანებე ტელევიზორს თავი!

ნიკო შეკრთა. ეს მუქარით სავსე სმა სავარძელში გაშოტილ მამაკაცს ეკუთვნოდა. სასის ნასევარს შავი, გაუმჭვირვალე სათვალე და, მაჩრდილობელივით ზედ გადმოშვერილი, სპორტული, თეთრი ნაჭრის ქუდის ლურჯი კეპი უფარავდა. ჭრელი ყელსასვევი ყვითელი პერანგის საყელოში ჰქონდა ჩატნეული. ხელები მკერდზე გადაეჯვარედინებინა. ასალ, თაბაშირივით გასპეტკეებულ, ჯინსებში გამოწყობილს, ფეხები პატარა ტაბურეტზე ეწყო, რომელთაც ზომაზე მეტად მაღალქუსლიანი, ყავისფერი, კოვბოური ფეხსაცმელი უმშვენებდა.

— დაანებე ტელევიზორს თავი, — უფრო ხმამაღლა გაიმეორა მან.

ვესტიბიულში სალსი მიჩუმდა. ქოსა კაცი გამქრალიყო.

— პირველ პროგრამაზე ფესბურთია, — თავი იმართლა ნიკომ.

— მოშორდი ტელევიზორს!

— კი, მაგრამ, რას ვაშავებ ამისთანას? ხელს არაფერს ვკიდებ — მხოლოდ პროგრამას გადავრთავ.

— გადართავ და მთელი ეკრანი აირევა. მარტო შენი ტელევიზორი ხომ არ არის? აქ ხალხია. სხვა პროგრამა თუ გინდა, ოსტატს უნდა უთხრა.

— ყოველ გადართვაზე ხომ არ...

— ლაპარაკი! მოშორდი ტელევიზორს!

ნიკომ მხრები აიჩეჩა და იქაურობას გაეცალა. ვესტიბიული კელავ ახმაურდა.

საპირისპიროდ, დაბალ, განიერ, უჯრედებიან მაგიდაზე, ღვინის ბოთლის სიმაღლის სის ფიგურებით, ჭადრაკს თამაშობდნენ. მაგიდის ერთ მხარეს იისფერთმიანი პარკისონიანი ბებერი ქალი თავს აქიცინებდა. მას რამდენიმე კაცი ერთდროულად ეთამაშებოდა. ალბათ, ამ ქალმა ძალიან კარგად იცის ჭადრაკი, მაგრამ ხელებიც თუ თავივით უცასცასებს, ფიგურებს როგორღა იჭერს ხელშიო,

უნებლიედ გაიფიქრა ნიკომ. სასიათგაფუჭებულმა ჭადრაკს გული დიდსანს ვერ დაუდო და იქვე. დაუაზე გაკრული ბრძანების კითხვა დაიწყო:

„ბრძანება!

დასასვენებელი სასლის შინაგანაწესის სისტემატური და უხეში დარღვევისთვის, აგრეთვე ამორალური საქციელისათვის, რაც იმაში გამოისატა, რომ 311-ე ოთასში, სპირტიანი სასმელების სმის დროს, ნახევრადშიშველ მდგომარეობაში ერთად იყვნენ ჩაკეტილნი, შემჩნეულნი და ადმინისტრაციის მიერ დაკავებულნი, ვბრძანებ! დასასვენებელი სასლიდან და დამსვენებელთა რიგებიდან გაირიცხონ, სამუშაო ადგილზე შეტყობინებით, და დასასვენებელი სახლის ინვენტარის – შემტვრეული 311-ე ოთასის კარის, ორმაგი ფასის ანაბღაურებით: ამს. ვასილი ვასილის ძე კ... და ამს. ლუდა ათანასეს ასული ს...“ წელი, რიცხვი, დირექტორის სელის მოწერა და ბეჭედი.

ნიკომ შეამჩნია, რომ ხალხი დერეფნისკენ გაეშურა და ისიც დამსვენებელთა ნაკადს გაპყვა.

შემინული დერეფანი ერთ მხარეს ბამთრის ბაღში გადიოდა, მეორე მხრიდან საბილიარდო იყო.

„საბილიარდო მუშაობს 10-დან 13 საათამდე და 14-დან 18 საათამდე.

შესვენება 13-დან 14 საათამდე“.

ეწერა მის კარზე. ცოტა ქვევით კი, სასელდასელოდ გაკრულ ქაღალდზე:

– „დამსვენებელთა მიერ დასასვენებელი სასლის ინვენტარისადმი უსულგულო დამოკიდებულების გამო, კიები დამტვრეულია, საბილიარდო არ მუშაობს.“

შუშის დერეფანი სასადილოს კარს ებჯინებოდა.

მთავარი მზარეული შუასნის, მაღალი ქალი აღმოჩნდა. მან ნიკო ძალადყურადღებიანი გამომეტყველებით და მომაკვდინებელი თავაზიანი ღიმილით ორი ნაბიჯით გააცილა და შორიდან სელით ის მაგიდა დაანასა, სადაც უნდა დამჯდარიყო.

– გამარჯობათ, შეიძლება არა?!

– გამარჯობათ, დაბრძანდით.

მაგიდასთან სამნი ისსდნენ – ორი ქალი და სასედაღვრემილი, თავჩაქინდრული მამაკაცი. ქალი, რომელიც ნიკოს გვერდით იჯდა, ტუჩებს ნერვიულად იკვნეტდა და სასადილოს უშარმაგარ დარბაგს შიშით ათვალიერებდა.

აშკარად და ფარულად, მათ მაგიდას ყველა უთვალთვალებდა. დაღვრემილი კაცის გვერდით ოცდოდე წლის ქალიშვილი, პომადაწასმული სველი ტუჩებით და მშვენიერი თეთრი მსხვილი კბილებით, ნიკოს რაღაც გაურკვეველი მოლოდინით უღიმოდა. მწვანე თვალებზე მიმგიდველად შეშუპებული, უწამწამო, დაუსატავი ქუთუთოები გასწითლებოდა. მაღალ შუბლზე, ფართო და მოკლე, მეტყველად მოძრავი წარბები ჰქონდა. ფანჯარაში შემოფრქვეული სსივებისაგან გამჭვირვალე, ვარდისფერნესტოებიანი, პატარა აპრესილი ცსვირი ულაპლაპებდა. ანჯელა დევისივით, წვრილ-წვრილად დასვეული შავად შეღებილი თმა ყანჩას ბუდესავით ედგა თავზე.

სამმარეულოდან განუწყვეტელი ყვირილი ისმოდა. გრიხინებდა რკინის ჯამ-ჭურჭელი, სმაურით ესეთქებოდა ტაფები. ისეთი სამკვდრო-სასიცოცსლო ბრძოლის სმა გამოდიოდა, რომ იტყვიან, დედა შვილს ხელში არ აიყვანდაო. ბოლოს, ოფიციანტმა ქალებმა, კერძებიანი თეფშებით დატვირთული ურიკები გამოაგორეს. ყველამ თავისი მაგიდების რიგს მიაშურა. სასეგე ჯერ კიდევ ალმური ასდიოდათ, მკერდი ძალუმად აუდ-ჩაუდიოდათ.

მათი მაგიდის ოფიციანტმა, მაღალკისრიანმა, სასეგე აჭარსლებულმა ქერა ქალმა, რომელსაც ნერვიული ალერგიისგან კისერი წითელი ლაქებით ჰქონდა დაფოთლილი, ვიღაცას მიაძახა:

– გიცნობთ მე თქვენ, მშრომელებს.

ოფიციანტმა პარკისონიან მოჭადრაკე ქალს პირველი კერძი ცსვირწინ დაუსეთქა (ნიკომ იფიქრა, ამას სელებიც თუ თავივით უკანკალებს, ჩანგალს ხელში როგორ იჭერსო/. მოსუცმა თეფშს დახედა.

– მე სომ ჩიხირთმა შევუკვეთე?

– ჭამეთ, რასაც გაძლევენ, ჩისირთმა გათავდა, აღარ არის.

– როდის გათავდა. პირველად ასლა არ გამოსეედით?!

ოფიციანტმა ურიკა მეზობელი მაგიდისკენ ხმამაღალი ლაპარაკით გააგორა:

– უყურე შენ, ყველა არ გაბატონდა! ჩამოვლენ აქ და აღარ იციან, რად მოგვაჩვენონ თავი. გაქსუებული ბურჟუები. მე რა, ადამიანი არ ვარ? ეს თქვენთვისაა. უსაქმურებისთვის დასასვენებელი სასლი, ჩემთვის კი სამსახურია. აღარ შემიძლია თქვენი კაპრიზების ატანა. მთელი სიცოცხლე შავი მუშასაეით ვშრომობ, დამიჯდებით აქ და მელაბღანდარავებით, ეითომ რამეს წარმოადგენთ.

– მეც მთელი სიცოცხლე ვშრომობ. – მოსუცმა ამაყად შესედა და თავის ქიცინს შესამჩნევად უმატა, – მიუსედავად იმისა, რომ ავადმყოფი ქალი ვარ, ვშრომობ და, აი, ძლივს მოვსვდი დასასვენებელ სასლში და მინდა ისე მომემსახურონ, როგორც მეკუთვნის. ამ საგზურში ასოცი მანეთი იმისთვის კი არ გადავისადე, თქვენთან რომ ვიჩხუბო, მეც ისეთივე ადამიანი ვარ, როგორც თქვენ.

– ადამიანი კი არა, ქურდები სართ სუყველა. – მიასალა ოფიციანტმა, – ასოცი მანეთი, ჰმ, საიდან გაქვთ დასასვენებლად გადასაყრელი ასოცი მანეთი?

– როგორ თუ საიდან? ეს ჩემი პენსიაა.

– მერე, საიდან გაქვთ ამსელა პენსია, ქურდი თუ არ სართ?!

მოსუცმა აღშფოთებისგან ბლუყუნი დაიწყო, თავი ქნევისგან მოწყვეტაზე ჰქონდა. მდგომარეობის განსამუსტავად, ვიღაც შავულვაშიანმა კაცმა ოფიციანტს სასელობე დაქაჩა და ღიმილით ჩუმად უთხრა:

– ამ მაგიდაზე ერთი ჭიქა ყოველთვის აკლია, მაწონი ვერ დამილევია.

– კომპოტს რომ დალევ იმ ჭიქაში ჩაასხი მაწონი.

– მე ჯერ მაწონი მინდა.

– ჭიქები არ გვყოფნის, მე შენთვის საკუთარი მოვიტანო სახლიდან?!

– მდოგვიც არ არის, სოსისი რითი ვჭამოთ? – იკითხა სხვამ.

– მდოგვიც მომინდომე. ლუდსანაში კი არ სარ, აზიატები.

ამ კინკლაობით ნიკოს მაგიდამდეც მოაღწია და დაღვრემილი მამაკაცი და შეშინებული ქალი რომ დაინახა, შეიცხადა?

– თქვენ კიდევ აქ სართ? აბა, სასწრაფოდ, მოუსვით აქედან.

– მოიცა, ტოსია, – შეევედრა კაცი.

– თქვენი გულისთვის, სამსახური უნდა დავკარგო?

– ტოსია, მოგვეცი რამე, გვაჭამე და წავალთ.

– ჩემგან ვერაფერს მიიღებთ. რომ მოვბრუნდები, აქ აღარ დამსვდეთ.

ტოსიამ კერძები მაგიდაზე დაალაგა და ნიკოს მოულოდნელად კეკლუცად გაუღიმა.

– აი, მენიუ, ამოირჩიეთ, რაც გნებავთ, ერთი დღით ადრე შეგიძლიათ შეუკვეთოთ.

– გმადლობთ.

– არაფრის, ჩვენთან მომსახურება მაღალ დონეზეა, – და თეძოების ნაზი რხევით, ურიკა სხვებისკენ გააგორა. მეგობელი მაგიდიდან სასენაყვავილარი კაცი გადმოიხარა.

– ეს რა ხდება, ვასილი? რა სალხია, ნამუსი არა აქვთ.

– შენც არ დაწერე ჩემზე საჩივარი?! – უსაყვედურა ვასილიმ.

– მე რა, მე უბრალოდ დავწერე, ღამე სვრინავს და არ მაძინებს-თქო.

სასადილოში უეცრად სმაური შეწყდა, კართან მაღალქუსლიან კოვბოურ ფესსაცმელზე შემდგარი, ნიკოსთვის უკვე ნაცნობი, შავსათვალიანი იდგა და ქანაობდა. სელები ფეხების გასწვრივ ოდნავ განზე პქონდა ჩამოშვებული. გეგონებოდათ, ასლა ორივე ჯიბიდან რევოლვერს ამოიტაცებს და დარბაზს დაუშენსო. ხალხის თვალიერებას რომ მორჩა, რაღაც მანერული სიარულით, დარბაზი გადაკვეთა, და სამგზარეულოში შევიდა. იმავე წამს ვასილი და ნიკოს მეგობელი ქალი წამოდგნენ, თავები დასარეს და, გამოუმშვიდობებლად, კარისკენ გაძუნძულდნენ.

ნიკომ თავის პირდაპირ მჯდომ ქალიშვილს კითხვით შესედა.

– ესენი გააგდეს?
– დიას.
– და, რა მოსდა?
– არაფერი, უბრალოდ, ერთად იყვნენ ოთახში.
– მერე რა?
– არაფერი. ის, რომ შავსათვალიანი სევერი თუ სევერიანე, რომ ჰქვია, ახლა რომ შევიდა სამმარეულოში, ოთახში შევარდა მათთან... კარი შეუმტვრია...
– რამეს აკეთებდნენ... მმმ... ისეთს?
– არ ვიცი... სვამდნენ,
– სმა აკრძალულია?
ბოგოს გაეცინა, ნიკომაც გაუღიმა.
– ბარში ხომ იყიდება სასმელი?
– მხოლოდ ძვირი კონიაკი... ერთი ჭიქა...
– კი მაგრამ, ბავშვებივით რატომ უთვალთვალებდნენ? რა უფლება აქვთ?
– აქ ასეა მიღებული.
– ღმერთო დიდებულო, – გაიცვირვა ნიკომ, – მიეიდნენ დირექტორთან, ნორმალურად ადამიანურად დაელაპარაკონ.
– უარესია, მერე სევერიანე არ გაახარებთ.
– ვინ არის ეს სევერიანე, რას წარმოადგენს?
– არავინ არ იცის, მგონი საბილიარდოს გამგეა.
– ვინ ეკითხება მერე, საბილიარდოს კარის დარაჯს. მე თვითონ მივალ დირექტორთან და კაცურად დაველაპარაკები. ეს რა უკანონობა ხდება ამ სასლში?
– არა, არა, საჭირო არ არის. დირექტორი ძალიან კეთილი ადამიანია და არ აწუსებენ.
– კარგი სიკეთეა, ყოველდღე თუ გარიცხვის ბრძანებებს იძლევა.
– ეგ მხოლოდ სელს აწერს. წაუკითხავად, ნერვიულობას ერიდება. თანაც, მორიგეს უკვე მოელაპარაკნენ, წერილებს ვასილის და ლუდას სამსახურში არ გადააგზავნის – აქეე ჩუმად დახევს. დირექტორთან მისვლით საქმე შეიძლება უფრო გამწვავდეს.

– საჭმელიც არ აჭამეს, – ჩაიბურტყუნა ნიკომ. – როდის მოსდა ეს?

– გუშინ, საღამოს. მთელი დღე იმალებიან. ვერ წავიდნენ.

– რატომ?

– თეითმფრინავის ბილეთის ფული არ ჰქონდათ. გადმოუგზავნეს, მაგრამ ჯერ არ ჩამოსულა.

– მე მივცემ, რამდენი აკლიათ?

– უკვე მივეცი.

ნიკომ გოგოს სსვა თვალით შესედა.

– მე ნიკო მქვია.

– მე – ნატაშა.

– ნატაშა... რითი ერთობით აქ, ნატაშა?

– ექსკურსიები, ბარი. ყოველ საღამოს კინო. მე ძალიან მიყვარს ზღვა. მთელი დღეები ვცურავ.

– ამ სიცივეში?

რა სიცივეა, – გაიცინა ნატაშამ, – სიცივის გეშინიათ?

– არა, არ მეშინია, მაგრამ ლოგინში სათბურით ძილი მიყვარს.

ნატაშა ნამად უღიმოდა. რა უნდა, რის თქმას ელის ჩემგანო, ფიქრობდა ნიკო.

– პო, საწყლები, ცოდონი არიან, – გაისსენა კელავ ვასილი და ლუდა.

– პო, ცოდონი არიან.

– მოდით, დღეს, კინოში დაგპატიჟებთ. რა ფილმია ხომ არ იცით?

– არავითარი ფილმი არ არის. დღეს დილით დამსვენებლებმა პიონერთა ბანაკში ექსკურსიაზე უარი თქვეს და ყველა დაგვსაჯეს – დღეს ფილმს არ გვაჩვენებენ.

– გაგიჟდება კაცი... მაშინ, ბარში ავიდეთ.

– კარგი.

– უკვე ივასშმეთ?

– დიას.

– წავედით.

ლიფტმა, ყოველგვარი თავგადასავლის გარეშე, მეათე სართულზე აიყვანა. იმ პატარა ჰოლში აღმოჩნდნენ, რომელსაც რამდენიმე საათის წინ ნიკო ზემოდან დასცქეროდა. ბარში შესასვლელი, მოოქროვილი ლითონით მოჭედილი, მუხის მძიმე კარი მოულოდნელად იოლად გაიღო. გრძელ, ნასევრადჩაბნელებულ ოთახში აღმოჩნდნენ. დინამიკებიდან გამოვარდნილმა ძალიან ხმამაღალმა დისკომუსიკამ ისინი უცებ გათიშა ერთმანეთისგან.

ორ რიგად ჩამწკრივებულ მაგიდებს დაბლა დაშვებული, პლასტმასის, წითელაბაკურიანი ნათურები სამად ანათებდა. არავინ არ ცეკვავდა. მითუმეტეს ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. მუსიკის ტალღები იმდენად მკვრივი იყო, რომ შიგ გაცურვა შეიძლებოდა.

კუთხეში მყუდრო ადგილი ამოირჩიეს. ნატაშა მაგიდას მიუჯდა, ნიკო, ბარის სიღრმეში, განათებული დახლისკენ გაეშურა.

– თუ შეიძლება...

ბარმენი მისკენ ზურგშექცევით მაგნიტოფონთან იდგა და ხელში რაღაც ჭურჭელს ანჯღრევდა.

– მაპატიეთ, – უფრო ხმამაღლა დაუძახა ნიკომ, – ერთი წუთით...

ჯიბიდან შაურიანი ამოიღო და შავ, სარკესავით პრიალა, დახლზე დააკაკუნა. ბარმენმა მოხედა, ნიკაპი მაღლა ასწია, რა გინდაო.

– რა ღვინო გაქვთ?

– რაო?

– ღვინო არ გაქვთ, ღვინო? – იყვირა ნიკომ.

ბარმენმა მაგნიტოფონს ჩაუწია და წყნარად უთხრა.

– არა, ღვინო არ გვაქვს.

– აბა, რა გაქვთ? – ყვირილისგან თავი ვერ შეიკავა ნიკომ.

– კონიაკი, კოქტეილი – „მეათე ცა", ყავა, მანდარინის წვენი, შოკოლადი.

– შამპანური? – სმას დაუწია ნიკომ.

– არა, მარტო კონიაკი.

– არაყი?

– მარტო კონიაკი.

– აბა, კოქტეილს როგორ აკეთებთ, არაყი და შამპანური არ

გჭირდებათ? ლიქიორი?

– ეს კოქტეილისთვისაა. გაყიდვაში არა გვაქვს.

ნიკო დაფიქრდა.

– ორი კოქტეილი, ორი ყავა და ერთი შოკოლადი.

– ორი კოქტეილი არ შეიძლება.

– ორნი ვართ.

– აბა?

ნატაშა შუა ბარში მარტო ცეკვავდა. სელებგაშლილი, გრძელი ნაბიჯებით, მსუბუქი, პლისირებული ჩითის კაბის ფრიალით, ოთახის ერთი ბოლოდან მეორეში გადადიოდა, იქ თითის წვერებზე ტრიალებდა და უკან ბრუნდებოდა. მერე, კვლავ ბარის შუაგულში, სელებისა და ტანის ძლიერი რხევით, კოსტა, დაბალქუსლიან ფეხსაცმელებს იატაკს უბაკუნებდა და ისევ კაბას აფრიალებდა. ნიკოს მზერას რომ წააწყდა, ფართოდ გაიღიმა, თვალები გაუცისკროვნდა და მოკლე წარბები, შეკითხვით და მოლოდინით, მაღლა აბიდა, ნიკოს გაეცინა.

ბარმენი მიბრუნდა, მაგნიტოფონს აუწია – დინამიკები მთელი სიძლიერით ასმიანდნენ. სანამ კოქტეილს მოუმზადებდნენ, ნიკო, იქვე, მაღალ სკამზე შეჯდა, სიგარეტს მოუკიდა და ნატაშას მსარეს გაისედა.

სკამებიდან ნელ-ნელა წამოდგნენ. რამდენიმე წყვილმა გაუბედავად ცეკვა დაიწყო. ნატაშა მათ, როგორც სალონის დროშებს, მსრების აქეთ-იქით მოძრაობით, გვერდს უვლიდა.

ნიკომ ყავა, შოკოლადი და კოქტეილები მაგიდაზე გადაიტანა. მის წინ სასეზე ალმურმოდებული ნატაშა დასკუპდა.

– მოდით, ვიცეკვოთ.

– რა თქვით? – ყური მიუშვირა ნიკომ.

– ცეკვა არ გინდათ? – სმამაღლა ჩასძახა ნატაშამ.

– არა, ცეკვა არ მიყვარს, მაგრამ სიამოვნებით გიყურებდით, მშვენივრად ცეკვავდით, – ყვირილით უპასუსა ნიკომ.

ნატაშამ გადაიკისკისა და გაკვირვებული თვალებით მიაშტერდა.

„რა უნდა ამ ოსერს“? ნიკომაც წარბები მაღლა აბიდა და ნატაშას

გაკვირვებულმა შესედა, ორიეეს გაეცინა.

– გაგიმარჯოთ!

– რაო? – ვერ გაიგო ნატაშამ.

ნიკომ ჭიქა ასწია.

– აპა, გმადლობთ, – თავი დაუქნია გოგომ. – თქვენც გაგიმარჯოთ.

– ჩვენი გაცნობისა იყოს.

– რაო?

– ოოპ, – ნიკომ კოქტეილიანი მაღალი ჭიქა მთლიანად გამოსცალა.

ნატაშამ გაიცინა და თვითონაც ცოტა მოსვა.

ბარში სეევრიანე შემოვიდა, ფესები გესტაპოელივით გაჩაჩსა და ქანაობა დაიწყო. მოცეკვავეები თავიანთ მაგიდებს დაუბრუნდნენ.

– მოდით, გღვაგზე გავისეირნოთ.

ნატაშა პასუხს არ დაელოდა.

ვესტიბიულში მორიგემ ისინი ეჭვიანი მგზერით გააცილა. დამსვენებლებსაც, რომლებიც ტელევიზორთან ისხდნენ და იმუნურ დეფიციტზე, ჰომოსექსუალიზმზე და შემაშფოთებლად გაერცელებულ პროსტიტუციაზე ძალიან საინტერესო გადაცემას უყურებდნენ. მათი ერთად ყოფნა მსედველობიდან არ გამოპპარვიათ.

ბილიკზე თეთრი სრეში იყო დაყრილი. ნეონის ნათურებით განათებულ ყვავილების კლუმბებს ჩაუარეს. სიბნელეში რამდენიმე ბეტონირებულ კიბეზე ხელისელჩაკიდებულნი ჩავიდნენ. ნიკომ ფეხქვეშ რბილი ქვიშა იგრძნო.

გარშემო უკუნი ღამე იდგა. მთვარე და ვარსკვლავები არ ჩანდა. სადღაც, ასლოს, ტალღების შრიალი და კენჭების ბაუბედავი რიკრიკი ისმოდა.

ნატაშამ წაიბორძიკა, მკლავზე ხელი მოუჭირა. ნიკო მას ვერ სედავდა, მაგრამ გოგოს სსეულის სითბოს, რაღაც მშობლიურს და მასლობელს, ამ ბნელ სიმარტოვეში, მთელი არსებით გრძნობდა, სმას არ იღებდნენ...

უეცრად პროექტორის შუქმა მთელი სანაპირო ცისფრად გაა-

ნათა. ნატაშას, ამ სილამაზისგან, აღტაცებით აღმოხდა:

– რა მშვენიერია!

ზღვასთან ძალიან ახლოს იდგნენ. მოცლე და პატარა ტალღები ფეხსაცმელების წვერებთან უქაფდებოდათ. სხვადასხვა ზომის კენჭები ცისფრად აფერადდნენ.

სინათლის ზოლმა მათ თავებს გადაუარა და სშირი ფიჭვნარის მიღმა ჩაიკარგა.

ნიკომ ტანსაცმლის შარიშურს დაუგდო ყური, ნატაშა კაბას იხდიდა.

– მე უცებ, – თქვა მან და, სმადაბალი შეძახილით და კმაყოფილი ოსვრით, წყალში დგაფუნით შევარდა.

კვლავ ჩართეს პროჟექტორი. სინათლე ზღვის ჰორიზონტიდან მათკენ გამოემართა. ნატაშა წყალში მთლიანად გამოჩნდა, შიშველი იყო. „ჰაიდა!“ გაიფიქრა ნიკომ. ნატაშა უღიმოდა, თან ხელებს და ფეხებს ისე ამოძრავებდა, რომ ერთ ადგილას გაჩერებულიყო.

– თქვენ არ იბანავებთ?

– არა, გმადლობთ, სელაპების ჯიშის არა ვარ.

სინათლე კვლავ ფიჭვებში გაუჩინარდა.

– მერე, როცა წყლიდან ამოდიხარ, ძალიან სასიამოვნოა, – უთხრა ნატაშამ სიბნელიდან, – ჰაერი უფრო თბილია. ერთხელ უნდა გაბედოთ.

– მე სრულიად კმაყოფილი ვარ ჩემი მდგომარეობით. – ჩაიცინა ნიკომ.

ხრაშა-ხრუშით მათკენ ვიღაც მოემართებოდა. ფარნის შუქი ქვიშაზე დაეცა მრგვალად და მერე ნიკოს სახეში მიანათეს. თვალები ხელით მოიჩრდილა.

– რა არის, ვინ არის?

ამ დროს პროჟექტორი კვლავ ჩართეს. ნიკომ ორი ჯარისკაცი დაინახა. მათ თავის მსრივ ნატაშა შეამჩნიეს.

– ბანაობა აკრძალულია, – უთხრა ერთ-ერთმა მესამღვრემ და, პროჟექტორი რომ ჩაქრა, ფარნის შუქი ნატაშას მიუშვირა, – ამობრძანდით წყლიდან.

– მომაშორეთ სინათლე. – ქალიშვილმა სასეზე ხელი აიფარა.

– გამოდით წყლიდან, – არ მიაქცია ყურადღება მის სიტყვებს მესაზღვრემ.

ნატაშა ნაპირისკენ გამოცურდა.

– რატომ არ შეიძლება ბანაობა? – იკითხა გაკვირვებულმა ნიკომ.

– საღამოს და ღამე სანაპიროზე ყოფნა აკრძალულია.

– რატომ, რომელი კანონით?

– მოდით, ბევრს ნუ ვილაპარაკებთ. თქვენ კი, ქალიშვილო, დროზე ჩაიცვით და წაბრძანდით ორივე აქედან.

– პირდაპირ საოცარია, – მსრები აიჩეჩა ნიკომ, – ყველაფერი აკრძალულია.

– არ არის საჭირო ზედმეტი ლაპარაკი.

პროექტორის შემდეგმა სსვიემა უკვე ცარიელი ნაპირი გაანათა. ისინი დასასვენებელი სახლის შუშის ჩაკეტილ კართან იდგნენ. ნატაშას კბილები აუკაწკაწდა. სისველისგან, გამჭვირვალე კაბა შიშველ სხეულზე მისწებებოდა. ნიკომ უნებურად ხელი მოხვია. მკერდით მისი რბილი, მინდობილი მსარი იგრძნო.

– ცივა?

– არა, უეცრად გამაკრკოლა, – ღიმილით ახედა ნატაშამ. თმა ხველ კულულებად ჰქონდა ჩამოშლილი. გაფერმკრთალებული ტუჩები გახსნოდა და ნიკოს საკოცნელად ეპატიჟებოდა.

ნიკომ შენობაში შეისედა, მორიგე ქალი შეამჩნიდა და თითით დაუკაკუნა. მორიგე ადგილიდან არ დაძრულა. ნიკომ შაურიანი ამოიღო და შუშაზე ნერვიულად, შეუწყვეტლივ აკაკუნა. ქალი, როგორც იქნა, წამოიბლაბნა, კარს განტად მიუახლოვდა. დიდსანს, ნაწყენი იერით აღებდა.

– ხომ იცით, თერთმეტის მერე კარი რომ იკეტება. ეს პირველი და უკანასკნელი იყოს.

– კი, მაგრამ, ჯერ, ალბათ, ათი საათიც არ არის.

– არა აქვს მნიშვნელობა, ხომ შეიძლება დაგეგვიანათ. მერე აღარ შემოგიშვებდით.

– გაჩუმდით, – უეცრად შეუღრინა ნიკომ, – მისედეთ თქვენს

საქმეს. დაგვანებეთ თავი.

ქალს შეეშინდა.

– კარგი, კარგი, ჩუმად ვარ.

ლიფტში ჩასხდნენ. ნატაშას გადასედა. იგი ღიმილით და მოლოდინით შესცქეროდა, ნიკოს გაეცინა.

– წამობრძანდით, ერთი ბოთლი შამპანური მაქვს ოთახში.

– კარგია, – შესცინა ნატაშამაც.

არეულობისთვის ბოდიში მოისადა. სანამ ნატაშა აბაზანაში თავს წესრიგში მოიყვანდა, ჩემოდნიდან ამოყრილი ნივთები თაროებზე დაასარისხა და ტელევიზორი ჩართო.

აბაზანიდან ნატაშა ნიკოს საბანაო სალათით გამოვიდა. ნიკოს ესიამოვნა. მაგიდას შემოუსხდნენ.

– შამპანური გიყვართ? – ნიკომ ბოთლზე საცობის მოხსნა დააპირა.

– ვგიჟდები, – გაიცინა ნატაშამ.

ამ დროს კარზე დაკაკუნეს.

– ვინ არის?

კაკუნი განმეორდა.

– მობრძანდით, – გასძახა ნიკომ.

კარს სელი ჰკრეს და გააღეს. დერეფანში ფესებგაჩაჩხული, დოინჯშემოყრილი სევერიანე იდგა და ქანაობდა.

***

– რაზე ფიქრობ?

– რა უცნაურია, ამ ყურეში ზღვა არასოდეს ღელავს. იქით კი, ნასე, ჰორიზონტი დარღვეულია. იქ რაღაც ხდება. წყალიც შავია.

ნატაშა დაისარა, პატარა, ბრტყელი კენჭი აიღო, ბიჭივით მოსერხებულად ისროლა და წყლის ზედაპირზე აასტუნავა. დღეს თბილად ეცვა – სელით ნაქსოვი ჯემპრი, რომბის ფორმის სსვადასსვა ნაჭრებისგან შეკერილი ჭრელი კაბა, სქელი ყავისფერი წინდები და ისევ ის, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი.

– ნატაშა!

— დიას.
— გათსოვილი სარ?
— არა... გავეყარე.
— რატომ?
გოგო ღიმილით მიუბრუნდა.
— შენ გაინტერესებს?
— არ ვიცი.
— ჩემს ქმარს გადავუყვარდი.
— შენ?
— მე კიდევ დიდსანს მიყვარდა... ძალიან უიმედოდ ვარ შეყვარებული, — გაიცინა ნატაშამ, — სულ იმ ერთადერთ მამაკაცს ვეძებ, მუდამ მარტოსულად დავდივარ... მთლიანად ვისარჯები სიყვარულში... ალბათ ამიტომ ქმარსაც მოვებეზრდი. უკან დასახევ გზას არ ვიტოვებ და, მერე, საშინელი განცდები მაქვს.
ელაპარაკებოდა გულახდილად, როგორც ძველ მეგობარს, ელაპარაკებოდა მის ერთგულებაში დარწმუნებული.
დილით ავტობუსით რაიონის ცენტრში ჩავიდნენ. ნატაშამ ფოსტიდან სახლში დარეკა. შემდეგ ბაზარში იყვნენ, სულგუნი ჭამეს, თხილი იყიდეს და თითო ჭიქა ქაფქაფა რძე დააყოლეს.
ბარში ყავა დალიეს. ნატაშამ იცეკვა. საცეკვაო მოედანზე მარტო ტრიალებდა. ყოველ კოსტა ილეთზე ან შემობრუნებაზე, გაკვირვებული თვალებით და მოლოდინით ნიკოს უღიმოდა.
ნავსაყუდელთან, კაფეში ისადილეს, ნაყინი იყიდეს და გადაწყვიტეს, დასასვენებელ სახლში ფესით, ზღვის ნაპირით წასულიყვნენ. ჯერ მათ მარჯვნივ მაღალი ფიჭვის ტყე იყო, მერე — დაბალი ბზის სერტყი.
— დილით ვის ელაპარაკე ტელეფონით?
— მამაჩემს... მამაჩემი ლოთია, — მოულოდნელად დაამატა გოგომ.
— მერე რა, ყველა სვამს, — შეარბილა პორტრეტი ნიკომ.
— ჰო, დედამ მიგვატოვა... სხვასთან წავიდა... და ძალიან კარგი. მამა ჩემზე გიჟდება. მეც მიყვარს, საერთოდ მამაჩემისნაირი კაცები მიყვარს... უსუსურები, მოსავლელები... არაფერი არ იცის, არაფრის

გაკეთება არ შეუძლია. ერთსელ ქუჩაში ძაღლი იპოვა... უჯიშო, ჭუჭყიანი, რაღაც საშინელება... მე მგავსო იძახის, ჩემისთანა მარტოსელაა, ჩემსავით არავის ჭირდება და ბარემ ჩემთან ერთად იცხოვროსო... მეც უსუსური ვარ, მეც არაფერი არ ვიცი... მე, მამაჩემი და ძაღლი კარგად ვგრძნობთ თავს, მაგრამ... – ნატაშა ღიმილიანი და მომლოდინე თვალებით მიაჩერდა, – მაგრამ სულ ვიღაცას ვეძებ... კიდევ ვიღაცას...

მოლაპარაკებულებივით, ბზის ტყეში შევიდნენ და, თითქოს სპეციალურად მათთვის დადგმულ, სისძელებიან, გრძელ, ფერად სკამზე ჩამოსსდნენ. ნიკომ სელები მოხვია. ნატაშამ უეცრად აკოცა, თავი უკან გადააგდო და, ვითომ თავისი საქციელით გაკვირვებულს, თვალები დაუმრგვალდა. ნიკომაც, თავისი იერით, იგივე განცვიფრება გამოხატა. ცოტა სანს ასე მიშტერებოდნენ ერთმანეთს.

– ე, – თქვა ნიკომ, – შენ რა, ჩიტი სარ? რას ჩამინიკარტე, კოცნა არ იცი?!

ნატაშამ სმამაღლა გაიცინა.

ვიღაცამ ბზის ტოტები გადასწია, თავი შემოყო, მერე მთლიანად შემოძვრა, წელში გაიმართა, თავზე კოკარდიანი ქუდი დაისურა და მათ წინაშე სახეგასპეტაკებული მილიციელი აღმოჩნდა.

– რატომ არღვევთ საზოგადოებრივ ადგილებში საზოგადოებრივ წესრიგს? – მწყრალად იკითხა მან.

– რას ვაკეთებთ ასეთს? – წამოდგა ნიკო.

– ვიცი, რასაც აკეთებდით.

– რა არის ამაში ცუდი? ვკლავ ვინმეს, ვასრჩობ, თუ?

– წამოდით ჩემთან ერთად. წამოდით და თქვენი ქალბატონიც წამოიყოლეთ. ჩამობრძანდებიან აქ, რყენიან მთელ ადგილობრივ მოსახლეობას.

– მოითმინეთ, რა დავაშავეთ?

– ადგილზე გავარკვევთ. წამოდით, ნუ მაიძულებთ, რომ!...

ნიკომ მკლავში ხელი მოჭიდა და გვერდზე გაიყვანა.

– ადამიანურად არ შეიძლება დაველაპარაკოთ ერთმანეთს?!

– თქვენი საბუთები?

ნიკომ საკურორტო წიგნაკში შეუმჩნეველად სუთმანეთიანი ჩადო, მილიციელს გადასცა და თვითონ ნატაშასთან მივიდა.

ცოტა ხანში მილიციელმა საბუთი დაუბრუნა.

– წადით აქედან, ასეთი რამ მეორედ არ განმეორდეს.

ინციდენტი ამით ამოიწურა. გუნებაგაფუჭებულნი და გაჩუმებულნი დასასვენებელი სახლისკენ გაემართნენ.

დასასვენებელი სახლი ყურეს ნაპირზე დგას. აქ ზღვა არასოდეს ღელავს, წყალი წყნარი, წმინდა და გამჭვირვალეა. იქით კი, ჰორიზონტისკენ, თითქოს რაღაც გამყოფი ზოლის მიღმა, დარღვეული და ჩამუქებული ზედაპირი ნაცრისფერ ცას შეუმჩნეველად უერთდება. იქ, ორომტრიალში, შესლა-შემოსლაში, ენებათა ღელვაში, სტიქია ბობოქრობს. აქ კი სიმშვიდე, სიგარმაცე, დაუკანონებელი წესრიგი და ფერადი კენჭებია. ჩაყარე ფეხები თბილ წყალში – გესიამოვნება.

– წამოდი, შამპანური დავლიოთ. ხომ დაგვრჩა.

– შენ გინდა? შესცინა ნატაშამ.

ამ სიტყვებს (შენ გაინტერესებს? შენ გინდა?) ნატაშა ისეთი გახსნილი გულით, ისეთი ენებით ამბობდა, რომ ნიკოს მთელ სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელი უვლიდა – შენ თუ გინდა, ჩემო კარგო, ჩემო ტკბილო, ჩემო საყვარელო, შენ თუ გინდა!...

ოთახში ავიდნენ, ის იყო ნიკოს შამპანური უნდა ჩამოესხა, რომ კარს უცერემონიოდ ხელი ჭერეს – დერეფანში სევერიანე იდგა.

ნიკო ფეხზე წამოიჭრა, ჩქარი ნაბიჯით დერეფანში გავიდა, კარი გაიხურა, საკინძეში ხელი ძლიერად ჩაავლო და კედელზე მიაჭყლიტა. კაცს სათვალე იატაკზე ჩამოუვარდა.

– შენ თვალში ხომ არ გეპატარავები. შპალერივით აგაკრავ ამ კედელზე.

სევერიანე სახეზე წამოწითლდა. შემინებული, მაგრამ ცბიერი და ბოროტი ყვითელი თვალები აქეთ-იქით დაურბოდა. ჩამწყდარი, ხრინწიანი სმით სხაპასხუპით დაიწყო ლაპარაკი:

– მე თქვენთვის... თქვენს მხარეზე... მე აქ რომ არ ვიყო... ისეთები ხდება... წესრიგი... უნდა ვუთვალთვალო, თორემ ისეთი

სალხია, — მიედ-მოედებოდა იგი, — მეშვიდე სართულზე ერთი ბებერი კაცი და ქალი ჩაიკეტნენ... არ შეიძლება... ბებერი კაცი, წარმოგიდგენია, ძლივს დადიოდა და ქალები... კარზე ვაბრახუნე. არ გააღო... მერვე სართულიდან თოკით ჩავძვერი, შევვარდი ოთახში. ასე, ქვემოდან, მუშტი ყბაში ვთსლიშე... ეგრეევე გავაგორე გათასსირებული, გარყვნილი... ქალი უნდოდა, არ შეიძლება!... პორნოგრაფია...

ნიკომ შეანჯღრია, კბილები დაუხრჭიალა, სევერიანე გაჩუმდა.

— მეორედ ჩემთან მოსული, ჩემს ოთახში შემოსული არ გნახო, თორემ ჯერ სომ მაგრად გაგლახავ...

— არა, არა, მე შენ მსარეზე ვარ...

— მომისმინე!

ნიკომ პერანგით დაითრია და დერეფანში მოისროლა.

სევერიანე სასწრაფოდ კიბეზე დაეშვა.

ნიკო ოთახში დაბრუნდა. დიდხანს ვერ დამშვიდდა. აქეთ-იქით დადიოდა და მუშტებს კუმშავდა. ნატაშა შეწუსებული სასით უყურებდა. ბოლოს, თითქოს გამოერკვა, გოგოს გაუღიმა, სელები გაშალა, რა უნდა ვქნათო.

— წამოდი, ბარში ავიდეთ.

— მოდი, ავიდეთ, — გაეცინა ნატაშას.

ნიკომ შამპანურის ბოთლს სელი წამოავლო.

ლიფტში სართულების მაჩვენებელი ტაბლო ჩაქრა. ნიკოს ეს ამბავი ეცნაურა. ცოტა ხანში კაბინა აძიგძიგდა, მისი მატარებელი ბაგირი ბოლომდე დაიჭიმა და ღრჭიალი დაიწყო. ნიკომ, პირდაპირ ბოთლიდან, შამპანურის ბარაქიანი ყლუპი გააკეთა, ბოთლი კაბინის ძირზე დადგა და ხელების ერთი აქნევით, განიერი ჯუმპრი ნატაშას თავზე გადააძრო.

— შენ რა, გაგიედი? — შეჭივლა ნატაშამ, — ასლა ჩავვარდებით.

— ჯანდაბას! — ამოიქშინა ნიკომ.

მრუდე სარკეში

პიესა ორ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

ლევანი
ნათელა
ბიჭიკო – ლევანის მშობლები
ნანა – ლევანის საცოლე
გია
პატიეცემული ილია
გურამი
მაკა – გურამის ცოლი
თეა
ცოლი
ქმარი
მსახიობი
ნოდარი
მარინე
მამაკაცი

მოქმედება პირველი

მსატვრის სახელოსნო. ეტყობა ოთახის პატრონი დალაგებისთვის თავს მაინცდამაინც არ იწუხებს. სხვადასხვა დანიშნულების ნივთებს მორის, რომლებსაც შემთხვევით ამა თუ იმ ფერის საღებავი შესებია, საჭიროა ერთი მაგნიტოფონი, ერთი ძველებური (შეიძლება ასლებურიც) ტახტი, ორი ან სამი სამფეხა ტილოგადაფარებული ნახატით და დაბრეცილი სარკე, რომელშიც ახლა ნანა იპრანჭება.

სცენაზე აქა-იქ, ნაგვის სახით, რაღაც ნივთებია დაყრილი, რომელშიც ქექვისას, შეიძლება რაიმე საინტერესო აღმოაჩინო.

ნანამ მაგნიტოფონი ჩართო და კვლავ სარკეს მიუბრუნდა. მერე

სკამზე დაჯიდებული სავერდის ნაჭერი ტანზე მიიზომა, უნებურად ხელიდან გააგდო და თმა შეისწორა.

სცენაზე, კულისებიდან, სადაც სახელოსნოს კარი იგულისხმება, ლევანი შემოვიდა. იგი ღიმილით უყურებს ნანას მანიპულაციებს.

ლევანი – ძალიან ლამაზი სარ!

ნანამ ამაყად გამოსედა.

ნანა – ჰმ, უშენოდაც ვიცი!

ლევანი ნანასთან მივიდა, უკნიდან სელები მოხვია, ნიკაპი მხარზე ჩამოადო და სარკეში შეეკითხა.

ლევანი – დიდი ხანია, მელოდები?

ნანამ ლევანის ხელებიდან უდარდელად გაინთავისუფლა თავი.

ნანა – არა, არც ისე...

ლევანი ტახტზე ჩამოჯდა.

ლევანი – მანქანა ვერ დავიჭირე...

ნანა – არაუშავს, მე აქ მშვენივრად ვერთობოდი.

ლევანი – მოგწონს გიას სახელოსნო?

ნანა – ისე მეკითხები, თითქოს პირველად ვიყოთ აქ.

ლევანი – აჰ, ეს უკვე გკითხე?

ნანა – დიახ.

ლევანი – მერე რაო, რა მითხარი?

ნანა – ცოტა ყურადღებით მისმინე ხოლმე.

ლევანი – მითხარი რა, რა მითხარი?

ნანა პომადას ისვამს და ტუჩები დაძაბული აქვს.

ნანა – ა-რა-ფე-რი.

ლევანი – მითხარი რა?

ნანა – ოოჰ!

ლევანმა თვალები დახარა და გაჩუმდა.

ნანა – გიამ რაიმე ცუდი არ იფიქროს ჩვენზე.

ლევანი – რა უნდა იფიქროს?

ნანა – რა ვიცი... აქ რომ ვსვდებით ერთმანეთს უსერხული არ არის?

ლევანი – რა არის უსერხული, ქვეყანამ იცის ჩვენი დამოკი-

დებულება... გიამ მით უმეტეს.

ნანა – სომ მისდება შეკრეჭილი თმა?

ლევანი – რა თქვი?

ნანა – ვერც კი შეამჩნიე, თმა რომ შევიკრიჭე!

ლევანი – როგორ ვერ შევამჩნიე... ძალიან გისდება... შენ საერთოდ ყველაფერი გისდება. გრძელი თმა, მოკლე თმა, მინი კაბა, მაქსი კაბა.

ლევანმა ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

ნანა – ერთს მოუკიდე და მომეცი!

ლევანმა სიგარეტს მოუკიდა. ნანამ გამოართვა და უსაქმოდ დაიწყო სიარული.

ნანა – თიკას დედამ მოიწერა ამერიკიდან... ცხენისტანიანი კაცი დაუჭერიათ.

ლევანი – ჰიჰ.

ნანა – რა გაცინებს, არ გჯერა?

ლევანი – კარგი, რა ნანა!

ნანა – ჰო, მართალს გეუბნები... მასწავლებლად მუშაობდა სადღაც სოფელში.

ლევანს გაეცინა.

ნანა – ... ცხენის ტანი აქვს და კაცის თავი.

ლევანი – (სიცილით) ჭიპიდან თუ კისრიდან.

ნანა – რა, ჭიპიდან თუ კისრიდან?

ლევანი – (სიცილით) ჭიპიდან აქვს ცხენის ტანი თუ კისრიდან?

ნანა – (ბიზღით) დეგენერატი, ჰო, იცინე, იცინე, ვითომ ყველაზე ჭკვიანი ხარ.

ლევანი – (ხარხარით) ჭისვინებს თუ ლაპარაკობს?

ნანა – (გაცსარებით) აკი გითხარი, სოფლის მასწავლებელია-მეთქი.

ლევანი – ნუ გამაგიეე, ნანა. ეგ, არსად წამოგცდეს, სირცხვილია!

ნანა – (ყვირის) ე.ი. თიკას დედა იტყუება. არა? ე.ი. ამხელა ქალი – თიკას დედა, მატყუარაა, არა?!

ლევანი – არა, მე ეგ არ მითქვამს...

ნანა – აბა, რა თქვი აქ, კრეტინივით რომ იცინოდი?

ლევანი – კარგი, ნანა, ალბათ თიკას დედას შეეშალა. ყველაფერი სდება.

ნანა – (ისტერიული ყვირილით) არაფერიც არ შეშლია. ხომ შეიძლება ცსენისტანიანი კაცი არსებობდეს, შეიძლება თუ არა!?

ლევანი – (შიშით) ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ...

ნანა – (უყვირის) შეიძლება თუ არ შეიძლება?

ლევანი – არა, შეძლებით, რა თქმა უნდა, შეიძლება...

ნანა – ჰოდა, ასე!

ნანა ქმენით ჯდება ტასტგე და მეორე სიგარეტს უკიდებს. ცოტა სანს ასე ჩუმად სხედან გვერდი-გვერდ. ლევანს ეღიმება და ხელს ხვევს, მაგრამ ნანა უკმაყოფილოდ თავისუფლდება მისგან და კვლავ უსაქმოდ სიარულს იწყებს.

ლევანი – (მორიდებით) რას აკეთებდი დღეს?

ნანა – დილიდან მკერავთან ვზივარ... დეკოლტე ვერ გამიკეთა. ვუთხარი, პატარას ნუ ამოჭრი თქო... სხვა მკერავს უნდა წავუღო... ეს მამაჩემივით მარიგებს ჭკუას. ასე ღრმა დეკოლტე ვის გაუგიაო, ასე მოკლე კაბაში სიარული სირცხვილიაო... თუ მომინდა, სულ შიშველი ვიკლი.

ლევანი – მართალია, მაგრამ ვინმეს ანგარიში ხომ უნდა გაუწიო?

ნანა – ნუ გეშინია. ვისაც მინდა, იმას ანგარიშსაც ვუწევ. შენ რა, გრცხვენია ჩემთან ერთად სიარული?

ლევანი – არა, რატომ უნდა მრცხვენოდეს?

ნანა – რა ვიცი, სხვებს ანგარიშს არ უწევო და...

ლევანი ნანასთან მივიდა და ხელები მოხვია.

ნანა განთავისუფლდა.

ნანა – კარგი რა, ლევან, თავი დამანებე, სირცხვილია!

ლევანი – აბა, სად არ არის სირცხვილი.

ნანა – მოკლედ, ახლა არ გინდა... ცუდ გუნებაზე ვარ. იმ დებილმა მკერავმა, თავისი ნოტაციებით, ხუთ წუთში დამაჭკნო. ხომ იცი, კაცები ჩემი გულისთვის ქუჩაში რა დღეში არიან, დღეს კი ერთსაც არ შემოუსედავს. (სარკესთან მივიდა) ნერვიულობისგან თვალები

ჩამილურჯდა.

ლევანი – (უკმაყოფილოდ) თვალები საღებავმა ჩაგილურჯა.

ნანა – თუ გინდა მასეც იყოს, მერე რა? შენ ცოლად გინდივარ თუ მოსამსასურედ?

ლევანი – ჩვენ ყველაფერი ისე გვექნება, როგორც შენ იტყვი. მე არაფერს დაგიშლი. რაც მოგესურვება, იმას გაკეთებ.

ნანა – ჰოდა, ძალიან კარგი! (ბავშვივით გაეთამაშა) ჩემი თბილი ბიჭი, ჩემი ჭკვიანი ბიჭი.

ლევანს გაეღიმა და ნანასთან დააპირა მისვლა.

ნანა – მანდ იყავი, არ მოსვიდე. რად გინდა, ხომ შევთანხმდით? (და ისევ ბავშვივით) დამშვიდდი, შენი ჭირიმე, დამშვიდ-დი.

ლევანი – ასე მგონია, ჩემ დღეში არ მიოცნია შენთვის. ყოველ შესვედრაზე თავიდან ვიწყებ შენთან დაახლოებას.

ნანამ საათს დასედა.

ნანა – ჰოდა, ძალიან კარგი. უფრო საინტერესო არ იქნება, ყოველდღე სიყვარული რომ ამისსნა? (ნანამ სარკესთან მიგდებული ხელჩანთიდან თვალების საღებავი ამოიღო და პატარა ჯაგრისით წამწამების გაშავება დაიწყო) რა იყო, ჩემო ძვირფასო, რამ ჩაგაფიქრა?

ლევანი – საღმე გეჩქარება?

ნანამ სმა არ გასცა. სარკეში კეკლუცობა მოათავა და იქვე დაყრილ ნივთებში ქექვა დაიწყო.

ლევანი – არ გესმის რომ გეკითხები?

ნანა – რამე მკითხე?

ლევანი – საღმე გეჩქარება-მეთქი?

ნანა – რაზე მამჩნევ?

ლევანი – რა ვიცი, საათზე დაიხედე.

ნანა – ხოო...

ლევანი – რა, სოო?

ნანა – არაფერი, საღ უნდა მეჩქარებოდეს?

ლევანი – რა ვიცი?

ნანა – (მოწყენილად) ტელევიზორი მაინც იყოს.

ლევანი – თავიდან იწყებ შენს ნომრებს?

ნანა – (გაკვირვებით) რა ნომრებს?

ლევანი – აი, საათზე დაისედე. მერე – ერთი-ორჯერ კითხვაზე პასუხი არ გამეცი, მერე – ვითომ მოგწყინდა, ასლოს არ მიკარებ, სიტყვას ბანზე მიგდებ. ეს ყველაფერი ხომ ვიცი. რა გინდა, ნერვებს რატომ მიშლი?

ნანა – შენ გიჟი ხომ არ ხარ?

ლევანი – მე რაღა გაგიჟება მინდა? აღარ მოგწყინდა, ისედაც გიჟადა ვარ. ხომ სედავ, შენი გულისთვის ყველაფერს ვაკეთებ.

ნანა – რას აკეთებ ამისთანას?

ლევანი – თავიდან დავიწყოთ?

ნანამ სამაჯური იპოვნა.

ნანა – ვაი, ნახე რა ლამაზია! (ლევანი სასტად დარჩა) ალბათ გიას გაკეთებულია, არა?

ლევანი – (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) ჰო, ალბათ გიას გაკეთებულია.

ნანა – დღეს, შენ მოსვლამდე, თითი გავიკაწრე და პირში ჩაიდო... კარგა ხანს წუწნიდა. (დაფიქრდა) ვუყვარვარ ალბათ!

ლევანს გაეცინა.

ნანა – რა გაცინებს? შენ კი არ მომექცეოდი ასეთი სიყვარულით.

ლევანი – კარგი რა, ნანა.

ნანა – მე შენ გეუბნები, ის ბიჭი, ჩემზე ჭკუას ჭარგავს.

ლევანი – გია ჩემი მეგობარია.

ნანა – მერე რა, სიყვარულმა მეგობრობა არ იცის.

ლევანი – კარგი რა... (გაცსარებით) რომ უყვარდე, ეს სახელოსნო შენი პორტრეტებით იქნებოდა სავსე.

ნანა – (ამთქნარებს) ჰო, კარგი, გვეყოფა... სულ გიაზე ხომ არ ვილაპარაკებთ... არ მინდოდა, გული დაგწყვეტოდა და არ გითხარი, თორემ მართლა წასასვლელი ვარ.

ლევანი – სად და რატომ?

ნანა – სპეკულიანტთან ჩექმებზე.

ლევანი – ჩექმები ხომ გაქვს?

ნანა – კიდევ მექნება.

ლევანი – არ მიყვარს შენზე ჩექმები.

ნანა – ამას ჩემთვის აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა.

ლევანი – რას ნიშნავს, არა აქვს მნიშვნელობა?

ნანა – აბა, შენი ჭკუით ჩავიცვა და დავიხურო?

ლევანი – მერე რა მოხდა? რაღაც ხომ გვაკავშირებს? მე მგონი, რაღაცაში ერთმანეთს უნდა მოვუსმინოთ, დავუთმოთ, როგორ შეიძლება ყოველდღე ჯიჯღინი... ჩექმებზე არ ელაპარაკობ.

ნანა – მერე რას მეჯიჯღინები?

ლევანი – კი, მაგრამ... მომისმინე, ნანა, ყოველდღე ასეა, როდისმე ხომ უნდა მორჩეს ჩვენი ასეთი დამოკიდებულება? ასე მგონია, ბეწვის სიდზე დავდივართ. ყოველი ჩვენი შესვედრა ნერვიულობით და ჩხუბით მთავრდება. უნდა დავუთმოთ ხოლმე ერთმანეთს, რომ მეუბნები, რას მეჯიჯღინებიო, საერთოდ უბატონოდ ვინ გცემს ხმას?

ნანა – რა ვიცი, სიგარეტი არ მოსწიოო.

ლევანი – როდის გითხარი, ნანა?

ნანა – ამ ჭყეტელა და უგემოვნო კაბებს ნუ იცვამო.

ლევანი – ნანა, რას მიგონებ, როდის იყო შენ საქმეებში ვერეოდი?

ნანა – აბა, ჩექმებზე ვინ დაიწყო ლაპარაკი?

ლევანი – კაცო, არ შეიძლება ჩემი აზრი გამოვთქვა?

ნანა – ხომ გითხარი, შენი აზრი არ მაინტერესებს-მეთქი.

ლევანი – რას ნიშნავს, ჩემი აზრი არ გაინტერესებს, რა სისულელეს მეუბნები?

ნანა – სულელიცა ხარ და მეტიც. შენ არ მითხარი, შენნაირად ჩაცმულ ქალებზე ნიანგში ვიგლა ფირცხალავა კარიკატურებს ხატავდაო და ათი წლის წინ შენნაირებს სტილიაგებს ეძახდნენო?!

ლევანი – (გაცსარებით) დიახ, არ იცი, რომ ეძახდნენ! არა, ასე აღარ შეიძლება. ყოველთვის ბავშვივით ჯიუტობა გაგიგია? რამეში მაინც დამეთანხმე ან ამიხსენი, რატომ არ მეთანხმები?.. არა, ახსნით კი მიხსნი, მაგრამ ამას ყოველთვის საფუძვლად ჩემი

ნერვების მოშლა უდევს. ყოველ წამს იმას ფიქრობ, როგორ გამომიყვანო მდგომარეობიდან, როგორ მაეჭვიანო, როგორ გამაცოფო და გამაგიჟო, თითქოს ეს რაღაც სადისტურ სიამოვნებას განიჭებს. ე.ი. მე რომ ცუდად ვგრძნობ თავს, შენ კარგად სარ. მერე, რა საჭიროა იმის თქმა, რომ ქუჩაში კაცები მარტო შენ გიყურებენ? სომ იცი, ასეთი ლაპარაკი და ქცევა მე არ მსიამოვნებს. შენ თუ გგონია, რომ რაც უფრო მეტს მაეჭვიანებ, მით უფრო მეყვარები? პირიქით, ყოველი ასეთი იაფფასიანი საქციელი ჩემში საოცარ პროტესტსა და მიზღს იწვევს... რომ აფახუნებ მაგ თვალებს, რამე თუ გესმის ჩემი ლაპარაკიდან, თუ ისევ ჩექმებთან და დეკოლტეებთან ერთად სადღაც დაფრინავ... გამოთიშე ეგ მაგნიტოფონი, თორემ გადავაგდე ფანჯრიდან.

ნანა – მიდი და გამოთიშე.

ლევანმა ბოროტად ჩაცრა კლავიშს თითი. მერე ნელ-ნელა დამშვიდდა და შუბლზე ხელი მოისვა, თითქოს ცუდი სიზმრიდან გამოერკვაო.

ლევანი – რას ვამბობდი?.. არც კი მასსოვს... რა მნიშვნელობა აქვს... მაპატიე, თუ რამე გაწყენინე... დღეს ბევრი ვიმუშავე. ძალიან დაღლილი ვარ.

ნანა – მორჩი?

ლევანი – (ეცინება) ჰო, მოვრჩი.

ნანა – აბა, წავედი მე ჩექმებზე და, თუ გინდა, მერე დამირეკე.

ნანამ ხელჩანთა აიღო და სცენიდან გავიდა. მარტო დარჩენილმა ლევანმა გუაშის ცარიელ ყუთს ფესი დაარტყა. ყუთი გრიხინით სცენის სიღრმეში შეგორდა. სცენა ბრუნავს.

II

სცენაზე სასტუმრო ოთახია. ერთ მსარეს ტასტია, რომელზეც ლევანი წამოგორებულა და გაზეთებს კითხულობს, მეორე მსარეს – სავარძელი და ტელეფონი პატარა ტაბურეტზე. ალბათ სასტუმროში მაგიდაცაა საჭირო თავისი სკამებით. დანარჩენი ავეჯი

– სურვილის მისედვით. სცენაზე ლევანის მამა – ბიჭიკო შემოდის, თან თავის პერსონალურ სკამს ან სავარძელს მოათრევს. იკი ზომაზე მეტად მსუქანია. უსასელო მაისური და პიჟამოს ზოლებიანი შარვალი აცვია. ნასევრად მთვლემარე ბიჭიკო ოთახის შუაგულში გაჩერდა. მერე თავის შემოტანილ სავარძელში ჩაჯდა და ჩუმი ხვრინვა ამოუშვა.

რეკავს ტელეფონი. სცენაზე ნათელა შემოვიდა და ყურმილი აიღო. ბიჭიკოს სიმსუქნისაგან სუნთქვა უჭირს. ნათელას ნერვები ეშლება.

ნათელა – ალო!... გამარჯობა ქეთო, გენაცვალე... არ გრცხვენია! ღმერთო მომკალი, რა შეწუხებაა! ხო... ხო... ხო... ოჰ, რას მეუბნები (ბიჭიკოს) უუჰ!.. (ტელეფონში) ამ დროს სახლში რა უნდა, ქალო? ხო... არა, ხომ იცი შემოწმებებია. ახლა სამსახურშია. მოვა და ვეტყვი... ოჰ, მაგას ნუ გვკადრებ, შენი ჭირიმე... კარგი, ქალო, ბიჭიკოს მაგი როგორ გაუჭირდება... არა, გენაცვალე, შენ ნუ სწუხარ, ყველაფერი რიგზე იქნება (ბიჭიკოს, ყურმილზე ხელის დაფარებით) ან გადააფურთხე, ან ჩაყლაპე... (ტელეფონში) ჰო... არა, ქეთო მე ტყუილები არ ვიცი. ყველაზე მეტად მატყუარა ადამიანი მეჯავრება... აუცილებლად... ა-უ-ცი-ლებ-ლად... როგორ გეკადრება, ბიჭიკომ რომ გაიგოს, ასეთებს მთავაზობ, გამეყრება (ბიჭიკომ ინტერესით შეხედა ნათელას და კვლავ ხვრინვა გააგრძელა)... შენი პატივისცემით... ჰო... ეჰ, რა ვიცი, რა მიშავს... წნევამ შემაწუხა ცოტა... უჰუ... აგერ, თბილ წყალში მაქვს ფეხები ჩაყრილი... (ლევანმა ფესებზე შეხედა) ტელეფონთან. აბა სად? ტელეფონთან რომ არ ვიღებდე „ვანებს", შენ როგორ გიპასუხებდი?!

ლევანი – აკი, ტყუილი მეჯავრებაო?

ნათელა – რა უშავს, კარგად არის. მე და ბიჭიკოს გვაკრიტიკებს და არის. ხომ იცი, თანამედროვე ახალგაზრდობას არავის პატივისცემა არ გააჩნიათ. ცინიკოსები... ხო, ხო... ახლა რაღაც პიესას წერს და ვნახოთ... ღმერთმა ქნას... არა, ლევანი, შენ თვითონ იცი, ყველასაგან გამოირჩევა, მაგრამ მაინც ძნელია... ხო, კარგი გენაცვალე, კარგი... რისი მადლობა... მომიკითხე თქვენები... ხო...

ნასვამდის... ნასვამდის... კარგი. (ნათელამ ყურმილი დაკიდა და ლევანს მოუბრუნდა საყვედურით) შენი ჭირიმე, როცა ელაპარაკობ, ნუ მეჩხირები სოლმე.

ლევანი – არა, რა ვიცი, ტყუილი მეჯავრებაო და...

ნათელა – ტყუილიცაა და ტყუილიც, ეს ტყუილი არაფერს აფუჭებდა...

ლევანი – ჰო, კარგი, თავი დამანებე.

ნათელა – (გაცსარებით) ძალიან გთხოვ, ენა ნუ შემომაჩვიე, უყურე ამას შენ, სულ არა აქვს დედის პატივისცემა. ჩემთან დიდი გული გაქვს, სსვაგან კი ხმა ვერ ამოგიღია, ყველამ როგორ უნდა დაგჩაგროს? ყველამ ყველაფერში როგორ უნდა დაგასწროს? აქ რომ მაკრიტიკებ, წადი და შენი კონკურენტები გააკრიტიკე... ამას წინათ მითხრეს, რა მრდილობიანი შვილი გყოლიაო. ერთი სასლში გნახონ, რა მრდილობიანიცა სარ და დედას როგორ ელაპარაკები. შენი სნის ბიჭები მრავალშვილიან ოჯახებს არჩენენ. აბა, შენი ძმაკაცები ნახე, რომელი ართმევს დედას ყოველდღე მანეთიანს? მანეთი კი არა, თვითეულს დღეში ასი მანეთი აქვს, აბა!.. მიყურე, ვერ მიცანი? მამაშენი შენსავით დოყლაპია რომ ყოფილიყო, მასე კი არ იქნებოდი ტასტზე წამოგორებული. მუზის მუშაკი, ჰეჰ!

ლევანი – იმ ას მანეთს ყოველდღე სად შოულობენ?

ნათელა – სადაც შოულობენ, რა მნიშვნელობა აქვს? კარგად ხომ ცსოვრობენ? სომ გშურს?

ლევანი – სრულებითაც არა მშურს. პირიქით, მეცოდებიან. არც ერთი ჩემი სალმის ღირსიც არ არის.

ნათელა – ჰოჰ, ვინ სარ ვითომ შენ? ყველა შენ სალამთან ერთად გიყიდიან და გაგყიდიან.

ლევანი – რა გინდა, ფული გაკლია?

ნათელა – არა.

ლევანი – აბა, ჩემთან რა გინდა, კომბინტორი გავხდე?

ნათელა – ის მინდა, რომ წმინდანი არა სარ და მომავალი თუ გინდა გქონდეს, ნორმალური ადამიანივით უნდა მოიქცე.

ლევანი – ე.ი. რა ვქნა, ჩემს საქმეს თავი დავანებო?

ნათელა – მაგას, რასაც შენ აკეთებ, საქმე არ აქვია. ეგ პობია.

ლევანი – პობისთვის ვსწავლობდი უნივერსიტეტში?

ნათელა – პობისთვის კი არა, დიპლომისთვის, და სხვათაშორის, სპეციალობაში ხუთი რომ მიიღე, ის ხუთი მე დამიწერეს, აბა.

ლევანი – ეგ როგორ?

ნათელა – როგორ და, ჩემი და მამაშენის პატივისცემით, აბა ხუთი არ გღირსებია შენ დღეში და ვიფიქრეთ, ერთხელ მაინც გავაფრიადოსნოთ ჩვენი ბიჭი-თქო, მაშ.

ლევანი – ჰოოო... დიდი მადლობა.

ნათელა – არაფრის, ბატონო.

ლევანი – ყელამდე ვარ თქვენი პატივისცემით.

ნათელა – ეჰ, როგორ გეკადრებათ, ეს ჩვენი ვალია.

ლევანი – ნახვამდის.

ნათელა – მომავალ შეხვედრამდე.

ლევანი – ბოლო სიტყვა აუცილებლად შენ უნდა თქვა?

ნათელა – აუცილებლად.

ლევანი – რომ არ გათქმევინო?

ნათელა – ვნახოთ.

ლევანი – ვნახოთ.

ნათელა – ვნახოთ.

ლევანი – ვნახოთ.

ნათელა – ვნახოთ.

ლევანი – ვნახოთ.

ნათელა – ვნახოთ.

ლევანი – ჰო, კარგი, თავი დამანებე.

ნათელა – დანებებული არ ხარ?

ლევანი კედლისაკენ გადაბრუნდა.

ნათელა – ბიჭიკო (ბიჭიკომ თვალის გაუსელად ჩაიღრუტუნა) კაკოს ცოლმა დარეკა, (ბიჭიკომ კვლავ ჩაიღრუტუნა, გისმენო) ძმიშვილი უნდა მოუწყო მაღაზიაში. ბიჭიკო – ოოჰ!

ნათელა – ოჰ კი არა, ამ კრიტიკოსს ვინ დაეხმარა?! მერე, გარაჟზეც კაკოს უნდა სთხოვო. შენ გგონია შენი გენიოსი შვილი

გაანძრევს ხელს? ეგ ტახტი რომ არ მეყიდა, რა ეშველებოდა ამ უბედურს? (ნათელამ ლევანს გადახედა. ლევანმა ყურადღება არ მიაქცია) შენ გგონია სიბერეში მაინც გვეყოლება ვინმე დამხმარე? არა, ისე მანქანა კი უნდა, მაგრამ საქმეს რომ დაავალებ... მოულოდ, შეაყარე კედელს ცერცვი – დედა ელაპარაკება და ზურგი აქვს ჩემსკენ მოშვერილი... გესმის, ბიჭიკო, რასაც გეუბნები?

ბიჭიკო – ჰო.

ნათელა – ეს საქმე თუ არ გაუკეთე, აღარ დაეხმარება ამ ჩერჩეტს. ხომ იცი, ერთი-ორჯერ მოთხრობა დაუბეჭდეს ჟურნალში და დიდი ვინმე ჰგონია თავისი თავი. ის კი აღარ ასსოვს, კაცოს დარეკვით რომ გაკეთდა ყველაფერი... ახლა თავი წმინდანად მოაქვს... უყურე, ყურადღებასაც კი არ მაქცევს, ვითომ არც ელაპარაკობ.

ლევანი – (ნათელასკენ მობრუნდა) რა გინდა, დედა?

ნათელა – რა მინდა და, მაგ რაღაც პიესას რომ დაამთავრებ, იყიდე რამე საჩუქარი და კაცოს მიუტანე. ბავშვი აღარ ხარ, მეყოფა, რაც ვირბინე შენი გულისთვის. ახლა შენ თვითონ მოუარე თავს. მიხვალ და ეტყვი, კაცო ბიძია, მე ნათელას შვილი ვარ-თქო. თუ გახსოვთ, რამდენჯერმე დამესმარეთ და ნუ მომაკლებთ თქვენ მზრუნველ ხელს-თქო. ხომ იცი, როგორც უნდა ელაპარაკო – ზრდილობიანად, მოწიწებით, ახლა მამაშენი მაგის ნათესავს მოაწყობს სამსახურში და ამაზეც გადაუკარი სიტყვა.

ლევანი – არა, მე მაგას არ გავაკეთებ.

ნათელა – რას არ გაკეთებ?

ლევანი – აი, რაც შენ დამისურათხატე.

ნათელა – რატომ?

ლევანი – იმიტომ, რომ ასეთი საქციელი მე არ მეკადრება.

ნათელა – ა, უყურე! ე.ი. თავისი მშობელი დედა აფერისტი გამოჰყავს, თვითონ კი ანგელოზია. დილიდან საღამომდე შენზე ფიქრსა და დარდს ვარ გადამკვდარი და მე გამოგყავარ აფერისტი? გესმის, ბიჭიკო, რას მეუბნება? შენ აფერისტი სარო, ასეთი სიტყვები დედას უნდა ეკადრო?

ლევანი – როდის გითსარი აფერისტი სარ მეთქი?

ნათელა – აბა, რა მითსარი? უარესი არ მითსარი? ღმერთო ჩემო, რატომ შევალიე მთელი ჩემი ასალგაზრდობა ამ უმადურ ადამიანს? როგორ მეგონა, როგორ მეგონა, რომ ყველაფერი დამიფასდებოდა...

ლევანი – გვაცადე ცოტა, იქნებ დაგიფასოთ.

ნათელა – ჩაიმინდე სმა, ერთი ჭკვიანური აზრი არ ამოგსელია პირიდან.

ლევანი – შენი ჭირიმე, თავი დამანებე.

ნათელა – კისერიც გიტესია, მეორედ არ მითსრა, დედა, ეს გამიკეთე, დედა, ის გამიკეთეო. რაც გინდა, ის ქენი, სულ ფესებზე მკიდია.

ნათელა გაბრაზებული გადის სცენიდან. ისმის ზარის ხმა. ლევანი კულისებში გადის და ვიღაც კაცთან ერთად ბრუნდება. ეს კაცი დიდ და. ეტყობა, საკმაოდ მძიმე კალათს მოათრევს. იგი ბიჭიოს წინ მოწიწებით ჩერდება.

ლევანი – მამა!

ლევანმა ბიჭიო შეანჯღრია და კელავ ტასტზე წამოგორდა.

კაცი – გამარჯობათ, გიორგიევიჩ! (ბიჭიომ ზანტად შესედა) ციტრუსი მოგიტანეთ, გიორგიევიჩ, ჩლიქებიცაა საშისთვის, მშარე-ული საღამოს გეასლებათ. ყველას ჩამოვუარე. მეთსუთმეტეს პროდუქტი უფუჭდება და დიდი ბოდიშები გისადათ. მაგრამ ერთი წუთით მაინც შემოვირბენო. ყველას მამა და საყვარელი მშობელი – გიორგიევიჩი როგორ არ უნდა ვადღეგრძელოო. იმან (კაცმა თითი მრავალმნიშვნელოვნად აიშვირა ჭერისკენ) მოვალო! ასლა ბორჯომზე და ლიმონათზე გავიქცევი.

შემოდის ნათელა.

კაცი – გამარჯობათ, ნათელა ოთარევნა.

ნათელა – ოჰ, გამარჯობა შენი.

კაცი – ხომ კარგად, ნათელა ოთარევნა?

ნათელა – ეჰ, კაცმა რომ შემომსედოს, ჩემზე ჯანსაღი ქალი არ არის ამ ქვეყანაზე, მაგრამ ერთი ჩემ ორგანიზმში ჩაგახედა,

როგორ მილპება ყველაფერი, მოულედ, გარედან შელამაზებული მკედარი ვარ.

კაცი – ოჰ, მაგას ნუ იტყვით, ნათელა ოთარეევნა.

ნათელა – შენი პატარები როგორ არიან?

კაცი – არიან რა.

ნათელა – შენსავით მღერიან, ალბათ!

კაცი – არა, მაგის ნიჭი არ გამოჰყვათ, სამაგიეროდ „შასმატს" კარგად თამაშობენ.

ნათელა – რასაც შენ მღერი, ვეღარ ასწავლე?

კაცი – სომ იცით, ნათელა ოთარეევნა, სელოვნება ისეთი რამ არის, რომ რაც მეტად დააძალებ, მით უფრო უნიჭო გამოვლენ. აქ ცოტა ფრთხილი მიდგომაა საჭირო.

ნათელა – მართალი სარ, მართალი... ეგ რა მოიტანე?

კაცი – მანდარინებია, ნათელა ოთარეევნა, ასლა ბორჯომზე მივდივარ.

ნათელა – სანამ წასვიდოდე, ერთი მექსიკურად გვიმღერე.

სტუმარმა ცხვირსასოცი ამოიღო, სკამზე დააფინა, მედ ფესი შედგა, სელებში არარსებული გიტარა მოიმარჯვა, თვალები წარმოდგენილი აივნისაკენ აღაპყრო და ვითომ მექსიკურად – უაზრო სიტყვებით, შეყვირებებით და კივილით, სერენადა იმღერა. ნათელამ თეატრალური პომით ტაში დაუკრა, ლევანმა დედის გაჯავრებით, კოცნა და „ბრავო, ბრავო" გაუგზავნა. კაცმა პუბლიკას თავი დაუკრა.

ნათელა – ტალანტი, ტალანტი!

კაცი – (მორცხვად) წავედი, ნათელა ოთარეევნა.

ნათელა – (კალათზე მიუთითებს) ეგ სამზარეულოში გაიტანე და წადი (კაცი გადის).

ნათელა – საცოდავი.

ლევანი – თუ გეცოდება, რაღას ამაიმუნებ?

ნათელა – რაღას უსმენდი? ვერ უთსარი გაჩერებულიყო? შენ იცი, რომ დედაშენი სამსასურში ამსანაგური სასამართლოს თავმჯდომარეა და ყოველდღიურად სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების დაცვისთვის იბრძვის.

ლევანი – ეგ რაღა სასამართლოა?

ნათელა – რა და, აი, მაგალითად, ვინმე თაღლითი გყავს კოლექტივში. ვცდილობთ სანამ საქმე ცისკენდე მივა, ჩვენვე გამოვასწოროთ. ან, ვიღაცა ვიღაცას წაეჩხუბება და ეს მათ საქმიანობაში სელს უშლის, ე.ი. ამით საერთო საქმე ფუჭდება... პო-და, მაგალითად, გუშინ ორი ერთმანეთს დამდურებული თანამშრომელი შევარიგეთ...

ლევანი – არ ვიცი. ეგეთი სასამართლო არ გამიგია. მე ვგონებ, ქალებს საქმე არ გქონდათ და საჭორაო დრო და ადგილი იპოვეთ.

ნათელა – იცი, რა გითხრა, აი, ზუსტად შინაბერასავით ჯიჯღინებ. მომისმინე ბოლომდე, იქნებ საინტერესო რამეს ეყვები.

ლევანი – (დაღლილად) პო, მართალი სარ, მართალი.

ნათელა – შენ ცოლი აღარ მოგყავს?

ლევანი – აუუ!

ნათელა – არა, სერიოზულად გეკითხები.

ლევანი – რა იყო?

ნათელა – ნანა რომ აღარ ჩანს, სად არის?

ლევანი – სასლშია, ალბათ.

ნათელა – იჩხუბეთ?

ლევანი – რატომ უნდა გვეჩხუბა?

ნათელა – აბა?

ლევანი – რა აბა, რას გადამეკიდე?

ნათელა – დაბერდი უკვე, გესმის, და-ბერ-დი. შენც დაბერდი და ის გოგოც დააბერე. მალე მაგასაც გაუჭირდება გათსოვება.

ლევანი – მერე გათსოვდეს, მე კი არ ვიჭერ.

ნათელა – როგორ გათსოვდეს, როცა შენი საცოლეა!

ლევანი – ოჰ, კარგი რა, დედა, რა გაუთავებელი ლაპარაკი იცი, ჩვენი საქმე შენ სრულებითაც არ გესება.

ნათელა – თუ ნანას დაშორდი, აგერ ლიანა მშვენიერი გოგოა, დიდებული ოჯახიშვილი. გუშინ სწორედ დედამისი შემსვდა და სულ შენზე მელაპარაკა.

ლევანი – ეგ-და მაკლია, მოლაპარაკებით მოვიყვანო ცოლი.

ნათელა – რა მოხდა მერე?

ლევანი – ეგ არ გააკეთო, თორემ სამუდამოდ წაგეჩსუბები.

ნათელა – აბა, შენი მოსაწონი ვეღარ გვიპოვია, ბატონო.

ლევანი – არ იცი, რო.

ნათელა – ჰოჰ, ამის პრანჭიაობამ მომსპო.

ლევანი – მე შენ გეუბნები, ეგ არ გააკეთო, თორემ ინანებ.

ნათელა – ჰოჰ, უცებ არ შემაშინო.

ლევანი – აი, ვნასოთ.

ნათელა – ვნასოთ!

ლევანი – ვნასოთ!

ნათელა – ვნასოთ!

ლევანი – ვნასოთ!

ნათელა – ვნასოთ!

ლევანმა, გაბრაზებულმა, გაზეთები მოისროლა და დედას ზურგი შეაქცია.

ნათელა – (წყნარად) გაზეთები არ დასიო, ჯერ არ წამიკითხავს!

ნათელამ ერთი გაზეთი აიღო და გაშალა.

ნათელა – ბიჭიკო.

ბიჭიკო – ჰმ.

ნათელა – კომეტამ უნდა ჩაუაროს დედამიწას, მისი კუდი ცის ნახევარს დაფარავსო. აგერ სწერია, იანვარშიო... დედამიწას რომ მოსვდეს?

ბიჭიკო – ჰეჰ.

ნათელა – შეიძლება დედამიწა ვერ დაამტვრიოს, მაგრამ დიდი ცეცხლი თუ გაჩნდა, ნახე შენ! იანვარში თოვლი იქნება და ხანძარს ჩააქრობს!? თბილისში სანდასან იანვარშიც არ მოდის თოვლი. შე კაცო, ნუ გადაგვაყოლე, გამოიყვანე ეს მანქანა... მალე გამოიყვან?

ბიჭიკო – ჰმ.

ნათელა – გამოიყვანე და იანვარში წავიდეთ ქალაქიდან.

ლევანი – ძალიან მაგონებ ერთ ადამიანს.

ნათელა – ვის?

ლევანი – არა აქვს მნიშვნელობა.

ნათელა – რადგან დაიწყე. ბარემ ბოლომდე თქვი.

ლევანი – ისიც. შენი ხნის რომ გახდება, ზუსტად შენ დაგემსგავსება.

ნათელა – მომელა ამის რებუსებმა. საკმარისია. წავიყვან, აგერ, ნანას ექიმთან და მოაწერეთ სელი. შეძლებული ოჯახიშვილია. გეყოფა ჩემს კისერზე ჯდომა.

ლევანი – ექიმთან რა გინდა?

ნათელა – როგორ, ქალიშვილი რომ არ იყოს?

ლევანი – (გაკვირვებით) რას ამბობ. დედა.

ნათელა – აბა, შენ რა გგონია, ჩალით არის ეს ქვეყანა დასურული? შენი თანაკლასელი ლალის გამო თავს რომ იკლავდი, აღარ გასსოვს? (ლევანს აჯავრებს) ბავშვობიდან გვიყვარს ერთმანეთი, ლალის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია. ასეთი სუფთაა. ასეთი უმწიკვლო! ქორწილის დღეც კი გქონდათ დანიშნული. რატომ გაგექცა? რატომ გითხრა უარი? სიმართლე რომ გამოვააშკარავე. სომ აღარ გაგიკარა ასლოს? მთელი წელიწადი ჭკუადამთსვეულიეთ დაბორიალობდი – მეშინოდა, საგიჟეთში არ გამისდეს ბიჭი წასაყვანი-თქო. აი, შენი უმწიკვლო სიყვარული – სომ არ აღმოჩნდა ქალიშვილი!

ლევანი – (ფესზე დგება) საიდან იცი? ექიმთან გყავდა?

ნათელა – არა, არ წამომყვა. შეეშინდა. ჩემთვის ისედაც ნათელი იყო ყველაფერი. რამდენი ვესვეწე, დედაშვილურად ვეფერე. როგორ გეკადრებათ ნათელა დეიდაო! მაგი მომატყუებდა მე?! სირცხვილს გადაგარჩინე... (თავისთვის) მომბეზრდა ამ თემაზე საუბარი. ბიჭიო, მიდი მეზობელთან, შეაძლიე რამე. ეგებ უჩხუბრად დაგითმოს გარაჟი, თორემ კაკოსთან ერთი-სამჯერ ძვირი დაგიჯდება. მერე, რად გინდა, რომ კარის მეზობელი მტრად გაიჩინო? არ ჯობია, თვითონ ამას მისცე ფული, ვიდრე...

ლევანი – (ჯერ კიდევ გაოგნებულია. ჩუმად) რას უქნევ თავს, ვერ ხედავ, რეებს გაკეთებინებს?!

ნათელა – ჰო, მე მგონი, ჯობია, რომ კი არ წაართვან, თვითონ

დაგითმოს.

ლევანი – (ეტყობა გამოერკვა. სმამაღლა) სანამ ცისეში ჩაუსვი-სართ, იმ შენს ამსანაგურ სასამართლობე არ გაპყავსართ?

ნათელა – ლევან, შენს თავს ბევრის უფლებას ნუ აძლევ!

ლევანი – (გაცსარებით) საერთოდ წავალ თქვენგან, იცოდე. (მამას) ვერ ამოიღებ სმას? უთსარი რამე, თორემ ცისეში ჩაგვსვამს მთელ ოჯასს.

ნათელა – ლევან, მამას როგორ ელაპარაკები?

ლევანი – რა ვიცი, რომ მამაჩემია?

ბიჭიო ადგა და სკამის თრევით გაეიდა სცენიდან.

ნათელა – როგორ, ჩემი შვილი სარ თუ ბანდიტი, ქუჩიდან შემოთრეული?

ლევანი – რა ვიცი, რომ შენი შვილი ვარ? მე არ მასსოვს და იქნებ „პრიუტიდან" ამიყვანეთ. რითი გგავართ თქვენ – ცსვირით, აღნაგობით, სასის ოვალით, თუ ჭკუის დალაგებით?

ნათელა – ლევან, ლევან, როგორ მელაპარაკები?

ლევანი – (ყვირილით) როგორც დაიმსასურე, ისე.

ლევანი სწრაფად გადის სცენიდან.

ნათელა – ლევან, სად მიდისარ?

სცენა ბრუნავს.

III

გიას სახელოსნო. გია ჩაფიქრებული მის სკამზე (ან დადის, ან დგას, ან ფუსფუსებს ან... და ა.შ.) სასელოსნოში ლევანი შემოდის.

ლევანი – გია, გამარჯობა!

გია – (ცივად) გაგიმარჯოს!

ლევანი – სატავდი რამეს?.. სელი სომ არ შეგიშალე?

გია – არა.

ლევანი სავარძელში ჯდება. ცოტა სანს ჩუმად არიან.

გია – ნანა უნდა მოვიდეს?

ლევანი – არაა!

გია – ისე ამბობ, თითქოს თავის დღეში არ მოსულა აქ.

ლევანი – (სიცილით) არა, ამჯერად მარტო გეასელი.

გია – ჰოო!

ლევანი – არის რამე ასალი?

გია – არაფერი.

ლევანი – წაიკითხე კომეტაზე?

გია – ხო.

ლევანი – მერე?

გია – რა, მერე?

ლევანი – შენ რაღაც გუნებაზე ვერ სარ. მეც არ უნდა ვიყო მაინცდამაინც გაბრწყინებული, მაგრამ ოპტიმიზმი!

გია – და პესიმიზმი!

ლევანი – საოცარია... ყველა მდგომარეობიდან არსებობს გამოსავალი. თავიდან გვეჩვენება, ღმერთო ჩემო, ეს რომ შემემთხვევა – დაეიღუპები, უბრალოდ... უბრალოდ არაფერიც არ მოსდება... ანდა, რაღაც გამოუვალ მდგომარეობაში სარ.....უბრალოდ, უნდა გაიქცე... მოკლედ, განერიდო. ბოლოს აღმოჩნდება – არაფერიც არ დაიღუპები... ცოტა ეგოიზმი. არ უნდა მიაქციო ყურადღება, რომ ვინმეს ეტკინება... ეტკინება და გაუელის. შენ თვითონ ხომ გტკივა? ჰოდა, შენც გაგიელის და იმასაც... შენი პირველი მტერი შენიეე ასლობელია.

გია – ჩემზე ამბობ?

ლევანი – (სიცილით) არა, არა. მე, უბრალოდ, სულ ცოტა მტკივა... ესეც გაიელის.

გია – ნანას წაეჩხუბე?

ლევანი – (ზიზღით) არა, კაცო, ნანა ამ პატარა ტკივილის ღირსიც არ არის.

გია – ე.ი. დაშორდით ერთმანეთს?

ლევანი – ხომ გითხარი – ნანაზე არც მიფიქრია... საერთოდ არ მასხოვს.

გია – ძალიან კარგი.

ლევანი – ძალიან კარგი.

გია – ჰო, ძალიან კარგი, რომ არ გასხოვს – ნანა არ იყო

შენი ღირსი.

ლევანი – ეს როგორ გავიგოთ?

გია – ნუ მიაქცევ ჩემს სიტყვებს ყურადღებას, ვიფიქრე, განშორებას გავუადვილებმეთქი.

ლევანი – სომ გითხარი – ნანა საერთოდ არ მასსოვს.

გია – მით უმეტეს, ე.ი. ჩემი დამშვიდებაც არ გჭირდება.

ლევანი – ნანა არაფერ შუაშია... და საერთოდ, იმდენად განვსხვავდებით ერთმანეთისაგან და იმდენად უმნიშვნელო იყო ჩვენი დამოკიდებულება, რომ არაფერიც არ მიგრძვნია. სრულიად სხვადასხვა სალსი ვართ... არაფერი არ გვქონდა საერთო... რაზე უნდა მელაპარაკა ნანასთან, რა კონტაქტი უნდა დამემყარებინა?

გია – რა ვიცი?

ლევანი – ნანა კარგი გოგოა, მაგრამ ეს კარგი ჩემი არ არის.

გია – მართალი ხარ, მეც არ მესიმპატიურებოდა.

ლევანი – რა ვიცი, გადაყევი თავზე და.

გია – ბიჭო, აბა შენ რას იზამდი ჩემ ადგილზე?

ლევანი – (დაღლილად) ჰო, მართალი ხარ.

გია – დაამთავრე პიესა?

ლევანი – არა, გული არაფერზე არ მიმდის... მერე, რომ არ დადგან, ელეთ-მელეთები მომივა. ასლა ჩემს თავს ვამშვიდებ – ლევან, ნუ ღელავ, მაინც არავინ დაგიდგამს პიესას! ნურავის ნუ აჩვენებ, ნუ წააკითხებ, წერე შენთვის, სანამ არ მოგბეზრდება. ჰოდა ეწერ... მომბეზრდება და დავსევ... ანდა, თუ მაინცდამაინც ძალიან არ მომბეზრდა, მაშინ წავიღებ – დადგამენ – დადგან, არა და – არ მეწყინება.

გია – რაზეა?

ლევანი – აუჰ, ეს რა ბანალურ გულის გადაშლას მთხოვ.

გია – გული რა შუაშია?

ლევანი – ეს ჯერ მხოლოდ ჩემია, თუ გადავწყვიტე, პირველი შენ წაიკითხავ.

გია – (ირონიით) თუ ჯერ სახალხოდ გადაშლი გულს?

ლევანი – ვნახოთ.

გია – შენ რომ არ მითხრა, მე თვითონაც მივხვდები. თუ გინდა გეტყვი?

ლევანი – მიდი.

გია – შენი პიესის გმირი ახალგაზრდა, ნიჭიერი დილეტანტია. თან ანგელოზია, წმინდანია. მხოლოდ ფრთები აკლია და ამის გამო იმ ჭუჭყისთვის, რომელიც გარშემო ასევია. თავი ვერ დაუღწევია. გარშემო კი მხოლოდ მეშჩანები, სულელები და არაკომუნიკაბელური ხალხია. ეს ახლა მოდაშია... უყვარს გოგო, რომელიც მისი სიყვარულის ღირსი არ არის... აქვს იდეა, რომელსაც თავს შესწირავს და ა.შ.

ლევანი ირონიით უსმენს.

გია – მერე... მიდის იმ დასკვნამდე, რომ მისი პირველი მტერი – მისივე ახლობელია. რწმუნდება ცხოვრების არარაობაში და ნორმალურად კვდება. მაგრამ სწორედ ამ ლპობის მომენტში გაასხენდება ბავშვები, ყვავილები, ცის სილაჟვარდე და ფინალში ვხედავთ ახლად დაბადებულ ადამიანს. მომაღლის იმედით და პორტფელით ხელში, რომელშიც, თავისი საქმიანობის მიხედვით, ახალი პროექტია, ახალი ლექსია ან ჩემპიონის ტიტულია სპორტის რომელიმე სახეობაში.

ლევანი – (ყოველივეს იგნორირებით) შენ დაიწყე რამე ახალი?

გია – (ირონიით) აუჰ, რა ბანალურ გულის გადაშლას მთხოვ.

ლევანი – (სიცილით) რაღაც დაგიწყია. ბავშვობაში ძალიან მინდოდა, მხატვარი გავმხდარიყავი. შენ თვითონ გახსოვს, როგორ ვხატავდი... შენ მხატვარი ხარ, მე – არა. ბავშვობაში მინდოდა ავტოპორტრეტი დამეხატა... ერთ დიდ ტილობე ჩემი რამდენიმე ფიგურა სხვადასხვა იერით, პოზით... ყოველი მათგანი ჩემი ხასიათის ნაირსახეობა იქნებოდა... მოკლედ, მარტივად რომ ვთქვათ, ერთი რომანტიკოსი, ერთი რეალისტი, ერთი ხულიგანი, ერთი დონ-ჟუანი, ერთი ბედნიერი, ერთი უბედური და ა.შ. რა ვიცი, მაშინ მართლა მრავალი სახე მქონდა... ალბათ ბავშვობაში ყველა მრავალსახოვანია... ახლა კი, წლები გადის და, ასე ვთქვათ, ეს ტალანტი მეკარგება. კონსერვატიზმი გამიჩნდა. ზუსტად ვიცი – აი, ეს ცუდია.

აი, ეს – კარგია, საჭმელი კარგად უნდა დაეღეჭო, ტროლეიბუსში უკანა კარიდან უნდა ავიდე, რამეს რომ არ წამოვედო და არ წავიქცე. ფესებქვეშ უნდა ვიყურო... იცი, რატომ არ დავფრინავთ? იმიტომ, რომ დედამიწა გვიგიდავს და, შენი თქმის არ იყოს, ფრთები არა გვაქვს.

გია – რაღაც, ლაპარაკის გუნებაზე ხარ.

ლევანი – ეტყობა, ებერდები. დღეს ტაქსის შოფერს მთელი ჩემი ცსოვრება ვუამბე.

გია – იმან, რაო?

ლევანი – არაფერი, მანაც მიამბო და ერთმანეთის ცოდვით დავიწვით. დღეს ჩემებსაც წავეჩსუბე.

გიამ კითხვით შესედა.

ლევანი – დედაჩემს ვეჩსუბე... მოკლედ, სასლიდან წამოვედი.

გია სმას არ იღებს.

ლევანი – ცოტა სანს შენთან ვიცსოვრებ.

გია – რაზე იჩსუბეთ?

ლევანი – რა ვიცი, რაღაც წვრილმანებზე... ერთმანეთს ვერ ვეგუებით – ნერვები გვეშლება.

გია – ბავშვი სომ აღარა სარ, თავი უნდა შეიკავო.

ლევანი – სო, მართალი ხარ... თუ შეიძლება, სასელოსნოში დავრჩები რამდენიმე დღე.

გია – მამაშენმა, რაო?

ლევანი – როდის იყო, მამაჩემი რამეს ამბობდა.

გია – ჰოო!

ლევანი – აგერ ტახტზე დავიძინებ, თან უფასო დარაჯი გეყოლები.

გია – იქნებ გადაიფიქრო და სასლში დაბრუნდე?

ლევანი – არა, აღარ შემიძლია, დავიღალე, ისინიც დაღალე. უკვე საჭიროა ცალკე ვიყო. სულ მაგათ კმაყოფაზე სომ არ ვიქნები?

გია – ჰოო!

ლევანი – მოსუცდნენ უკვე... სსვა განზომილებაში ცსოვრობენ.

გია – ჰო, ალბათ.

ლევანი – მე სელს არ შეგიშლი. აქ მარტო დასაძინებლად მოვალ.

გია – ეგ არ არის საქმე.

ლევანი – ვერ გავიგე?

გია – აქ ვერ დაგტოვებ, სასელოსნო ღამეც მჭირდება.

ლევანი – კი, მაგრამ...

გია – ძალიან გთხოვ. დიუსიას ნუ გავმართავთ.

ლევანი – გაწყენინე რამე?

გია – რა უნდა გეწყენინებია, უბრალოდ, დღეიდან სასელოსნო დაკავებულია და ნუ შემაწუხებ ხოლმე.

ლევანი – რაღაც ვერ გამიგია, იმედია, დროთა განმავლობაში ყველაფერი გაირკვევა.

გია – შეიძლება.

ლევანი – ე.ი. რაღაც სერიოზულია, ასე რომ მელაპარაკები... იქნებ უკვე მეგობრებიც აღარა ვართ, იქნებ აღარაფერი გვაკავშირებს ერთმანეთთან?

გია – არ ვიცი, ალბათ.

ლევანი – რას იზამ, რადგან ასეა.

ლევანი საკარძელთან მდგომ სამფესას ეყრდნობა და უნებურად ნახატს გადაფარებულ ტილოს ჩამოაცლის. ეს ნანას პორტრეტია. ლევანი ცოტა ხანს მწარე ირონიით ათვალიერებს ნახატს.

ლევანი – აპ, ეს ის გოგო არ არის, შენ რომ არ გესიმპატიურებოდა?!

გია – (მშვიდად) ჰო, ის გასლავთ.

ლევანი ტილოს დააგდებს და სცენიდან გადის.

ფარდა

მოქმედება მეორე

I

გურამის ბინა. სცენაზე კაბინეტის ტიპის ოთახია. დაბალ მაგიდასთან სავარძელში თეა ზის და სიგარეტს აბოლებს. მაკა შემოდის ორი ყავის ფინჯანით და ერთს თეას აძლევს.

მაკა — ერთი წესიერად ვერ ვამარჩიელებინე ვინმეს ყავაზე.

თეა — ახლა აღარ მარჩიელობენ... ისე, მახსოვს, ერთ დროს შენც მარჩიელობდი.

მაკა — ის რა იყო, უბრალოდ, ვერთობოდი. ანიას ბიჭმა მასწავლა, მაგრამ ცოტა და, ჩემი ამბავი სომ იცი, მალე დამავიწყდა.

თეა — ის ანიას ბიჭი ძალიან ლამაზი ბიჭია.

მაკა — ლამაზი კი არა... რამე რომ მინდა იაფ ფასებში, ჩავდივარ, ვეუბნები, გრიშა, არ გეცოდები? მიშოვნე, კაცი არ სარ?.. შენთვის, „კუკლა“ ყველაფერს გაეკეთებო. ერთსელ არ უცდია რამე. ჩვენი ბიჭებივით კი არ არის.

თეა — კი, ჩვენები იქით არიან წაგლეჯაზე. ჯერ მოგთსოვენ და მერე ღმერთმა უწყის, შეგისრულებენ თუ არა.

მაკა — თანაც მაგარი ბიჭია. კისერს რომ შევსედავ, მაკანკალებს სოლმე.

თეა — გურამი როგორ არის?

მაკა — კაი გოგო, რა გურამი. კაბინეტიო, გადაყვა ამ კაბინეტს. ასალი უნდა ვიშოვოო და დილიდან საღამომდე მთვრალია. საღღაც დაეთრევა... ლევანი სომ ჩვენთან არის.

თეა — ლევანი?

მაკა — სო, ლევანი. ამას ჰგონია, ლევანმა პიესა დაწერა და კაბინეტი რომ ვიშოვო, მეც დავწერო. საკუთარი სუთი თითივით ვიცი მაგის ჭკუის ამბავი... ახლა ამ იდეას იმდენს ატრიალებს რესტორნებში, სანამ ციებ-ცხელება არ დაემართება და მერე, ვაი, მაკა მიშველე, და ვაი სასწრაფო — ეკვდები. არაფრის გამკეთებელი არ არის. სუფთა ნულია. რა ვიცოდი, ასეთი ჩუჩელა თუ იყო. ისე, გენაცვალე, გადმოაგდებს ამ ენას და იმდენს ატარტალებს, გული მერევა სოლმე... დედა, რა ჭკვიანია, რა ერუდირებულია,

– რა თავში სასლელად მინდა მაგის ერუდიცია, სულელი თუ არის. ოღონდ კაბა დაინასოს, გადმოპრაწავს ამ თვალებს და არის პირზე დუემომდგარი.

თეა – ჩვენს დროში ეგეთი ქმარიც კარგია.

მაკა – კაი რა... ლევანს რა უჭირს, მეორე თვეა ოჯახიდანაა წამოსული. არც დარდი, არც არაფერი...

თეა – კარგი, ნუ მაგიყებ!

ოთახში ნასევრად შინაურულად ჩაცმული ლევანი შემოდის.

მაკა – რას გაგიყებ? გადაეკიდნენ ერთმანეთს და არიან ბაირამში. თვითონ იცი, ჩვენი სასლის კარი ყველასთვის ღიაა და ვისაც მოეპრიანება, ის შემოდის... რამედ მაინც ვარგოდეს ან ერთი, ან მეორე – დასსდებიან და დილიდან საღამომდე ჟან ანუი, აურელიანო ბუენდია, კურტ ვონეგუტი, ბეკეტი, ბერგმანი, ფელინი... რომ უსმინო, გაგიჟდები... ვინც მე მომწონს, ყველა დეგენერატია მაგათი ჭკუით... ერთი კინკილა პიესა დაწერა ამ უბედურმა და აღარ იცის, რომელ რესტორანში გასცდეს.

თეა – ლევან, მომილოცავს, მე არ მინასავს, მაგრამ ამბობენ, გადასარევი პიესაო.

ლევანი – არის რა.

მაკა – (ირონიით) დრამატურგი! (თეას) ამ პიესის ავტორს რომ უყურებ, ეს გურამზე კრეტინია. რაც კი პქონდა გულში, თავის ოჯახზე, თავის სიყვარულზე, თავის ძმაკაცებზე, – სასალსოდ გამოაქვეყნა. ასლა მთელმა ქალაქმა იცის, რომ მამამისი დებილია, დედამისი – ქურდი, ის, ერთი ნანა რომ პყავდა, შტერია და გათასსირებული. კიდევ ვინ დარჩა, ბიჭო?

ლევანი კაბინეტის მაგიდასთან ზის და რაღაც წიგნში აქვს თავი ჩარგული.

ჰო, კიდევ ერთი ძმაკაცი პყავდა და ძირიანად მოთსარა... ჰოდა, აი, ამ პიესაში რაც წერია, ამის გულისთვის ეჩხუბა თავის მშობლებს, თავის ძმაკაცს, თავის საცოლეს და ასლა აგერ გვიზის მე და გურამს პიკამოთი... ვინ იცის, იქნებ ასლა ჩვენზე აპირებს პიესის დაწერას და მერე სად წავა, ღმერთმა უწყის.

თეა – (ღიმილით) ლევან, ჩვენზეც სომ არ აპირებ რამის დაწე-

რას?

ლევანი – (თავაუწევლად) არ იქნებოდა ურიგო.

თეა – უყურე ამას.

მაკა – დაანებე თავი. თავში ქვა უსლია... მაგასაც და მაგის ძმაკაცსაც. გუშინ თავისი ფილოსოფოსობით ისე მომიშალეს ნერვები, ვიდრე კინოში არ წავედი, ვერ დავმშვიდდი.

თეა – რა ნასე?

მაკა – კიდევ კარგი „სასაცილო გოგონა" იყო. მესუთედ ვუყურებდი და მაინც დიდი სიამოვნება მივიღე.

ლევანი – ომარ შარიფს რომ კარტის თამაშის დროს თვალები უფართოვდება, ამის სანასავად მესუთედ როგორ უნდა წასვიდე კინოში?

მაკა – არა ბიჭო, შარიფის ნასვას შენი და ჩემი ქმრის „ვეშოლკებივით" კისრების ყურება მირჩევნია!

ლევანს გულიანად გაეცინა. სცენაზე სანოვაგით დატვირთული გურამი შემოდის.

გურამი – ოჰ, თეას გაუმარჯოს.

თეა – გამარჯობა, გურამ.

კოცნიან ერთმანეთს.

გურამი – აპა, მაკა, მოამზადე, ახლა ვიღაც-ვიღაცეები მოვლენ.

მაკა – რესტორნებში არ გეყოთ?

გურამი – ნუ გააჭირე საქმე, სომ იცი, არ გვეყო. აგერ, თეაც მოგესმარება.

თეა – ბიჭო, ასე იღებთ სტუმრებს?

გურამი – მიდი, მიდი, ბევრს ნუ ლაპარაკობ.

მაკა და თეა წუწუნით გადიან. გურამი სვნეშით ჯდება სავარძელში.

გურამი – გუშინდელს მერე თავი მიყდება. არა, ცოტა უნდა დავისვენოთ, თორემ ორგანიზმი ვერ გაუძლებს.

ლევანი – მე რომ მკითხო, ამჟამად ეგ პრობლემა არ მაწუხებს.

გურამი – შენ, ჩემო ძმაო, მარტო ეს კი არა, სხვა პრობლემებიც არ გაწუხებს.

ლევანი – მერე რა, ცუდია?

გურამი – არა, ცუდი რატომაა, მეც დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი შენსავით.

ლევანი – მერე, რა გიშლის ხელს?

გურამი – მოვალეობა.

ლევანი – ჰოო, ეგ რთულია.

გურამი – ლევან, მე მგონია, სახლში უნდა დაბრუნდე.

ლევანი – ვაპ!

გურამი – თქვენები გაგიჟებული არიან.

ლევანი – (ირონიით) მართლა?

გურამი – ნათელა დეიდა ყოველ შესვედრაზე ტირის. მამაშენი დღითიდღე სულ ცუდად ხდება. რაც ლევანი წავიდა, ლოგინიდან ვერ ავაყენეთო. დედაშენი შენი შიშით აქაც ვერ მოსულა – სულ გადაირევაო... მერე, არც კი რცხვენია, პრემიერაზეც კი არ დაგვპატიჟაო, მართლა შენი მტრები ხომ არ არიან, შეიძლება შეცდომებს უშვებენ, მაგრამ შენ ვითომ ვინ ხარ ან რა უფლება გაქვს საკუთარ მშობლებს სასამართლო მოუწყო.

ლევანი – ჰოდა, ამიტომ წამოვედი.

გურამი – კი, მაგრამ, ეს იგივე სასამართლოა. ამას ცოტა სადიზმის სუნი ასდის. ვერა გრძნობ, რომ იტანჯებიან? მამაშენი, ღმერთმა დაიფაროს და შენ გამო სიცვდილის პირასაა მიყვანილი... ის მაინც გამაგებინე, ნანას რას ერჩი?

ლევანი – კარგი რა, დავანებოთ ამას თავი... თუ გავიწროვებ, პირდაპირ მითხარი.

გურამი – არ გრცხვენია? ვიცოდი ამას რომ მეტყოდი.

ლევანი – მაშინ ცოტა მაცალე და წავალ.

გურამი – იყავი, მაგრამ დედაშენმა დღეს მითხრა, მამა ძალიან ცუდად არისო.

ლევანმა მაგიდაზე ფანქარი მოისროლა და ბოლთას ცემა დაიწყო. ოთახში მსახიობი შემოვიდა.

გურამი – ოპ! შემოდი, შემოდი.

მსახიობი – გამარჯობათ.

ლევანი – გამარჯობა.

მსახიობმა გაბრწყინებული სახით ჩამოართვა ლევანს ხელი და

რამდენჯერმე შეანჯღრია.

მსასიობი – დიდი სიამოვნება მომანიჭა შენმა პიესამ, უდიდესი სიამოვნება.

ლევანი – კარგი რა.

მსასიობი – ღმერთმანი ლევან, ტალანტი არ იმალება, აღტაცებული ვარ. მშურს, მშურს!.. და ბრაგით ვსცდები, როლი რომ არ მერგო. ეს არის მოვლენა ჩვენს დრამატურგიაში.

ლევანი – კარგი რა, გმადლობთ, გმადლობთ.

გურამი – კარგი, შეეშვი, ვერ სედავ „პასმელიაგეა".

მსასიობი – ჰა, ჰა, ჰა კარგი, კარგი. არავინ მოსულა, თუ მარტო ჩვენ ვიქნებით?

გურამი – არა, ასლა მოვლენ.

შემოდის ასალგაზრდა ცოლ-ქმარი.

ცოლი – ოჰ, დრამატურგიც აქ ყოფილა.

ქმარი – ოოო, დრამატურგს ვასლავართ.

ლევანს კოცნიან.

ცოლი – გურამ, შენი ჭირიმე!

გურამი – ადვილად მოაგენით?

ქმარი – კი, ძალიან ჩქარა.

ოთასიდან, სადაც სასადილო იგულისსმება, თეა შემოდის.

ცოლი – (შესძახებს) თეიო! როგორ გამეხარდა შენი ნასვა. დედა, როგორ გამსდარხარ, (სმადაბლა) ერთი გამაგებინე, იმ მსასიობს რა ჰქვია?

თეა – აზრზე არა ვარ.

ცოლი გაბადრული მიუბრუნდება მსასიობს.

ცოლი – (ფამილარულად) როგორა სარ, გენაცვალე?

მსასიობი ცოლ-ქმარს სელს ართმევს.

მსასიობი – გმადლობთ, არა მიშავს.

ცოლი – მაკა სად არის?

გურამი – სამზარეულოშია... არა, არ შესვიდე, თვითონ გამოვა მალე.

ქმარი – თქვენ, კაცო, მთელი წვეულება გქონიათ.

გურამი – არა, რა წვეულება. ჩვენ ვიქნებით და, ალბათ, ბატონი

ილია მოვა კიდევ.

ცოლი – რა არის? დაბადების დღე ხომ არ გაქვს?

გურამი – არაა, რა დაბადების დღე. ისე არ გვიქეიფია თუ რა? პატარა შინაურული სადილია.

სცენაზე შეუმჩნეველად პატივცემული ილია შემოდის.

პატ. ილია – გამარჯობათ.

ყველა მიესალმება.

გურამი – გამარჯობათ, ბატონო ილია, მობრძანდით.

პატ.ილია – კარი ღია დაგრჩენიათ და ჩუმად შემოვიპარე, ვიფიქრე, იქნებ ჩვენი ახალგაზრდობის საიდუმლო აზრები გავიგო-მეთქი.

გურამი – თქვენთან დასამალი არაფერი გვაქვს, ბატონო ილია.

პატ.ილია – აა, დიდი დრამატურგიც აქ ყოფილა. მოხარული ვარ, ჩემო ლევან, შენი წარმატების მოხარული ვარ.

ლევანი – გმადლობთ, პატივცემულო ილია.

გურამი – მაცა ასლავე სუფრასთან დაგვიძახებს.

პატ. ილია – საჩქარო რა არის? აგერ ამ სავარძელს არაფერი მირჩევნია. თან ლევანს მინდა შევედავო ბოგიერთ საკითხში. პა, ლევან, რას იტყვი, რომ გაგაკრიტიკოთ!?

ლევანი – მადლობის მეტი რა მეთქმის, ბატონო ილია.

პატ.ილია – მდა, მაპატიეთ, მაგრამ, მე მგონი, თქვენც დაგაინ-ტერესებთ.

სმები – როგორ გეკადრებათ, გისმენთ, ბატონო ილია.

პატ.ილია – პირველ რიგში, როგორც მშობელი, ვერ დაგეთან-სმები, შენს პიესაში თაობათა პრობლემაც დგას. ჩემს მაგალითზე გეტყვი – კონფლიქტი შვილებთან ყოველდღიურად მაქვს, მაგრამ სასლიდან არცერთი არ გავრბივართ, პირიქით, მათთან დავაში იბადება სიმართლე და ჩვენც ვცდილობთ ობიექტური ვიყოთ.

ქმარი – სო, არა, ამ მსრივ თქვენ მართალი ხართ, მაგრამ როგორ შეიძლება პიესაში არცერთი დადებითი პერსონაჟი არ იყოს. მაგალითად, თუ გნებავთ, სასელოსნოს პატრონი, გმირის უახლოესი მეგობარი, რომელიც ჩუმად ცდილობს მისი საცოლე შეაცდინოს. დედამისი ავიღოთ – რაღაც შავბნელი მაქინაციებით გართული ქალი.

მას მიაჩნია, რომ აფერისტობის გარეშე, პატიოსნად საქმის გაკეთება არ შეიძლება, ან თუ გნებავთ, მისი ქმარი – მაძღარი ცხოვრებისაგან გამოლენჩებული კაცი, რომელიც ცოლის ხელში ბრმა იარაღია და რადგან თანამდებობის პირია, ცოლის ყველა უწესო სურვილს ადვილად ასრულებს – იქ, ვიღაცას მაღაზიაში აწყობს, აქ უსინდისოდ ქრთამს იღებს, ახლა, სიმართლე რომ ვთქვათ, იმ მექსიკურად მომღერალი მლიქვნელისთანა ტიპი, შენ რომ გყავს, ლევან, პიესაში, აღარ არსებობს. ეგ სამარცხვინო ეტაპია ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, წარსული, წარ-სული!

გურამი – ლევან, მაპატიე, მე შენთან პიესაზე არ მილაპარაკია. არა, რა თქმა უნდა, ისეთი საკითხები გაქვს წამოჭრილი, რომელიც ბევრი ჩვენთაგანის ოჯახში სდება... სდება კი არა, უბრალოდ ცხოვრება გაქვს ნაჩვენები... მოკლედ, მეშჩანები გიშლიან ნერვებს და მეშჩანების წინააღმდეგ იბრძვი, მაგრამ, მე მგონი, ასეთ წერილმანებზე დასურდავება არ ღირს. ახლა, რა პრობლემაა, მაგალითად, როგორც ჩაიცვას ახალგაზრდა ქალმა? როგორც უნდა, ისე ჩაიცვამს, ამის გამო დაჯდე და პიესა დაწერო?

ქმარი – მაგის შესახებ სრულიად არ არის პიესა. თქვენ ვერაფერი ვერ გაიგეთ.

ცოლი – მაგაზეა, მაგაზეა. თავისი ნანა ნახევრად შიშველი რომ დადის, ის აწერინებს პიესებს, სხვა კი არაფერი.

ქმარი – ჩავიცვამ მაშინ ფერად ნიფსვებს და ვიელი შარვალგასსნილი.

ცოლი – შენგან სხვას არც მოველი, თვითონ სართ მეშჩანები და დეგენერატები.

ქმარი – ოოპ, მოიცა, მერე, ბატონო ილია, პიესაზე ასეთი დილეტანტური საუბარი, მე მგონი, არ გეკადრებათ. მერე რა, რომ თქვენ ლევანის ლექტორი იყავით? ახლა ის უკვე სწორ გზაზე დასაყენებელი ბავშვი აღარ არის და ამიტომ მის ნახელავს ცოტა სერიოზულად და შემოქმედებითად უნდა მივუდგეთ.

გურამი – არა, არა, შენ სწორი არ სარ. პატივცემულმა ილიამ იცი რა სთქვა? პიესაში დადებითი პერსონაჟი არ არსებობსო.

თუ გინდა პიესის გმირი, ისიც ისეთივე უპრინციპო და ეგოისტი ადამიანია, როგორც სხვები. საცოლე? საცოლე ფუქსავატია, მოდას აყოლილი, არაფრის მქნელი და არაფრის მთქმელი ქალიშვილი. ასე ვთქვათ, ტვინი ჭინჭებით აქვს გამოტენილი. ასეთ ადამიანს, დარწმუნებული ვარ, სიყვარული არ შეუძლია. საერთოდ, როგორ შეიძლება ასეთი ადამიანის შეყვარება? რისთვის, რა დადებითი თვისებებისთვის? სიყვარული მარტო სილამაზით კი არ მოიპოვება.

პატ. ილია – (ქმარს) მიუხედავად თქვენი მღელვარე – ჩემთვის დაუმსახურებელი კრიტიკისა, გურამს სავსებით ვეთანხმები. (ლევანს) სად იპოვე ამდენი სულით მასინჯი? შენ, ჩემო ლევან, ცხოვრება მრუდე სარკეში დაგინახავს. ისეთ გმირს რა ვუთხარი, რომელიც თავის მშობლებს ეუბნება, მე რა ვიცი, თქვენი შვილი რომ ვარ, იქნებ „პრიუტიდან“ ამიყვანეთო! ეს ხომ გრძნობების პროვოკაციაა?! ეს მხოლოდ გასაღიზიანებლად არის ნათქვამი. ჩემმა ბიჭმა ასეთი რამ რომ მკადროს, გული გამიცდება. თუ გინდა „პრიუტიდან“ იყოს აყვანილი, ეს რა, მშობლებს დანაშაულად ეთვლება!?

ქმარი – (ირონიით) პატივცემულო ილია, ისეთი გაცხარებით ლაპარაკობთ, თითქოს პიესას ემოქმედოს თქვენზე.

პატ. ილია – (სიცილით) არა, რა თქმა უნდა, რა სალაპარაკოა, რომ ლევანი ნიჭიერი ბიჭია. ლევან, უბრალოდ, მე აქ ჩემი ზოგიერთი შენიშვნა გამოვთქვი და არაფერს არ გასვევ თავზე. შენ რომ უცხო იყო, მაშინ სრულიად არაფერს არ გეტყოდი – მე ამ საქმის სპეციალისტი არ ვარ. დამეთანხმები, თუ არ დამეთანხმები, შენი ნებაა. ჭეშმარიტებას კი არ ვღაღადებ. აი, მე მეჩვენება, რომ მლიქვნელის მიერ მანდარინების და ბორჯომის მოტანა ცოტა მოძველებულია... ანდა, თუ გინდა, ცხენისტანიანი კაცის შესახებ... ასეთი უვიცობა წარმოუდგენელია! წარმოუდგენელია, შეუძლებელია, თანამედროვე ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს ის, ამ ზომამდე უვიცი?! ცხენისტანიანი კაცი ეს ხომ...

ამ დროს თეამ იგრძნო, რომ თვითონაც შეეძლო რაღაცის თქმა.

თეა – ცხენისტანიანი კაცი არ ვიცი, მაგრამ, ამას წინათ დუნაიში, მდინარეა ევროპაში, ქალთევზა დაიჭირეს.

ყველამ პირი დააღო, მაგრამ სიცილი შეიკავეს, ლევანს ხარხარი

აუტყდა.

ლევანი – (როცა დამშვიდდა) მაპატიეთ.

პატ. ილია – ჰოო, მმმ... რაშია იცით, თეიო, საქმე! მმმ... თქვენ პიესა თუ ნასეთ?

თეა – არა, არ მინასავს.

პატ. ილია – ჰო, იქ სსვანაირად დგას პრობლემა და ამიტომ შეიძლება გაგიჭირდეთ ჩვენს საუბარში გარკვევა... და მაინც, ლევან, ეს მიკერძოებული აბრია. მერწმუნე, ფინალი მაინც სულ სსვანაირი უნდა ყოფილიყო. თუმცა, შენ რაც გაქვს, იქნებ ფინალიც არ არის. უფრო სწორად, მრავალმნიშვნელოვანი დაბოლოებაა. მოკლედ, პიესა ამით არ მთავრდება. ალბათ ეს გინდოდა გეთქვა, პირიქით კი გამოვიდა. გმირი უნებისყოფო ადამიანად გამოჩნდა, რომელმაც პოზიციები დათმო, ბედს შეურიგდა, ბრძოლა შეწყვიტა. მორჩა მისი ისტორია, აღარაფერია სათქმელი... აი, ამას უნდა მორიდებოდი.

გურამი – მეც ასე მგონია, სასლში უნდა დაბრუნდეს. ყველაფერი, რაც თავს გადასდა, უმნიშვნელოა, წერილმანია, ყველაფერი თავისი ბავშვობით მოუვიდა. იცი, უნდა მიმსედარიყო, რომ რაც მას აღიზიანებდა, მისდამი სიყვარულით იყო გამოწვეული და თუ რამე დაუშავეს, მსოლოდ უნებლიედ. რა ვუყოთ, მშობლები ამ ასაკში მეშჩანობას ძნელად გადაეჩვევიან. უნდა მეტი მოთმინება გამოეჩინა, საცოლეზე კი რამენაირად რბილად ემოქმედა.

ქმარი – ასე მგონია, ლევანის გამოგონილ გმირზე კი არა, ვიღაც ცოსსალზე ესაუბრობთ.

პატ. ილია – ნამდვილად. გურამმა პირდაპირ გააცოსლა პიესა. აი, ასეთი სასე უნდა ჰქონდეს ფინალს და საერთოდ პიესას, თორემ რა არის ეს მოდერნისტული ფინალი, აბრის გაბინდბუნდება. ეგრეთწოდებული თავისუფლება, პერსონაჟების ერთმანეთთან უწმაწური დამოკიდებულება...

შემოსასვლელთან, ვიღაც ქალზე ჩამოკონწიალებული, მთვრალი ნოდარი დგას.

ნოდარი – ასლა, მაინცდამაინც ნუ დავკლავთ ერთმანეთს ამ შედეგრის გამო.

ყველა ერთსმად – ნოდარ!

ნოდარი – სალამი კომპანიას.

გურამი – შემოდი, ნოდარ. (ქალს) მობრძანდით.

ნოდარი – დიდ ილიას ჩვენი „პრივეტები“!

პატ. ილია – (ღიმილით) გამარჯობა, ნოდარ. დაგვიჯექი ერთი გვერდით და მოგვასსენე შენი ბრუტიანი ამბები.

ნოდარი – ეს, გაიცანით, ჩემი და და მეგობარი, ჩემთვის უასლოესი პიროვნება, მსოფლიოში პირველი ქალი – მარინაა... ვლადი!

მარინე – მარინა.

გურამი – (სკამს მიუწვევს) აი, აქ დაბრძანდით, მარინე.

მარინე – გმადლობთ.

პატ. ილია – რომელი ღობის ძირში იპოვეთ ეს ვაებატონი?

ნოდარი – ღობის ძირში რატომ? პაემანზე შევსედით საათის ქვეშ.

პატ. ილია – (ღიმილით). აპ, ალბათ საათს იყავი მიყუდებული.

ნოდარი – (ირონიით) არა, იქვე ტალასში ვიწექი და ამ წმინდანმა ამიყვანა, გამასუფთავა, გამათბო და სიცოცხლის ახალი ძალები შთამბერა.

მარინე – კარტი სომ არა გაქვთ, ვითამაშოთ.

სიჩუმე.

გურამი – თქვენი ნებართვით, ჯერ ვისადილოთ.

ნოდარი – რა თქმა უნდა, პირველ რიგში სტომაქი ავივსოთ. თუმცა სტომაქის გარდა ჯიბეც რომ ავივსოთ, არ იქნება ურიგო. პა, რას იტყვი, ჩემო ლევან? პიესამ ჯიბე საკმაოდ გამოგიბერა?

ლევანი – საკმაოდ.

ნოდარი – სწორია, დიდ დრამატურგს, დიდი ფულები ესაჭიროება, (მსახიობს) თქვენ რა ენებავთ? ისეთი თვალებით მიყურებთ, თითქოს სათქმელი წამერთვას თქვენთვის.

მსახიობი – არა, მე იცით რა... მაპატიეთ, თქვენ მე არ მიცნობთ, მე მინდა ერთი რამ გკითხოთ, აი, ყველა ვინც შემოვიდა, ოპ, დრამატურგო, გამარჯობაო, ისე უთხარით ლევანს, თითქოს თქვენა სართ დრამატურგები, თითქოს ლევანზე რაღაცით მაღლა დგასართ... არა, მე რა მინდა, იცით, ვთქვა? აი, მე მსახიობი ვარ და მეც ასე მსვდებიან, ოპ, მსახიობს ვასლავართო, თითქოს ჩემი მასწავლე-

ბელი იყოს ან თითქოს მსასიობი იყოს, თანაც საუკეთესო მსასიობი... მე, მე კი... ჰო, მოცლედ, ესე იგი, აი, თქვენ ყველანი მოსვედით და ლევანს რაღაც ირონიით – ოჰ, დრამატურგს ეასლავართო! თქვენ რა, ყველას გაქვთ პიესა დაწერილი და ლევანი ასლა შემოგემატათ, თუ რაშია საქმე?

პატ. ილია – ეგ რა შუაშია?

ცოლი – ეგ რაღა იყო?

გურამი – ეგ რა შუაშია, ბიჭო?

პატ. ილია – უბრალოდ, ლევანი იმდენად ასლობელია ჩვენი, რომ ჩვენ შორის ასეთი დამოკიდებულება არ არსებობს. თუ გნებავთ, ასეთი შეძახილები მისი წარმატებით მონიჭებულმა სისარულმა გამოიწვია.

მსასიობი – ჰო, რა ვიცი, თორემ ისე, სანდასან მეჩვენება, რომ ყველა შურიანია ან უბრდელია, ან კიდევ სანდასან მგონია, ერთმანეთს შეჭმას ვუპირებთ.

პატ. ილია – როგორ გეკადრებათ?

ცოლი – ეს რეებს მიედ-მოედება?

სცენაზე მაკა შემოდის. მას წინსაფარი უკეთია.

მაკა – გამარჯობათ!

სმები – ოჰ, მაკა, მაკა, გამარჯობა. მაკა როგორ სარ?

პატ. ილია – მაკა, გამარჯობა.

მაკა – გამარჯობათ, ბატონო ილია. მაპატიეთ, ცოტა ფქვილით ვარ დასვრილი. გთხოვთ სუფრასთან მობრძანდეთ.

გურამი – აბა, წავედით. გთხოვთ, ილია ბატონო.

ლევანის გარდა ყველა გადის.

გურამი – წამო რა, ბიჭო, შენ ცალკე გეპატიჟოთ?

ლევანი – მიდი და ახლავე მოვალ.

გურამი – ოოჰ, წამოდი, დამიწყე აქ ფასონები.

ლევანი – მიდი და მოვალ, რა მოგივიდა?

გურამი გადის. ლევანი სინათლეს აქრობს და ნასევრად ჩაბნელებულ სცენაზე სავარძელთან დგება. მერე ნელა უასლოვდება სასადილოს კარს, აღებს მას. სცენაზე სიცილისა და მსიარული ლაპარაკის ხმა შემოიჭრება. ლევანი კარს სურავს, მიდის კედლის რადიოსთან,

რთავს მას, ცოტა სანს უსმენს და შემდეგ იმ კარში გადის, რომლიდანაც პირველად შემოვიდა სცენაზე... სცენაზე კვლავ ლევანი შემოდის. მას ტანსაცმელი გამოუცვლია და კოსტიუმის სწორებით მიდის რადიომიმღებთან, რომელსაც გაღიზიანებული ჟესტით გამორთავს. იღება სასადილოში გამავალი კარი და მარინესთან ჩახუტებული ნოდარი გამოდის.

ნოდარი – (სასადილოსკენ) ახლავე მარინას გავაცილებ და დაებრუნდები.

წყვილისთვის ლევანი შეუმჩნეველი რჩება.

– იდიოტები! ეგენი ახლა ფიქრობენ, რომ სელოვნების ელიტას ეკუთვნიან. ლევანი სომ სუფთა სპეკულანტია... თითიდან გამოწოვილი პრობლემები... უჰ, მაგისი... მეშჩანი მეშჩანებს აკრიტიკებდეს არ გამიგია, აფერისტი! უნივერსიტეტშიც ასე თავსდებდა. რა თვითდაჯერებული უნდა იყო, რომ ეს პიესა დასადგმელად მიიტანო? კრეტინი! სუფთა კარიერისტი. ეგ არის კაცი, რომელიც მყარად იდგება ფეხზე, ეგ ისეთი ეშმაკია, რომ თავის გენიოსობაში ყველას დაარწმუნებს. ერთი ჭკვიანი ადამიანი არ გამოჩნდა, ერთი გაბედული პიროვნება, რომ ყველას დაანახოს ეს აფერისტი, ეს ეგოიზმით სავსე პიესა... სწორედ ამისთანა სალსისთვისაა დაწერილი. (სელს სასადილოსკენ იშვერს) ამათი ბრალია ყველაფერი. არა უშავს, დამაცადონ, შენ მაინც მიცნობ, დედას ვუტირებ, ისეთს დავწერ, სულ სელებს დამიოცნიან. კრეტინი ვირისთავი. ეს სულელებიც აპყოლიან და პიესას ურჩევენ... ბოღმისაგან ლამის ეს ყამი დაეღეჭო... (გაღიზიანებით) შენ სადღა მიდისარ. აკი, დღეს საღამოს თავისუფალი ვარო?

მარინე – წამო რა, წამო, შენ თვითონ არ იძახი კრეტინები არიანო?

ნოდარი – წამოდი, ამათი დედა ვატირე.

მარინე – (გასასვლელისკენ მიდის) წამოდი ჩემთან, კარტი ვითამაშოთ.

ნოდარი – (ბურტყუნით) ეს კარტი რაღა უბედურებაა?

ნასევრად ჩაბნელებულ სცენაზე გაოგნებული ლევანი მარტო რჩება. სცენა ბრუნავს. ჩვენთვის პირველი მოქმედებიდან, ნაცნობი

სასტუმრო, ნათელა მაგიდასთან ზის და კარტს შლის. გვერდით ნანა უზის.

ნათელა – ეს ვალეტი როგორ ყველგან ეჩსირება. ჯობს თავიდან დავარიგებ (კარტს ურევს). ნანა, გენაცვალე, მთელი ჩემი ცსოვრება ლევანის კეთილდღეობაზე ფიქრი იყო, რასაც მე ვერ მივაღწიე, ყველაფერი ლევანისთვის მინდოდა. ეს იყო ჩემი ოცნება. დაბადებიდან ვუკითხავდი და ვანათლებდი. ის კულტურული ბაგაჟი, რაც მას გააჩნია, ბავშვობაში აქვს ჩემგან შეძენილი. ხატვა. მუსიკა და... ვინ იცის, ცეკვიდან რომ არ გამომქცეოდა, ასლა სუსიშვილთან იქნებოდა საზღვარგარეთ... როგორ სატავდა, როგორ სატავდა! დედა, დედა, რა წლები, რა ოქროს წლები! რა უცებ გაირბინა დრომ... ვერც კი შევამჩნიე, კაცი რომ გასდა. მერე, რითი გადამიხადა? არაფრად მაგდებდა. იმ ცოდნით, რაც მე მივეცი, თავის თავს ჩემზე მაღლა აყენებდა, მთელი ჩემი ძალები წაიღო და ლიმონივით გამოწურული დამტოვა... აღარ ვაინტერესებ. რა ძნელია, რომ იცოდე, დედისთვის, რა ძნელია, როცა ბერდები და არავის ჭირდები.

ნანა – რას ამბობთ, ნათელა დეიდა, ლევანს თქვენზე მეტად არავინ უყვარს.

ნათელა – კი, რა თქმა უნდა, ვგრძნობ, განა არ ვგრძნობ, ლევანი ძალიან თბილი ბიჭია, მაგრამ ეტყობა დამავიწყდა მესწავლებინა, როგორ გამოეყენებინა ეს სითბო საკუთარი დედის მიმართ. ეტყობა დამავიწყდა მეთქვა, რომ მე მარტო მობეზრებული სასელმძღვანელო კი არა – მისი მშობელი დედა ვარ, რომელმაც მისთვის ბევრი იტანჯა, თუ გინდა, ესეც არ იყოს, განა ამდენი წლის სიყვარული უკან არ უნდა დამიბრუნდეს? ღამე არ არის, რომ არ დამესიზმროს. ეს არაფერზე მეტყველებს? იმ ზომამდე ვარ მისული, რომ გუშინ სიზმარში კაფეში ვისხედით და ოფიციანტმა ოცდაექვსი მანეთი დაგვითვალა, მაგრამ ლევანის მატერიალური კეთილდღეობა, შენ გგონია მე არ მესება? ჰოდა, თავიდან დავათვლევინე. ცხრა-მე-ტი მანეთი აღმოჩნდა! წარმოგიდგენია, შვიდ მანეთს გვატყუებდა! (მრავალმნიშვნელოვანი პაუზა) აი, ასეთი წვრილმანებისაგან შედგება, შვილო, დედის დიდი სიყვარული და

ამას ლევანი მეშჩანობას ეძახის... მამამისს რაღას ერჩის? ბიჭიო მის აღზრდაში საერთოდ არ ჩარეულა. ის კი არა, ბიჭიოც ჩემი სათრევი იყო. ჩემი ქმრის კარიერა, ჩემი კარიერაა. მისი თანამდებობა, ჩემი თანამდებობაა. ეს ბინა, ეს ავეჯი, ეს კულტურა... ღმერთო ჩემო, ვიფიქრე, ლევანი მაინც დამიფასებდა და აპა, რეზულტატი – მარტოსელა, მიტოვებული, უბედური ქალი, რომელიც თავისი წუწუნით ყველას თავს აბეზრებს.

ნანა – რას ამბობთ, ნათელა დეიდა, ნეტავი ყველა თქვენისთანა იყოს.

ნათელა – შენ გენაცვალე, ჩემო ნანა, შენ რაღას გერჩოდა ჩემი უპატრონო შვილი? შენ რაღა შუაში სარ? განა ასეთ სიყვარულს ვასწავლიდი?.. არა, ჩემი ბრალია, ისევ ეს ვალეტი. ჩემი ბრალია, სხვა დედებივით უნდა გამელასა, ძვალ-რბილში რომ გაჯდომოდა ჩემდამი პატივისცემა, მაგრამ ვიფიქრე, უკულტურო სომ არა ვართქო, ვინმე სეპრეს ოჯახში სომ არ გავზრდილვარ? ნანა, გენაცვალე, ჩემი მშობლები უდიდესი ბუნების ხალხი იყო. მამაჩემის სტუდენტი ყველა პროფესორი გამოვიდა და ერთი აკადემიოსია. ეგ კი არა, ბიჭიო უბრალო სოფელი ბიჭი იყო და ესლა ნახე, ვინ არის! და ეს ყველაფერი ჩემი მეშვეობით...

ნანა – ნათელა დეიდა, ლევანი ყველაფერს მისდება და დაბრუნდება. აი, ნახეთ, როგორი დაბრუნდეს, სულ სელებს დაგიოცნით. მე ხომ ვიცი, რატომ წავიდა. თქვენ აქ არაფერ შუაში სართ. ჩემი გულისთვისაა ყველაფერი.

ნათელა – რატომ, ნანა, გენაცვალე, რატომ?

ნანა – რა სათქმელია, ნათელა დეიდა?

ნათელა – თქვი, შვილო, თუ რამე იცი, თქვი.

ნანა – არა, სისულელეა, უნებურად წამომცდა.

ნათელა – თქვი, გენაცვალე, ჩემი ნუ მოგერიდება.

ნანა – არა, არა ღირს.

ნათელა – ნანა, ჩემზე უკეთ ვინ გაგიგებს?

ნანა – არა, ნამდვილად არაფერი, ნათელა დეიდა.

ნათელა – თქვი, შე ქალო, დაიწყე და ასლა ინტერესით გინდა მომკლა?

ნანა – (იშმუშნება) ვიღაც ჰყავს.

ნათელა – ვინ ვიღაც?

ნანა – მოცლედ, ვიღაც გოგო.

ნათელა – ვინ გოგო?

ნანა – რა ვიცი, ეტყობა ვიღაცას გადაეკიდა.

ნათელა – რას ჰქვია, გადაეკიდა, ქუჩის ბიჭი სომ არ არის?

ნანა – ბოლო დღეებში სსვანაირად იქცეოდა, ეტყობა, ვინმემ გააგიჟა.

ნათელა – ლევანის გაგიჟება ადვილი კი არ არის. ალბათ კარგი ოჯახიშვილია, ლამაზი გოგოა, ენაცვალოს დედა. ნეტა მასე თუა საქმე?

ნანა – (წყენით) რას ამბობთ, ნათელა დეიდა, ვიღაც უცსო ქალი...

ნათელა – (შეცბუნებული) არა, არც მასე იქნება საქმე. ლევანი კაბას არ გაეკიდებოდა. (გულდათუთქული) ლევანი, მიუსედავად დედისადმი ასეთი დამოკიდებულებისა, პატიოსანი ბიჭია... შენ რძლობას რა მირჩევნია, ნანიკო.

ნანა – (დამორცსვებით) კარგი რა, ნათელა დეიდა.

ნათელა – ღმერთმა ქნას, მალე დაგვიბრუნდეს და ყველაფერი რიგზე იქნება... ეს პასიანსიც ჩემ ჯინაზე არ გამოდის. ეს სომ იცი, რომელია? აი, ტუსაღი რომ აკეთებდა ათი წლის მანძილზე და როცა გამოუვიდა, გაათავისუფლეს კიდეც... ისევ ეს ვალეტი. არა მჯერა და რა ვქნა. ეს თუ არ გამოვიდა, თავს მოვიცლავ... ისევ ეს „დამა“, მაგრამ რომ არა მჯერა? ეს აქეთ, ეს აქეთ, ესეც აქეთ. მერე? აპა, ესეც აქ, ამ შვიდიანს რაღა ვუყოთ? ეს არ ითვლება (კარტს ურევს და თავიდან არიგებს, თან მღერის).

გადაგიშლი ამ ჩემს მკლავებს,

მოდექი და იცურავეეე!

„დამა“ წავიდა ვალეტთან, ტუზი გავათავისუფლოთ და ასლა აგურის ექვსიანიიი. ოპ, ლევან, ლევან! ესეც აქ (ისმის ზარის სმა).

ნათელა – კარი ღიაა.

სცენაზე ლევანი შემოდის და გაუბედავად ჩერდება.

ნანა – ლევან!

ნათელა – ლევან, შვილო!

ნათელა ეგებება და გულში ისუტებს. ლევანი უსერსულად იშმუშნება.

ნათელა – მოდი, მოდი, როგორ გამსდარსარ. ასე უნდა, შვილო, ასე უნდა მოიძულო ოჯახი? არა, არაფერს გეუბნები: რა ფერმკრთალი სარ? ავად ხომ არა სარ?

ლევანი – არა, არაფერი.

ნათელა – რაღა არაფერი, აბა, ეს რა არის? თვალები ჩაგვარდნია. დედა, რა არის ეს? ასე როგორ გამოიცვალე. პირდაპირ ლანდი გაგდის. აი, ასეა, დედის სელი რომ მოგაკლდება. წეენებს აღარ სვამ – თუმცა ვინ გაგიწურაედა. ეინ მოგიელიდა? მოდი, შვილო, დაჯექი, თორემ წაქცევაგე სარ.

ლევანი – წაქცევაგე რატომ ვარ ვითომ? მშვენიერად ვგრძნობ თავს.

ნათელა – შენ შეიძლება, მაგრამ, აბა, მამა ნასე. რაც შენ წასვედი... არა, არაფერს გეტყვი, მთავარია – კეთილად დაგვიბრუნდი. ჩვენ ჯანმრთელობას ვინ კითსულობს – შენ იყავი კარგად... ნანას მიესალმე. დედა გენაცვალოს, ნანა ჩვენგე ნაკლებ დღეში კი არ იყო.

ლევანი – (შორიდან) გამარჯობა, ნანა.

ნანა – ლევან, როგორ მოგვანატრე თავი.

ლევანი – ჰო, მეც მომენატრეთ.

ნათელა – მამაშენი ისე ცუდად არის, რომ თუ არ გავაფრთსილეთ, შეიძლება სისარულმა იმსსეერპლოს.

ლევანი – ასლა არ გინდა, მერე მე თვითონ შეეალ.

ნათელა – ჰო, ლევან, ცოტა დაუყვავე, მოეფერე. თორემ ცოდვაა კაცი. მეც არ ვასვენებდი. გარაეი ბოლო-ბოლო გავაკეთებინე. მანქანაგე დარბოდა. ისევ შენგე ეფიქრობდით... გადაიღალა, აქეთ დარდი, იქით საქმე – ვერ გაუძლო კაცმა. მალე საპენსიო გასდება. პერსონალური უნდა გავაკეთებინოთ. ოპ, ღმერთო, ღმერთო. აი, შენ მოსვედი და როგორ უცებ დავიტვირთე. აქამდე მთლიანად დაცლილი ვიყავი. ნანა, გენაცვალე. სელი შემაშველე. თავბრუ

მესვევა. რამდენი საქმე გამიჩნდა უცებ. რა ობლებივით ვიყავით მე და მამაშენი, ლევან, რომ იცოდე, როგორ გვაკლდა შენი სმა, ლევან! ჩვენი სახლი „მიორტვი დომი“ იყო. „მიორტვი დომ“! ამ ერთ წამში „მილიონ ტრისტა“ მოგონება დამატყდა თავს. როგორ სარ, ლევან, როგორ სარ?!

ლევანი – რა მიშავს, ვარ რა.

ნათელა – ერთი არ გაგახსენდი? დაგერეკა მაინც, იქნებ დავიხოცეთ! რა იყო, შვილო, ასეთი რა გაწყენინეთ, ოჯახში რა არ ხდება. შენ გგონია, სხვებთან არ არის ჩხუბი და პატარა წაინკლავება? მაგრამ ოჯახები კი არ ინგრევა. შვილები და მშობლები ერთმანეთს კი არ ჭარგავენ... არა, მეტს არაფერს გეტყვი. მთავარია ჯანმრთელად სარ. ჭამა გინდა? ახლავე სუფრას გაგიშლი.

ლევანი – არა, არაფერი მინდა.

ნათელა – მოვიტან მაინც, გავშლი, იქნებ რამე მოგეწონოს.

ლევანი – არაფერი არ მინდა, დედა, უკვე ვჭამე.

ნინო – მეც ასე ვარ, სადმე თუ წავედი, მაგალითად, აგარაკზე და დედაჩემი დიდი სანია არ მინასავს, უსერსულობას განვიცდი სოლმე. დედაჩემი უბრდელებს ვერ იტანს და ბნეობრივი აღბრდა პირველ ადგილზე გვაქვს ოჯახში. მართალია, ამ ბრდილობისა და მორიდების გამო ბევრმა დაგეჩაგრა, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენზე აუგს ვერავინ ვერ იტყვის, ვერავინ!

ნათელა – მართალია, შვილო, მართალი.

ნანა – მარტო ის რად ღირს, რომ გასათხოვარ გოგოს დედაჩემი პატარა ბავშვივით კუდში დამდევს და თავზე მევლება.

ნათელა – ჩვენთვის ბავშვები სართ, აბა, რა, რა სნისაც არ უნდა იყოს ლევანი, ჩემთვის ყოველთვის პატარა ლევანიყოდ დარჩება.

ნანა – დედაჩემიც მაგას მეუბნება. საერთოდ, ჩვენი ოჯახები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

ლევანი – (ირონიით) ნამდვილად.

ნათელა – ეჰ, ცოტაღა დარჩა პატიოსანი ოჯახები. ყველა ქურდობაზეა გადასული... ლევანიკო, აგერ კამფეტი მაინც აიღე, შენი საყვარელი კარამელია.

ლევანი – არ მინდა, დედა, თავი დამანებე.

ნათელა – (ნანას) ლევანიკო ბავშვობაშიც ჭირვეული მჭამელი იყო.

ლევანი – ეს „ლევანიკო" რაღა ისწავლე?

ნათელა – (მშვიდობიანი სიცილით) აი, სულ ასე მაკრიტიკებს. მაგრამ ჭამით არასოდეს კარგად არ ჭამდა. ერთხელ, მახსოვს, ერთი კოვზი ფაფისთვის მამამისი სეგე აძვრა და ნახევარი საათი ბელურასავით ჭიკჭიკებდა. მე და მამამისი თავზე ვყვებოდით და აი, მშვენიერი, ლამაზი ვაჟკაცი გავზარდეთ, დედა ესაცვალოს. ჭამე რამე, მართლა არ გინდა?

ლევანი – ოოპ!

ნათელა – ჰო, კარგი, კარგი. მაშინ მოყევი, რას შერებოდი. რითი ცოცსლობდი? მონატრებული ვარ შენ სმას, ბიჭო, თქვი რამე... პრემიერამ როგორ ჩაიარა, რა გითხრეს... რა რეცენზიები იყო?

ლევანი – ყველას ძალიან მოეწონა.

ნათელა – ნანაც მაგას ამბობს.

ლევანი – შენ რას აკეთებ, ნანა?

ნანა – უიმე, მე იმდენი საქმე მაქვს.

ლევანი – მაინც?

ნანა – კომკავშირის კრებაზე მოსსენებით უნდა გამოვიდე.

ლევანი – ეგ რა საქმეა?

ნანა – შენ ეგრე იძახე და მე, რაც კი გაზეთები არ მინასავს მთელი თვის მანძილზე, სულ უნდა წავიკითხო.

ლევანი – რა მოსსენებაა ასეთი?

ნანა – პოლიტიკური ვითარება მსოფლიოში.

ლევანი – მერე, ერთი თვის გაზეთი ეყოფა მაგას?

ნანა – ეყოფა კი არა, თავზეც გადაუვა. სულ ერთი და იგივე სდება. ეს სისსლისმსმელი იმპერიალისტები აწვალებენ პატარა და უბედურ ბანგებს.

ნათელა – ნწუ, ნწუ, ნწუ.

ლევანი – (ღიმილით) რას მელაპარაკები?

ნანა – მაშ! (სსაპასსუპით) თურმე იმ საწყლებს არც საჭმელი აქვთ და არც ტანსაცმელი. ყველა შიშველი და მშიერია. ან რა

გასაკვირია, როცა ქალის ჩექმა თბილისში ორასი მანეთი ღირს... თუ მოდაშია, სამასზე ნაკლებ ვერ იშოვნი.

ლევანი – ეტყობა ფუნდამენტალურად შეგისწავლია ეგ საკითხი.

ნანა – დღე და ღამე გასწორებული მაქვს.

ნათელა – რა ჭკვიანი გოგო ხარ, ნანა, გენაცვალე. ნეტა ლევანს ჰქონოდა შენი სასიათი. სრულებით არ შესწევს ბრძოლის უნარი, სწორედ ასლა, როცა პიესა დაიდგა, სწორედ ასლაა საჭირო მოქმედება. ლევან, შვილო, ცენტრალური გაზეთის კორესპონდენტი ჩვენი ასლო მეგობარია. ბიჭიკოს დავარეკინებ და პიესა საკავშირო რეზონანსს მიიღებს. ასალგაზრდა დრამატურგის დიდი წარმატება! პიესა ითარგმნება რუსულად და მერე, შენ თვითონ იცი, რა პრესტიჟის გაზეთიცაა, მერე შეიძლება საზღვარგარეთაც ითარგმნოს... (უეცრად) ინგლისური, რომ არ შევრცხვეთ, კარგად უნდა გაიმეორო.

ლევანი დაღლილი თვალებით უყურებს დედას.

ლევანი – ჰო, დედა, აუცილებლად.

ნათელა – დაღლილი სასე გაქვს, ლევან. მიდი, ტასტზე წამოწექი.

ლევანი – არა, არ მინდა.

ნანა – მაშინ, თუ გინდა, წამოდი, გავისეირნოთ. გოგოებმა მითხრეს ზოოპარკში სპილოსსელა ბუზი მოიყვანესო. წავიდეთ, ვნახოთ.

ლევანი – (მშვიდად) ცოტა პატარა გეთქვა, სპილო რა ამბავია?

ნანა – ამსელაა და სომ არ მოგატყუებ.

ნათელა ლევანს სელმკლავს უკეთებს და გვერდით გაჰყავს.

ნათელა – (ჩუმად, ნანამ რომ არ გაიგოს) მე და ნანა ექიმთან ვიყავით... ყოველშემთხვევისთვის... (თვალს ჩაუკრავს) ქალიშვილია!

ლევანი – (გაკვირვებით) მართლა? სერიოზულად ამბობ ამას?

ნათელა – (მტკიცედ) ასიანი!

ლევანმა ნანას გადახედა და სიცილი აუტყდა.

ნანა ნათელასავით თვალის ჩაკერით გაეთამაშა.

სცენაზე ნახევრად მძინარე ბიჭიკო შემოდის. იგი თავის პერსონალურ სკამს მოათრევს, რომელსაც შუა სცენაზე დგამს, ზედ ჯდება და ძილის გაგრძელებას აპირებს.

ნათელა – დაგვიბრუნდა, ბიჭიკო, ჩვენი შვილი.

ბიჭიომ განტად გაასილა თვალები.

ნათელა – ბიჭიო. ლევანი დაბრუნდა.

ბიჭიო – როგორ. წასული იყო სადმე თუ?

ლევანს თავშეუკავებელი სარსარი აუტყდა. იგი იცინის და ვერ გაჩერებულა. ბიჭიო, ნათელა და ნანა გაკვირვებით და შიშით უყურებენ მას. ლევანი ნელ-ნელა მშვიდდება. იგი ნაღელიანი სასით შეათვალიერებს თავის მშობლებს და ნანას. ლევანი სწრაფად წამოდგა, თითქოს რაღაც გადაწყვეტილება მიიღო. და კულისებისკენ წავიდა.

ნათელა – სად მიდისარ, ლევან?

ლევანი – გოოპარკში. ბუში უნდა ენასო.

ლევანი სცენიდან გადის.

ნანა – მოიცა, ლევან, მეც მოვდივარ.

ნანა ლევანს გაეკიდება. სცენაზე ნათელა, ბიჭიო და სიჩუმეა.

ნათელა – (თავისთავად) გაგეთის კორესპონდენტი!

ბიჭიო – (ფილოსოფიური იერით) გაიგარდნენ ბავშვები.

ფარდა

თვალის დახამხამება

ადამიანის მიწიერი ცხოვრება მაინც იმას იმეორებს, რაც მომხდარა მის გაჩენამდე და თუ ადამიანი ჩასწვდება თავის წარსულს, მაშინ მას შეუძლია გუსტად წარმოიდგინოს და დაინახოს, მომავალში რაც უნდა მოხდეს.

მისეილ მოშჩენკო

20-იანი წლები.

ოთახი იყო დიდი და მაღალჭერიანი, მუქშვინდისფრად შეღებილი, ოქროს ჯაჭვებით მოსატული კედლებით. ერთ მსარეს მუსის მძიმე, მოჩუქურთმებული კარადა იდგა. კუთხეში – შავი როიალი, ზედ – თაბაშირისგან გაკეთებული ბეთჰოვენის ბიუსტით. როიალის თავზე ჩარჩოში მოთავსებული მრავალი გამოჩენილი კომპოზიტორის პორტრეტი ეკიდა.

გიო ინტერესით ათვალიერებდა სასტუმროს. საძინებელ ოთახშიც შეისედა. ბუსარი, ორსაწოლიანი განიერი ლოგინი, თეთრი, ძვირფასი ტანსაცმლის კარადა და ასეთივე ფერის ტრილიაჟი დაინახა. კვლავ სასტუმროს დაუბრუნდა. ბარომეტრზე თითი დააკაკუნა. უეცრად იატაკზე მდგარი მაღალი საათის გონგისგან შეკრთა. შუა ოთახში მრგვალ მაგიდას ფრთხილად შემოუარა. მოძრაობდა ნელა, გაუბედავად. ეს იყო ჩვიდმეტიოდე წლის ჯანმაგარი გლესის ბიჭი, მძიმე და დაკვირვებული გამოსედვით, რომელიც უცნობ სამყაროში მოსვდა და ასლა მის ათვისებას ცდილობდა.

ოთახის ფანჯარა და კარი ნათელ შუშაბანდში გადიოდა. იქ დიდ ქოთანში პალმა იდგა.

გიომ დაინახა მოსამსახურე ქალი, რომელმაც შუშაბანდი გადაკეთა და სასტუმროში შემოისედა.

– წამობრძანდით.

გიო გაჰყვა. შუშაბანდი გაიარეს და გვერდით ოთახში შევიდნენ.

წიგნებით გატენილი თაროებით გადატვირთული კაბინეტის ტიპის ოთახი საგვარეულო ნივთებით იყო სავსე. აქ ყველაფერს ძველი და ფუნდამენტური იერი ჰქონდა. მაღალზურგიანი ყავისფერი დივნის წინ მაგიდაზე ორი მაღალი შანდალი, მასიური სამელნეები, მარმარილოს საშრობი, დაეიდის ბრინჯაოს ფიგურა და სხვა, გიოსთვის ამოუცნობი, ნივთები იდო. აქვე ელაგა რამდენიმე გახსნილი რვეული, ეყარა ბევრი ფანქარ-კალმისტარი.

მაგიდასთან, მძიმე სავარძელში, მსრებზე დაყრილი ფაფარივით თმებით, ზორბა კაცი იჯდა და სელში ქარვის ყვითელ ბურთულებს ათამაშებდა. მის წინ, სის საყრდენზე მიმაგრებული, ლამაზი ქალის პორტრეტი იდგა.

კაცმა ბიჭს ოდნავ გაუღიმა.

– გამარჯობა, გიო.

– გამარჯობათ, სერგო ბიძია.

– მოდი გაყოცო.

გიო დაისარა. კაცმა ქარვის ბურთულები პატარა ლამბაქზე ჩსრიალით დაყარა, გიოს შუბლზე ყოცა და ლოყაზე სელი მოუთათუნა.

– რამსელა გაზრდილსარ... ვერც კი გიცნობს კაცი... თქვენები როგორ არიან?

– გმადლობთ, კარგად, სერგო ბიძია. – პროვინციულ კილოზე მიუგო გიომ.

– საწყალი მამიდაშენი სულ იმას გაიძასოდა, გიო ჩემსავით მომღერალი უნდა გამოვიდესო. არ დასცალდა, – სერგომ ქალის პორტრეტს გახედა და მერე პირგაუსსნელად გაიცინა. – თუმცა შენ, როგორც გავიგე, არმიაში ჩაწერილსარ მოხალისედ, ე.ი. ჩვენს მტრებს მუსრი უნდა გაავლო?

გიომ თვალები შეანათა.

– პო, კარგი, გატყობ, თავმოყვარე სარ მამაშენივით... წამოდი, შენს ოთასს გაჩვენებ. მე მაინც არ მჭირდება. გამოყეტილი მაქვს.

სასტუმრო ოთახი გადაკვეთეს და სერგო ბიძიამ შემინულ კარს სელი ჭრა.

– ზამთარში რა გეშველება, საყინულეა აქ, თორემ ასლა არა უშავს.

გიომ კარში შეისედა.

ეს იყო პატარა, გაურემონტებელი, სრულიად ცარიელი ოთახი. მსოლოდ რკინისგამბარიანი შიშველი საწოლი იდგა კედელთან ეულად და სიმარტოვის შეგრძნებას იწვევდა. ფანჯარაში ასლად აყვავებული ალუბლის სის ტოტები მოჩანდა.

40-იანი წლები.

პატარა დარბაზში კინოს უშვებენ. ერთი კაცი უყურებს. სიბნელეში მსოლოდ მისი თვალები ირეკლავენ სინათლეს.

ეკრანზე ესედავთ ჯარისკაცებს, რომლებიც გორაკზე რკალად ჩამომსხდარან და ლამაზი ქალიშვილის სიმღერას უსმენენ. აკომპანიმენტს აორდეონზე უფესო სეიბარი უკრავს. ნინო ქართულ რომანსს გატაცებით მღერის. გრძნობს, რომ ჯარისკაცებს მოსწონთ და მის სასეს მშვენიერი ღიმილი არ შორდება.

ნინო სიმღერას ამთავრებს. ჯარისკაცები მას მქუსარე ტაშით აჯილდოვებენ.

დარბაზში სინათლე ინთება. ორმოციოდე წლის მსუქანი, ზორბა ტანის კაცი დაფიქრებული ზის სავარძელში. ეს გიოა, რომელიც ოცი წლის შემდეგ ძნელი საცნობია.

იგი წამოდგა და დარბაზიდან ნელი ნაბიჯით გავიდა.

გიო კაბინეტში ზის და რაღაც ქაღალდებს ჩაჭირკიტებს. ვიღაც თანამშრომელმა კარი მორიდებით შემოაღო. გიომ მწყრალად ასედა.

– გიორგი ზურაბოვიჩ, კონსერვატორიიდან არიან. ასალგაზრდა გოგოა. თქვენ იცნობთ, ლაურეატია... სტუდენტია... პურის ბარათები მოპარეს, თუ... თვითონ დაუკარგავს...

გიორგიმ ცოტა სანს გამომცდელად უცქირა. მერე დინჯად თავი დაუქნია.

თანამშრომელმა ოთასში ნინო შემოუშვა და თვითონ კარი გაისურა.

ნინოს უბრალო თეთრი ჩითის კაბა აცვია. ფეხებზე – ნაცრისფერსარტყლიანი ნაჭრის ფეხსაცმელები და გადაკეცილი თეთრი, მოკლე წინდები. თმები იმ დროისთვის მოდაზე აქვს შეკრეჭილი და ძალიან უხდება.

ნინო იქვე კართან სკამზე ჩამოჯდა. სასე სელებში ჩარგო და ამლუქუნდა.

გიორგი განცვიფრებული შესცქერის მას.

ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე, ორსართულიან აიენიან სასლთან შავი მანქანა გაჩერდა. მანქანიდან გიორგი გადმოვიდა და შენობაში შევიდა.

ოთასში ორი ასალგაზრდა ქალ-ვაჟი ტანგოს ცეკვავს. მათ გარშემო ნინო მსიარულად ტრიალებს. დანარჩენები, ათიოდე ბიჭი და გოგო, ინტერესით უცქერიან.

კარი გაიღო და გიორგი შემოვიდა. მოცეკვაველებს მწყრალად შესედა. ოთასი გადაკვეთა და მეორეში გავიდა.

მოცეკვაველებსა და მათ მაცქერალთ შორის უსერსულობა შეიმჩნევა.

გიორგი და ნინოს დედ-მამა პატარა მრგვალ მაგიდას შემოსხდომიან.

ნინოს დედა უსერსულად გრძნობს თავს. გიორგი თითქმის მისი სნისაა და მომავალ სიდედრს უჭირს თავისი ქალიშვილის და ამ „სნიერი" კაცის ერთობლივი ცსოვრების წარმოდგენა. მან არ იცის რა ქნას – სელებს ნერვიულად ამოძრავებს. ბოლოს შაქარყინულიანი ლამბაქი მიუწია.

– მიირთვით გიორგი... – და მერე დაამატა, – ამსანაგო გიორგი.

გიორგიმ თავი სერიოზულად დაუქნია და პატარა ნაჭერი პირში ჩაიდო.

ოთახში ნინო შემოვიდა, ყამზე მუსლებით დადგა. მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და ნიკაპი სელებში ჩადო. იგი ღიმილით უყურებს გიორგის. ნინო ჯერ კიდევ ბავშვია და უსარია, რომ დიდი თანამდებობის და ასაკით გაცილებით უფროსი მამაკაცი მისით არის დაინტერესებული.

სიჩუმე აუტანელი გასდა. ნინომ ვეღარ მოითმინა და სიცილით პირდაპირ შეეკითხა:

– გიორგი, გიყვარვარ?

გიორგიმ სმა არ გასცა. ნინოს დედ-მამა, თვალებდამრგვალებულნი, გაშტერებულნი სსედან.

– ცოლად გინდა გამოგყვე?

გიორგიმ გაუღიმრად თავი დაუქნია.

უნივერსიტეტის ბაღში ფოტოგრაფი სამფესა სის აპარატს ამზადებს. ნინო, თავის თანაკურსელებთან ერთად, აპარატის წინ დგას.

ბაღთან მანქანა გაჩერდა. იქიდან გიორგი გამოვიდა და ნინოს დაუწყო ყურება. ნინომ იგი შეამჩნია, ვიღაც ბიჭს კეკლუცად მსარზე სელი გადასვია და ბიჭის მოწოდებული პაპიროსი პირში გაიჩარა, თავზე მეორე ბიჭის კეპი მოიგდო და გავროშს დაემსგავსა.

რამდენიმე გოგომ უჩურჩულა.

– ნინო, შენი ქმარი მოვიდა.

– მერე რა? ჩემი ქმარი კაციჭამია კი არ არის.

სმამაღლა თქვა ნინომ და ქმარს სელი დაუქნია.

– გიო, გი-ოო!

ფოტოზე ეს სცენაა აღბეჭდილი.

ოჯახური ალბომი გადაიფურცლა. ასლა სსვა ფოტოებს ვსედავთ.

კიბეზე, რომლის უკანაც თეთრი, ლამაზი სანატორიუმი მოჩანს, ნინო და გიორგი დგანან. ნინოს მუქი მწვანე, კრაველის საყელოიანი პალტო აცვია; მაღალი, დასვეული თმის ვარცსნილობა აქვს, კეკლუცად იღიმება. გიორგი ნაცრისფერ მაკენტოეშია, შლაპა ასურავს, სასემოღუშული იყურება ობიექტივში. ფოტოსურათზე, დაბლა, კუთსეში, თეთრი ასოებით წარწერაა: „წყალტუბო, 1946“.

სანატორიუმის დიდ დარბაზში ფესებზე ტომრებამოცმული კაცები სტუნვით ერთმანეთს სისწრაფეში ეჯიბრებიან. კედლებთან ჩამწკრივებული ყამებიდან დამსვენებლები მათ უკიეინებენ და ტაშს უკრავენ. კულტმუშაკი აქტიურობს.

– აბა, ჩქარა, გამარჯვებულ წყვილს პრიზი ელის.

დარბაზში ადმინისტრატორთან ერთად გიორგი და ნინო შემოვიდნენ.

– გიორგი ზურაბოვიჩ, აქ კულტურული დასვენების ადგილია. სალსი ერთობა.

კულტმუშაკმა ისინი შეამჩნია და რისიანად მთელ დარბაზზე დაიძახა:

– ასლა კი, ვალს-ბოსტონი!

აორდეონი ბოლომდე გაჭიმეს. კულტმუშაკი ნინოს მიეჭრა, ხელზე ემთხვია.

– თქვენი სებართვით, – მიმართა მან გიორგის.

გიორგის სახე შეეცვალა.

კულტმუშაკი და თვალებგაცისკროვნებული ნინო ნელა დატრიალდნენ. კულტმუშაკს, კაუჩუკისძირიანი ფესსაცმელი აცვია. იგი ელეგანტურად, განსაკუთრებული პეწით ცდილობს ცეკვას.

.

საბანაო კოსტიუმში გამოწყობილი ნინო მარდად გარბის ზღვის ქვიშიან სანაპიროზე. მის ლამაზ ფესებს ტალღები ქაფად ედება. შლაპიან-კოსტიუმიანი გიორგი ქლოშინით უკან მისდევს. ნინო კისკისებს. გიორგი ჩერდება და სიძულვილით უყურებს ცოლს.

– გიო, – ეძახის ნინო შორიდან, – გიო, სულ არ სარ რომანტიული.

გიორგის გული ამოვარდნაზე აქვს.

50-იანი წლები

ფანჯარაში დათოვლილი ნაძვის ხე მოჩანს.

ამ სხის მანძილზე სასტუმრო ოთახი თითქმის არ შეცვლილა. მსოლოდ ავეჯს დაემატა ზოგიერთი დეტალი. როიალზე, ბეთჰოვენის

გვერდით ძელის სსვადასსვა სიმაღლის სპილოები ჩამწკრივებულან. კედელზე ცნობილი მომღერლების, დასების, გუნდების სურათები კიდია. აქ არის შალიაპინი, კარუზო, ტიტო გობი, ქართული საოპერო მომღერლების ფოტოსურათები. ძვირფასი ქვის მაღალ პოსტამენტზე თავასდილი პატეფონი დგას. ფირფიტებიც გვერდით უწყვია. სასტუმროშივეა სერგო ბიძიას კაბინეტიდან გამოტანილი მაღალზურგიანი ყავისფერი დივანი; კვლავ ძველებურად ყრუდ აჟღერდა საათი.

ფაფუკ, სშირწიწვოვან ნაძვის სეს, კედელთან რომ მიაყუდეს, ჭერთან კენწერო გაეღუნა.

დურგალმა ორი, კარგად გაჩორკნილ-გაშალაშინებული ფიცარი ყალიბებით ერთმანეთთან ჯვარედინად მტკიცედ დაკავშირა, შემდეგ ნაძვის სეს ძირი მუსტად იმდენზე მოაჭრა, რომ ჭერამდე სწორად მდგარიყო და სის ძირს დაუწყო პატარა ცულით კირკიტი. ძვირფასი, პოლირებული, ოთსკუთსედებად შეკრული მუსის პარკეტი თეთრი ნაქურჩალით დაიფარა. სანამ ნაგავს ცოცხით მოსვეტდნენ, ნაძვი ფიცრებში ჩაარჭეს და გაამაგრეს. იგი საოცრად ლამაზი, სწორი და პროპორციული აღმოჩნდა.

დათოვლილ ქუჩაზე ბორბლებზე ჯაჭვების ჩსრიალით „პობედამ" ჩაიარა.

შეფუთულ ბავშვებს ბებიები ციგებით დაასეირნებენ. გოგო-ბიჭებს კოცონი დაუნთიათ და ზედ ასტებიან. სსვაგან კივილ-წივილით გუნდაობენ.

აივნებიდან უფროსები სსვადასსვა მუყაოს ყუთებს ისვრიან, ესეც კოცონს ემატება.

თბილი ტანსაცმლით გაბერილი პატარა ბიჭი გოგოს უასლოვდება. ესვევა და ტუჩებში კოცნის.

ქალაქში მაშსალებს ისვრიან.

ქვის ბუხარში მსოლოდ ნაკვერჩსლებიღა ანათებს. გვიანი ღამეა. განიერ, ორსაწოლიან ლოგინში პატარა ზურიკო წამომჯდარა და მოციმციმე თვალებით სასტუმრო ოთასს გასცქერის. იგი კარიდან

მსოლოდ იმ კუთხეს სედავს, სადაც ახლა უფროსები ნაძვის ხეს რთავენ.

სინათლე გამორთეს და ცოტა სანში ნაძვის სეზე ნათურები მოულოდნელი ეფექტით აკაშკაშდა.

ვიღაცის მზრუნველმა სელმა მძინარე ზურიკოს ბალიშის ქვეშ გუდაპერჩის ყვითელი პატარა ცხენი ამოუდო და გაუჩინარდა. ზურიკოს ძილ-ბურანში გაეღიმა. ცხენი სელით მოსინჯა.

ფანჯარაზე დარაბები გასსსეს. მზე მკვეთრად შემოიჭრა. ზურიკომ ქუთუთოები შეჭმუსნა.

სამსართულიანი აგურის სასლის ბნელი სადარბაზოდან. ჭადრებით დაჩრდილულ ვიწრო ქუჩაზე, ნელი ნაბიჯით გიო გამოვიდა. კოსტიუმი მუცელზე გასსნოდა. თავზე ფართოფარფლებიანი შლაპა ესურა. სელები ჯიბეებში ეწყო.

გიომ ქუჩა დაათვალიერა და იქვე მდგარ მანქანაში უკანა საკარძლეზე სვნეშით დაჯდა. მძღოლმა მლიქვნელური ღიმილით მოსედა.

– გამარჯობათ, გიორგი ზურაბოვიჩ.

გიომ არ უპასუსა. შლაპა შუბლიდან აიწია და სტვენა დაიწყო. უსტვენდა ერთი და იგივე მელოდიას, შეუწყვეტლივ. უსმენოდ და მოსაბეზრებლად. თვალებში და სასის იერზე ეტყობოდა, რომ ცსოვრებაში იშვიათად იღიმებოდა.

მანქანა დაიძრა. გიორგი მძიმე, ჩამოსიებული ქუთუთოებიდან ფანჯარაში ჭადრებს უყურებდა.

მანქანა პროსპექტზე გავიდა.

– ცუდ სასიათზე სომ არ სართ, ზურაბოვიჩ? – ჰკითსა მძღოლმა, – მამაჩემიც თქვენ გგავდათ, ვერ გაიგებდი, როდის უსაროდა და როდის არა... გარაჟში რომ პაელიკა გვყავს, თქვენზე იძასის, რომ შეუღიტინო ვერ გააცინებო.

მძღოლმა, თავისი გაბედულობით შეშინებულმა, ჩუმად ჩაისითსითა, გიორგი უსტვენდა.

პატარა ზურიკო ლოგინში წამომჯდარა. რაღაცაზე დაფიქრებულს

თვალები ერთ წერტილზე მიყინვია. ყელი თბილად აქვს შესვეული. მის გარშემო საბანზე რამდენიმე ფოტოსურათებიანი ალბომი დევს გადაშლილი. აქვეა წიგნები – „ბურატინო", „ტომ სოიერის თავგადასავალი", „სამი მუშკეტერი", „აელიტა" – რომელიც ასლა სელში უჭირავს და კიდევ ერთი-ორი გუდაპერჩის ყვითელი ცხენი საწოლის გვერდით ტუმბოზე დგას. „ნეშიონალ გეოგრაფიკოს" ძველნომრიან ჟურნალში ცხვირში რგოლებგაყრილი პაპუასების სურათებია.

ქუჩიდან სმამაღალი შეძახილი ისმის.

– მაწონი, მაწონი!

ზურიკო საწოლზე აიწია და პერანგისამარა ღია ფანჯრისკენ გაფრინდა. ფანჯარა მშვიდობიანად გასვლო და მესამე სართულის სიმაღლიდან ჩანთებით დატვირთულ მემაწვნეს დასედა.

გაოგნებულ მემაწვნეს სმა ჩაუწყდა. ზურიკოს პირდაღებული უყურებს.

ყელშესვეული ზურიკო კვლავ ლოგინშია წამომჯდარი, წარმოდგენილი სურათისგან სიცილი აუტყდა, რომელიც ბრონქიალურ სველებაში გადაეზარდა.

სამზარეულოდან სწრაფი ნაბიჯით ბებია შემოვიდა. ზურიკოს ფიალით ცსელი რძე და კარაქიანი პური მიუტანა.

– დალიე, ზურიკო, თბილი რძე შენს ყელს მოუსდება.

ბებიამ კარაქიან პურს დანით ყუა მოაჭრა.

ბიჭმა ფიალა გამოართვა, მაგრამ პურს რომ დასედა სასე დაემანჭა.

– კარაქი არ მინდა.

– სომ სედავ, პურს ყუა მოვაჭერი. ზუსტად იმდენი, რამდენსაც შენ ტოვებ სოლმე. კარაქი არ გაწყენს. კარაქი ყელს დაგირბილებს.

ოთასში ძვირფას სალათში გამოწყობილმა დედამ შემოაბიჯა. ნინოს თმები მოუზრდია და ასლა თავისებური ვარცსნილობა აქვს გაკეთებული, რაც მას უკვე კარგად მოვლილი და მდიდარი ქალის იერს აძლევს.

– წარმოგიდგენია, აგურები მართლა ამოატანინა შოფერს. ეგ კაცი ნამდვილად გიჟია. ბინა უნდა გადავტისროო. თავი რომ

მოიცლას მაინც არ გავეყრები. ოჯახს არ დავანგრევინებ. ზურიეოს მამა არ უნდა პყავდეს!? ასეთი უემური არაუერი მინასავს. არავინ არ უყვარს, არავინ!

ნინოს დედა შეწუსებული უსმენს. ნინომ სარეეში მაღალ წინდებზე ნაკერი გაისწორა და თავისი ფესები შეაფასა.

– ყველაზე ლამაზი დედიეო შენ გყავს. არა ზურიეო?

ნინო შეილის პასუხს არც დაელოდა. ისე გააგრძელა:

– შენც მამაშენის კოპიო ხარ. მამაშენივით ღრჯო გამოხვალ.

ნინომ გაიცინა. ზურიეოს ლოგინზე მიუჯდა და ჩაისუტა.

გაღიმებული ბებია სამზარეულოსკენ წავიდა.

დაწესებულების ღერეფანში გიორგის დანასვისთანავე ყველა კედელს აეკრა და გზა გაათავისუფლა.

– გამარჯობათ ზურაბიჩ!

– სალამი, გიორგი ზურაბოვიჩ.

გიორგი უსტვენდა. კედლის გაზეთთან, რომელზეც ყვავილებით ხელში საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი ლამაზი ქალი იყო დასატული, იგი შეჩერდა, გაზეთი გაღიზიანებით ჩამოსია და გზა განაგრძო.

მან მბეჭდავებით სავსე დარბაზი გადაკვეთა. მბეჭდაეები ფესზე წამოდგნენ.

კაბინეტში შლაპა ოსტატურად მოისროლა და საკიდზე ჩამოაგო. ცოტა სანს ფანჯრიდან ქალაქს უცქირა. მერე თავის მაგიდას მიუჯდა და იქვე კედელზე, ზარის ღილაკს თითი დააჭირა.

მდივანი ქალი შემოვიდა.

– გისმენთ, გიორგი ზურაბოვიჩ.

– შოფერი გამომიცვალეთ... შოთას დამიძახე.

– დიას.

მდივანი ხელის აქნევით გაუშვა. გიორგიმ მაგიდის ერთ-ერთი უჯრა გამოაღო. პატარა ლამბაქი (რომელზეც რამდენიმე ფერადი ქარვის ბურთულა იდო) ამოიღო და მაგიდაზე დადგა. მერე ტელეფონით შინ დარეკა.

ყურმილი ცოლმა აიღო.

– პალლო! – თქვა ნინომ.

გიორგიმ ყურმილი დაკიდა.

კაბინეტში დაბალმა, უკბილო მოსუცმა შემოისედა. მას თვალი უთამაშებს, ეტყობა წიკი აქვს.

– მეჯასდით ჟურაბოვიჩ? – აჩიფჩიფდა იგი.

გიორგიმ თავი დაუქნია.

– მოიფიქრე რამე?

– გაყრიშთვიშ საკმარისი იქნება, თუ დაამტკიჩებთ, რომ ჩოლი გღალატობთ.

გიორგიმ მკაცრად შესედა.

– სსვა?

– ჯალიან ჯნელია. მით უმეტეს ბავშვი გყავთ. შერიოქული მიქეეია შაჭირო.

გიორგიმ საოცარი გაღიზიანებით ქარვის ბურთულებს წკიპურტი ჭრა და ოთახში მიმოაბნია. მოსუცი დაფაცურდა.

– აგერ ზურაბოვიჩ, აგერ კიდეე.

შოთამ მაგიდის ქვეეიდან თავი გამოპყო.

– რამდენი იყო, ჟურაბოვიჩ?

– ჩემმა ბიჭმა მითხრა, ასე ნუ აკეთებს, ნერვები მეშლებაო, – გიორგიმ შოთასავით თვალი აათამაშა.

შოთამ ნაძალადევად გაიცინა.

ოთახში ტელეფონი რეკავს. ნინო ყურმილის ასაღებად მიეიდა.

კაბინეტში, გიორგის წინ, ვიღაც ბავშვიანი ქალი ზის მაგიდასთან.

– ყველაფერი, რასაც მთხოვ, მაღაზიაში იყიდება, ნათელა, – ეუბნება გიორგი.

– კარგი ერთი, თუ კაცი სარ, მაღაზიაში რაც ჯღანია იმას რავა ჩავაცმევ ბიჭს.

ბიჭს თითი პირში ჩაედო და გიორგის უყურებდა. ნათელამ სელზე დაარტყა.

– პირიდან თითი!.. პროდუქტებით მაინც დაგვეხმარე. მამამისის

მეგობრები თუ არა, აბა, სხვას სუყველას ფესებზე არ ეკიდივართ... ამ საცოდავს არავინ პყავს პატრონი, უბედური, ობოლი და უბედური.

ნათელამ ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლი შეიმშრალა. მერე შვილს თმებზე მოეფერა. ბიჭმა დედის ხელი გაღიმიანებით მოიშორა. გიორგი ყურადღებით უთვალთვალებს მათ.

– ჩემი საკუთრება რომ იყოს... ტანსაცმელს და საჭმელს მაღაზიაში ვყიდულობ.

ნათელა ნერვიულად ადგა ფეხზე.

– კი გამიგია შენზე, ძუნწი და უკმური კაციაო, მაგრამ შენი მეგობრის შვილისთვის თუ დაინანებდი რამეს არ მეგონა!

ნათელამ მაგიდას ხელი დაარტყა და იყვირა:

– არ მითხრა ახლა, არ მომიპარავსო, მილიონები გაქვს სახლში, მილიონები! წამოდი შვილო, წამოდი... უსინდისო!

ნათელამ ბიჭს ხელი ჩაავლო. კართან ისინი გიორგის დაძახებამ შეაჩერა.

– ბიჭი, მოდი ჩემთან.

გაკვირვებულმა ნათელამ ბიჭს ხელი შეუშვა. ბავშვი ნელა მიუახლოვდა მაგიდას. გიორგიმ ლამბაქზე თითი დაკაკუნა.

– ამოიღე და ჩაყარე აქ!

ბიჭმა უსალისოდ ამოიუსიკა ჯიბე და ქარვის ბურთულები ლამბაქზე დაყარა. გაცოფებულმა ნათელამ შვილი კარისკენ წაათრია.

– უი, უი, შე ძუნწო, ბოროტო, – ბიბღით უყვიროდა იკი გიორგის.

ტელეფონთან გრძელპერანგისამარა ბურიკო მივიდა. მას ქამარი აქვს შემორტყმული, რომელშიც პატარა ხის დაშნა გაურჭვია.

– გისმენთ.

სმა არავინ გასცა.

– გისმენთ.

გაიმეორა ბურიკომ.

– მამა სარ? – თქვა მან ჩუმად.

გიორგიმ ყურმილი დაკიდა. ბურიკომაც იგივე გაიმეორა და დერეფანში გავიდა. სააბაგანოს მაღალი კარი გამოაღო. სააბაგანოში შსაპი რკინის მრგვალ ღუმელშია დატანებული. მის ღია პირთან

შეშაა დაყრილი. კედლებზე სსვადასსვა ზომის ტაშტები კიდია. იქვეა პირსასოცები და საბანაო მოსასსამები. აბაზანა თეთრეულით და სარეცსითაა სავსე.

ორი უშველებელი შაეი და თეთრი დედალი მეტლასმე დაყრილ საკეკს ნიყარტებს უკაკუნებს. მათ ზურიოსკენ შემოაბრუნეს თავები და შემდეგ ერთმანეთს გადასედეს.

– მილედი, – თქვა ერთ-ერთმა, – ეს გასკონელი ოდესმე თავებს წაგვაცლის.

– ოპ, მონსენიორ, – ამოიოსრა მეორემ.

ქათმებმა ნიყარტები იატაკზე კვლავ აკაკუნეს.

ზურიომ აბაზანის კარი მისურა და საბარეულოში შევიდა.

თაროები ქვაბებით და ჯამ-ჭურჭელითაა სავსე. ქვის განიერი, დაბალი ღუმელის ერთ მსარეს ორი ნავთქურა ასთია. სის სკამზე წყლით სავსე მრგვალი ტაშტი დგას, რომელშიც პატარა ლოქო დაცურავს და ბუშტუკებს უშვებს. მეორე, უფრო მოზრდილი, მაგიდაზეა დაგდებული და ასლა მალაკნელი მოსამსასურე ქალი, შავი, გამხდარი და კაპარჩსინა შურა მის კისერს დანას უმიზნებს.

უეცრად ლოქომ პირი დააღო, ზურიო მიშველეო, ბოსი სმით შეესვეწა და შურას თითზე უკბინა. მან იკივლა და თაეის ენაზე რაღაც შეუკურთსა.

ზურიო სამზარეულოს გაცდა და მომდევნო ოთასში შეაღო კარი.

ამ პატარა საკუნნაოში, რომლის ფაჯარაშიც დათოვლილი ქალაქი მოჩანს, საოცრად ცივა. ზურიო თბილად არის ჩაცმული. იგი უბრალო, თეთრად შეღებილ კარადასთან მივიდა და კარი გამოაღო. თაროებმა, რომლებზეც სსვადასსვა პროდუქტები აწყვია, კიბის მაგივრობა გაუწია. ზურიო ბოლომდე აძერა, უკნიდან შაქარყინულით საესე თეფში გადმოიღო, დაბლა ჩამოვიდა და შაქარყინულით პირი ჩაიტკბარუნა.

ზურიო და დედამისი ქუჩაში მოდიან. ნინოს წელში გამოყვანილი ვიწრო, მწვანე კაბა აცვია. თავზე ასევე მწვანე პატარა ქუდი ასურავს, რომელშიც რომელიღაც ფრინველის წითელი ფრთაა გარჭობილი. ზურიო თეთრ პერანგში და გრძელ შავ შარვალშია.

მათ მანქანიდან ორი შლაპიანი მამაკაცი უთვალთვალებს.

ნინო და ზურიკო ოპერის შესობაში შეღიან.

ერთ-ერთი მსასიობის ოთახის კარი შეაღეს. მეფისტოფელის ტანსაცმელში გამოწყობილმა მსუქანმა, ღაბაბიანმა კაცმა ზურიკოს ბანით არია უმღერა.

მეორეში – ასლა ღაბაბიანმა ქალმა ააწკრიალა სმა ბულბულივით.

მესამეში – შიშველმა ბალერინებმა ჯერ შეკიელეს და შემდეგ ნინოს და ზურიკოს შემოესვიენენ.

– ზურიკო, ბიჭო!

– ზურიკო, რამსელა გაზრდილსარ!

– ზურიკო, შალიაპინი უნდა გამოსვიდე თუ ჭაბუკიანი?

სცენაზე ბალერინა ტრიალებს. ზურიკო პარტერიდან დარბაზს ათვალიერებს. იკი ზევით, იარუსების მოოქროვილი ლოკებიკენ იცქირება.

ზურიკო ბოლო იარუსზეა და პარტერს ჩაკყურებს.

სცენაზე მომღერალი ქალი გამების რეპეტიციას ატარებს.

ზურიკო მშვენივრად მოსატულ ვესტიბიულს ათვალიერებს. დახვეული კიბეებით არბის-ჩარბის და დარბაზის სსვადასსვა იარუსზე ლოკებში შედის.

ზურიკომ მოჩუქურთმებული კარი შეაღო და თოჯინებით სავსე სარკეებიან, პატარა ოთახში აღმოჩნდა.

შვიდი, ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ჩონგურებიანი თოჯინა წამოდგა, ზურიკოს თავი დაუკრეს, კვლავ დასხდნენ და „სულიკო“ დაუკრეს.

ტრიოლელმა მწყემსმა ბიჭუნამ თავისი სალამური ააყღერა. მეორემ თავი დასარა, ფინჯანიდან წვრილი მილით საპსიანი წყალი შეისრუტა და ბუშტები გამოუშვა.

ყველაზე დიდმა, ბაფთიანმა თოჯინამ, რუსულად დედის ძახილით, დამოუკიდებლად გვერდით ჩაუარა.

ზურიკო ბებიას და ბაბუას სასლშია. ფართო ოთახში ორი რკინის

საწოლია. კედლის ერთ მსარეს თაროები წიგნებით არის გადატენილი. საპირისპიროდ კაფელის ღუმელია ჭერამდე. კედლებზე სსვადასსვა გობელინი და შავი მუყაოს რადიო კიდია. შუა ოთასში მრგვალი მაგიდა დგას. ზედ გაფცქვნილი სასვი და დაჭრილი პურია.

საწოლზე წელამდე შიშველი ბებია ზის. ზურგზე წურბელები ასვევია, რომლებიც სისსლისგან იბერებიან და დაბლა ვარდებიან. ბებიას ექიმბაში ქალი დაჰფუსფუსებს. ბებია ალერსით უყურებს ზურიკოს, რომელიც აქამდე სასვით და პურით გემრიელად ილუკმებოდა, მაგრამ ასლა განცვიფრებული უყურებს წურბელებს.

– ჩემი არწივისთვალება ბიჭი, – თქვა ბებიამ, – გიყვარს სასვი და პური?

ფანჯარასთან (რომელიც შუშაბანდში გადის) მიდგმულ ლომბარდის მაგიდასთან ბაბუა ზის, ვეფსისტყაოსანი გადაუშლია და რვეულში რაღაცას ინიშნავს. თავზე წითელი ჩაჩი ასურავს. გრძელი, კესიანი ცსვირის წვერზე წვეთი ჩამოკონწიალებია და ყოველწამიერად მატულობს. ზურიკო ინტერესით შესცქერის.

წვეთი ბოლო ზღვრამდე გაიზარდა, ცსვირს მოსწყდა და რვეულს დაეცა. ბაბუამ ნაგვიანებად ამოღებული ცსვირსასოცით ცსვირი შეიმშრალა.

ღია აივნიდან ძველი თბილისის ორსართულიანი სასლებით შემორკალული ეზო მოჩანს. ეზო შუაზე სასლების სიმაღლის რკინის ბადით არის გადატისრული. მეორე ნასევარში რომ მოსვდე, ამ კვარტალს მთლიანად უნდა შემოუარო, მაგრამ პატარა უშიშარი ბიჭები ბადეზე ჩამოკონწიალებულან და ზოგიერთი მასზე გადაძრომასაც კი ასერსებს.

ეზოში ორი მამაკაცი შეშას სერსავს. ვიღაც ძველმანების შეძენაზე სურვილს ყვირილით გამოსატავს. მეორე სართულის კარნიზს კატა მიუყვება. ცოტაოდენი მომზადების შემდეგ საოცარი მოქნილობით სის კიბეებზე სტება.

პატარა ბიჭუნა კოჭით საპნის ბუშტებს უშვებს.

რკინის ბადის მიღმა, მეზობელი სასლის მეორე სართულის აივანზე, მშვენიერი, ოქროსთმიანი, თეთრ კაბაში გამოწყობილი

გოგონა შორიდან გურიეოს ულიმის.

დერეფნის ბოლოს, სადაც უამრავი კაქტუსია ქოთნებში და ორი პალმა დგას, კარი გაიღო და წელში მოხრილი, მოხუცი ქალი გამოვიდა. თავზე მსხვილი, ნაქსოვი შალი ჰქონდა შემოხვეული. გამხდარ სხეულზე უშველებელი თბილი სალათი მოესხა. გრძელი, წითელი, მეჭეჭიანი ცხვირით ბოროტ ჯადოქარს წააგავდა. მოცასცასე ხელებით საბავშვო სარწყავიდან კაქტუსებს წყალი დაასხურა. მერე გურიეო შეამჩნია, ჰოდაგრით დამასინჯებული საჩვენებელი თითით თავიკენ მიიპატიჟა, საკერდის მძიმე, წითელი ფარდა ძლივს გადასწია და ოთახში შეუძღვა.

დარაბებდასურული ფანჯრის რაფაზე რამდენიმე ეკლიანი ალოე მოეთავსებინათ. სერვანტის თავზე გალიაში, ფერადი თუთიყუში დაბორიალობდა. წითელი საკერდით გადაფარებულ მაგიდაზე კარტი იყო დაყრილი, საფერფლე პაპიროსის ნამწვაეებით ავსებულიყო. ყავის ცარიელი ფინჯანი ლამბაქზე გადმოებრუნებინათ. ოთახის კუთხეში, განიერ საკარძელზე კისერზე ბაბთაწყრული თაბაშირის კატა იდგა.

ქალმა კარადიდან ვარდის ლიქიორი გადმოიღო და პატარა ჭიქაში ხელის კანკალით ჩაასხა. გურიეომ გემრიელად დალია წითელი სითხე და ტუჩები მოილოკა.

ქალმა ბიჭს დახეული, მტვრიანი წიგნი გადაუშალა. სურათზე ყუმბარაზე ამსედრებული ბარონი მიუსპაუზენი ესატა. ქალმა სურათს თითი დაადო და საიდუმლო ჩურჩულით უთხრა:

— ეს ჩემი ქმარია.

გიორგი მანქანიდან გადმოვიდა და თავისი სახლის სადარბაზოში შევიდა.

იგი ნელა, სვენებ-სვენებითა და სუნუნით მიუყვება კიბეს.

სადარბაზოში გამების სმა ისმის.

გიორგიმ კიბეები მოამთავრა და თავის ბინის კარს მიადგა. ჯიბეები მოიქექა, გასაღები ვერ იპოვა და ზარი დარეკა. კარის გასაღებად სიდედრი მოვიდა. ჭუჭრუტანიდან გასასედად პატარა

დაუა გადასწია. მაგრამ გიორგიმ ჭუჭრუტანას სელი მიაფარა. მაშინ სიდედრმა კარი ძეწკვზე გასსნა.

– ოჰ, გიორგი, რა უცსაური ხუმრობა იცით.

ოთასში ნინო ვიღაც თავის თანატოლ ბიჭთან ერთად როიალთან ზის და გამების სიმღერაში ვარჯიშობს. ისინი უსერსულად გაჩერდნენ.

– ეს ვინ არის? – მკვასედ იკითსა გიორგიმ.

– ჩვენი სოლისტია. ერთად ვმღერით.

– ერთად მღერით, ერთად სომ არ ცსოვრობთ?

ბიჭი წამოდგა. იგი მაღალი და კარგი შესასედაობისაა.

– მაპატიეთ, მე წავალ. ნასვამდის.

გიორგიმ არ უპასუსა. ბიჭი ბინიდან გავიდა.

– სასლში მეგობრებიც ვერ მომიყვანია. სადისტი და დესპოტი სარ. ყველა გეზიზღება, ყველა. სადისტი სარ... მაგრამ მე მაინც არ გაგეყრები. ოჯასს არ დაგანგრევინებ, თუ გინდა თავი ჩამოისრჩო. ბოლომდე ვეწამები და შენც გაწამებ. შვილს მაინც მიაქციე ყურადღება, ერთსელ მაინც ეთამაშე რამე, ისიც შენი მტერია!?

ნინომ ყვირილით დაამთავრა თავისი სიტყვები და ოთასიდან გავარდა. შეშინებულმა სიდედრმა ტუჩებზე სელი აიფარა და ისიც ქალიშვილს გაჰყვა.

გიორგი მაგიდასთან მივიდა, თითები აარაკუნა. იქვე სიდედრის სათვალეები შეამჩნია... აღვა და კარადის თავზე შემოდო.

შუშაბანდიდან შემოსულმა ზურიკომ ყველაფერი დაინასა. მამამ შეამჩნია.

– მოდი, აქ!

ზურიკო მიუასლოვდა.

– აბა დამიჭირე.

გიორგიმ მაგიდის ჯარშემო გრძელი, მოზომილი ნაბიჯებით დაიწყო სიარული. ზურიკო გამოეკიდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გიორგი არ ჩქარობდა, თავისი პატარა ფესებით მამას ვერ ეწეოდა. იგი საქმიანად მისდევდა გიორგის კუდში. ამით არც ერთობოდა, არც იცინოდა – უბრალოდ მოვალეობას ისდიდა. გიორგი კი, თავის

ფიქრებში წასული, მაგიდის გარშემო დადიოდა და უსტვენდა.

კარზე დარეკეს. გიორგი შეკრთა და ბიჭს ანიშნა. ზურიო კარის გასაღებად გაეშურა.

სადარბაზოში კეპში და ტყავის ქურთუკში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი თითზე მანქანის გასაღებს ატრიალებდა. მის ფეხებთან სის ყუთი იდგა. ზურიოს დანახვაზე კაცმა ჩაიცუცქა და ყურებამდე გაიღიმა.

– რა გქვია ბიჭიო შენ?

– ზურიო.

– მამა სახლშია, ზურიო? – ენა მოიჩლიქა კაცმა.

– ზურრაბი!

– „რ"-ს მკაცრად ხაზი გაუსვა ზურიომ. მერე ოთახისკენ იბრუნა პირი.

– მამა, შენთან არიან.

გიორგი ბანტად გამოვიდა.

– ზურაბოვიჩ, ეს პლატონიჩმა გამოგიგზავნათ.

კაცი ყუთისკენ დაიხარა, მაგრამ გიორგიმ ყუთს ფეხი უბიძგა და კიბეებს შორის ჩააგდო. ყუთი სმაურით დაეხეთქა ძირს.

– საიდანაც მოიპარა, იქ დააბრუნოს!

გიორგიმ გაოგნებულ კაცს კარი ცხვირწინ მიუჯახუნა.

მთელი სადარბაზო ყვითელი მანდარინებით არის მოფენილი.

სასტუმრო ოთახში გიორგის სიდედრი, ზურიოს ბებია, შემოვიდა, რაღაცას ეძებს.

– ღმერთო შენ მიშველე, ამ წუთას ხელში არ მეჭირა?! – მან თავზე ხელი მოისვა და სმამაღლა იკითხა:

– ნინო, ჩემი სათვალე შენ ხომ არ აიღე?

– შენი სათვალე მაკლია ახლა მე, – გამოსძახა ბრაზიანად მეზობელი ოთახიდან ნინომ.

– პირდაპირ საოცარია, – თქვა ბებიამ.

ზურიო ლოგინზეა წამოწოლილი. გვერდით დედა უზის და აპარატით ბუსრის თავზე თეთრ კედელზე დიაფილმს უჩვენებს. იგი

„ალიონცას ყვავილს“ უყვება. უყვება, თუ როგორ გალამაზდა სიყვარულისგან ბოროტი ჯადოქრის მიერ მასინჯად ქცეული უფლისწული.

გიორგი თავის ოთახში რკინის საწოლზე ტრუსების ამარა ზის.

კარი გაიღო და ზურიკო შემოვიდა. იგი გაფართოებული თვალებით უყურებს ჭერიდან იატაკამდე ნაჭერზე გენერალისიმუსის ტანსაცმელში ამოქარგულ სტალინს.

ოთახს ტანსაცმლის ძველი კარადის გარდა არაფერი მომატებია.

სიდედრი შემოვიდა. გიორგის წყლით სავსე ჭიქა საწოლთან სკამზე დაუდგა და შვილიშვილს სელი უბიძგა.

– მიდი, მამიკოს აკოცე.

ზურიკო მამასთან მივიდა. გიორგიმ იგი მაგრად მიიკრა და ლოყაზე სმაურით აკოცა. ზურიკოს სახე დაემანჭა. მამამ შეამჩნია და სელი ნელა შეუშვა.

– ძილი ნებისა! – გაასსენა ბებიამ,

– ძილი ნებისა, – თქვა ზურიკომ.

მამამ თავი დაუქნია. ბებია და შვილიშვილი ოთახიდან გავიდნენ. გიორგი მარტო დარჩა.

ქალაქის გარეუბანში, ერთ-ერთ გრილ ადგილს მანქანების ექსკორტი მოადგა. უკანა მანქანებიდან თანამშრომლები გადმოცვივდნენ და ზურიკოს და გიორგის კარი გაუღეს. გიორგიმ რამდენიმე მათგანს სელის ჩამოსართმევად თითი გაუწოდა.

შოთა საოცარი სიძულვილით შესცქეროდა ზურიკოს. მერე შიშით, არავინ შემამჩნიოსო, გაიბადრა, ბავშვთან მივიდა და პატარა სელზე აკოცა.

ყველა დაბალი გორაკისკენ გაეშურა. გიორგის აღმართში სიარული გაუჭირდა. თანამშრომლებმა მისმარება გადაწყვიტეს, მაგრამ მან გაღიმიანებით მოიშორა ისინი.

ბოლოს გორაკის წვერს მიაღწიეს. რამდენიმე კაცმა ნიჩბებით ორმოს თხრა დაიწყო.

გიორგი სულს ძლივს იბრუნებს.

ბოლოს ორმო ამოთხარეს. გიორგის პატარა ნაძვი მისცეს. მან ნაძვი ორმოში ჩაუშვა. ნერგი მიწით გაამაგრეს და თანამშრომლებმა გიორგის ტაში დაუკრეს. ამ დროს ამოვარდნილმა ქარმა გიორგის შლაპა მოსტაცა.

– უი, ბურაბოვიჩ, შლაპა!

ყველა შლაპას გამოეკიდა. ნაძვთან გიორგი და ბურიკო მარტო დარჩნენ.

გიორგი ფიქრებიდან გამოერკვა, ნაძვი მიწიდან ამოგლიჯა და თავისი მანქანისკენ წავიდა. ბურიკო უკან დაედევნა.

საღამოა.

ქუჩაში მამა-შვილი მოაბიჯებენ. გიორგი წინ – სტვენით, ბურიკო – უკან.

ტროტუარზე ჭადრებისთვის ორმოებია ამოთხრილი. ერთ-ერთ მათგანს ამაყად თავაწეულმა გიორგიმ ისე შემართა ფესი, რომ ბურიკოს ეგონა, გადააბიჯებსო, მაგრამ მამამ ორმო ვერ შეამჩნია და შიგ ჩავარდა. მოვარდნენ მუშები. ექვსი კაცი გიორგის დაეჯაჯგურა და ორმოდან ძლივს ამოიღა. გიორგი არც განძრეულა, სახეც არ შესცვლია, შლაპაც ისევ ისე ეხურა – სკულპტურასავით ამოსწიეს და ამოიყვანეს. ბურიკომ მამის შარვალს რამდენჯერმე ჩამოუსვა სელი. გიორგიმ უდრტვინველად, სტვენით განაგრძო გზა. ბურიკო უკან გაჰყვა.

გიორგი და ბურიკო უნივერმაღში სათამაშოების სექციასთან დგანან. თაროებზე უმეტესად სსვადასსვა ზომის ცსენებია ჩამწკრივებული. გამყიდველი მამა-შვილს უღიმის.

– გიორგი ბურაბოვიჩ, რა მივართვა თქვენს ვაჟკაცს?

ბურიკომ პედლებიანი ცსენისკენ გაიშვირა თითი.

გამყიდველმა სათამაშო მისცა, მაგრამ გიორგიმ უარის ნიშნად თავი გააქნია და ყველაზე ზედა თაროსკენ მიუთითა, სადაც ზუსტად იგივე ცსენი იდგა. გამყიდველი იძულებული შეიქნა კიბე მოეტანა. როცა უკვე ცსენს მისწვდა და თაროდან გადმოჰქონდა, კიბე გაცურდა – გამყიდველი ძირს დაენარცსა. გიორგიმ პირგაუსსნელად

გაიცინა. ზურიკომ გაკვირვებით შესედა მას.

ზურიკო საბანშია გასვეული. ბუსრის წინ მალაკნელი მოსამსასურე შურა ცეკვავს და მღერის სიმღერას თავის ენაზე.

ზურიკო ბებიასთან და ბაბუასთან არის.

ბადით გაყოფილი ეზოს მეორე ნასევარში, კინტოს ტანსაცმელში გამოწყობილი მოსუცი კაცი არღანით ბაიათებს უკრავს. გარშემო ბავშვები შემოსვევიან. უფროსები ფანჯრებიდან უყურებენ. მაყურებელთა შორის ოქროსთმიანი, თეთრკაბიანი გოგონაცაა. იგი მეარღნეს მეორე სართულიდან დასცქერის. ოქროსფერი თმები ჩამოშლია და სასეს უფარავს.

უეცრად ბინიდან ყვირილით ვიღაც შავწვერიანი კაცი გამოვიდა, გოგონას მკლავში სელი ჩაავლო და ოთახში შეათრია.

ზურიკო გაშტერებული უყურებდა ამ სცენას. მერე ისიც ოთახში შევიდა და სარკის წინ ჩაცმა დაიწყო. მოკლე შარვალი, თეთრი პერანგი, თავზე მეგზღვაურის ქუდი დაისურა, რომელსაც „ემირი" აწერია. ქარქაშიდან, პისტოლეტჩამოკიდებულ ქამარში სმალიც გაირჭო, მსარზე ორლულიანი სათამაშო თოფი მოიგდო და შუაბანდში გავიდა.

შეიარაღებული ზურიკო ქუჩაში ღირსეულად მიაბიჯებს.

გრძელ და მაღალ ქვის ღობეში დაგმანული ჭიშკარია ჩატანებული. მას სათოფურებივით ნასვრეტები აქვს. ზურიკო ამ ნასვრეტებთან მივიდა და ჰაერი სიამოვნებით ჩაისუნთქა.

ღობის მიღმა ღვინის ქარსანაა, აქ სის კასრებს დააგორებენ. მილებიდან ბუტებში ქარვისფერი ღვინო იღვრება. უამრავი ბოთლი ივსება და იბეჭდება.

ცსენშებმული ურიკა გრისინით მიათრევს ქვაფენილზე პატარა ცისტერნას. „ნავთი, ნავთი," მთელ ქუჩაზე გაპყვირის მეღროგე.

ზურიკო სარდაფის სართულის დაბალ ფანჯარასთან ჩაცუცქულა და ცდილობს სიბნელეში რაიმე გაარჩიოს. იქ კი სისფესა ჯონ სილვერი, რომელსაც შავი ბანდით თვალი აუსვევია, ნიჩბით გაქიჩმაჩებულ ორმოს თსრის, მსარმე თავისი განუყრელი მეგობარი,

თუთიყუში აგის. თუთიყუშმა გურიკო შეამჩნია და გამყინავი ხმით დაიკივლა.

– პიასტრები, პიასტრები, პიასტრები!

გურიკო ჭიშარში შევიდა და ეგოს იმ ნასევარში აღმოჩნდა, რომელსაც შუშაბანდიდან სედავდა. იგი რკინის ბაღის მიღმიდან ინტერესით უყურებს თავის ეგოს, რომელიც ამ რაკურსით არასოდეს უნასავს.

ბებიამისი სასლებს შორის გაჭიმულ თოკზე სარეცხს ფენს. ბაბუა აივანზე გის და გაგზეთს კითსულობს. ერთ-ერთი ფანჯრიდან მოსუკი ქალი კალათაგზე გამობმული თოკით მაწვნის ქილებს ეკაჩება.

ეგოში გურგზე ტომარაშემოგდებული კაკი შემოვიდა და რუსულად დაიყვირა.

– ბატიბუტი ბოთლებგზე, ბატიბუტი.

მეორე სართულგზე ჩსუბი ატყდა. ოქროსფერთმიანი მშვენიერი გოგონა კუგიანი დედაკაცი აღმოჩნდა. იგი შაეწვერიან კაცს სასეში გამეტებით ურტყამს სელებს და გაპყვირის:

– ლოთო, შე ლოთო. შენ სიყვარულის რა ღირსი სარ, შე გარეწარო!

გურიკო გაოგნებული შესცქერის ამ სცენას.

გურიკო დამრეკი, მოკირწყლული ქუჩით სასლში ბრუნდება. ერთ-ერთ სადარბაგოსთან ბიჭები შეკრებილან და სურდას ითელიან. მერე ამ ფულს ვიღაც ნალოთაევ. თვალებდასიებულ ქალს აძლევენ. ის სადარბაგოში შედის. წითური ბიჭი თავდასრილი უკან მიპყვება. დანარჩენები კელავ ჯიბეებს იქექავენ.

კისერგე ქამრით ჩამოკიდებული სის ყუთით მენაყინე თავაწეული გაიძასის:

– მაროკნიე, პლომბირ – შოკოლადნი, მაროკნიე!

უეცრად ზემოდან ასფალტგე რკინის ბორბლების გრისინი მოისმა.

თორმეტ-ცამეტი წლის მგეგე გარუჯული ტრუსებისამარა ბიჭი ეგრეთწოდებულ „სამკკატკაგე“ ამსედრებულიყო და თაედაღმართში გურიკოსკენ მოექანებოდა.

ბიჭმა მკვეთრად ფესით დაამუსრუჭა და გურიკოს ქამარში სელი

ჩაავლო.

– მოდი აქ!

ბიჭმა ზურიკო თავისკენ მიიზიდა და დამცინავად შესედა.

ზურიკომ ტუჩები მოკუმა.

– დაყარე იარაღი და წამოდი ჩემთან – დაუბრიალა თვალები ბიჭმა.

ზურიკომ ტუჩები უფრო მაგრად მოკუმა და ქამრიდან ბიჭის თითების სათითაოდ აძრობას შეუდგა. ბიჭი ინტერესით უყურებდა. მერე უცებ ქამარს მარჯვენა სელი უშვა, მარცხენა ჩაავლო და მუშტი ცხვირწინ დაუტრიალა.

– გაქცევა გინდა? მოიტა აქ შენი ფიშტო.

პისტოლეტს ჭიდაობა დაუწყეს.

ზურიკომ მათკენ მომავალი გრძელულვაშებიანი ქურთი მენაყინე შეამჩნია. დაელოდა მის მოახლოებას და სელში ჩააფრინდა.

– მიშველე, რა ბიძია!

ქურთმა უგულოდ თქვა.

– გაუშვი ბიჭო სელი.

ბიჭმა ზურიკოს ხელი გაუშვა. მენაყინემ ძახილით ეგბა განაგრძო. ბიჭი კვლავ ზურიკოსკენ გაიქაჩა.

– აიტ!

ზურიკომ მოკურცსლა და ცოტა სანში სასლის კუთხეს მიეფარა.

ზურიკო სერიოზული სახით ოთახში დგას, იარაღს ისსნის და აკურატულად მაგიდაზე აწყობს. ბოლოს ზემოდან სათამაშოებს მეგზვაურის ქუდიც დაადო.

ბაბუა კაფელიან ღუმელთან ზის, პაპიროსს ღუმელის სარკმელში აბოლქვებს და ზურიკოს მოქმედებას აკვირდება.

გადაადგილებული ავეჯი ოთახს სხვანაირ იერს აძლევს.

ზურიკო ღრმად არის თავის ფიქრებში წასული. მაგიდიდან ბაბუას წითელი ჩაჩი აიღო. ცოტა სანს სელში ატრიალა. მერე თავზე დაიხურა და გაქრა. ბაბუას გაკვირვებისგან პაპიროსი გამოუვარდა.

ქუჩაში ხელისელჩაკიდებულნი ნინო და ზურიკო მიდიან. მათ მანქანიდან ორი შლაპიანი მამაკაცი უთვალთვალებს. ნინო ბაეშეს

ჭკუას არიგებს.

– თუ გკითხეს ვისთან გინდა ცხოვრება, უთხარი დედასთან-თქო, გაიგე რასაც გეუბნები!?

ზურიკო სმას არ იღებს.

მამა, დედა და შვილი ადვოკატის ოთახში სხედან. ადვოკატი ქალია.

– თქვენ გაყრის წინააღმდეგი სართ, არა? – შეეკითხა ნინოს ადვოკატი.

– მე ოჯახის დანგრევა არ მინდა. ბავშვი უმამოდ დარჩება.

– და მაინც, მინდა ვიცოდე, რა მიზეზით შემოიტანა თქვენმა ქმარმა განცხადება?

– თქვენ კი არა, მეც არ ვიცი.

– ეგების ცოლი გღალატობთ? – მიუბრუნდა ქალი გიორგის.

– არა, ქალბატონო, არა, – ჩაერია ნინო, – სამსახურიდან გვიან ვბრუნდები და ამაზეა გაგიჟებული... ჩემი ცოლი მსახიობი როგორ უნდა იყოსო... არ ეკადრება.

ადვოკატს გაეღიმა.

– გიორგი ზურაბოვიჩ, მე, აგერ, ისე ეარ საქმეებით გადატვირთული, რომ სანდასან ორი დღე სასლში არ შევდივარ.

– შენც ბოში ყოფილხარ, – გაყინული სახით უთხრა გიორგიმ, – შენი ქმრის ადგილზე, სასლში არ შეგიშვებდი.

– აბა, აბა! – ქალმა მაგიდაზე ფანქარი დაკაკუნა, – ასეთი სიტყვებისთვის სამართალში შეგვიძლია მიგცეთ.

მოსაცდელში ჩქარი ნაბიჯით გიორგი შემოვიდა და მინისტრის კარი უცერემონიოდ შეაღო.

– გიორგი ზურაბოვიჩ... – ესლა მოასერსა მდივანმა ქალმა.

კაბინეტიდან გიორგის ყვირილი ისმის.

კაბინეტში გრძელთმებგადავარცხნილი, ულვაშიანი, მსუქანი მინისტრი გიორგის აწყნარებს.

– დამშვიდდი, გიორგი, შენი მეუღლე ბრწყინვალე მომღერალია. ყველა იმედით შევცქერით, ლაურეატს არაევინ დაგვაჩაგვრინებს.

ნინოს მთელი ქვეყანა იცნობს.

– შენი ცოლი რომ იყოს, კარგი იქნება!? – იყვირა გიორგიმ და მაგიდაზე მუშტი დაურტყა.

მინისტრს სახე შეეცვალა.

– ამსანაგო გიორგი, ასე თქვენ ცოლთან ერთად პარტბილეთსაც დაკარგავთ.

შურა შუა ოთახში ნაძვის გამსმარ წიწვებს ცოცხით სვეტავს და აქანდაზზე აგროვებს.

თავის ოთახში გიორგი შარვალზე ქამარს იკრავს. იგი რამდენიმე დღის გაუპარსავია. სახე გაფითრებული აქვს.

გიორგიმ ტანსაცმლის კარადის ერთ-ერთი უჯრა გასაღებით გასსნა, პოსტოლეტი და ვაგნები ამოიღო, პისტოლეტი დატენა, ჩასმახი გამოსწია, უბის ჯიბეში მოათავსა და ოთახიდან გაეიდა. ღია უჯრაში ქარვის ყვითელი ბურთულები ყრია.

გიორგიმ სადარბაზოს კიბეები ჩაირბინა.

კუთხეში გამსმარი, გაყვითლებული, წიწვებდაცვენილი ნაძვის სეა მიგდებული.

გიორგი ტაქსში ზის და უსტვენს.

– თუ შეიძლება, ნუ უსტვენთ, ბარაქა მიაქვს, – უთხრა ტაქსისტმა.

გიორგიმ ყურადღება არ მიაქცია.

– ნუ უსტვენ, მე შენ გეუბნები, – შეუღრინა მძღოლმა.

გიორგიმ არ დაუჯერა.

– გადადი მანქანიდან, თორემ ჩაგიშვი ეს რკინა თავში, – თვალები გადმოქაჩა კაცმა.

გიორგი ტაქსიდან გადმოვიდა, ბლოკნოტი და ფანქარი ამოიღო და მანქანის ნომრის ჩაწერა დაიწყო.

– ჰო, ჩაიწერე. ჩაიწერე. შლაპა გასურავს და დიდი ვინმე გგონია თავი, შე დამპალო!

ტაქსი ადგილიდან დაიძრა. გიორგი ქუჩაში მარტო დარჩა.

ოპერაში ზურიკო ბენუარის ლოჟაში ზის და „იოლანტას“ რეპე-

ტიციას უყურებს.

ნინო იოლანტას თეთრ ტანსაცმელშია. მსახიობებსაც შესაბამისად აცვიათ, ამავე დროს მშვ დეკორაციებს აყენებენ.

გიორგი სალსით გაჭედილ ტრამვაიში ავიდა. შლაპა მოსძერა, ძლივს იპოვნა და დაჭმუჭნული კვლავ თავზე დაისურა.

ქუჩის ბიჭები ტრამვაის ასტეხიან. უფესო ყავარჯნებიანი კაცი სტუნვა-სტუნვით ტრამვაის მოსდევს და ბიჭებს მითითებებს აძლევს.

გიორგიმ ჯიბიდან რის ვაი-ვაგლასით ქაღალდის ფული ამოიღო და კონდუქტორს შეეკითხა:

– ბილეთი რა ღირს?

– შენ შენნაირები გააშაყირე, – ხელი აუქნია კონდუქტორმა.

ოპერა.

უფლისწული იოლანტას სთხოვს, წითელი ვარდი მოუწყვიტოს, მაგრამ ბრმა იოლანტა ყოველთვის თეთრი ვარდების ბუჩქთან მიდის.

ლოჟიდან შეწუხებული ბურიკო სმამაღალი ჩურჩულით დედას კარნახობს.

– მარჯვნივ დედა, მარჯვნივ, მარჯვნივ.

ლოჟაში გიორგი შემოვიდა. ცოტა ხანს სპექტაკლს უსმინა. მერე პისტოლეტი ამოიღო, ნინოს დაუმიზნა და ესროლა.

გიორგის ეტყობა გულის შეტევა მოუვიდა. იგი მთელი კორპუსით უკან გადაქანდა, თავის შესაკავებლად საავერდის ფარდას ჩაებღაუჭა. მაგრამ სროლა არ შეუწყვეტია.

ორკესტრი გაჩუმდა. მსახიობები და ორკესტრანტები გაოგნებული იყურებიან ლოჟისკენ.

გიორგი ფარდას ჩამოეპროწიალა და ბოლოს გულაღმა იატაკზე დაენარცხა.

ბურიკომ, რომელიც კამბეჩ შემობრუნებული უცქერდა მამას, ყველაფერი ეს სუმრობად მიიღო და მამისთვის დამახასიათებლად, პირგაუსსნელად გაიცინა.

ოთახში ბნელა. ბუხარში ნაკვერჩხლებიღა ციმციმებენ.

ზურიკო ლოგინში წამომჯდარა და ცსარე ცრემლებით, ვულამოსკვნით ქვითინებს. ბებია თავზე ეკლება, მკერდზე ისუტებს, თვალებს უკოცნის.

– ჩუმად, ჩემო ბიჭო, ჩუმად, დაწყნარდი.

მან ზურიკო ლოგინზე გადააწვინა, შუბლზე სელი დაადო და შელოცვა დაუწყო.

– დედამ შეგაშინა, ბებიამ შეგაშინა, ბაბუამ შეგაშინა, ძაღლმა შეგაშინა, ვეფხვმა შეგაშინა, კიტრმა შეგაშინა...

ცრემლიან ზურიკოს ოდნავ გაეღიმა.

– პამიდორმა შეგაშინა, პწრპ...

ბებიამ დაუპრუწუნა და დაამატა:

– მაინც შეშინებული სარ...

ზურიკოს სასეზე კვლავ შეშფოთება დაეტყო.

– მეც მოვკვდები? – ჩუმად იკითხა მან.

– არა, შვილო, სანამ შენ გაიზრდები, მთავრობა უკვდავების წამალს მოიგონებს.

ზურიკომ თვალები ნელა დახუჭა. ბებიამ ბუტბუტით შელოცვა განაგრძო.

80-იანი წლები.

ნინოს და გიორგის სურათები ჩარჩოშია ჩასმული და კედლებზე კიდია.

ჩვენთვის ნაცნობ ტრილიაეთან ნინო ზის და სარკეში იცქირება. ოცდაათი წლის მანძილზე იგი მოსუცდა და მთლიანად გაჭაღარავდა. თუმცა ეტყობა თავს უვლის. სუფთა, აკურატული, კოსტად ჩაცმული ასაკოვანი ქალია. თმაც კი შეღებილი აქვს – სითეთრე იასამნისფერში გადადის და ნინოს იერს ელეგანტურობას ანიჭებს.

იქვე, სავარძელში, მისი შვილი, ოცდათხუთმეტიოდე წლის ზურაბი (იგივე ზურიკო) ოჯახურ ფოტოალბომს ფურცლავს. გამხდარი, მაღალი კაცია, მუდამ ირონიული ღიმილით, რომელიც ზოგჯერ მის გამომეტყველებას ცინიკურს ხდის.

ოთასში ავეჯი არ შეცვლილა, უბრალოდ დაძველდა, ფერი დაკარგა და აიქერცლა.

მეორე ოთახიდან ზურაბის ცოლის – თეას სიმღერა ისმის. იგი როიალთან გამებში ვარჯიშობს.

– ზუსტად მამაშენის კოპიო სარ, – ამბობს ნინო, – რაღას მოგყავდა მსახიობი ქალი ცოლად. შენ და მამაშენი ხელოვნებისგან ყოველთვის შორს იყავით. სმენის ნატამალი არცერთს არ გქონიათ...

დილიდან საღამომდე, გულის გამაწვრილებლად ჩიკიკ-ბიკიკს უსტვენდა. ჩემს სიმღერაზე გიჟდებოდა და, ცოლი რომ გავხდი, ყველაფერი გაკეთა, ოპერისთვის თავი რომ დამენებებინა... პარადოქსი არ არის!? შენც შენი ცოლი სცენაზე მოგეწონა და, ახლა, სიმღერაში ხელს უშლი!? რაო, რა ვერ გაიყავით, სულ ძაღლიკატასავით რომ სართ? მამაშენივით, ერთ ტკბილ სიტყვას არ იტყვი. უბრალო კაბის ფულზე მატირებდა და მაჩსუბებდა. მეგობრებს არ მაკარებდა, სულ ეჭვიანობდა, სულ. როგორც ჩიტი გალიაში, ისე უნდოდა ოთახში ვყოლოდი გამომწყედული და მარტო მაგის საკუთრება ვყოფილიყავი. არავინ არ უყვარდა თავისი თავის გარდა. სმას ვერ ამოაღებინებდი. ასეთი უემური სასიათის იყო... შენც არ გიყვარს არავინ, ყველა ფესებზე გკიდია. რომ დაიბადე, მაშინ წამოიკნავლე ერთი და მერე შენგან არც ტირილი, არც სიცილი არ გამიგია... სსვა ბავშვებივით, ენა მაინც მოგჩლექოდა, – პირდაპირ ბებერი პრეზიდენტივით დაიწყე ლაპარაკი, – ნინომ გულიანად გაიცინა.

ნინო ფესზე წამოდგა. -

– მოგწონს ჩემი ასალი კაბა?

– პერანგი გიჩანს, – უთხრა ზურაბმა.

– ეს ასლა მოდაშია, – მოულოდნელი სიცეკლუცით თქვა ქალმა და ფესი გაიქნია.

ნინომ სასტუმრო ოთასი გადაკვეთა, როიალთან მიმჯდარ თეას გაუღიმა, სამზარეულოში შევიდა და საუზმის გაწყობას შეუდგა – პურს კარაქი წაუსვა, ყუა მოაჭრა, პირში ჩაიდო, დანარჩენი

ლამბაქზე დადო და საუზნაოსცენ თავის შეილიშვილს (ზურაბის და თეას შვილს) გასძახა:

– გია, მოდი, ჩაი დალიე.

– ასლაეე. – უპასუსა ბიჭმა.

გიას, თოთსმეტიოდე წლის ბიჭს, გასსნილი კარადიდან ძველი ნივთები გადმოუყრია და ინტერესით ათვალიერებს მათ. აქ არის გუდაპერჩის მრავალი ცსენი, ჩვენთვის ნაცნობი ნაძეის სის სათამაშოები, ზურაბის ბავშვობის მეზღვაურის ქუდი ზედ წარწერით „ზმირი", სათამაშო დაშნა, სის თოფი და ბევრი სსვა.

გიამ შაქარყინული იპოვა და წუწნა დაუწყო. აქვე. ბევრდით, თაროზე ქარვის ყვითელი ბურთულები აღმოაჩინა. ხელის გულზე ცოტა სანს აგორავა და მერე ჩაფიქრდა.

თანამედროვე თბილისი – მანქანებით და სალსით სავსე ქუჩები, მოედნები, სიდები, სსვადასსვა ტიპის ტრანსპორტი.

ყველას მიეჩქარება. ყველას აგვიანდება. ცსოვრება „დუღს და გადმოდუღს". მეშვიდე სართულიდან ვიღაც მოსუცი ქალი გრძელი თოკით დაბლა გასტროსომისკენ კალათას უშვებს. გამყიდველი კალათიდან ფულს იღებს, შიგ არაკანს, რძეს, საჭოს აწყობს და მოსუცებულიც დამძიმებულ კალათას უკან ეწევა.

ქალაქის ცენტრში ბუღი დგას. ხმაურით მუშაობენ ტრაქტორები და ბულდოზერები. ჭრიალებს ამწე – სასლს ანგრევენ. ეს ის შენობაა, რომელშიც გიორგის დაწესებულება იყო მოთავსებული.

დიდი საამშენებლო ობიექტის ჭიშკარს თეთრი „ვოლგა" მოადგა. მანქანიდან მსუქანი კაცი და გია გადმოვიდნენ.

– წამოდი, გია!

ეზოს სიღრმეში ვიღაც მუშა არმატურას გულმოდგინედ ღუნავდა.

– გამარჯობა, ილო, – უთსრა კაცმა მუშას.

– გამარჯობა.

– შეგირდი მოგიყვანე.

ილომ გიას გულგრილად შესედა და მუშაობა განაგრძო.

– მაინცდამაინც ნუ გაქაფავ. სასლშიც ადრე გაუშვი.

კაცმა ცსვირსასოცით შუბლიდან მტვერი მოიწმინდა. მერე გიას

მსარზე სელი დაარტყა.

– აბა, შენ იცი. მე წავედი. ბიძაშენი მელოდება.

კაცი მანქანისკენ გაბრუნდა. გია შუშებიამტვრეულ ფარდულთან დარჩა.

ეზოში რკინის არმატურა უსისტემოდ ეყარა. მოპირდაპირე მსარეს. აგურის დაბალ ღობესთან. დაეანგული რელსები და დამლილი ამწეს რკინები ერთმანეთში არეულიყო. ღობესთან ორთქმავალმა ქშუილით რამდენიმე სატვირთო ვაგონი გაათრია და დაკეტილ ჭიშკართან თეთრ კვამლში გაესვია. მთელ ამ მიდამოში არცერთი ხე არ იდგა. რკინა. ბეტონი. ტალახი. ბოლი და მტვერი.

ილოს ფარდულიდან რკინის მსხვილი მაეთულები გამოქქონდა და სის სიჭვებიან მაგიდაზე დამაგრებული ბერკეტით და მარტივი კონსტრუქციის რკინის ყალიბის დახმარებით სტანდარტულ ოთხკუთხედებად გრეხდა. ეს იყო მსარბეჭიანი. ძლიერი მამაკაცი. გია მის მკლავებზე გრძელი კუნთების თამაშს უყურებდა.

ილომ მტვრით ამოესებული. უფერული. გველივით ელიფსური და ცივი თვალებით. გიას გამოხედა.

– ბიძაშენი სამმართველოს უფროსია?

- დიას.

– მერე. უკეთესი ადგილი ვერ გიშოვნა?

– სტაჟი მჭირდება ინსტიტუტში ჩასაბარებლად.

– სტაჟი რად გინდა – ასეთი ბიძა გყავს.

გიას სასე მოეღუშა.

ილომ არმატურას თავი მიანება. ქაღალდის ყუთიდან ბუტერბროდი ამოიღო. მაწვნის ქილა შეანჯღრია. იქვე ქვაზე ჩამოჯდა და მადიანად ჭამას შეუდგა.

– რა უნდა გავაკეთო? – ვეღარ მოითმინა გიამ.

ილომ გიას სპორტული ჩანთა შეათვალიერა.

– სპორტსმენი სარ?

– ფესბურთზე დავდივარ.

– იქაც ბიძაშენი გესმარება?

– ჩემ მაგიერ ითამაშებს თუ რა!? – უკვე აშკარად მტრულად

უპასუხა გიამ.

ილოს გაეცინა.

– რაო, რა მითხარი, სად ვაბარებო?

– მათემატიკურზე.

– ეტყობა სუსტი სარ, თორემ სტაჟი არ დაგჭირდებოდა.

გიამ სმა არ გასცა.

– რამდენია, ორჯერ ორი?

გია ილოს სერიოზული სახით დააკვირდა.

– ოთხი!

ილომ გულიანად გადაიხარხარა. გია ნელ-ნელა შებრუნდა და ეზოს გასასვლელისკენ წავიდა. ილომ მშვიდად გააყოლა მზერა.

– ეეი, – გასძახა ბოლოს ბიჭს.

გიამ არ მოსედა.

ბურაბის სახლი.

ბურაბის ცოლი როიალზე უკრავს და გამებს მღერის. ბურაბი თავის ოთახში ტრუსებისამარა საწოლზე ზის, თავი სელებში ჩაურგავს და, გამების ტაქტში, აქეთ-იქით ქანაობს.

ცოლი ვარჯიშს მორჩა, პიანინო დახურა და აბაზანაში გავიდა, სადაც ინჰალატორიდან პირში შეისსურა და წყლით ყელის გამოწმენდა დაიწყო.

ბურაბმა აბაზანის კართან გაიარა და, სასსვათაშორისოდ, კარი ჩუმად კაუჭით ჩაკეტა.

თავისი ოთახიდან გია გამოვიდა.

აბაზანის კარი დაკეტილი რომ დასვდა, სამზარეულოში შეისედა, მამა დაინახა. ყველაფერს მისვდა და აბაზანის კარს კაუჭი მოსსნა.

გია ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდასთან დაჯდა. მამამ ფაიფურის მაღალ ჭიქაში ჩაი დაუსსა. მერე სკამზე დაჯდა, ბანჯგვლიანი ფესი მეორე ფესზე დადო და აკანკალა. გიამ ყუამოჭრილი კარაქიანი პური მოკბიჩა.

მიუსედავად იმისა, რომ დღეს მორიგე იყო, გია სკოლაში წასვლას არ ჩქარობდა. ფანჯრიდან მოპირდაპირე სახლის სადარბაზოს კარს

თვალს არ აშორებდა და ეკას გამოსელას ელოდა.

სამგზარეულოში დედა შემოვიდა.

– ვინ გთხოვა, მშენებლობაზე იარეო? შენ მსოლოდ სელფასის დღეს უნდა მიაკითხო. მთელი ქვეყანა ავაწრიალე, ავადმყოფობის ცნობა რომ მეშოვნა და შრომიდან გამენთავისუფლებინე... რომ გაიგონ, სტაკისთვის სამსახურშია გაფორმებულიო, ხომ გაგრიცხეს!?

– კარგი რა, დედა, გუშინ არ ვილაპარაკეთ მაგაზე?

– გია, შენ მე გამაგიჟებ...

– გესმის, ზურაბ, გაკვეთილებს აცდენს. შარშანდელივით საშემოდგომო უნდა გამოპყვეს.

– ნწუ, ნწუ, ნწუ – თავი გააქნია ზურაბმა.

– შენ ყველაფერი ფესებზე გკიდია. ბერთოს მარილი რომ არ გადაეწერა, კლასში მეორე წლით ტოვებდნენ.

– ბერთოლეს მარილი, – შეუსწორა გიამ.

– ვიღაცასია მე სრულებით არ მჭირდება. ისედაც ყელამდე მაქვს საქმე. შენ უნდა იმტვრიო თავი, თორემ მამაშენი სელს კი არ გაანძრევს. გიცრავენ ჯარში თავს, შე საცოდავო, და ბიძაშენიც ვეღარ გიშველის მერე.

– საწყალი, როგორ დაიჩაგრება – შეწუსდა ზურაბი.

– უი, უი, მამა-შვილი როგორ ერთმანეთის კოპიო გამოხვედით, ჩემი ძმა რომ არ იყოს, რა გეშველებოდათ, თქვე მათხოვრებო!?

– დავიღუპებოდით, – დაარწმუნა ზურაბმა.

– ნამდვილად, ჰო, ჰო, ნამდვილად.

– ე, შეხედე, ხელები კი არ დაუბანია, – დააბეზღა გია მამამ.

დედამ წარბები შეჭმუხნა.

– ადექი, ასლავე.

– ოოპ, ვერ სვდები რომ გეხუმრება!? – გაღიზიანდა გია.

– მომსედე, ბიჭო, აქეთ. სულ ფანჯარაში უნდა იყურო? რა ჩაგიცვამს ეს, ხომ გაქვს სუფთა პერანგი? – საყელოში წააელო დედამ სელი.

– არ მინდა.

– დღეს დილით გაგიუთოვა ბებიამ.

– არ მინ-და!

– ზურაბ, უთსარი რამე.

– შენ სომ ეუბნები?

– ჩაიცვი, მე შენ ველაპარაკები! – უყვირა გიას დედამ.

– არა, – გიამ ტუჩები ჯიუტად მოკუმა.

– ზურაბ, მირჩიე, რა ვქნა. რა ენაზე ველაპარაკო!?

– რა გადამაყოლე, ქალო? ჩაიცვას რაც უნდა. ასალი პრობლემები გამიჩინე ასლა.

– დღეს ვიბანავებ და გამოვიცელი. ჭუჭყიანი ვარ, ჭუჭყიანი, – განმარტა გიამ დედ-მამას კისკლაობა რომ არ დაეწყოთ.

– გუშინ რატომ არ იბანავე?

– არ მეცალა.

– რა საქმე გქონდა ასეთი გადაუდებელი? – არ შეეშვა დედა.

– მქონდა.

– რა უნდა გამოვიდეს ამისგან!? გია, ასლავე ადგები და გამოიცელი, თორემ სკოლაში არ გაგიშვებ.

– მაგას რა ჯობია.

– გია! – უყვირა დედამ.

– არ მოგბეზრდა? – შეწუსდა მამა.

– აბა, მითსარი მაშინ, მასწავლე. როგორ მოვარჯულო?

– შენ სულელი იყო, რა ჩემი ბრალია.

– ბავშვთან როგორ მელაპარაკები, ზურაბ!

– ბავშვი კი არა, მთელი ღამე ჭლექიანივით ასველებდა. უყნოსე ერთი, თამბაქოს სუნით არის გაეღენთილი.

დედამ ცსვირი გიას სასესთან დაატრიალა. გიამ თავი გასწია და სელი აუქნია.

– ოოპ, ვერ გრძნობ, შენს გასაღიზიანებლად რომ ლაპარაკობს?

გიამ ფანჯარაში ეკა დაინახა და სამზარეულოდან გავარდა.

– გია! – მიაყოლა დედამ.

გიამ კარი გაიჯახუნა.

იგი კიბეებზე გიეიეით დაეშვა. „შვიდ საფესურს ერთად თუ გადავასტები, ეკას ვუყვარვარ“!

გია სადარბაზოდან კისრისტეხით გამოვარდა და იქვე დაგდებულ მუყაოს კოლოფს ფესი მოუქნია – თუ იმ სემდე გადავაგდე! – ძლიერი დარტყმისაგან, მტვრიან ასფალტზე გაკოტრიალდა.

ზურაბი შვილს ფანჯრიდან უყურებდა. გია რომ წაიქცა, პირგაუხსნელად გაიცინა.

კოლოფის ქვეშ აგური აღმოჩნდა. მაინც სწრაფად წამოსტა და ირგვლივ მიმოისედა, ტროტუარზე ტარიელი იჯდა, მზესუმზირას ჩენჩოებს იფურთხებოდა და დამცინავად უყურებდა. იგი გიაზე სამიოდე წლით უფროსი იქნებოდა. ცხვირი მოუსოცავი პქონდა და პაერს თხლიანით ისრუტავდა. დიდი ზომის, ძველი, გამოხუნებული ტანსაცმლით და ბოლომდე ჩაუცმელი, ზურგჩაჭყლეტილი ფეხსაცმელებით დადიოდა.

ტარიელმა „ყაზბეგის" ცარიელი კოლოფი მსხვილი შუა თითის ძლიერი დარტყმით გახერიტა. ნელა წამოდგა, მზესუმზირისგან გაოფლილი ტორები შარვალზე შეიწმინდა და გიასკენ გაეშურა. გია მშვიდად ელოდა. ტარიელმა მკლაეში სელი წაავლო, თითები მაგრად მოუჭირა.

– შენ, ეკას რას დასდევ!?

– არ დავდევ.

– გიყვარს?

გიამ თვალი გაუსწორა – „არ ღირს".

– პა! – მუქარით დააჩქარა ტარიელმა.

– მეგობრები ვართ.

– ეკას თავი დაანებე და სხვებსაც უთხარი, არავინ გაეკაროს, თორემ!

– კარგი, ტარიელ, – წყნარად მიუგო გიამ.

ტარიელი კიდევ ცოტა ხანს შემართული იდგა. გია მის ყბებზე კუნთების მოძრაობას ინტერესით უყურებდა. მერე ნელ-ნელა სელი გაუშვეს და ისიც კოჭლობით ეკას დაედევნა.

– ოპ, გია! ამ ბოლო დროს როგორ ერთდროულად გამოვდივართ სასლიდან, არა!? – ღიმილით შეეკითხა ეკა, როცა აქლოშინებული გია მიუახლოვდა.

– ჰო.
– ალბათ, შემთსვევით?
– ჰო, ალბათ.
– ფესზე რა მოგივიდა?
– არაფერი ისეთი...
– იჩსუბე?
– არა.
ეკამ თვალები ეშმაკურად მოჭუტა.
– ვისი გულისთვის იჩსუბე?
– მითსარი რა!
– კარგი, ეკა, რა უნდა გითსრა?
– შეყვარებული სარ?
გიას გაეცინა. სიამოვნებდა ეს თამაში. ჩანთების ქნევით მიაბიჯებდნენ ჭადრებით დაჩრდილულ ვიწრო ქუჩაზე. ეკა გიაზე მაღალი იყო. იგი ყოველ სიტყვაზე ბიჭისკენ ისრებოდა, უღიმოდა, ბავშვიეით ელაპარაკებოდა. გიას ეჩვენებოდა, მეალერსებაო.
გია იასამნის ბუჩქთან დგას და არომატს სარბად იყნოსავს.
ჩანთების ქნევით და ღიმილიანი საუბრით ღვინის ქარსნის ძველ დაგმანულ ჭიშარს ყურადღებისმიუქცევლად ჩაუარეს.
სუთსართულიანი, დიდი და განიერი სკოლის შენობა. გაკვეთილების დაწყებას წუთები აკლია. სკოლის წინ განუწყვეტლივ ჩერდებიან სსვადასსვა მარკის ფერადი ავტომანქანები, საიდანაც მოსწავლეები დამოუკიდებელი იერით გადმოდიან, უმეტესობა სკოლის ფორმაში, მაგრამ ზოგიერთი უფროსკლასელი მოდურად არის ჩაცმულ-შეკრეჭილი.
უმანქანონი შურით და ზოგიც გულგრილად უყურებენ ამ პარადს.
სასელმწიფო „ვოლგიდან" თენგიზი გადმოდის. იგი მაღალი, წაბლისფერთმიანი, ლამაზი ბიჭია. რამდენიმე თანაკლასელი გოგონა და ბიჭი უკვე ელოდება. ესალმებიან, კოცნიან ერთმანეთს. თენგიზი მიმზიდველი ღიმილით ესაუბრება თანატოლებს, რომელთა შორის თავისი იერით და სიმაღლით აშკარად გამოირჩევა.
ამ ჯგუფს ეკა და გიაც შეუერთდნენ. ბავშვები სკოლის შენობაში

შევიდნენ.

სანამ თეთრთოელას ჯუჯასავით ფუმფულა საშა მასწავლებელმა დაფაზე რუკა გაკრა, კარი გაიღო და კლასში სასწავლო ნაწილის გამგე ქალბატონი მარგო და სკოლის კოჭლი დარაჯი მაკარი შემოვიდნენ. ბავშვები სმაურით წამოიშალნენ. საშამ დაუპატიჟებელ სტუმრებს გაკვირვებით შესცქერა. მარგომ გაგანიერებული ვენებით მოჩუქურთმებული გამსდარი ფესი დარტანიანივით წინ წადგა. დოინჯი შემოიყარა და ჰიტლერისულვაშებიან დარაჯს მიუბრუნდა.

– სად არის, მაკარ?

– აგე, ა, – მაკარმა ჭერში თითი აიშვირა.

რაღაცა ძალით ზემოთ მიკრულ და დამწვარ ასანთს თავის გარშემო ჭერი გაეჭვარტლა.

– ეს მე არ მინასავს, – თქვა საშამ.

– ვინ ქნა ეს? – იკითხა მარგომ.

კლასი დუმდა.

– ვინ არის დღეს მორიგე?

გია ბლაგვნით წამოდგა.

– ახლა წელი გტკივა და ჭერზე რომ ასტე და ასანთი მოუკიდო ყოჩაღი სარ, არა?

– მე რა შუაში ვარ?

– აბა, ვინ გაკეთა?

– არ ვიცი.

– მე მატყუებ, შე რეგვენო? – ისტერიულად იყვირა მარგომ.

გიამ სმა არ გასცა. კლასი გაინაბა. მარგო მისვდა რომ ზედმეტი მოუვიდა – ტონი უცებ შეიცვალა და გიას დაუყვავა.

– გამოდი, ბიჭო, შენთვის უკეთესო იქნება. აღიარე, შემეშალა-თქო. აბა, ასე კარგია? შენ ჩემი არ გესმის და მე – შენი. დედაშვილურად თუ გავუგებთ ერთმანეთს, ამას რა აჯობებს?!

ამ ფარისევლობას გიამ ვერ გაუძლო – მარგოს თვალები მოარიდა და თავი ჩაღუნა.

ამ დროს მაკარმა ასანთს გაჰკრა და წუმწუმა ზევით აისროლა.

– აი, ასე კეთდება ეს! – თქვა მან.

ბავშვებმა სიცილით ტაში დაუკრეს.

– სელები მაღლა! – კვლავ იყვირა მარგომ, მაღლა, მაღლა. არ დაუშვათ, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს. მაკარ, ყველა გაჩსრიკე. ვისაც ასანთი ექნება სკოლას დავატოვებინებ... დაგალპობთ ამ კლასში.

გიას გასაკვირად, ასანთი არავის აღმოაჩნდა და იგი დირექტორთან წაიყვანეს. ეკამ ისეთი თვალებით გააცილა, რომ აღარაფრის ეშინოდა.

ერთი კორპუსიდან მეორეში ეზოს გავლით მოსვდნენ, როგორც დასვრეტის წინ. მშვენიერი ამინდი იდგა. გიამ ცაში პირველი მერცსლები შეამჩნია.

მარგომ დირექტორთან თავი შეყო.

– შეიძლება?

კაბინეტში დირექტორის გარდა, ფიზკულტურის ასალგაზრდა მასწავლებელი იჯდა.

დირექტორმა, ორმოცდაათს გადაცილებულმა დროზე ადრე გაცვეთილმა კაცმა, მარგოს ზანტად მოუსმინა. გამელოტებულ თავზე ერთ მსარეს გრძლად მოშვებული და შუაში ზამბარასავით დასვეული ჭაღარა თმები კოტიტა თითებით შეამოწმა, სომ არ დაიშალაო, და კარებში გაჩსერილი მაკარს მთვლემარე თვალებით გასედა.

– შენ რა გინდა? წადი, შენს საქმეს მისედე.

– მე, არაფერი, მე... კი, ბატონო...

მაკარი გავიდა. გია წიგნების კარადასთან აიტუზა, მარგომ პაპიროსს მოუკიდა.

– მშვენიერი სკოლა, ბატონო, მასწავლებლები გადავყევით თავზე. არა, მაინც გამოერევა ერთი-ორი სარეველა ბალასივით. ეკალივით აქვს თავი ამოყოფილი და შსამავს ყველაფერს გარშემო... დადიან სულიგნებივით, მოუშვიათ თმები და ცოსნიან პირუტყვივით იმ რაღაც ამერიკულ რეგინას...

– ეწევიან პაპიროსს... – გააგრძელა მარგოს ტონში ფიზკულტურის მასწავლებელმა.

– ანგორ, – შენი ჭირიმე, თავი დამანებე! – აგდებულად მოუჭრა

მარგომ.

ანგორს გაეცინა. მარგომ პაპიროსი საფერფლეში ნერვიულად ჩააქრო.

– აგერ მაგალითი, ანგორი! ჩვენი სკოლის ყოფილი მოსწავლე. ცუდად აღვგარდეთ?! კაცი პედაგოგი გამოვიდა. ჩვენს კოლექტივში მივიღეთ, ჩვენი დამსახურებაა ეს, რატომ არ მიბაძავენ!? არა, მაინცდამაინც ქუჩის გაკვეთილებს ითვისებენ... აქედანაა, ჭერში ასანთს რომ ისვრიან და ლამისაა დედა შეგვაგინონ.

– იქნებ დამნაშავე არ არის ეს ბიჭი!? – თქვა საშა მასწავლებელმა.

– სულერთია – თქვა მარგომ, – რადგან მორიგე იყო, უნდა დაისაჯოს. ერთი დაისჯება, სხვები ჭკუას ისწავლიან.

– როგორ გეკადრებათ, ეს სომ უსამართლობაა? ასე შეიძლება მასწავლებლები სამუდამოდ შევამიგლოთ! პატივისცემა რამეთი სომ უნდა დავიმსახუროთ? მართალი არა ვარ?!

– მართალი ბრძანდებით – თავი დაუქნია ანგორმა.

– როგორ აკრავენ იმ ასანთს ჭერზე, მეც კი მაინტერესებს, – თქვა საშამ.

– რაღა გვიჭირს, – სელები გაშალა მარგომ.

– ეს ყველაფერი ბავშვობით მოსდით. თუ ყოველ წერილმანზე რეგვენი და სულიგანი ვეძახეთ, მართლა ეგონება, ასეთი ვარო და ეს კი იმის ტოლფასია, რომ დავკარგავთ ადამიანს. არ მასსოვს, რომელიმე მოსწავლესთან სერიოზულად გველაპარაკოს. ეგების, როგორმე, კონტაქტი დავამყაროთ ამ სალსთან. ეგების... არ ვიცი... მერე ისა... ჰო.

საშამ სათქმელი ვეღარ მოძებნა, ტომარასავით შარვლის ღრმა ჯიბეები დაბნეულად მოიჩხრიკა, დაგლეჯილი, ნასვრეტებიანი, კაკაოსფერი ცხვირსახოცი ამოიღო, მთელი აღშფოთება ცხვირის მოსოცვაში ჩააქსოვა და კაბინეტიდან გავიდა.

ანგორს შეკავებული სიცილისგან ჩიჩასვი აუთამაშდა.

დერეფანში საშა მასწავლებელს ბავშვები შემოესვივნენ.

– რა სდება მას!

– დირექტორმა რაო?

– სკოლიდან გარიცხავენ, მასწ?

– სკოლიდან არავინ არ გარიცხავს, მაგრამ მე ის მაწუხებს, რომ თქვენში ერთ-ერთი ლაჩარია. სითამამე არ ეყო, თავისი დანაშაული ეღიარებინა და ახლა მის მაგიერ გიამ უნდა აგოს პასუხი.

საშასთვის შემუჩნეველად, ვიღაც მოსწავლემ შლაპაგე კარამელი დაუდო.

– მოდი აქ! – დაუძახა დირექტორმა გიას – რა გქვია, ბიჭო შენ?

– გია.

– რაო? – გასედა დირექტორმა მარგოს.

– გიაო.

– გიაოო!? ჰეჰ, – დირექტორმა გიასკენ ირონიული ღიმილით სელი გაიშვირა, – რა უნდა გამოვიდეს ამისგან?!

მარგომ ჩაიხითხითა. გია დაფიქრდა, მაგრამ რა უნდა გამოსულიყო, ვერ მოიგონა.

– ვინ არიან ამის მშობლები? – იკითხა დირექტორმა.

სკოლის შენობას ტაქსი მოადგა, საიდანაც ზურაბი გადმოვიდა და აჩქარებული ნაბიჯით სკოლაში შევიდა.

ზურაბმა დირექტორის კაბინეტის კარი შეაღო.

– შეიძლება? – გია დაინახა და დაამატა, – მე გიას მამა ვარ.

დირექტორის სიმანტე სადღაც გაქრა, იგი მკვირცხლად წამოდგა და ზურაბს მიეგება.

– მობრძანდით, ბატონო ზურაბ, გამარჯობათ.

– გამარჯობათ.

– ძლიერ გასარებული ვარ თქვენი მოსვლით. თქვენ ქალბატონ თეას მეუღლე ბრძანდებით, არა!?

ზურაბს სახე შეეცვალა.

– ჩვენი სასიქადულო მომღერალი. ქალბატონ თეას მთელი ქვეყანა იცნობს, ყველა დიდ პატივს სცემს – ვერ ამჩნევდა იერის

შეცვლას ზურაბს დირექტორი. მერე იგი გიას მიუბრუნდა და დაუყვავა – წადი, შვილო, დერეფანში დაგველოდე.

გიას დერეფანში საშა მასწავლებელი დასვდა.

– ნურაფრის ნუ გედარდება, – უთხრა მან ბიჭს. – მთავარია, რომ მართალი სარ... ნუ მიაქცევ ყურადღებას. შეიძლება ერთი-ორჯერ შეგვეშალოს. მერე რა? ჩვენც ადამიანები ვართ. ჩვენც გვინდა გაგება.

– დიას.

გიას გაეღიმა და საშასთვის შეუმჩნეველად, შლაპიღან კარამელი მოაცილა.

– მე პირადად ერთი წუთიც არ შემპარვია ეჭვი. მე შენი მჯერა, გია!

საშამ გია ეჭვით შეათვალიერა.

– ჭერი შენ სომ არ დაგიწვავს?

– არა, მას! – გაეცინა გიას.

რამდენიმე დღეა გია ასალ ობიექტზე გადაიყვანეს. ოცსართულიანი სასლი უკვე აეშენებინათ და ასლა ელექტროგაყვანილობას აკეთებდნენ. თავისუფალ დროს ეს დიდი, ცარიელი შენობა გიას ფიქრების და ოცნებების ასპარეზი სდებოდა. სშირად რომელიმე ფანჯრის რაფის ქვეშ შეკუჭული, ერთ წერტილზე გაყინული თვალებით, ეკას იგონებდა, ესაუბრებოდა, ეალერსებოდა. სანდასან ისეთი სევდა შემოაწვებოდა, ლამის სკოლაში წასულიყო. ყველაფერი, რასაც კი აკეთებდა, ეკასთან იყო დაკავშირებული. იგი ყოველი კუთსიდან გიას საქმეს და თამაშს დაუსწრებლად უთვალთვალებდა. გია უნებურად უკან მოისედავდა, თითქოს ეკა იქ იდგა, სასე რა შემიძლიაო, გაქანდებოდა, ასტებოდა და ჭერშე სველი თითების ანაბეჭდებს ტოვებდა. თუ ოსტატი შემოესწრებოდა, გია საშინლად იბნეოდა.

ალექსანდრე, მეტი რომ არ ვთქვათ, სასიამოვნო შესასედი არ იყო. ჭუჭყიანი, მუდამეამს თავზე მტვრიანი ბერეტით. მაღალი და მოუსეშავი. დოლის ჯოსებიეით თავში გასიებულ ავადმყოფურად

მრგვალ თითებზე შავი, კომბოსტოსავით დასეთქილი ფრჩხილები ჰქონდა. დამწვარი თუ ტყლიპიანი ქვედა ტუჩი პატარა ნიკაპზე ჭრილობასავით წითლად გადმოსდიოდა. ზედა – შუაში გაჩესილ ორ ყვითელ და ბოროტ ვირთსასავით კბილს აჩენდა. გია გულში კვაზიმოდოს ეძასდა.

ისინი მეოთხე სართულზე მუშაობდნენ. კედლებში მავთულებისთვის ღარი გაჰყავდათ. გია ამ მავთულებს ჩამრთველებს უერთებდა და ბუდეში ამაგრებდა. პირველად რამდენიმე ბოლო გადაუტყდა და მომავალი მობინადრეების წვალებაზე შიშით ფიქრობდა. უწესივრობის შემთხვევაში ჩამრთველის ბუდიანად კედელზე ზევით გადაადგილება მოუსდებოდა. მაშინ სინათლის წყაროს ბავშვი საერთოდ ვერ მისწვდებოდა. მოზრდილს კი გაუჭირდებოდა, მაგრამ ეს შიში მალე გადაავიწყდა, საქმეს ალღო აუღო და მავთულებს სწრაფი, ზუსტი მოძრაობით დაუზიანებლად გრესდა.

ყოველ ერთ საათში ალექსანდრე დაბლა ლუდის ჯისურთან ჩადიოდა, ერთ კათსა ლუდს ბარაქიანად მარილს აყრიდა და (დამასინჯებულ ტუჩებს კათსის პირს ვერ აწვდენდა) მეჩსერ კბილებში ისრუტავდა.

გია ამ კაცს უფრთსოდა. არც მისი ცივი, გულგრილი მზერა და არც ათასში ერთხელ ჩასრიალებული მითითება არ მოსწონდა. ცდილობდა ალექსანდრეს აზრს დროზე აღრე მიმსვდარიყო და მისი უსიამოვნო ჩასლეჩილი სმა არ მოესმინა.

გიას აქ მფარველი ანგელოზებიც ჰყავდა. მათ პარალელურად კიდევ სამი კაცი მუშაობდა. ერთ-ერთი მათგანი, ასალგაზრდა იასონი, ყოველთვის თბილად ექცეოდა. სხვებიც არ აკლებდნენ ყურადღებას, მაგრამ იასონი განსაკუთრებულ მფარველობას იჩენდა. გიას თუ უჭირდა, მძიმე კიბის თრევაში ესმარებოდა. ერთხელ ალექსანდრესაც კი შეუბღვირა.

– ხელთათმანები ვერ მიეცი, ხელები გინდა გაიფუჭოს?!

ალექსანდრემ ჩამრთველებიანი ყუთი უსმოდ დაიიღლიავა და ოთახიდან გავიდა. იასონმა თავისი ხელთათმანები გაუწოდა.

– არ მინდა, გმადლობთ.

– აიღე, უფროსი რომ გეუბნება! გაუწყრა იასონი, პირველად მეც შენსავით მოვიალი თავი. მერე ერთი თვე კუნთები მტკიოდა.

შესვენების დროს, როცა ელექტრიოსები დომინოს მიუსხდებოდნენ, იასონი გიას გვერდით დაისვამდა და თამაშს ასწავლიდა.

ერთხელ იასონმა უსიამოვნო საუბარი წამოიწყო (თუმცა ამ ლაპარაკის შემდეგ გიას იასონისადმი მადლიერების გრძნობა არ გაქარწყლებია/.

– ბიძაშენს რომ ვთხოვო, აქვე სასადილოში მომაწყვე-თქო, გამიეთებს?

გია შეიშმუშნა.

– ბიძაშენი სამმართველოს უფროსი არ არის?

– დიას.

„მებუფეტედ"... რა უნდა ამ საქმეს?

გიამ სმა არ გასცა.

– შენ რომ უთხრა?

– არა, მე ვერ ვეტყვი, – შეეშინდა უეცრად გიას.

– ბიჭო, მე კი არ ვამბობ, ასლავე-თქო.

– არა, იცით...

– კარგი, მერე ვილაპარაკოთ.

იასონმა მეგობრულად მსარგე სელი დაჭერა.

– ეე, ჯერ რამდენი დროა წინ, ვატყობ დაეძმაცდებით. პო, მართლა, შემდეგ თამაშგე ბილეთს ვერ მომიტან?

– ერთი შემიძლია.

– მიდი რა!... – იასონმა გაუღიმა და თვალი ჩაუკრა.

ამის შემდეგ, მიუსედავად მწვრთნელთან ცუდი დამოკიდებულებისა, გია ცდილობდა იასონისთვის ყველა თამაშგე ბილეთი ეშოვნა.

პარასკევს ოცდამეთხუთმეტე სკოლას ეთამაშებოდნენ. სათადარიგოთა სკამგე, რამდენიმე ბიჭთან ერთად, გიაც იჯდა. წვეტიანი თეთრი მუსლები განიერ ტრუსებში თავისუფლად უყანყალებდა. მკლავებგადაჯვარედინებული, თავისი სიგამხდრის დამალვას ცდილობდა; ფიქრებით მოედანგე იყო და ტრიბუნაგე მისი თამაშით აღტაცებული ეკა წარმოედგინა.

მწვრთნელი, შუახნის ჯმუსი, ფესებგაღუნული კაცი მინდვრისკენ სმამაღლა ყვიროდა.

– სად აწვდი, კრეტინო?... ეი, კოსტა, შენ თვითონ, შენ თვითონ... თფუი...

ლურჯ სპორტულ კოსტიუმში კარგად მოჩანდა მისი ულამაზო, გაყინული კუნთები. თავზე, ასევე სპორტული, ფუნჯიანი ჩაჩი ესურა.

გიას ვერ გაეგო, რატომ ჰყავდა მწვრთვნელს ათვალისწუნებული. თუ მისი ფესბურთი არ მოსწონს, გუნდიდან რატომ არ აგდებს... ან ასე იშვიათად რატომ ათამაშებს და ყოველთვის, როცა კი ელაპარაკება, ტუჩებზე მიბღი რატომ ესატება!?

მწვრთნელმა ქვიდან ამოჩესილ სასეზე ღრმად ჩავარდნილი, წერტილებივით შავი, მოუსვენარი თვალებით სათადარიგო მოთამაშეები შემოირბინა და გიას თითი დაუქნია.

– მოი აქ!

– გისმენთ, – ფესზე წამოიჭრა გია.

– მიდი, კოსტა შეცვალე.

გია მოაჯირს გადაასტა.

– ჰმ, გისმენთ, – ირონიულად გაიმეორა მწვრთნელმა

იმავე წამს ბურთი გიას მიაწოდეს. მან ფესებშორის გაატარა. უკან დადარაჯუბული ფესბურთელი მოტყუედა, გაცურდა და ბალასზე მთელი სიგრძით გაიშალა. გიამ ბურთს მარჯვნივ გაჭრა და წაქცეულსა და მეორე ფესბურთელს შორის გაძვრა. მეორე ფესბურთელს ძლიერად მოქნეული ფესი ბურთზე აუცდა, წონასწორობა დაჭარგა და იქვე ჩაიმუსლა. პირველი ბიჭი ფესზე წამოსტა და გიას პანჩური ამოარტყა. გუნებაგაფუჭებული გია აღგილზე გაქვავდა. ბურთი სხვებმა გაიტაცეს. გიამ მოაჯირისკენ გაისედა. მწვრთნელმა დამცინავი მზერა მოარიდა.

თამაშის შემდეგ ბიჭები სტადიონის ტრიბუნის ქვეშ, ბნელ დერეფანში, ვიმპელებით, სიგელებით და დროშებით სავსე მწვრთნელის ოთასის ღია კარებთან შეგროვდნენ. მწვრთნელი ფესბურთელებს გვარებით იძასებდა და „დინამოს“ მომავალი მატჩის ბილეთებს ურიგებდა. მალე კართან მსოლოდ გია დარჩა. მწრთვნელი ყურ-

ღღებას არ აქცევდა – ოთასში რაღაცას ფუსფუსებდა. გია ჯიუტი იმედით ელოდა.

დერეფანში მაღალქუსლიანი ფესსაცმელების კაკუნი გაისმა. მწვრთნელი შავგვრემან, ინდიელის ტიპის ქალს გამოეგება.

– იზოლდა, მოდი, მოდი!

მწვრთნელმა იზოლდას ხელი ამოუტრიალა და იღლიასთან შიშველ მკლავზე აკოცა. ქალმა გადაიკისკისა. ისინი ოთასში შევიდნენ და კარი გასაღებით ჩაკეტეს.

გიამ არ იცოდა რა ექნა. ცოტა სანს დაელოდა. მერე წამოდგა, გასასვლელისკენ ნელა გაეშურა. კართან შეჩერდა და ჩაკეტილ ოთასს გამოსედა. ყოყმანის შემდეგ, კვლავ უკან დაბრუნდა. ოთასთან გაუბედავად კედელს მიეყუდა.

კარში გასაღები გადაატრიალეს. ერთმანეთზე გადაფსკვნილმა იზოლდამ და მწვრთნელმა გიას ისე ჩაუარეს, რომ ყურადღება არ მიუქცევიათ.

გიამ ფესბურთის ბილეთი სალაროში იყიდა.

– სადარბაზოში რკინის კბილით და მძიმე ჩაქუჩით სართულსა და სართულს შორის ჩაცემენტებული იატაკის გასერეტა ძნელი საქმე იყო. გია ერთ ასეთ სვრელს ნასევარ დღეს ანდომებდა. მიუსედავად ამისა, სიამოვნებით მუშაობდა; ერძნობდა როგორ ებერებოდა კუნთები, უკაედებოდა სსეული. დიდსანს ამაყი სისარულით უყურებდა თავის ნაჯაფარ, აკანკალებულ ხელებს. ქვედა სართულზე ალექსანდრე უკაკუნებდა. გია უნებურად ცდილობდა რიტმში მოსვედრილიყო და ჩაქუჩი რიგრიგობით დაერტყათ.

დღევანდელი დღე უცნაურად დაიწყო. როცა ტაქსით აქეთ მოემართებოდა, ქუჩაში რვეულებით დატვირთული, წვრილ ფესებზე ჩამობერებული მარგო მასწავლებელი და მასთან ერთად, ვიღაც პანკივით თმებშეკრეჭილი ბიჭი შეამჩნია. მძღოლს მანქანა შეაჩერებინა, სწრაფად გადმოსტა და მარგოს წინა კარი გაუღო.

მარგო შეცბა.

– არა უშავს, გია, ფესით გავიელი.

– მობრძანდით, მობრძანდით, – არ მოეშვა გია.

ყოყმანის შემდეგ მარგო მანქანაში ჩაჯდა. გია და ბიჭი უკანა სავარძელზე მოთავსდნენ. მარგომ გიას მოსედა.

— ჩემი შვილია, ზაური — ანიშნა ბიჭზე.

გიამ მეგობრულად შეათვალიერა. ზაური გულგრილად რეზინას ღეჭავდა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მარგომ რვეულები მაგრად მიისუტა და პირდაპირ გზას ჩააშტერდა.

მანქანა ლუდის ჯისურთან გააჩერებინა. მარგოს გაუკვირდა.

— მაპატიეთ.

— ჩვენც აქ ჩამოვალთ — დაფაცურდა მარგო.

— ფული არა აქვს, — გაიფიქრა გიამ.

— არა, არა, როგორ გეკადრებათ!

მძღოლს სამმანეთიანი გაუწოდა.

— სადაც ქალბატონი გეტყვით, იქ მიიყვანეთ. ნასვამდის.

მარგო შეიშმუშნა, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მსოლოდ ნასვამდის გიაო...

მარგოს სასე გაასსენდა და ჩაქუჩი სელში გაუშეშდა. მის გვერდით იასონმა ჩაიმუსლა.

— ერთად წავიდეთ!

— არა, მე არ შემიძლია, — უცებ მისედა გია საუბრის თემას.

— როგორ დავიჯერო, რომ შენ უარს გეტყვის.

— მიდით, თქვენ თვითონ უთსარით.

— მერე?

— თუ რამე შეუძლია, ყველაფერს გაგიკეთებთ.

— საკუთარი ბიძის გეშინია?

— არა — გააგრძელა მუშაობა გიამ.

— მომისმინე, ბიჭო — იასონმა ამოისუნეშა, — მე რომ მივიდე, არ მიცნობს — ვინ ვარ, საიდან ვარ...

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

— შენ რომ უთსრა...

— არა, მაპატიეთ, მე არ შემიძლია, — მოთმინება გამოელია გიას.

გაჩუმდნენ. გიას გაასსენდა — ჯიბიდან ფეხბურთის ბილეთი

ამოიღო და იასონს გაუწოდა.

– ეპ, წადი, შენი!... – იასონმა თავში სელი მაგრად წამოარტყა.

ალექსანდრე, რომელიც შეუმჩნევლად მათ სართულზე ამოსულიყო, იასონს საყელოში სწვდა და კედელზე მიაჭყლიტა. იასონს სული შეუგუბდა. შიშისგან თვალები გაუფართოედა. ალექსანდრემ თავისი შემშარავი თითი ცხეირწინ კარგა სანს უქნია.

იმავე დღეს, როცა სელფასის მოლოდინში სალაროსთან გრძელ რიგში იდგა, მასთან ბიძამისის მდივანი ქალი მივიდა და თავზე სელი გადაუსვა.

– გია, მერე ბიძაშენთან შედი, გეძასის.

– დიას.

კაბინეტში ბიძამისის პირდაპირ იასონი იჯდა. შოთა ბიძიამ მძიმე თვალები გიას მიაპყრო და იასონზე ანიშნა.

– სავაჭრო ტექნიკუმი ამან შენთან დაამთავრა?

გიამ იასონს გაოცებით გადასედა.

– თუ ამდენი შეგიძლია, რაღა ჩემთან აგზავნი, მოაწყე შენ თვითონ მებუფეტედ?! – სმას აუწია ბიძამისმა.

იასონი სარკასტული ღიმილით წამოდგა.

– კარგად ბრძანდებოდეთ!

მან ქუდი თავზე მოიგდო და კაბინეტიდან გავიდა.

გია თავის ოთასში დგას – მოპირდაპირე სასლში ეკას მინის ფანჯრებს უყურებს. დღეს ეკას დაბადების დღეა. გია თავის თანაკლასელებს სედავს.

კარზე რეკავენ. გია მიდის და კარს აღებს. მის წინ, სადარბაზოში, ეკა დგას.

გია მივიდა და ჩაესუტა. ეკამ სელები ნაზად მოსვია. გიამ მის ღუნღულა ქაკეტში სასე ნეტარებით ჩარგო.

გია კელავ ფანჯარასთან დგას. შემობრუნდა, ტანსაცმლის კარადა გამოაღო, რამდენიმე წყვილი ტანსაცმელი მიიზომა. არც ერთმა არ დააკმაყოფილა. კოსტიუმი დაუმოკლდა, შარვალ-პერანგები მოდაზე არ იყო შეკერილი. ყველაფერი უკანვე კარადაში შეყარა.

ძველი სვიტრი თავზე გადაიცვა და ასლა თმებს დაუწყო ბრძოლა.

სასტუმრო ოთახში ზურაბი ტელევიზორს უყურებს. მიმდინარეობს კონცერტი, რომელშიც მისი ცოლი მონაწილეობს. თეა იოლანტას არიას მღერის.

ზურაბს თავზე ძველი, ბაბუამისის წითელი ჩაჩი ასურავს.

– გია, – დაუძახა მან შვილს.

– რა იყო? – შემოვიდა გია.

ზურაბმა შვილი შეათვალიერა.

– სად მიდისარ?

– ეკასთან... დაბადების დღეზე.

– წადი ჯერ პური მოიტანე, შიმშილით ვკვდები.

ზარის სმაზე ბებიას კარი გიამ გაუღო და პური გამოართვა. ნინო სასტუმრო ოთახში სავარძელში ჩაესვენა. ზურაბმა პატარა მაკრატლით ფრჩხილების შესწორება დაიწყო.

– თეა მღერის? – იკითხა ნინომ.

ზურაბმა სმა არ გასცა.

გიამ ბებიას თბილი საშინაო ქოშები მოუტანა. წასვლა რომ დააპირა, ნინომ შეაჩერა.

– მოიცადე გია, დაჯექი.

გია მის პირდაპირ ტაბურეტზე ჩამოჯდა.

– დედაშენმა საყვედური მითხრა, ცუდად იქცეაო, არავის პატივს არ სცემს, არაფერი არ აინტერესებს. ბიძამისი თავზე ყვება, ამას კი, ყველაფერი ფესებზე ჭიდიაო. სტაჟი არ ჭირდება, თუ უნივერსიტეტში მოსვედრა ასე ადვილი პგონიაო!? ბიძამისმა ფესბურთზე მოაწყო, იქაც ვერ გამოდგაო... რატომ დაანებე თავი? – ნინომ გიას ალერსით თავზე სელი გადაუსვა, – შენ ხომ ნიჭიერი, ჭკვიანი ბიჭი სარ!? რამე სომ უნდა გამოვიდეს შენგან? რას ფიქრობ, ვინ უნდა გახდე ცსოვრებაში?

გია ამ სიტყვებმა შეგარა. რა უნდა გამოვიდეს, მისგან? არაფერი იცის, არაფერი აინტერესებს... ამ აზრით გაოგნებული, პირდაღებული მისჩერებოდა ბებიას.

– გია, – გამოსარკვევად სელი მოუთათუნა ნინომ.

– რა გინდა? – წყნარად, უნიათოდ შეეკითხა გია.

– დედას რატომ უნდა აფიქრებინო...

– რა უნდა აფიქრებინოს, დედას მარტო ტელევიზორით ხედავს... დაბადების დღეზე მიდის და ფრჩხილები არა აქვს დაჭრილი... არავინ არის მაგის მიმხედავი.

– მაჩვენე ხელები – ელდა ეცა ნინოს.

– ოოჰ, – გია ოთახიდან გავარდა.

ზურაბმა ჩაიფრუტუნა.

– ბიჭთან დედაზე აუგს რატომ ლაპარაკობ?!

– დედა სახლში ვიცი მე, ყოველდღე შუაღამეს ბრუნდება. თითქოს ეგ იყოს კაცო და მე – ქალი... ერთხელ მაგრად მივტყიპავ და მერე ვნახოთ, რა სმაზე იმღერებს.

– ზურაბ!...

– ნუ გამიჭირე საქმე, – უეცრად იყვირა ზურაბმა, – მაჭმევს ვინმე, თუ არა! გამისმა კუჭი.

– ე-ჰე-ჰე, რა მამაშენის კოპიო სარ. ეგოისტი... ერთხელ მაინც რომ მოეტანა ჩემთვის ყვავილები, შეიძლება ჩვენი ცხოვრება სხვანაირად წასულიყო.

გია სხვებისგან განცალკევებით, ბუფეტს მიყრდნობოდა. მის გვერდით, დაბალ, მრგვალ მაგიდაზე, მარწყვის დიდი ტორტი იდო. ვიდეომაგნიტოფონი იყო ჩართული. რამდენიმე წყვილი ცეკვავდა. ზოგი სიგარეტს აბოლებდა, ზოგიც ბუტერბროდებით გაწყობილ მაგიდასთან მისულიყო.

გიასთან ქარვის ფერადი ბურთულებისგან შემდგარი პატარა მძივის ხელში თამაშით ეკა მივიდა.

– შენ სომ არ იცი, ვინ ჩამიგდო ჩანთაში ეს მძივი? – ეშმაკურად შეეკითხა იგი ბიჭს.

– არა.

– ეს ტორტი როგორ გისდება!

ეკამ გაპრანჭვით ტორტს ერთი მარწყვი ამოაცალა და მსუნაგად გადაყლაპა.

– დღეს მეტყვი? – ღიმილით წასჩურჩულა მან გიას.

– რა გითსრა?

– ვინ გიყვარს.

– კარგი რა, ეკა, არ მოგბეზრდა!? – ეაეცინა გიას.

– ეკა, მოდი! – დაუძახა ვიღაცამ.

ეკამ მძივი გიას შეაჩეჩა.

– შემინახე რა!

– გია, სომ არ დალევ? – მიუახლოვდა მას ორი საეხე ჭიქით თენგიზი.

ჭიქა გამოართვა. მართალია, არასოდეს უმეგობრიათ, მაგრამ ეს მაღალი, ლამაზი ბიჭი ყოველთვის მოსწონდა. თენგიზის დინჯ, ჭკვიან თვალებში გაგებას მუდამ პოულობდა.

– მამაჩემს ველაპარაკე, – უთხრა თენგიზმა, – თუ შენი ოჯახი წინააღმდეგი არ იქნება, აფთიაქში მოგაწყობს.

– არა, აღარ მინდა.

– სამედიცინოზე თუ აპირებ, გამოგადგება.

– არსად არ ვაპირებ.

– აბა?

– არ ვიცი, ჯერ ადრეა... კიდევ ორი წელი.

სამზარეულოს ღია კარში ეკას ბაბუა ჩანდა. იგი თავის თავს კარტს ეთამაშებოდა.

– ამერიკა... საქართველო... ამერიკა, საქართველო... ეჭოჭება ამერიკას.

ბაბუას თანამედროვე სპორტული ტანსაცმელი აცვია.

საღამო.

გასტრონომის განათებულ ვიტრინაში მოჩანს, ნაჯახით როგორ ჩეხავენ გაყინულ თევზს.

ზურაბი ვიტრინას მოშორდა და ქუჩას ნელა გაუყვა. ერთ-ერთ აივანზე ძველებური, პედალიანი ცხენი შეამჩნია. ზურაბმა მამასავით სტვენა დაიწყო, მაგრამ მალევე შეწყვიტა. პატარა სკვერში წყვილი შეამჩნია, რომლებიც თავდავიწყებით ეხვეოდნენ ერთმანეთს და კოცნიდნენ. იქვე, სის სკამზე ყვავილები ეწყო.

ბურაბს თვალებში სევდა ჩაუდგა. იგი მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავიდა, ყვავილების ჯიხურთან დადგა და დაფიქრებული, დიდსანს ათვალიერებდა. ყოყმანის შემდეგ, რამდენიმე ვარდი იყიდა.

ეკას ბინა.

ოთახის ერთ კუთხეში რამდენიმე გოგო გაკრიალებულ პატარა პარკეტზე ლიმონათის ცარიელ ბოთლს გრისინით ატრიალებს.

– გია, გია, – სელი დაუქნიეს გოგოებმა.

გიამ ოთახის კუთხეს გასედა. ბოთლის პირი მისკენ იყო მოშვერილი.

– არა, არ მინდა.

– როგორ, ეკას არ აკოცებ?

– არ მაკოცებ? – გაუღიმა ეკამ.

– შეყვარებულია და რცხვენია, – სმა დაინაგა ვიღაცამ.

ეკას მიუახლოვდა, ლოყაზე აკოცა და, ვალის მოსასდელად, ბოთლი დაატრიალა. ბოთლი ეკას დაუპირისპირდა. ბიჭები სიცილით იატაკზე გაგორდნენ.

– შეყვარებულია, აბა რა!

– ნახე, ვეღარ კოცნის.

– დედა, როგორ გაწითლდა!

– გავწითლდი არა, ის...

– აბა, თუ არ ხარ შეყვარებული, გვანახე ჯიბეში რა გიდევს, – ჩაერია მოულოდნელად თენგიზი.

– რა მიდევს? – გაიკვირვა ასეთი აფსურდული თხოვნა გიამ.

– გვანახე, კაცო, ხომ არა ხარ შეყვარებული? ჰოდა, გვანახე, რა გიდევს ჯიბეში, – მისთვის გაუმართლებელი უუქსავატობით შეუჩნდა თენგიზი.

გიამ ჯიბეები ამოიტრიალა და ეკას მიერ შეჩეჩებული და სრულიად მივიწყებული ქარვის ყვითელი მძივი ამოათრია.

– ვაი, ჩემი მძივი! – ვითომ განცვიფრდა ეკა.

ბავშვები გადაბეირდნენ. გიას ცივმა ოფლმა დაასხა, „გამასულელეს“. კარგა სანს გაოგნებულმა უცქირა მძივს. მერე ეკას და

თენგიზს გადასედა და ნაძალადევად გაუღიმა.

ამასობაში უნებურად ტორტი გადმოაყირავეს. რამდენიმე ბიჭი მუსლებით იატაკზე გასრიალდა და საღი თეთრი კბილები ფუმფულა ტორტის შუაგულში ჩაასო. ქრიამულით ყველა მათ შემოესვია.

გიამ არეულობით ისარგებლა, ბნელ დერეფანში გაძვრა, სელების ფათურით საკეტი გასსნა და კარი ჩუმად გაისურა.

სადარბაზოში პირველ სართულზე ტარიელი ელოდებოდა.

– სომ გითსარი, ეკას თავი დაანებემეთქი!

ძლიერი დარტყმისაგან კიბის ქვეშ დაყრილი ძველი დამტვრეული სკამების გროვაზე დაენარცსა. გონს რომ მოეგო წელში მოსრილი და სასვზე სელებაფარებული თავს იცავდა. ტარიელი მუშტებს ზურგზე უბათქუნებდა. სელი ჭრა. ცოტა ხნით მოიშორა. იქვე დაბლა რკინის სამფეხა მოიძია და გამეტებით ესროლა. ტარიელმა თავის გაწევა ძლივს მოასწრო. სამფესა კედელში ღრმად ჩაესო და ბათქაში ამოანგრია.

იმდენად მოულოდნელი და საზარელი იყო გიას საქციელი, იმდენად წააგავდა მკვლელის მოქმედებას, რომ აკანკალებული ტარიელი ყვირილით ეზოში გავარდა.

გიას ქვედა ტუჩი დაუსივდა. მთელი სსეული უთრთოდა.

ქუჩაში ოდნავ დამშვიდდა. რამდენიმე კვარტალი ჩაფიქრებულმა გაიარა, ვიღაც წყვილი გააჩერა.

– ბოდიში, სიგარეტი სომ არ გექნებათ?

კაცმა ეჭვით შეათვალიერა, მაგრამ სიგარეტი მაინც გაუწოდა. ასანთიც სთსოვა. კაცმა გაზვიადებული თავაზიანობით მოუკიდა.

– გმადლობთ.

– არაფრის.

კაცმა ქალს გადასედა, გიასკენ სელი გაიშვირა და დაცინვით თქვა:

– რა უნდა გამოვიდეს ასლა ამისგან!

გიამ ისეთი სიძულვილით შესედა, რომ კაცს შეეშინდა. – ორივე სელი მაღლა აღმართა.

– მაპატიეთ, გვაპატიეთ, ბოდიში, ბოდიში. ჩვენ წაეედით, ნასვამ-

დის.

გიამ გააბოლა. თავი უბედურად იგრძნო. თვალები ქუჩის ნათურას გაუშტერა, ეგების ცრემლები წამომიყიდესო. სინათლემე მწერების ტრიალმა გაიტაცა.

მის წინ ტროლეიბუსი გაჩერდა. დიდხანს იდგა. ღია კარით. ცარიელი ყვითელი სალონით. რბილი საავარძლებით ეპატიჟებოდა. სიგარეტი გადააგდო და ანგარიშმიუცემლად ტროლეიბუსში ჩაჯდა. ოცსართულიან ჩაბნელებულ სახლთან მისვდა. რომ აქ უნდა ჩამოსულიყო.

ლუდის ჯისურთან, სავსე კათსით სელში. ალექსანდრე იდგა და უღიმოდა. გიამ სელი ჩამოართვა.

– გამარჯობათ!

ალექსანდრემ თავი დაუქნია, მერე მელუდეს ერთი კათსაც აავსებინა. გიამ გასიებული ტუჩი ენით მოისინჯა.

უეცრად ირგვლივ ყველაფერი განათდა. სახლში დენი ჩართეს. მთელი შენობა აკაშკაშდა. გია სასტად დარჩა. მერე ნელ-ნელა სულში საოცარი სისარული ჩაეღვარა. თითქოს სერსემლის გასწერივ რაღაც მთავარ სიმს გამოჰკრესო. მკერდში ყველაფერი აუღერდა.

ბურაბი სადარბაზოს კიბეს აუყვა. იგი გაკვირვებით ათვალიერებს ვარდების კონას.

თავისი ბინიდან სიმღერა ესმის. თეა მთელი სმით ატარებს გამებით ვარჯიშს.

ბურაბი კართან გაჩერდა. იდგა და ცოლს უსმენდა. მერე ბარის ღილაკს თითი დააჭირა. სიმღერა შეწყდა და ცოტა სანში ფესის სმა გაისმა.

– ვინ არის? – იკითხა თეამ და ჭუჭრუტანისკენ დაიხარა.

ბურაბმა ყვავილები სადარბაზოში მოისროლა და ჭუჭრუტანას სელი მიაფარა.

50-იანი წლები.

გიორგი ზურაბოვიჩი, იგივე გიო, რომ გარდაიცვალა, ნინომ მთელი ბინა გადაატრიალა, მაგრამ ვერც რაიმე ძვირფასეულობა, ვერც ფული და ვერც ანდერძის მაგვარი რამ ვერ იპოვა. არადა, სსვებივით, გიო მასაც დიდი ავლადიდების პატრონი ეგონა.

მეორე დღეს მთელი ოჯახი – ნინო, მისი დედ-მამა, ზურიკო და კიდევ ნათელა (ქალი, რომელიც თავისი ბავშვისთვის გიორგის ტანსაცმელს და საჭმელს სთხოვდა/, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ანდერძის ძებნაში, გიორგის სამსახურისკენ გაეშურნენ.

– მთელი სასლი ამოვატრიალეთ და ვერაფერი ვიპოვეთ, – თქვა დაწესებულების კიბეზე ნინომ.

– შეუძლებელია, – არ დაეთანხმა ნათელა, – ასეთი თანამდებობის კაცს აუცილებლად ექნებოდა რამე გადანასული.

– ანდერძიც რომ ვერ ვნასეთ?!

– აი, ნასე შენ, ყველაფერი კაბინეტის სეიფში თუ არ ექნება დამალული.

ამ ლაპარაკით მბეჭდავების ოთასი და დერეფანი გაიარეს და გიორგის კაბინეტში შეწუსებული მდივნის თანსლებით შევიდნენ.

ყველა ძველებური, მაღალი, მასიური სეიფის გარშემო დადგა. შოთამ ჯიბიდან გასაღები ამოიღო და სეიფის კარი გასსნა.

ნიავმა ცარიელი სეიფიდან რაღაც ქაღალდი იატაკზე გადმოაფრიალა. ეს ნინოს ფოტოსურათი იყო.

ნინომ ცოტა სანს თავის გამოსასულებას უყურა, მერე სეიფი გულდაგულ დაათვალიერა და განაწყენებულმა, გაღიზიანებით თქვა:

– არც სეიფში ჰქონია არაფერი იმ უბედურს.

ზურიკომ დედას ასედა.

ქალაქგარეთ, მინდორში, სადაც ტრამვაის ბოლო გაჩერებაა, პირდაპირ ბალახზე სამი ადამიანი ზის – ბებია, ბაბუა და პატარა ზურიკო. ბებიას მუსლებზე თავშალი გადაუფარებია, მოკლე დანით ვაშლს ფცქვნის. ბაბუას კალათიდან სანოვაგე ამოაქვს და თავის წინ სუფრაზე ალაგებს. მინდორში თეთრი ცხენი ბალასს ძოვს და

აბეშარ ბუშებს კუდის ქნევით იგერიებს. ზურიოს ცსენისკენ თავი მიუბრუნებია. პორიზონტზე ნისლში გასვეული თოვლიანი მწვერვალი მოჩანს. ისმის ტრამვაის წკრიალი.

ბებიამ ზურიოს გაფცქვნილი ვაშლი მიაწოდა. ბაბუამ ლიმონათი გასსნა და პირდაპირ ბოთლიდან მოიყუდა. ბებიამ დანა დაკეცა და სელები მუსლებზე დაიწყო. ბიჭმა ვაშლი ჩაებიჩა. კელავ ტრამვაიმ დაიწკრიალა.

ბებია, ბაბუა და შვილიშვილი ტრამვაიში სსედან. ბაბუა გაზეთს კითსულობს. ბებია და ზურიო ფანჯარაში იყურებიან.

ტრამვაი დაიძრა. ტრიალ მინდორში მარტო ცსენი დარჩა.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

უძღები შვილი

ლაბორატორიის კაბინეტი ჩაბნელებულია. მაგიდასთან გოგი ზის. მაგიდაზე ღამის ნათურა ანთია, რომელიც მსოლოდ გოგის სახეს და მაგიდაზე დაწყობილ ტექსტებს ანათებს. გოგი ერთ-ერთ გაკვეთილს კითხულობს. იგი ცდილობს სხვადასხვა სიმაღლის ხმით და სიტყვების ნელი და მკაფიო გამოთქმით სტუდენტებს ტექსტის დამასსოვრება გაუადვილოს. ჩუმად უკრავს მუსიკა. გოგი (დაბალი ხმით)

– ასალი ბინა.

– რა მშვენიერი ბინა გაქვთ,

– რამდენი ოთახია?

უეცრად გოგიმ ხმა აიმაღლა

გოგი – ოთხი ოთახი მაქვს – კაბინეტი, სასტუმრო ოთახი, სასადილო და საძინებელი. რაც მთავარია, ოთახები დიდია და ნათელი. გოგიმ ნორმალური ხმით გააგრძელა.

გოგი – სასტუმრო ოთახში ერთი მაგიდა და ექვსი სკამია. ოთახის ერთ კუთხეში ტახტია, მეორეში – როიალი და ფერადი ტელევიზორი. – საინტერესოა, საძინებელი ოთახი როგორ მოაწყვეთ? გოგი ჩურჩულზე გადავიდა.

გოგი – „აი, ეს არის საძინებელი ოთახი. ეს საძინებელი გარნიტური შედგება საწოლების, ტანსაცმლის კარადის და სარკისაგან, ეს თხელი ვარდისფერი ფარდა კარგად ესამება კედლის ფერს და სალიჩას“. ისევ ხმამაღლა – „ეს რა აგია იატაკზე“!?

– „ეს დათვის ტყავი ჩემი ნანადირევია“!

ნორმალური ხმით – „რა სათავსოები აქვს თქვენს ბინას“?

– „ჩემს ბინას აქვს სამზარეულო და აბაზანა. აბაზანა ცისფერი კაფელით არის გაწყობილი, რომელსაც მშვენივრად სატავს დღის სინათლე. იგი მყუდროა და მოსასერსებელი. მილები კედლებშია გაყვანილი. მუდამ მოდის ცხელი წყალი“.

„ასალ ბინას ლამაზი დიასახლისი მოუსდება“:

– „ეს არც ისე ადვილია. საშინლად პრეტენზიული ვარ“.

– „მაინც რა პრეტენზიები გაქვთ? გოგი (ხმამაღლა)“

– „ჩემი მეუღლე უნდა იყოს კარგი დიასახლისი, უნდა იცოდეს გემრიელი კერძების მომზადება, უნდა უკრავდეს და მღეროდეს და რაც მთავარია, ძალიან ლამაზი უნდა იყოს!“

ნორმალური სმით – „ოდნავი გატაცება და თქვენი პრეტენზიები ბოლო ადგილზე გადავა. – მოდით, ახლა ვიმღეროთ“. გოგი მაგნიტოფონთან მივიდა, კლავიშს თითი დააჭირა. ჩუმად გაისმა „სულიკოს“ პირველი აკორდები. ტახტზე, სადაც ნათურის სიმაღლე ოდნავ აღწევს, მარინე ზის და გოგის უთვალთვალებს. გოგი მისკენ შემობრუნდა.

გოგი – „სულიკო“ ყველასთვის ნაცნობი სიმღერაა. ადვილად აითვისებენ და ისწავლიან. არა? მარინე ტახტიდან წამოდგა. გოგის მიუახლოვდა და ხელები კისერზე მოსვია.

მარინე – შენ უკეთ იცი. გოგიმ აკოცა. მარინემ გაუღიმა.

მარინე – ყველაფერი ისე გავაკეთოთ, როგორც შენ გინდა, გოგი. მე შენ მიყვარხარ... შენ ყველას უყვარხარ. შენ ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე კარგი, ყველაზე ლამაზი ხარ.

ახალი მეთოდით ენების სწავლების ლაბორატორიის ნათელი, მაღალჭერიანი ვესტიბიული და დერეფანი ხალხით არის სავსე. ეს სტუდენტებია, რომლებიც აქ ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის, ქართულის და სხვა ენების შესასწავლად მოვიდნენ. მათ შორის სხვადასხვა ასაკის ადამიანები არიან. სტუდენტები ცდილობენ „ენების“ მისედვით შეჯგუფდნენ და თანაკურსელებს თავიდანვე გაეცნონ. საერთო სმაურში სანდასან ისმის:

– ვინ არის ინგლისურზე?

– აი, აქეთ, – თითით აჩვენებენ. – ეს ქართული ჯგუფია?

ვიღაც რუსულად კითხულობს.

– კი, კი.

– გერმანელები რომელ ოთახში არიან?

– არ დაწყებულა?

– ჯერ არ შეესულვართ, დაგვიძახებენ. ისმის კვლავ რუსული.

– ირინე, შენც აქ ხარ!? გარშემო სიცილი და სმაურია.

კაცი – უკვე თხუთმეტი წუთი გადაცილდა.

ასალგაზრდა კაცი საათზე ისედება. ვესტიბიულის შუშის კარი

გაიღო და ქუჩიდან საქაღალდეებით დატვირთული ლურჯსალათიანი პეპინო შემოვიდა. მან მისალმების ნიშნად რაღაც იტალიურის მსგავსი სიტყვები თქვა და ასევე, ვითომ იტალიურის ლაპარაკით, სტუდენტებში დერეფნისკენ გზა გაიკვალია. ამ უცნაურმა პიროვნებამ ჯერ გაკვირვება, ჩურჩული და მერე ზოგიერთის სიცილი გამოიწვია.

სამასწავლებლოში ათამდე პედაგოგი ქალი და კაცია, რომლებიც, პატარა, შეუსედავ ფანჯრებზე გისოსებიან ოთახში ძლივს ეტევიან. ეს ოთახი გატენილია ავეჯითაც. კედლებზე სწავლების განრიგი, კალენდრები და ნაირფერი პლაკატებია. ვიღაც ყავას სვამს. ორი ასალგაზრდა ქალი საუბრობს.

ქალი – წინა ჯგუფი აღარ მშორდება, ლექციები გავაგრძელოთო. თურმე ყოველდღე იერიბებიან, შამპანურს სვამენ, ცეკვავენ. მეც მეპატიჟებიან.

ასალგაზრდა კაცი სავარძლიდან მმორებით წამოდგა და თავისი რვეულების შეგროვებას შეუდგა. თავის ქაღალდებს გოგიც ასარისსებს. იქვე მაგიდასთან, სავარძელში, მარინე ზის, სიგარეტს ეწევა. ჩანთიდან პარფიუმერიას იღებს. პატარა სარკეში იცქირება და თავის ექსტრავაგანტურ თმის ვარცხნილობას ათვალიერებს. მთელი ფილმის მანძილზე მისი თმების დალაგება გაკვირვებას იწვევს. ზოგს ეცინება, ზოგს კი ულტრათანამედროვედ ეჩვენება. ვიღაც ქალი ტელეფონით ლაპარაკობს.

– დაჯექი, იმეცადინე. იცოდე, ჩემს მოსვლამდე ეზოში არ გავარდე... არა, არავითარ შემთსვევაში. მამასთან არ წასვალ, მე შენ არ გიშვებ! გოგიმ მარინეს გასედა. მათი თვალები ერთმანეთს შესვდნენ. სამასწავლებლოში პეპონო შემოვიდა და ისევე, როგორც ვესტიბიულში, გამოგონილი იტალიურით დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ყველა მისვდა, რასაც ამბობდა: რომ უკვე დრო იყო ლექციები დაეწყოთ. ნუ აგვიანებთ, ნუ აყოვნებთ, რა შვებითო.

პედაგოგები – ოჰ, პეპინო, პეპინო!

– არ გააჭირა ამან საქმე! თავისი იტალიურით?

– ჰო, მართლა, წავედით, წავედით, დროა. გოგიმ პეპინოს რამდენიმე საქაღალდე გამოართვა და მერე ერთ-ერთ პედაგოგს

მიმართა:

ბოგი – ნანა, ჩემები შეიყვანე რა კაბინეტში, ახლავე მოვალ. მასწავლებლები საუბრით გაეშურნენ კარისაკენ. დაბალ მაგიდაზე პატარა ტელევიზორი დგას. ახალგაზრდა პროფესორს ქართული ლიტერატურის გაკვეთილი მიჰყავს. იგი ლაპარაკობს მიჯნურობაზე „ვეფხისტყაოსანში“.

მასწავლებლები ვესტიბიულში გამოვიდნენ. შუასნის ქალმა ხმამაღლა გამოაცხადა.

ქალი – გერმანული ჯგუფი, გამომყევით! გერმანელები სიცილით და ლაპარაკით ქალს გაპყვნენ. იძახის მელოტი ახალგაზრდა კაცი.

კაცი – ფრანგული ჯგუფი, აქეთ! აი, ამ კაბინეტში.

მარინე – ინგლისურებს ვთხოვ. თქვენგან მარჯვნივ კაბინეტში შებრძანდით! ვესტიბიული და დერეფანი ნელ-ნელა წყნარდება. ნანა რუსულად კითხულობს.

ნანა – ქართულის შესასწავლად ვინ არის მოსული? ქართული ჯგუფის კაბინეტი აქეთ არის. რომ შესვალთ, სკამებზე ბარათები დაგხვდებათ, სადაც თქვენი გვარები და სახელებია ჩაწერილი. გთხოვთ, ამ ბარათების მიხედვით დასხდეთ. დერეფანი ცარიელდება. ქართული ჯგუფი თავის კაბინეტში შედის. კაბინეტში ათამდე სავარძელი ნახევარწრედ არის განლაგებული. მათ პირდაპირ ლექტორის მაგიდა და სკამია. მაგიდასთან ტორშერი დგას. სავარძლების უკან, თითქმის მთელი კედლის მაგიერ, მაღალი განიერი ფანჯარაა, რომელიც პირდაპირ ქუჩაში გადის. ლაბორატორია პირველ სართულზეა. სტუდენტებმა ბარათების მიხედვით თავიანთ სავარძლებს დაუწყეს ძებნა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ერთმანეთს წაეკამათა.

ქმარი – აი, ეს არის შენი ადგილი.

ცოლმა სხვა სავარძელი ამოირჩია, ვიღაცის ბარათი სელის ერთი მოქნევით იატაკზე გადმოაგდო და ქმარს გაღიზიანებით უთხრა:

ცოლი – სადაც მინდა იქ დავჯდები!

თითქმის ყველა მოეწყო. მსოლოდ შავგრემანმა, სილურჯემდე ლოყებგაპარსულმა სომეხმა, ვერ იპოვა თავისი ბარათი. მან უკან-უკან დაისია და უნებურად ქერათმიან ქალიშვილს ფეხზე დააბიჯა.

ქალიშვილმა შეჭიელა და სომეხს თვალები დაუბრიალა.

ქალიშვილი – ოოპ, რა დათვიეით დაბაჯბაჯებ!

სომეხი შეცბა.

სომეხი – მაპატიეთ,

კაბინეტში გოგი შემოვიდა.

გოგი – მოსდა რამე?

სომეხმა უაცრად იატაკზე ბარათი შენიშნა, დაისარა და აიღო.

სომეხი – აი!

გოგი ყველაფერს მისვდა.

გოგი – თავისუფალ ადგილზე დაბრძანდით, მერე დანარჩენებს მიუბრუნდა.

გოგი – როგორც შეამჩნიეთ, გვარებისა და სახელების გარდა, ბარათებზე თქვენი ქართული ფსევდონიმებიცაა. დღეიდან ერთმანეთს ქართული სახელებით მიემართავთ. ახლა, კი, მოდით ერთმანეთი გავიცნოთ. მე გოგი მქვია, ქართულში მამის სახელით არ სარგებლობენ. შეგიძლიათ დამიძახოთ გოგი ან პატივცემულო გოგი. რა თქმა უნდა, ქართულად, პატივცემულო გოგი, აბა ერთად გავიმეოროთ, პა-ტივ-ცე-მუ-ლო გო-გი!

სტუდენტები – პა-ტივ-ცე-მუ-ლო გო-გი! სიცილით გაიმეორეს ქართულად სტუდენტებმა. პანორამა გოგიზე.

გოგი – ძალიან კარგია, რუსულად განაგრძო გოგიმ.

გოგი – ქართულად მიღებულია კიდევ ასეთი მიმართვა – ბატონო ან ქალბატონო. დღეიდან შევეცადოთ ვილაპარაკოთ მსოლოდ ქართულად. წამოდგა სამოციოდე წლის კაცი.

კაცი – შეკითხვა შეიძლება?

გოგი – გისემენთ, პატივცემულო...

გოგიმ ქაღალდებში ჩაისედა.

გოგი – ლევან.

ლევანი – კონსპექტი უნდა ვწეროთ?

გოგი – არავითარი კონსპექტები, არავითარი საშინაო დავალება, არავითარი გრამატიკა. აუდიტორია გამოცოცხლდა.

ლევანი – მშვენიერია.

სიცილით თქვა ლევანმა.

გოგი – ჩვენმა ლაბორატორიამ ენების შესწავლის ასალი, სწრაფი მეთოდი დაამუშავა. აუცილებელია ყოველგვარი უსერსულობისაგან განთავისუფლება. სირცხვილის გარეშე უნდა წარმოთქვათ უცნობი სიტყვები, მაგრამ წარმატებით სწავლისათვის საჭიროა ძლიერი სტიმული, მაგალითად, სურვილი, შეისწავლოთ სალსის ისტორია და კულტურა, წაიკითხოთ ლიტერატურა ორიგინალში. რადგან საქართველოში ცხოვრობთ, ენა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გამოგადგებათ.

გოგიმ ბოლო სიტყვებზე მეგობელ აუდიტორიაში მარინეს გახედა და ცოტა სნით გაჩუმდა. მარინე მშვენიერად მოჩანს თავისი კაბინეტის შუშის კარში. იგი სტუდენტებს რაღაცას უსსნის. აუდიტორია დაინტერესდა, ვის უყურებს გოგიო და სავარძელზე წინ წაისარა. გოგიმ მსმენელთა ინტერესი შენიშნა. სტუდენტები წელში გასწორდნენ. გოგიმ განაგრძო:

გოგი – პირადად მე თქვენზე მდიდრად მიმაჩნია თავი, რადგან ქართულის გარდა, რუსულსაც კარგად ვფლობ. ამან საშუალება მომცა ასლოს გავცნობოდი და უკეთ გამეგო რუსული და მსოფლიო კლასიკური ლიტერატურა. დამეთანხმებით, რომ ასეთი ცოდნა ყველა ინტელიგენტი, განათლებული ადამიანისთვისაა საჭირო. აი, ასლა, მაინტერესებს, თუ რა სტიმული აქვს თითოეულ თქვენგანს. დავიწყოთ თუნდაც თქვენგან, ქალბატონო ნინო. გამხდარი ქალი სავარძელზე გადაწვა, ტუჩები აუკანკალდა, თითები ნერვიულად დაატკაცუნა და ხელები გაასავსავა. გოგის გაუკვირდა.

გოგი – არ მიპასუხებთ? ნინო მუდარით დაეჭყანა. გოგიმ მხრები აიჩეჩა.

გოგი – ასე არაფერი გამოვა. თქვენი ინიციატივა აუცილებელია...

ლევანი – მართალი რომ გითხრათ, მე მარტოსელა, მოსუცი კაცი ვარ. გავიგე რომ არსებობს ასეთი კურსები. ვიფიქრე. ასალ ადამიანებს გავიცნობ, დავუასლოვდები... ცხოვრება უფრო საინტერესო, შინაარსიანი გასდება. რა თქმა უნდა, ენაც მინდა ვიცოდე. ამდენი სანია აქ ვცხოვრობ, სალსთან ურთიერთობა გამიადვილდება... ეჭვი კი მეპარება, რომ ასე მოკლე დროში, რაიმეს შესწავლა მოხერხდეს, მაგრამ მაინც... გაიცინა ბოლოს მან. ყველა

ერთხმად აყაყანდა.

გოგი – მოდით, რიგრიგობით გამოვთქვათ ჩვენი აზრი. თქვენ რა გქვიათ? ნინოს გვერდით ქალიშვილი ფესზე წამოდგა.

ვერა – ვერა.

გოგი – არა, ქართული სახელი?

ვერამ ბარათს დახედა.

– ტამუნა აბაშიდზე.

გოგი – თქვენ რას გვეტყვით, თამუნა? ქალიშვილმა დაიმორცხვა.

გოგი – როგორ, თქვენც არ მიპასუხებთ?

ვერამ ტუჩები ეშმაკურად მოპრუწა და მერე უეცრად თქვა.

ვერა – არა, რატომ. ჩემი საქმრო ქართველია.

გოგის ბინა ნასევრად სარდაფში მდებარეობს. ფანჯარაში მეემოვის ცოცხი მოჩანს. გოგი ქუჩიდან შემოსულმა მანქანის სმაურმა გამოაღვიძა. ოთახში, კაბინეტის ტიპის აულაგებელ მაგიდაზე, წიგნები, რვეულები და ცალკე ფურცლები ერთმანეთშია არეული. საწერი კალმები უსისტემოდ არის მიმობნეული. იქვე, თაროზე, პირში ფურცელგაჩრილი საბეჭდი მანქანა დგას. შუა ოთახში, მრგვალ მაგიდაზე, გუშინდლიდან შემორჩენილი საუზმის ნარჩენებია. კუთხეში პატარა ტელევიზორი დგას. მის გვერდით კედელზე გოგის, მარინეს და მათი შვილის, სუთი წლის ნიკოს ფოტოსურათი კიდია. სავარძლებსა და სკამებზე დაჭმუჭნული ტანსაცმელია მიგდებული. ორი წყვილი ფეხსაცმელი ლოგინის და კარადის ქვეშ ყრია.

გოგიმ მძიმე საბანი გადაიხადა. ტრუსებსა და უსახელო მაისურში ბინაში შემოსასვლელ კართან მივიდა, საფოსტო ჭრილიდან გაზეთი გამოაძვრინა, ბოლო გვერდზე გადაშალა, ტელევიზიის პროგრამა წაიკითხა, კედლის საათს გახედა და ტელევიზორი ჩართო. გოგიმ სამზარეულოში მაცივარი გამოაღო. ძესვის გამოღებას აპირებდა, უნებურად ტომატით სავსე ქილას ხელი წაჭრა და იატაკზე გადმოუვარდა. ქილა დაიმსხვრა. იატაკი ტომატით დაისვარა. შეშინებული გოგი დაფაცურდა, მაგრამ უცებ დამშვიდდა და გაეცინა. ცოტა ხნით დაფიქრდა, მერე თავის თავს გაღიზიანებით უთხრა.

გოგი – უუჰ, ყველაფერი ხელიდან გიავარდება, რა დოყლაპია ხარ. შენისთანა კაცი ოჯახში შემოსაშვებია!? ფული შენ არ გაქვს და არაფერი. რომელი ცოლი გაგიძლებდა შენ? თფუი! გოგიმ ძესვის ნაჭერი მოიჭრა, ონცანიდან ციცი წყალი დააყოლა. მერე სიგარეტი გააბოლა და სამგარეულოს დალაგებას შეუდგა. გოგი ოთახში დაბრუნდა, ტელევიზორს მიუჯდა. ახალგაზრდა ქალს ენის გაცვეთილი მიპყავს. იგი ორ ბავშვს, ბიჭუნას და გოგონას, რუსულ ლექსს ასწავლის.

ქალი – აბა, გაიმეორეთ ჩემთან ერთად?

„ფესებს ვაბაკუნებ,
სელებს ვატყლაშუნებ,
ვაქიცინებთ თავს,
ხელებს მაღლა აეწეთ,
ხელებს დაეწევთ დაბლა.
სელებს ვაძლევთ სსვას,
შემოვურბენთ გარს“.

ბავშვები ფესებს აბაკუნებენ, სელებს ატყლაშუნებენ, თავს აქიცინებენ და ასე სწავლობენ ლექსს. გოგიც მათ აპყვა. ფესები დააბრახუნა, ხელები ერთმანეთს შემოჭრა. მერე მაგიდასთან მივიდა და ლექსი ქაღალდზე ჩაიწერა. კელავ დაიწყო სელების ქნევა და ლექსის ხმამაღალი განმეორებით ფანჯარას მიუახლოვდა. ქუჩაში მანქანების უწყვეტი ნაკადია. ქალაქი გუგუნებს. საზოგადოებრივი ტრანსპორტი გატენილია – ხალხს სამსახურში მიეჩქარება. ხეები, მიუსედავად თბილი ამინდისა, თავისი შიშველი ტოტებით სუსხის შეგრძნებას ტოვებენ. მეეზოვე ნაგავს ერთ ადგილზე აგროვებს. გასტრონომიდან ჰური, არაყანი, საჭო, რძე გამოაქვთ და ჩქარი ნაბიჯით სახლებისკენ მიეშურებიან. პირველკლასელ თეთრწინსაფრიან გოგონებს და ფორმებაჩაჩულ, უკვე დილიდანვე სირბილისაგან გაოფლიანებულ ბიჭუნებს სკოლისკენ მიეჩქარებათ. გაზეთების ჯისურიდან გამყიდველმა თავი გამოპყო.

გამყიდველი – როზა, მოდი ერთი ფული დამისურდავე.

ქურთის დიდცსვირა, კაპარჩსინა, შავმა ქალმა მზესუმზირის გაყიდვას თავი მიანება, წინსაფრის ჯიბიდან მთელი ჭიქა სურდა

ფული ამოსიცა და ბურტყუნით ჯისურისკენ გასწია.

როზა – სურდა ფული, ყოველდღე სურდა ფული. მე რა, ბანკი ვარ?

ტანსაცმლის მაღაზიას ბოქლომი მოსსნეს და კარი გააღეს. ჩაირთო უსაფრთხოების სიგნალიზაცია და მთელი ქუჩის ყურადღება მიიქცია. იყურებიან ავტობუსებიდან და სასლებიდანაც კი. გამაფრთხილებელი ფსაკუნით ჩაიქროლა ლურჯნათურიანმა ყვითელმა მილიციის მანქანამ. ავტოინსპექტორმა ვიღაც თანამდებობის პირის მანქანას მსედრული სალამი მისცა. მეეზოვემ ნაგავი შეაქუჩა და ცეცსლი წაუკიდა. ცოცხს დაყრდნობილი, დაფიქრებული უყურებს. გოგი ჩქარი ნაბიჯით ავტობუსის გაჩერებისკენ მიაბიჯებს, გურამიშვილის ძეგლთან ვერა (იგივე თამუნა აბაშიძე) დგას და აქეთ-იქით უაზროდ იყურება. გოგიმ გაუღიმა.

გოგი – გამარჯობა, თამუნა!

ვერა – გამარჯობა.

გოგი – სამსასურში რატომ არ სართ?

სსვა ვერაფერი მოიფიქრა გოგიმ. ვერამ მსრები აიჩეჩა.

გოგი – მე კი მაგვიანდება, ნასვამდის.

ვერა – ნახვამდის.

ნაღვლიანად გამოემშვიდობა ვერა. გოგიმ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. შეჩერდა. დაფიქრდა და კვლავ ვერას მიუბრუნდა.

გოგი – მოსდა რამე?

ვერამ სასე სელებში ჩარგო და აბლუქუნდა. გოგი გაშტერდა.

გოგი – დამშვიდდით, იქნებ რამეთი დაგეხმაროთ?

ვერამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

ვერა – აღარ წავალ სამსასურში, მეტი აღარ წავალ... ყოველდღე მაწვალებს, მეუბნება მიყვარსარო... გოგის გაუკვირდა.

გოგი – მერე?

ვერა კვლავ ატირდა.

ვერა – მეც მიყვარს. გოგიმ სიცილისაგან თავი ძლივს შეიკავა.

გოგი – ამას რა ჯობს? ამის გულისთვის ტირილი შეიძლება?

ვერა – აღარ შემიძლია. აღარ, სულ ეჭვიანობს, მაკონტროლებს, ცოლად მაინც მომიყვანოს... შენო, მეუბნება, თავში ქარი გიქრისო.

მე შენ ვერ დაგიჯერებ, მიღალატებო. თუ ასეთი ცუდი ვარ, თავი დამანებოს. ცხოვრება კი არა, ჯოჯოხეთია... მეგობრები ჩემთან აღარ დადიან, ყველაზე ეჭვიანობს, მეც სულ სახლში ვზივარ. გუშინ მეჩხუბა, სიმმარში სხვა მამაკაცებთან ცხოვრობო. წარმოგიდგენიათ? სხვა მამაკაცები გესიზმრებაო... ფანტასტიკურია. გოგის გაეღიმა.

სალხით გატენილ ავტობუსში მარინე უანჯარასთან მიუჭყლეტიათ. ვერა და გოგი მარინემ ავტობუსიდან შეამჩნია. ამ დროს გოგიმ ვერას დასამშვიდებლად მსარზე ხელი მოეხვია. მარინეს თვალები გაუფართოვდა. აქეთ-იქით გაიქაჩა.

მარინე – გამიშვით, გამატარეთ...

მაგრამ ისე იყო სალხისგან მიჭეჭყილი, რომ ვერ გაინძრა. ავტობუსი ადგილიდან დაიძრა და გოგის და ვერას ნელ-ნელა დაშორდა. მარინეს ბრაგისგან სახე შეეცვალა. ვერა კი გოგის თავის დარდს უგიარებდა.

ვერა – აი, ახლაც, მაგის შიშით პაემანზე ნახევარი საათით ადრე მოვედი... გამაწამა, – სამსახურში მისვლა მეჯავრება. ალბათ, გამომაგდებენ... დავიღალე, აღარ შემიძლია... ოჰ, ღმერთო, როგორ არ ვიფიქრე, აი, მოდის, თქვენც რა მდგომარეობაში ჩაგაგდეთ, ახლა თქვენზეც იეჭვიანებს, რა სულელი ვარ... გოგიმ გაუღიმა.

გოგი – არა უშავს...

მათ დიდცხვირა, გამხდარი, სახაგავებით და ქაღალდის რულონებით დატვირთული პორტფელიანი ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდა და გოგის უხეშად მიმართა.

დიდცხვირა – შენ, ერთი, წამოდი ჩემთან, საქმე მაქვს. ვერა შუაში ჩადგა.

ვერა – არსადაც არ წამოვა.

დიდცხვირამ ვერა ხელით მოიშორა.

დიდცხვირა – მოიცა, კაცო!

გოგიმ ქალიშვილი დაამშვიდა.

გოგი – უბრალოდ ვილაპარაკებთ!

ვერა გაძალიანდა.

ვერა – მეც თქვენთან ერთად წამოვალ.

არცერთი ადგილიდან არ დაიძრა. დიდცხვირა გოგის ბრაგით

მიაშტერდა.

დიდცსვირა – აბა, მომიყევი, რას აკეთებდით!

გოგი – რა უნდა მოგიყვეთ? მშვიდად ჭკითსა გოგიმ.

დიდცხვირა – შენ იცი, რა დამოკიდებულება მაქვს ამ ქალთან?

გოგი – ყველაფერი ვიცი.

დიდცსვირა – მერე, რას დააგულავებ და დადიხართ გადასვეულნი?

გოგი – ვერა ჩემი სტუდენტია.

დიდცსვირა – სტუდენტი არ ვიცი მე!

ვერა – მოუყევით, რაც გითსარით, მოუყევით! თავი დააქნია ვერამ.

დიდცსვირა – ჰო, აბა, მითსარი, რა გითსრა და რას აკეთებდით?

დოინჯი შემოიყარა დიდცსვირამ. გოგიმ ორივეს გამომცდელად შესედა. დიდცსვირა ცდილობდა ისეთი სასე მიეღო, რომ ბანდიტს დამსგავსებოდა და გოგი შეეშინებინა.

გოგი – სულ თქვენზე მელაპარაკებოდა, მიყვარსო. ძალიან წუსდა, ეჭვიანიაო. აღარ შემიძლია მეტიო. ან თავი დამანებოს, ან...გოგიმ ვერას გადასედა, ვერამ ქართულად გაამსნევა.

ვერა – ტკვიტ. ტკვიტ, პატივცემულო გოგი!

დიდცსვირამ მწარედ ჩაიცინა.

დიდცსვირა – ჰმ, პატივცემულო გოგი! ესეც რომ მატყუებს.

გოგი – ან ცოლად მომიყვანოსო! დიდცსვირამ იყვირა.

დიდცხვირა – მეტი არაფერი უნდა? მე წელებზე ფესს ვიდგამ, ვშრომობ და მარტო ეს მიყვარს. მე – კაცი, სამი წელია ქალთან არ ვყოფილვარ. კაცი, გესმის შენ? კაცი ვარ და ამის გულისთვის ქალებში არ დავდივარ. ეს კი დილიდან საღამომდე ვიღაცეებთან დაძრწის. ვერამ მუშტები დაუშინა.

ვერა – როდის, როდის!? დიდცსვირამ სელი ჭრა.

დიდცხვირა – მე რა ვიფიქრო ასლა, როცა ვსედავ, ვიღაცასთან ერთად ქუჩაში გადასვეული მოაბოტებს? ამისსენი ერთი, მე რა გავაკეთო?

უეცრად გოგიმ ოფიციალური ტონით განაცსადა.

გოგი – კარგი. იყოს ისე, როგორც თქვენ გსურთ. სვალ, ზუსტად

შვიდ საათზე. ორივე მოსვალთ ჩემთან მშობლებთან ერთად. თქვენთვის განკუთვნილი დრო ამოწურულია, ნახვამდის.

იგი ქალ-ვაჟს სწრაფად გაშორდა.

გაოგნებულმა დიდცხვირამ მსრები აიჩეჩა.

კარენი პულტთან დგას და მონიტორებს რთავს. მიდის კონცერტის გადაღება. კარენი მუსიკის რიტმში ყამზე ტრიალებს. ეკრანზე მსსვილი და საშუალო სედები ერთმანეთს ენაცვლება. გოგის ფართო შუშაზე შუბლი მიუდვია და პავილიონში იცქირება.

კარენი – ორი წუთი დაგრჩა.

გოგი – პა, გესმარება რამეში ჩემი ლექციები?

კარენი – აბა, რა, აი, ნასე...

კარენმა მიკშერს თითი დააჭირა და პავილიონში გამნათებელს უთხრა:

კარენი (ქართულად) – ღრმად პატივცემულო ომარ. გეთაყვათ, თუ შეიძლება, უფრო მეტად გაანათეთ მარჯვენა კუთხე. თუ. რა თქმა უნდა, არ გეზარებათ. გაოგნებულმა გამნათებელმა საქმეს თავი მიანება. გამნათებელი პირდაბჩენილი დგას. გოგიმ სმამაღლა გაიცინა.

კარენი – შენ რა, ქართული არ გესმის!?

გოგი ცარცით სელში დაფასთან დგას. დაფა ბრუნვებში ჩასმული ქართული სიტყვებით არის აჭრელებული. გოგიმ კოსტიუმი გაისწორა. მას აპარატებით რამდენიმე ოპერატორი მიუასლოვდა.

ეკრანზე წარწერა გამოჩნდა – „ქართული ენა", შემდეგ სელში ჯოსმომარჯვებული გოგიც. მან თვალებით იკითხა, დავიწყო თუ არაო და მერე ტელემაყურებლებს გაუღიმა.

გოგი – გამარჯობათ, მეგობრებო!

დღევანდელ გადაცემას პატარა განცხადებით დავიწყებ. ჩვენი გადაცემის გასაუმჯობესებლად საქართველოს ტელევიზია ატარებს კონფერენციას თემაზე: „ქართული ენის სწავლება და მისი პრობლემები". მონაწილეობა ყველა მსურველს შეუძლია მიიღოს. კონფერენციის ჩატარების დროსა და ადგილზე უფრო დაწვრილებით ლექციის ბოლოს მოგასსენებთ. ახლა კი, მოდით დავუბრუნდეთ ჩვენს წინა გაცვეთილს და განელილი მასალა მოკლედ გავიმეოროთ...

განიერ სადარბაზოში მეოთხედან მესამე სართულზე ქოშების ტყაპა-ტყუპით მსუქანმა, ფაშფაშა ქალმა ჩამოირბინა და ერთ-ერთ კარზე ზარი დარეკა. კარი ქეთომ, გოგის დედამ, გააღო. იგი საკმაოდ ხნიერია, თმა მთლიანად ჭაღარა აქვს. მისი დანაოჭებული სახე კეთილად იღიმება.

ელიო – გამარჯობა, ქეთო, გენაცვალე!

ქეთო – გამარჯობა, ელიო.

ელიო – შენს ბიჭს უყურებ ტელევიზორში?

ქეთო – არა.

ელიო – რა კარგი შვილი გყავს.

ქეთო – შემოდი, ელიო.

ელიო – არა, არა, ნამცხვარი მაქვს შედგმული. დღეს მოვა შენთან?

ქეთო – რა ვიცი, საერთოდ ყოველდღე მოდის ხოლმე, საჭმელად.

ელიო – ჩემი ლალი სულ მესვეწება, გოგის დავუძახოთო, თუ მოვიდა, შენი ჭირიმე, უთხარი, ამოვიდეს ჩვენთან სადილზე.

ქეთო – კარგი, ელიო.

ელიო – არ დაგავიწყდეს, ძალიან გთხოვ.

ქეთო – რა თქმა უნდა.

ელიოს ბინა. რამდენიმე ჭურჭლის კარადით, როიალით, მძიმე საევრდის ფარდებით, კედელზე ჩამოფენილი და მთლიანად იატაკის დამფარავი ნოსებით, ზედ გაკრული მოჩუქურთმებული თეფშებით გაწყობილი ოთახი. ყველგან, სადაც კი შეიძლება, ბროლის ლარნა-კები დგას. იმ მხარეს, სადაც აივანი იგულისხმება, რამდენიმე ფანჯრის რაფაზე გალიები დგას და ბევრი პატარა მწვანე თუთიყუში მომაბეზრებლად ჭასჭასებს. ოთახში სადილისთვის ძვირფასი ჭურ-ჭლით და მრავალგვარი საჭმლით დატვირთულ მაგიდას ოთხნი უსხედან – გოგი, ლალი, ელიო და სუთი წლის დათო. ჩასუქებული, პუტკუნა ლალი ნელა, ღირსეულად შეექცევა საჭმელს, დათოს ელიო მიჯდომია და თავისი სელით კვებავს. დათოს ყურებში თითები აქვს გარჭობილი (ეტყობა თუთიყუშმა შეაწუსა) და ისე ჭამს. ელიო შეუჩერებლად ლაპარაკობს.

ელიო – ჩემი ყოფილი სიძე მეუბნებოდა, საკუთარი ოჯახი მინდა, ცალკე უნდა ვიცხოვროთო. ლალი მოსამსახურედ უნდოდა გაეხადა. შვილი წამართვა და მერე შვილიშვილის წართმევაც დამიპირა, ბავშვს გამიფუჭებენო. კარგი ცოლ-შვილი ყველას უნდა. იმას კი არ ფიქრობენ, რითი არჩინონ!... მე მარტო დავრჩენილიყავი ამ სახლში? ბებია უჭყავის. ლალიმ ჭამა მოათავა. თეფშები გასწია და მაგიდაზე, როგორც დოლზე, ისე დაუკრა. გოგიმ ეკვირეებით შესედა. ელიომ ერთი წამით დათოს თავი მიანება.

ელიო – ჭამე, გოგი, გენაცვალე, რავა ჩიტივით იციცქნები.

გოგი – გმადლობთ, ელიო დეიდა, მეტი აღარ მინდა.

ელიო – ჭამე, სომ არ გადავყრით ამდენ სორაგს. აი, ეს მეაეე გადაიღე. გოგიმ სვნეშით გადაიღო მეაეე. ამ დროს ზარის სმა გაისმა. ელიო, მობოდიშებით, კარის გასაღებად გაეშურა. დათომ ყურებს თითები ფრთხილად მოაშორა. მაგრამ, რადგან თუთიყუშები ჭასჭასს განაგრძობდნენ, კვლავ ყურებზე დაიცო.

ლალი – ნუ მიაქცევ ყურადღებას. დედაჩემის სისულელეებს რომ უსმინო, შეიძლება თავი ჩამოისრჩო.

გოგი – არა, რატომ?

ლალი – ჩვენი დაჯახება უნდა. ელიო, რომელსაც ხელში ყვავილები უჭირავს, მაღალ და სმელ ორმოციოდე წლის სიმდიდრისა და მოდიცკენ პრეტენზიის მქონე კაცს ოთახში შემოუძღვა.

ელიო – მობრძანდით, თენგიზ!

თენგიზი – გამარჯობა, ლალი, როგორ სარ, თენგიზი ლალის ხელზე ეამბორა.

ლალი – სტამბოლის კაეივით. წარბშეუსრელად უპასუხა ლალიმ. ელიომ ყვავილები ლარნაკში მოათავსა.

ელიო – დაბრძანდით თენგიზ.

თენგიზი – გმადლობთ.

თენგიზმა გოგის ღირსეულად თავი დაუკრა და დაჯდა.

თენგიზი – ახალი ამერიკული ფილმი თუ ნახეთ? ელიო კვლავ დათოს მიუჯდა.

ელიო – არა.

თენგიზი – მთავარი გმირი საოცრად ჰგავს ლალის. გამახსენდა,

მომენატრა, რომ არ ამოვსულიყავი და არ მენასა ვერაფრით ვერ მოვითმენდი. ლალის გაეცინა.

ლალი – დაიკარგე აქედან.

ელიო – ნამდვილად, ლალი ბავშვობიდან ძალიან ლამაზი იყო. ასლანდელ გაძვალტყავებულ გოგო-ბიჭებს რომ შესედოთ, გული გაგიკდებათ. მუსლები უკანკალებთ, თავებს აცანცარებენ. დადიან წელში მოკუნტულები... გოგი კამეზე გასწორდა.

ელიო – ... სულ გადაგვარდნენ. ოჯახის რჩენის თავი არც ერთს არა აქვს. აგერ, გოგიც დამეთანხმება, არა!?

გოგი – ალბათ.

თენგიზმა გოგის გაუღიმა.

თენგიზი – მაპატიეთ, ჩვენ ერთმანეთი არ გაგვაცნეს. ელიომ შეიცხადა.

ელიო – უიმე, ეს გოგია.

თენგიზი – ალბათ, თქვენი ნათესავია? ელიო შეიშმუშნა.

ელიო – არა, ჩვენი მეგობელია. ლალის ბავშვობის მეგობარი, ერთად იზრდებოდნენ.

თენგიზს ერთი წამით თვალები გაეყინა. დათომ თითები ყურებს მოაშორა და რომ გაიგო, თუთიყუშები მიყუჩებულიყვნენ დედამისივით, მაგიდაზე, როგორც დოლზე, სორუმი დაუკრა. ყველას გაეცინა. თენგიზი ბავშვისკენ გადაისარა და საოცარი სიზუსტით თუთიყუშივით დაუსტვინა. დათომ სასწრაფოდ ყურებში თითები იტაკა. ელიო როიალს მისჯდომია და საოცარი გატაცებით კინტოურს უკრავს. დათოს სელები გაუშლია. ცეკვა-ცეკვით მაგიდის გარშემო დარბის. ლალის ფესებშორის კამი მოუქცევია და დოლზე უკრავს. გოგი მათ ტაშს აყოლებს. თავგაბეზრებული თენგიზი ამ სცენას თვალს ადევნებს. სანდასან უკმაყოფილოდ ლალის და გოგის უყურებს. ბოლოს თენგიზი ფესზე წამოდგა.

თენგიზი – მაპატიეთ, წასასვლელი ვარ. თქვენც, ალბათ, დაგღალეთ.

ელიო – როგორ გეკადრებათ, თენგიზ! სად გეჩქარებათ, დარჩით ცოტა სანს.

თენგიზი – არა, გმადლობთ, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

ნასვამდის ლალი. თენგიზი ლალის სელზე ეამბორა და მერე გოგის გაუღიმა.

თენგიზი – თქვენ არ მობრძანდებით, ყმაწვილო!?

გოგი – დიას, დიას!

დაიბნა გოგი და ფესვზე წამოდგა. სინანულის შეძახილებით ელიკომ ისინი სადარბაზომდე გააცილა. დათო ტელევიზორთან მიეიდა (რომელსაც აქამდე სმა ჩაწეული ჰქონდა) და სმას აუწია. ტელევიზორში მეტყველების გაკვეთილი მიმდინარეობს. მოსუცებული ქალი ტუჩების მკვეთრი მოძრაობით სსვადასსვა ბგერას გამოთქვამს:

ქალი – ბდგ, დგბ, გბდ...

თენგიზი და გოგი ელიკომ სადარბაზომდე გამოაცილა. თენგიზმა ფართოფარფლებიანი ამერიკული შლაპა თავზე დაისურა და ელიკოს სელზე აკოცა.

თენგიზი – იმედი მაქვს, თავი არ შეგაწყინეთ!?

ელიკო – რას ამბობთ, თენგიზ!

თენგიზი გოგის მიუბრუნდა, გედმეტი თავაზიანობით სელი ჩამოართვა და შლაპა მოუსადა.

თენგიზი – კარგად ბრძანდებოდეთ!

გოგი – ნასვამდის.

უპასუსა გაოგნებულმა გოგიმ. თენგიზმა კელავ ელიკოს მიმართა.

თენგიზი – ორიოდე სიტყვა მქონდა თქვენთვის სათქმელი კონფიდენციალურად.

ელიკო – რა თქმა უნდა, თენგიზ.

ისინი ბინაში შებრუნდნენ და გაკვირვებულ გოგის კარი ცსვირწინ მიუჯასუნეს.

კაბინეტში საქაღალდეებით დატვირთული გოგი შემოვიდა.

სტუდენტები წამოიშალნენ.

სტუდენტები – გამარჯობათ, პატივცემულო გოგი!

გოგი – გამარჯობათ, დასსედით.

გოგი მაგიდასთან დადგა.

გოგი – ბატონო არჩილ, აბა, თუ შეგიძლიათ, აგვიწერეთ ჩვენი კაბინეტი.

ცოლ-ქმარს, რომელთაც პირველ ეპიზოდში, ბარათების ძებნის დროს, ერთმანეთში უსიამოვნება მოუვიდათ. გოგიმ ფსევდონიმებად „არჩილი“ და „ქეთევანი“ შეურჩია. არჩილმა ქეთევანს გადასცა და ფესვზე წამოდგა.

არჩილი – ჩვენ ესცავლობტ კარტულ ენას. მმ... ასალი მეტოდიტ... ლაბორატორიაში...

გოგი – ყოჩაღ.

არჩილი – აკ არის მაგიდა, სკამი...

ქეთევანი – რას მელაპარაკები!

ირონიით რუსულად შეაწყვეტინა ქეთევანმა.

არჩილი – აკ არის პანდეარა...

გოგი – სწორია. აბა, თუ მეტყვით, რამდენი ქალი და რამდენი კაცია!?

არჩილმა რუსულად დაიწყო დათვლა.

გოგი – მსოლოდ ქართულად.

არჩილი – ერტი, ორი... მერე ჩუმად მაინც რუსულად დაითვალა.

არჩილი – ოტსი კალი, სუტი კაცი.

გოგი – ძალიან კარგი, დაბრძანდით.

არჩილი დაჯდა და იმავე წამს ფესვზე წამოიჯრა.

არჩილი – ვეშოლკა

გოგი – საკიდი

არჩილი – საკიდი, პოლი...

ქეთევანი – დაჯექი, სულელო.

გოგი – პოლი ქართულად, იატაკია,

დაბრძანდით.

გოგიმ მსმენელები შეათვალიერა.

გოგი – ირინე, თუ შეიძლება, მაგიდასთან მობრძანდით. გემოვნებით, უბრალოდ ჩაცმული, მიმზიდველი იერის ეფექტური ქალი სავარძლიდან წამოდგა და გოგის მიუახლოვდა.

გოგი – მოდით, გავითამაშოთ ასეთი სცენა. ქმარი სამსახურიდან დაბრუნდა, იგი დაიღალა. ჭამა და დასვენება სურს. ცოლი სთავაგობს საღილს, ყავას, საუბრობენ ბავშვებზე. მოკლედ, რაც გნებავთ ის გაკეთეთ. ყველა ეს სიტყვა უკვე იცით... ქმარი იყოს... ლაშა.

შავგრემანი სომეხი, კარენი, რომელსაც ქართულად ლაშა შეარქვეს, უხერხულად წამოდგა ფეხზე. გოგი კელავ ირინეს მიუბრუნდა.

გოგი – მამაცაცი ბავშვივით არის, მას უნდა მოეფერო, მიუალერსო. გოგის უკანასკნელ სიტყვებზე ქეთევანმა სმამაღლა ბრაგით თქვა:

ქეთევანი – ყველანიც წაწყმედილან!

გოგი – ეს ქართულად იქნება, კაცების სინსილა გაწყდეს. მდგომარეობის განსამუსტავად სიცილით განუმარტა გოგიმ.

ლაშა – მე სამსასურიდან მოვედი, არა?

გოგი – დიას.

ლაშამ კარი ვითომ გასაღებით გააღო, ჩსკ, ჩსკ, თქვა და დაღლილი სასით ამოისვნეშა. ირინემ მასთან მიირბინა, ნაგულისხმევი პალტო გასადა და დაუყვავა.

ირინე – დგვირპასო, რატომ დააგვიანა?

აუდიტორიამ გაიცინა, ნინომ, ამ სცენის ყველაზე მღელვარე მეთვალყურემ, თითგზე იკბინა, სასეგზე წამოწითლდა და ჩუმი ნერვიული სითსითი დაიწყო.

ლაშა – მუშაობა დგნელია... მმ... მაჩამე...

ირინე – მოიცა, ჯერ ბავშვებგზე მკითხე.

ლაშა – ბავშვები ავად არიან?

ირინე – ჰო, გენაცვალე, სიცხეა, სიცხე.

ლაშა – მაშინ მაჩამე! სტუდენტთა სარსარში თქვა ლაშამ.

მოპირდაპირე აუდიტორიაში მარინე ინგლისურის ეკვეთილს ატარებს. გოგი თაეისი კაბინეტის კართან დგას და მარინეს უყურებს. ზოგიერთი სიტყვა გოგიმდეც აღწევს. განსაკუთრებით მაშინ, როცა სტუდენტები ინგლისურ წინადადებებს ერთსმად იმეორებენ. სანდასან მარინეც გამოსედავს სოლმე გოგის. ამ სცენას პატივცემული ლევანიც ადევნებს თვალს. ეგი გოგისთან ერთად იღიმება: მათი თვალები ერთმანეთს წააწყდნენ. გოგი კარს სასწრაფოს მიმორდა და თაეის აუდიტორიას დაუბრუნდა. ლაშა სავარძელში ქანაობს. ირინეს სელები ისე გაუშლია, თითქოს ყაეის სერვისი მოპქონდეს.

ირინე – გენაცვალე, დალია კავა.

ლაშა – გმადლობტ.

ლაშა სკამზე უკანასკნელად გაქანდა. ყველას ეგონა თავს შეიკავებსო, მაგრამ წონასწორობა დაკარგა, ზურგზე გადაბრუნდა და ფესები მაღლა აპლაკა. სიცილი ვერავინ შეიკავა, ლაშა კისერზე გადატრიალდა, ფესზე სპორტსმენივით წამოსტა, ტაში შემოჰკრა და სელები გაშალა.

ლაშა – ჰოპ-ლა!

აუდიტორია თავშეუკავებლად იცინის. კარგა ხანს ვერ მოითქვეს სული. თვითონ ლაშაც სარსარებს.

გოგი – თქვენ მშვენიერი აკრობატი ყოფილხართ!

არჩილი ისტერიულად კისკისებს. ყველა მას უყურებს. ხან ერთს აუტყდება ფსუკუნი, სან მეორეს. სასიათგაფუჭებული ლაშა უგულოდ იღიმება.

ქეთევანი – ვერაფერს სასაცილოს ვერ ვსედავ, ადამიანი დაეცა, რა არის აქ სასაცილო!?

გოგი – ჯობია, ასალი სიმღერა ვისწავლოთ, მდგომარეობის განსამუსტავად თქვა გოგიმ და მაგნიტოფონი ჩართო.

სტუდენტები – სულიკო!

გაუსარდა ყველას. სიმღერას ისმენენ. მეორე კუპლეტიდან წრეში ჩადგნენ და თვითონაც ამღერდნენ. ეტყობა სიცილს ჯერ არ დაუტოვებია ეს კაბინეტი. ვინც კი ლაშას შესედავს, უნებურად ეღიმება. მხოლოდ ქეთევანი და მისი შეშინებული ქმარი მღერიან სერიოზულად. ფოთლებგაძარცვული, მაგრამ მზიანი დღეა. მსუბუქ კოსტიუმში გამოწყობილი გოგი პარკში სკამზე ზის. პატარა, უბრალოდ ჩაცმულ, თავსაფრიან რუს ქალს გოგისკენ ბავშეი მოპყავს. გოგი ფესზე წამოდგა. ნიკო სელში აიყვანა, ჩაისუტა და მერე ქალს მიუბრუნდა.

გოგი – გამარჯობა ანია!

ანია – ვინ თქვა?

გოგის გაეცინა.

გოგი – მე გეუბნები.

ანიამ მუცელზე ხელები დაიწყო და მშვიდად გაჩერდა.

ანია – გაგიმარჯოს!

გოგი – როგორ არის ცხოვრება?

ანია – როგორ არის, ვერ სედავ?

გოგის კვლავ გაეცინა.

გოგი – არ თხოვდები?

ანია – უიმე, რა გათხოვება, სარეცხს ვერ აუხვალ, კაცები არ მიყვარს. ქალიშვილი ვარ, კარგი ქალი ვარ.

გოგი – პო, კარგი ქალი სარ, ბავშვს რამე საჭმელი გამოატანეს?

ანია – აი, ჩანთაშია.

ანიამ პატარა სელჩანთა მიაწოდა.

გოგი – მერე დედამისთან მივიყვან.

ანია – პო.

მან გოგის რაღაც ქაღალდი გაუწოდა.

გოგი – ეს რა არის?

ანიამ დაიმორცხვა. – მოსაწვეია. მე ხომ გუნდში ვმღერი. ყოველ შაბათს კონცერტები გვაქვს.

გოგი – აპა...

ანია – მოხვალ?

იმედით შეეკითხა ანია.

გოგი – აუცილებლად მოვალ.

ანია – ჩემს გოგოებს ფერად ტელევიზორში უნდათ გამოსვლა...

გოგის გაეცინა.

ანია – შენ ხომ შეგიძლია დაგვეხმარო? მოსკოვში წავალთ ოლიმპიადაზე... შენ ხომ ტელევიზორში გამოდიხარ, პა?

გოგი – კი.

ანია – ... შენც წაგიყვანთ მერე მოსკოვში.

გოგიმ გადაისარსარა.

გოგი – შევეცდები რამეთი დაგეხმაროთ.

გოგის ნიკო კალთაში ჩაუსვამს და კარუსელზე სერიოზული სახით ტრიალებს. გოგი და ნიკო მანქანების ატრაქციონიდან გამოდიან. ნიკოს შუბლი გატეხილი აქვს. მამა ცდილობს ცხვირსახოცით სისხლი შეაჩეროს. ნიკო მორჩილად დგას.

გოგი – ეს მანქანები იმისთვისაა, რომ ერთმანეთს დაეჯახონ, – სახელურისთვის მაგრად რომ მოჭიდებულიყავი, შუბლს არ

მიარტყაედი.

ნიკო – ნუ გეშინია, დედას ვეტყვი მე თვითონ წავიქეცი-მეთქი. სერიოზულად Uუთსრა ნიკომ.

გოგი – არა. დედა რატომ უნდა მოატყუო, ეგ რა შუაშია. მორჩა, სისხლი აღარ მოგდის. გინდა კიდევ ჩავჯდეთ?

ნიკო – არა.

გოგი – შენ რა, შეგეშინდა?

ნიკო – არა.

გოგი – წამოდით, ჩავჯდეთ. ტარებას ისწავლი.

ნიკო – არ მინ-და, დაუმარცვლა ნიკომ.

გოგი – ჰო, კარგი, კარგი.

გოგი და ბავშვი საქანელა-ნავში სსედან. გოგი ბავშვის წინ სელებს იქნევს, ფესებს მიწაზე აბაკუნებს და ცდილობს ტელევიზორში მოსმენილი რუსული ლექსი ასწავლოს. ნიკო გაფართოებული თვალებით უყურებს. ნიკო სასრიალოზე ჩამოცურდა, ფესი რაღაცას გამოპკრა და პატარა გუბეში ტყაპანი მოადინა. გოგი ბავშვს მივარდა.

ნიკო – ნუ გეშინია, დედას ვეტყვი, მამას არ ვუჯერებდი. ტალასში დაერბოდი, ფესი გამიცურდა და წავიქეცი-მეთქი.

გოგი – შენ მე გამაგიეებ, ხომ იცი.

ნიკო თვითმფრინავით ატრაქციონის გარშემო წრეს უვლის. გოგი სელჩანთით დგას და ქვემოდან უყურებს. მამა-შვილი ბაღში სსედან. ნიკო ბუტერბროდს შეექცევა. გოგი სიყვარულით უთვალთვალებს.

გოგი – ნიკა, რა გასწავლეს საბავშვო ბაღში?

ნიკო – არაფერი.

სავსე პირით უპასუხა ნიკომ.

გოგი – ლექსები არ გასწავლეს?

ნიკო – კი.

გოგი – აბა, ერთი მითხარი.

ნიკომ რუსულად უთხრა.

ნიკო – როცა ვჭამ, ვარ ყრუ და მუნჯი!

გოგი – ჰმ. გასაგებია.

მათ წინ პროვიზიით დატვირთულმა გოგის სტუდენტმა ირინემ ჩაიარა.

გოგი – გამარჯობათ, ირინა!

ირინე – გამარჯობათ, პატივცემულო გოგი! არ მინდოდა ხელი შემეშალა, ეს თქვენი ვაჟიშვილია?

გოგი – დიას.

ირინე – მე მეგონა, უცოლო იყავით.

გოგი – რატომ?

ირინე – არ ვიცი, უბრალოდ, ისეთი მანერები გაქვთ.

გოგი – როგორი!?

ირინემ გაიცინა.

ირინე – უცოლოსი.

გოგისაც გაეცინა, ცოტა სანს უსერსული სიჩუმე ჩამოვარდა.

გოგი – თქვენ!?

ირინე – რა, მე?

გოგი – მოულოდ, თქვენც ასე ვთქვათ...

მმმ... ისეთი მანერები გაქვთ!

კვლავ გაიცინეს.

ირინე – არა, მე ქმარი არ მყავს...

გოგი – მაგრამ ბავშვები გიყვართ.

ირინე – არ შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან.

გოგი – თქვენ ხომ საბავშვო ბაღში მუშაობდით?

ირინე – დიას, რაღაც პერიოდი.

ირინემ ნიკოს გადასედა.

ირინე – მე ამათ სერიოზულად ვექცევი, ალბათ იმიტომ, ყველაზე მეტად მე მეტმასნებიან. მოსწონთ უფროსებივით რომ ველაპარაკები... მოდი, ზონარს შეგიკრავ, თორემ წაიქცევი. ირინემ ჩაიმუსლა და სხარტი შეჩვეული თითებით ნიკოს ფესსაცმელზე ზონარი შეუკრა.

ირინე – აი, ასე, რა გქვია ბიჭუნა?

გოგი – უპასუხე, რა გქვია?

ნიკო – ნიკა.

ირინე – მოდი სოლმე ჩემთან სტუმრად, აი, იმ დიდ სახლში ვცხოვრობ. ირინემ ხელით დაანახა.

ირინე – აბა, ნახვამდის.

გოგი – ნახვამდის.

ირინე ბაღის გასასვლელისკენ წავიდა. გოგიმ თვალი გააყოლა.

ნიკო – რაო?

გოგი – ვერ გაიგე რაო!? სტუმრად მოდითო.

ქუჩაში მარინე მოდის. მის გვერდით ტაქსი ჩერდება. მანქანიდან ლევანი გადმოდის.

ლევანი – დაბრძანდით, მიგიყვანთ.

მარინე – არ არის საჭირო. მარინემ გურგი შეაქცია.

ლევანი – მე თქვენთან ვსწავლობ ქართულ ენას. თქვენ სომ ლაბორატორიაში მობრძანდებით. მარინე მოლბა.

მარინე – ნუ წუსდებით, აქედან ასლოა.

ლევანი – დაბრძანდით, დაბრძანდით.

ლევანმა წინა კარი გამოუღო, თვითონ კი უკანა საავარძელზე მოთავსდა. მაგრამ ძრავა ჩაქრა. მძღოლი გასაკეთებლად მანქანიდან გადმოვიდა.

მარინე – კმაყოფილი სართ სწავლით?

ლევანი – ოო, ჩვენ მშვენიერი მასწავლებელი გვყავს.

მარინე – ნუთუ მართლა!?

ლევანი – იგი სულ თქვენი კაბინეტისკენ იყურება. ალბათ, დიდი სიმპატიები აქვს თქვენდამი.

მარინე – მართლა? მე რაღაც არ შემიმჩნევია. უნდა შევამოწმო. ჩაეცინა მარინეს. ასეთი ლაპარაკით ლაბორატორიის ვესტიბიულში შევიდნენ.

მამა-შვილი ლაბორატორიის დერეფანში მოაბიჯებენ. გოგიმ კარი გამოაღო და ლინგაფონურ კაბინეტში შეისედა. ყურსაფარიანი სტუდენტების თავს მაღლა კათედრას გასედა, ვისაც ეძებდა, ვერ ნახა და კვლავ დერეფანში განაგრძო გზა. სამასწავლებლოში მარინე თავის კოლეგებთან ერთად ტელევიზორში რაიკინის გამოსვლას უყურებს და იცინის. ოთახში გოგი და ნიკო შემოვიდნენ. ამოთსვრილი ნიკოს დანასვაზე მარინეს თვალები დაუმრგვალდა და ჩაიბურტყუნა.

მარინე – რა დღეშია ბავშვი.

ქალები ნიკოს სიცილით შემოესვივნენ.

ქალები – რა მენასშირესავით ამოსვრილსარ, ბიჭო! სად ამოი-

განულე ასე? – შუბლი სად გაიტეხე, ნიკო!?

მარინე – კიდევ კარგი, ცოცხალი რომ მოიყვანა. მარინემ ზურგი შეაქცია.

ნიკო – მამას არ დაეუჯერე და... დაიწყო ნიკომ, მაგრამ არ აცალეს.

ქალები – მამას და დედას ყოველთვის უნდა დაუჯერო. შენ სომ უკვე დიდი ბიჭი ხარ.

გოგი, ყავა გინდა?

გოგი – არა, არ მინდა. გაკვეთილი მეწყება. გოგი კაბინეტიდან გავიდა. ერთ-ერთმა ქალმა ნიკოს ტანსაცმელს წმენდა დაუწყო.

ქალი – აბა, მოყევი, როგორ ისეირნეთ, შენ და მამაშენმა.

ნიკო – ვიღაც ქალმა სტუმრად დაგვპატიჟა. მარინე სკამზე სწრაფად შემობრუნდა.

მარინე – ვინ ქალმა? ისეთი დიდი ინტერესით იკითხა მან, რომ სხვებს გაეცინათ.

მარინე – არა, მე მინდოდა.

ქალები – ვიცით, ვიცით, რაც გინდოდა.

ქეთევანი კაბინეტში ფეხზე დგას და ძნელად გამოსათქმელ ქართულ ბგერებს, სტუდენტების მორიდებულ სიცილში, ძლივს ამბობს, მაგრამ ამაყ იერს არ ჰკარგავს. ხანდახან მას გოგიც ეხმარება.

ქეთევანი – თ.ფ.ქ.ღ.ყ.ძ.წ.ჭ.ჯ.ჰ. არჩილი მღელვარებით უგდებს ყურს.

გოგი – არა უშავს, კარგია. მე მგონი, სხვებსაც არ უნდა გაუჭირდეთ, ნელ-ნელა შეეჩვევით. დღეიდან თავიდან დავიწყოთ ერთმანეთის გაცნობა. ვფიქრობ, უკვე საკმარისი სიტყვების მარაგი გაქვთ, უკეთ რომ წარმოადგინოთ საკუთარი თავი. აბა თქვენ, ქალბატონო ნინო. ნინომ უარის ნიშნად სასეგე ხელები აიფარა. გოგიმ ამოიოხრა.

გოგი – ბოლომდე სმას არ ამოიღებთ?

ნინომ ტუჩებზე თითი მიიდო, ჩუმად ვიქნები. ხელს არაკის შევუშლიო.

გოგი – მაშინ, გია!

ოციოდე წლის ლამაზი, ჩუმი ბიჭი ფესვზე წამოდგა.

გია – მე სტუდენტი ვარ, ვსწავლობ პოლიტექნი... კურში, ინსტიტუტში, პირველ კურსში...

გოგი – მე

გია – კურსზე... მამა მყავს... ბებია... ბაბუა არ მყავს... მეგობრები. ვცხოვრობ... არა, ვცხოვრობდი რუსეთში. ქართველი ვარ... მესმის...

გოგი – ქართულად ყველაფერი მესმის.

გია – ქართულად ყველაფერი მესმის. არ ვლაპარაკობ.

გოგი – მე მგონი, უკვე, ლაპარაკობ კიდევაც.

გიას გაეცინა.

გია – სო,

გოგი – ყოჩაღ. დაჯექი. პატივცემულო ლევან, ასლა თქვენ. ლევანმა ძლივს წამოსწია თავისი უშველებელი სხეული და პირდაპირ თქვა:

ლევანი – პენსიონერ

სტუდენტებმა გაიცინეს.

გოგი – მე პენსიონერი ვარ.

ლევანი – მე პენსიონერი ვარ...

გოგი – დამსახურებული?

ლევანი – დამსახურებული ინჟინერ... მმ

გოგი – ოჯახი, შვილები, შვილიშვილები?

– ორი შვილი.

ლევანმა სუთი თითი გაშალა.

ლევანი – შვილიშვილი!

გოგი – სუთი შვილიშვილი.

ლევანი – სუტი... რუსეტში.

გოგი – სუთივე რუსეთში არიან.

ლევანი – არა, შვილებიც.

გოგი – ყველანი!?

ლევანი – კველანი...

გოგი – მე და ჩემი ცოლი თბილისში ვცხოვრობთ.

ლევანი – არა, ცოლი მოკდა... კარტველი.

გოგი – ქართველი ცოლი მყავდა.

ლევანმა ნინოს გადასედა და გამოაცსადა.

ლევანი – ცოლი მინდა.

ლევანი – ქალბატონი ნინო!

სტუდენტები ასარსარდნენ. ნინომ ტუჩები დაბრიცა. ახლა ირინე ლაპარაკობს.

ირინე – თბილისში ვცხოვრობ. ლენინის ქუჩაზე... რუსი ვარ. ირინა მქვია. კარტულად ირინე... ირინეს კოსტად გადავარცხნილი ოქროსფერი, გრძელი და სშირი თმა კეფაზე უკან აქვს აკრეფილი და შეკრული. მისი ნუშის მსგავსი ცისფერი თვალები ბოლოში ქუთუთოების კეთილ ნაოჭებში გადადის. გოგი ირინეს ულიმის. მერე კი კარიდან მარინეს კაბინეტს გასედა. მარინეს თმები ირინესავით კოსტად კეფაზე აქვს აკრეფილი. ირინესავით კეთილი და სათნო იერით ატარებს ინგლისურის გაკვეთილს.

მარინემ ხელი აიქნია და კაბინეტიდან ინგლისური სიმღერა გაისმა. მარინე და მისი სტუდენტები ხელისელჩაკიდებულნი სიმღერით დადიან ოთახში.

გოგი ფიქრებიდან გამოერკვა. მარინეს თმები ჩვეულებისამებრ აქვს.

